

სტივენ კუნგი

პერი

2020 | დაფუძნებული



სტივენ კუნგი

კერი

ამარიყალაბი | ღილაკი

„კერი“ სტივენ კინგის პირველი გამოქვეყნებული რომანია. სწორედ ამ წიგნით დაიწყო ახალი ხანა ჰორორის უანრის ლიტერატურაში. ეს გახლავთ ერთი დაჩაგრული (შინ – დედის რელიგიური ფანატიზმისაგან, ხოლო სკოლაში – თანაკლასელების დაუნდობლობისაგან) და ყველასგან გარიყული გოგონას – კერიეტ უაიტის – ტრაგიკული ისტორია. გოგონას ყოველი მცდელობა, როგორმე გაარღვიოს მოჯადოებული ნრე და ჩვეულებრივი ამერიკელი მოზარდის ცხოვრებით იცხოვროს, კრახით მთავრდება. თითქოსდა ბედს შეგუებული კერი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ შეუძლია, მნარედ იძიოს შური...

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეძღვნება ტაბის, რომელმაც ამ ამბავში გამრია და
რომელმაც ამ ამბიდან გამომიხსნა.

ნაცილი პირველი სისხლიანი სპორტი

ყოველკვირეული გამოცემა „ენტერპრაიზის“
ცნობა (ქ. უესტოვერი, მენის შტატი, 1966
წლის 19 აგვისტო):

„ქვის ცვია

რამდენიმე თვითმხილველი ადასტურებს, რომ 17
აგვისტოს ქალაქ ჩემბერლენში, კარლინ-სტრიტ-
ზე, მოწმენდილი, უღრუბლო ციდან ქვის სეტყვა
ნამოვიდა. ქვები, ძირითადად, მისის მარგარეტ
უაიტის სახლს დაეცა და სახურავი, სანიალვრე
მილი და წყალსადინარი ლარი დააზიანა. ზარალი
დაახლოებით 25 დოლარად შეფასდა. ქალბატო-
ნი უაიტი ქვრივია და სამი წლის ქალიშვილთან,
კერიეტთან ერთად ცხოვრობს. მან ჩვენთან საუ-
ბარზე უარი განაცხადა“.

კაცმა რომ თქვას, რაც მოხდა, არავის გაჟეკვირვებია...
ყოველ შემთხვევაში, გულის სიღრმეში (იქ, სადაც ბოროტი

აზრები მნიუფლება ხოლმე) მაინც. საშუალე თოახძი მყოფმა ვთ-
გონებმა სხვადასხვაგვარად გამოხატეს თავიანთი გრძნობები
– ზოგმა შეიცხადა, ზოგი გაოგნდა, ზოგს შერცხვა კიდეც...
ზოგს კი, უბრალოდ, გაუხარდა, რომ იმ ძუკნა კერი უაიტს
კიდევ ერთხელ მოხვდა ცხვირში. ვიღაც მოგვიანებით იმასაც
ირწმუნებოდა, რომ ასეთ რამეს ვერასოდეს ნარმოიდგენდა.
მაგრამ, რა თქმა უნდა, ცრუობდნენ. რამდენიმე გოგონა პირ-
ველივე კლასიდან კერისთან ერთად სწავლობდა და სიძულვი-
ლის ჯერ კიდევ იმხანად ამოყრილი ყლორტები ნელ-ნელა და
გარდაუვლად იკრეფდნენ ძალას ადამიანის ბუნების ნარმმარ-
თველი კანონების შესაბამისად – კრიტიკულ მასას მიღწეულ
ატომებში მიმდინარე ჯაჭვური რეაქციის მსგავსად.

...და, ცხადის, არც ერთმა არ იცოდა, რომ კერი უაიტს
ტელეკინეტიკური უნარი ჰქონდა.

ქალაქ ჩემბერლენში, ბარკერ-სტრიტზე მდებარე დანყე-
ბითი სკოლის მერხზე ამოკანრული ნარნერა: „კერი უაიტი
მძღნერს ჭამს“.

გასახდელში ყაყანი, ყვირილი და ნყლის ჩხრიალი ისმო-
და. პირველ გაკვეთილზე მოსწავლეებმა ფრენბურთი ითამა-
შეს და ცვარივით სუფთა და მსუბუქი იყო დილის ოფლი.
გოგონები მონდომებით იწელებოდნენ და იზნიქებოდნენ ცხე-
ლი ჭავლის ქვეშ; სიცილ-კისკისით აშეფებდნენ ერთმანეთს
ნყალს და დროდადრო ხელიდან ხელში დააცურებდნენ თეთრი
საპნის ნაჭრებს. კერი გაუნძრევლად იდგა ამ აყალმაყალში –
თითქოს გედების გარემოცვაში მოხვედრილი ბაყაყი ყოფილი-
ყოს: მსუქანსა და ტანდაბალს კისერი, ზურგი და დუნდულე-
ბი მუნუკებით დანინნკვლოდა; სველი, უფერული თმა უძნოდ

გისნებებოდა ლოყებზე; საწყლად მობუზულიყო და სხეულზე ლვარად ჩამოსდიოდა წყალი... მასზე უკეთეს განტევების ვაცს კაცი ვერ ინატრებდა – მისნაირი ბავშვი სულ ხელმარცხიანი, ხელმოცარული და მუდამ ამხანაგების დასაცინი უნდა ყოფილიყო... უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც. კერი იდგა და განცალკევებულ საშხაპე კაბინებზე ოცნებობდა (ზუსტად ისეთებზე, უესტოვერისა და ლუისტონის საშუალო სკოლებში რომ ჰქონდათ), რადგან აქ ყველა მას უყურებდა... არა, უყურებდნენ კი არა, თვალებდაჭყეტილები მისჩერებოდნენ...

გოგონები ერთიმეორის მიყოლებით კეტავენ წყალს, იხდიან პასტელის ფერებით აჭრელებულ საბანაო ქუდებს, იმშრალებენ ტანს, აშიშინებენ დეზოდორანტებს და მალიმალ შეავლებენ ხოლმე თვალს კარის თავზე ჩამოკიდებულ საათს. მერე კი ნაჩეარევად იკრავენ ლიფებს და ასკინკილით იცვამენ ტრუსებს. ჰაერი ორთქლით ისეა გაულენთილი, თავი ეგვიპტურ აბანოში გეგონება. ილუზიას მხოლოდ კუთხეში, ჯაკუზიში მობუყბუყე წყალი აქარნყლებს. დარბაზში ყურისნამღები ხმაურია – შეძახილებსა და გადაძახილებს ბილიარდის ბურთებივით ისხლეტენ კედლები.

– ...ჰოდა, ტომიმ მითხრა, ვერ ვიტან, ეგ რომ გაცვიაო. მე კი...

– ...ჩემს დასა და მის ქმართან ერთად მივდივარ. მართალია, ის ვაუბატონი ცხვირში იქექება ხოლმე, მაგრამ ეგ საქმე ჩემს ძვირფას დაიკოსაც ეხერხება. ასე რომ, ფერი ფერსა...

– ...სკოლის მერე წყალს გადავივლებ და...

– ...ისეთი ძუნნი ყოფილა, რომ მე და სინდიმ...

გასახდელში ფიზკულტურის მასნავლებელი, ტანხმელი და ფიცარივით მკერდის პატრონი მის დესჯარდინი შემოვიდა, მოსნავლებს თვალი მოავლო და ტაში მაგრად შემოჰკრა.

– რას ელოდები, კერი? მეორედ მოსვლას? ხუთ წუთში ზარს დარეკავენ.

ფიტქინა სპორტული ტრუსი ეცვა. არც თუ სწორი, მაგრამ დაკუნთული და საკმაოდ კოხტა ფეხები ჰქონდა. მკერდზე ვერცხლის სასტვენი ეკიდა – პრიზი, რომელიც ჯერ კიდევ კოლეჯში, მშვილდოსნობაში გამარჯვებისთვის მიეღო.

გოგონები აკისკისდნენ. კერიმ ნელა ახედა. მონუსხული უსმენდა მოთქრიალე ნყლის ხმაურს.

– ჟა?

უცნაური ხმა ამოუშვა – თითქოს ბაყაყმა დაიყიყინაო. გოგონები ისევ ახითხითდნენ. სიუ სნელმა თავიდან პირსახოცი ნაიძრო და ისე დაიქნია, თითქოს ფოკუსის ჩვენებას აპირებსო. შემდეგ სწრაფად შეუდგა თმის ვარცხნას. მის დესჯარდინმა მეაცრად დაუქნია კერის თითი და საშხაპიდან გავიდა.

კერიმ ნყალი გადაკეტა. ონკანმა ერთი დაიბუყბუყა და უკანასკნელი წვეთები გადმოყარა. კერი თავისი კარადისკენ გაეშურა და უეცრად ყველამ დაინახა, რომ ფეხზე სისხლი ჩამოსდიოდა.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი: კერიეტ უაიტის შემთხვევასთან დაკავშირებული რეალური ფაქტები და უჩვეულო დასკვნები“, დევიდ რ. კონგრესი (ტულეინის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981), გვ. 34:

„ერთი რამ უდავოა: ის, რომ კერიეტ უაიტის ტელეკინეტიკური უნარის კონკრეტული გამოვლინებები ადრეულ ასაკში არავის შეუმჩნევია, ამომნურავად აიხსნება უაიტისა და სტერნის არგუმენტით. მათ მოხსენებაში („ტელეკინეზი: ველური ნიჭის დაბრუნება“) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ

გონების ძალით საგნების გადაადგილების უნარი მხოლოდ უკიდურესად დიდი სტრესის პირობებში იჩენს ხოლმე თავს. გართლაც, ეს ნიჭი ყოველთვის კარგად იყო შენიღბული, საუკუნეების მანძილზე რჩებოდა სწავლულთა ყურადღების მიღმა და, აისბერგის მსგავსად, მხოლოდ წვერი მოუჩანდა თალღითობის უკიდეგანო ოკეანეში.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ჭორებზე დაფუძნებულ მნირ ცნობებს ვფლობთ, თუმცა მათ საფუძველზეც კი შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ კერი უაიტი უზარმაშირ ტელეკინეტიკურ პოტენციალს ფლობდა. მაგრამ, საუბედუროდ, ახლა ამაზე საუბარი უკვე გვიანია..."

— თვიური!

პირველმა კრის ჰარგენსენმა იყვირა. შეძახილი ფიქლით მოპირკეთებული კედლიდან ექოდ ასხლტა და სხვა კედლებს მიენარცხა. სიუ სნელმა დამცინავად ჩაიფხუკუნა — უცნაური და უსიამოვნო იყო ერთდროულად სიძულვილის, ზიზღის, ბრაზისა და სიბრალულის განცდა. კერი ძალიან სულელურად გამოიყურებოდა — იდგა და ვერც კი ხვდებოდა, რა მოხდა. ღმერთო, გეგონებოდა, არასოდეს ჰქონია...

— თვიური!

ახლა უკვე ყველა ერთხმად ყვიროდა — თითქოს შელოცვას ნარმოთქვამენო. მერე გასახდელის მეორე ბოლოში ვიღაცამ (შეიძლება ისევ ჰარგენსენი იყო: ექოების ორომტრიალში სიუმ ხმა ვერ იცნო) გიუივით იყივლა: „დაიცე ხვრელი!“

— თვი-უ-რი! თვი-უ-რი! თვი-უ-რი!

კერი ჩუმად იდგა თანაკლასელებით გარშემორტყმული და წყალი წურნურით ჩამოსდიოდა. კამეჩივით მორჩილად ჩაეღუნა თავი და ხვდებოდა, რომ მას დასცინოდნენ (რო-

გორც ყოველთვის)... მაგრამ ხმა არ ამოუღია და არც რაიმე გაჟვირვებია, რადგან ასეთ მოპყრობას მიჩვეული იყო.

როდესაც მენსტრუალური სისხლის პირველმა წვეთებმა შეტლახის ფილებზე ათცენტიანის ზომის ლაქები წარმოქმნა, სიუმ ზიზღით შეუყვირა:

— ჯანდაბა, კერი! თვიური გაქვს! თავი მოიწესრიგე!
— ჰა? — კერი შუშის თვალებით მიაჩერდა თანაკლასელებს. სველი თმა მუზარადის თასმებივით მიჟვროდა ნიკაპსა და ლოყებზე. ცალ მხარზე ვარსკვლავებივით გაბნეოდა ფერიმჭამელები. თექვსმეტი ნლისას თვალებში უკვე სევდა და დამცირებით გამოწვეული ტკივილი ჩასდგომოდა.

— ალბათ ჰეგონია, ის მხოლოდ პომადის მოსაშორებლად გამოიყენება! — მხიარულად წამოიძახა რუთ გროგანმა და ახარხარდა. სიუ მხოლოდ მოვიანებით მიხვდა ამ რეპლიკის მნიშვნელობას. იმწამს კი მისთვის ეს სიტყვები მხოლოდ მორიგი უაზრო წამოძახილი იყო საერთო აურზაურში. „თექვსმეტი ნლისამ უკვე დროა, იცოდეს, რა ხდება. დროა...“ — გაიფიქრა გაბრაზებულმა.

იატაკზე კიდევ რამდენიმე წვეთი დაეცა. კერი კვლავ გაოგნებული იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა.

ჰელენ შირსი მიტრიალდა და ისე დაიჯდანა, თითქოს უნდა არწყოოს.

— სისხლი მოგდის! — გაცეცხლებულმა დაუყვირა სიუმ, — სისხლი მოგდის, შე ცალტვინა!

კერიმ დაბლა დაიხედა და შეშინებულმა შეჟეივლა. ნესტიან გასახდელში მისმა კივილმა ყველა ხმა გადაფარა.

უეცრად საიდანლაც ჰიგიენური ტამპონი გამოფრინდა, კერის მკერდში დაეტაკა და ძირს დაეცა. თეთრ ბამბაზე უმალ მუქი წითელი ყვავილი გამოისახა.

მერე კი გოგონების კისკისი გიუურ ღრიანცელსა და ხორ-ხოცში გადაიზარდა და საბრალო კერის ყველამ ჰიგიენური საფენები დაუშინა – ზოგს ჩანთაში ჰქონდა, ზოგიც კედელ-ზე ჩამოკიდებული მოშლილი ავტომატიდან იღებდა. საფენები ფიფქებივით ცვიოდა და ყველა იძახდა:

– დაიცე ხვრელი! დაიცე ხვრელი! დაიცე ხვრელი! დაიცე ხვრელი!..

ჭამპონებს სიუც ესროდა. ესროდა ყველასთან ერთად, უყვიროდა და ვერც კი ხვდებოდა, რას სჩადიოდა. მის გონებაში ნეონის ნათებასავით კრთოდა ერთადერთი აზრი: „ამაში ცუდი არაფერია... ცუდი არაფერია... არაფერია...“ ეს კვლავაც თავში უტრიალებდა, როდესაც კერიმ ერთი დაიბლავლა და ხელების ქნევით, სლუკუნითა და ბურტყუნით უკან-უკან ნავიდა.

გოგონები, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ ჯაჭვურ რეაქ-ციას მალე აფეთქება მოჟყვებოდა და გაისუსნენ (მოგვიანე-ბით ზოგი მათგანი ირნმუნებოდა, რომ სწორედ მაშინ გააოცა კერიმ ისინი ჰირველად).

მაგრამ წინა ნლებს უკვალოდ არ ჩაუვლია...

„მოდი, კერის ზენარი გამოვაცალოთ“ (ასე ქრისტიანი ახალგაზრდების საზაფხულო ბანაკში ერთობოდნენ ხოლ-მე)... „კერის მიერ ბობი ჰიკეტისთვის მინერილი სასიყვარუ-ლო ბარათი მაქვს; მოდი, გავამრავლოთ და ყველას დავუ-რიგოთ“... „მოდი, ნიფხავი დავუმალოთ“... „მოდი, ფეხსაც-მელში გველი ჩავუსვათ“... „მოდი, მდინარეში ვაყურყუმა-ლოთ“...

ლაშქრობისას კერი უაიტი მუდამ კლასის ბოლოში მიღო-დავს. მას ხან „ძროხას“ ეძახიან, ხანაც – „თავგასიებულს“. მუდამ ოფლის სუნად ყარს.

აგურ, მოსაფასმელიად ჩაცუცქელი უკანალს ჭინჭრით ისუს-ხავს და ამ ამბავს ყველა იგებს („ჰეი, ტრაკდასუსხულო, კი-დევ გექავება დუნდულები?“).

ამ, ბილი პრესტონი თმაში არაეისის კარაქს აზელს ჩაძინებულს...

ვინ მოთვლის, რამდენჯერ უჩქმეტიათ, რამდენჯერ გა-მოუკრავთ ფეხი, რამდენჯერ გადმოუყრიათ მერხიდან მისი ნიგნები!

ან ის ისტორია რად ლირს, ჩანთაში უხამსი სურათი რომ ჩაუგდეს!

ან საეკლესიო პიკნიკზე სალოცავად დაჩოქილს ძველი კა-ბა პრუნუნით რომ გაეხა ზურგზე.

ის ნასროლ ბურთს ვერასოდეს იჭერს, ფრენბურთის თა-მაშისას კი მუდამ ბადები იხლართება...

კერი არ იყო, საშუალო სკოლაში სწავლის მეორე ნელს ცეკვისას რომ დაეცა და კბილი ჩამოსტყდა?

მას სულ გარღვეული ან გარღვევის პირას მისული წინ-დები აცვია, იღლიებში კი მუდამ სველი აქვს პერანგი...

ერთხელაც კრის ჰარგენსენმა დაურეკა გაკვეთილების შემდეგ და აუხსნა, რომ ლორის ნეხვი თურმე ოთხი ასოთი ინერება – კ-ე-რ-ი...

ეს ყველაფერი ერთმანეთს მიემატა და მასამაც კრიტი-კულ ნიშნულს მიაღწია.

კიდევ ურთი დაცინვა, ერთი დამცირება და... ბირთვული რეაქციაც დაინყო.

ჩამონლილ სიჩუმეში კერიმ სახეზე ხელები აიფარა და უკან-უკან დაიხია. სველ ფანჩარზე ვიღაცის მიერ მარჯვედ ნასროლი ტამპონი მიჰკვროდა...

გოგოები შემფუოთებულები შესცეკროდნენ.

მერე ერთ-ერთი საშხაპე კაბინის კუთხეში შეიყუფა და ნელ-ნელა ჩაჯდა. საწყლად სლუკუნებდა და კვნესოდა; თვალები გადაეტრიალებინა და ყელგამოჭრილი ღორივით, გუგების ნაცვლად, სველი თეთრი სკლერა მოუჩანდა.

— მგონი, ასეთი რამ არასოდეს მოსვლია... — ჩაიბურტყუნა სოუმ ენის ბორძიკით.

უეცრად კარი ხმაურით გაიღო და გასახდელში მის დეჯარდინი შემოვარდა — რა ხდებაო.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 41):

„მოცემული საკითხით დაინტერესებული მედიკოსებიც და ფსიქოლოგებიც ერთხმად ადასტურებენ, რომ მენსტრუალური ციკლის ასე დაგვიანებით და ასე მტკიცნეულად დაწყება სავსებით შეიძლებოდა ქცეულიყო კერი უაიტის ლატენტური უნარების გამოღვიძების მიზეზად.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ 1979 წლამდე კერის წარმოდგენაც კი არ ჰქონია ზრდასრული ქალის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების ციკლურობის შესახებ. ასევე დაუჯერებლად შეიძლება მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ დედამისსა აზრადაც არ მოსვლია, გინეკოლოგისთვის მიემართა ქალიშვილის მენსტრუალური ციკლის ლამის ჩვიდმეტ წლამდე შეყოვნების გამო.

მიუხედავად ამისა, ფაქტები სწორედ ასეთია. კერი უაიტს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა, როდესაც საშოდან სოსხლდენა შენიშნა. მისთვის სრულიად უცნობი იყო თავად მენსტრუაციის ცნებაც კი.

ცოცხლად დარჩენილმა ერთ-ერთმა თანაკლასულმა, რომ
გროვანმა გვიამბო, რომ ერთხელ, ხსენებულ მოვლენებამდე
დახსლოებით ერთი ნლით ადრე, გასახდელმი შესულმა სა-
კუთარი თვალით ნახა, როგორ ინმენდდა კერი პიგიენური
ტამპონით ტუჩის საცხს. მის გროვანმა გაოცებულმა ჰქითხა,
რა ჯანდაბას აკეთებო, რაზეც მის უაიტმა, არანაკლებ გაო-
ცებულმა, მიუგო, რა იყო, არ შეიძლებაო? რა თქმა უნდა,
შეიძლებაო, თავი დაუქნია მის გროვანმა და სულ მალე ამ
შემთხვევის შესახებ თავის რამდენიმე მეგობარს უამბო (ამ
სტრიქონების ავტორს კი განუმარტა, რომ ამაში რაღაც „პი-
კანტური ნოუანსი“ დაინახა). და თუნდაც მოგვიანებით ვინმე
ცდილოყო კიდეც, კერისთვის ტამპონების ჭეშმარიტი დანიშ-
ნულება აეხსნა, იგი ამ განმარტებებს უსათუოდ მორიგ შაყი-
რად მოჩინევდა – ხომ დაჩვეული იყო დაცინვასა და მასხარად
აგდებას”...

ზარი დარეკეს და გოგონები მეორე გაკვეთილზე გაეშურ-
ნენ (ზოგმა კი, სანამ მის დესჯარდინი გვარების დამახსოვ-
რებას შეუდგებოდა, უკანა კარიდან მოასწრო გაპარვა). მის
დესჯარდინს ბევრი არ უფიქრის, უმაღლ ისტერიკის საწინააღ-
მდეგო ნაცად ხერხს მიმართა: ადგა და კერის ერთი გემრიელი
სილა გაანნა. ცხადია, იგი არასოდეს აღიარებდა, რომ ამით
ერთგვარი სიამოვნებაც კი მოილო და იმასაც უარყოფდა, რომ
კერის ქონის ტომარად თვლიდა. მხოლოდ პირველი ნელი იყო,
რაც მის დესჯარდინი სკოლაში ასწავლიდა და ჯერ კიდევ
სჯეროდა (უფრო სწორად, ეგონა, რომ სჯეროდა), თითქოს
ყველა ბავშვი საყვარელი და კარგია. კერი გაჩუმდა და მას-
ნავლებელს შეშინებულმა ახედა. სახე უშნოდ დამანჭვოდა,
ტუჩები უკანკალებდა.

– მ-მ-მის დ-დ-დეს... დ...
– ადექი, – მშვიდად უთხრა მის დესჯარდინმა, – ადექი
და თავი მოიწესრიგე.

– სისხლისგან ვიცლები... – იყვირა კერიმ, ცალი ხელით
გარძაყში ჩააფრინდა მასწავლებელს და მის თეთრ სპორტულ
ტრუსს სისხლიანი ანაბეჭდი დააჩნია.

– მე... შენ... – მის დესჯარდინს ზიზღისგან სახე მოექ-
ცა. მკვეთრი მოძრაობით კერი ფეხზე ნამოაყენა და კედლის-
კენ უბიძგა, სადაც ჰიგიენური საფენების ავტომატი ეკიდა –
სწრაფად!

კერი კედლისკენ წალასლასდა, მაგრამ შუა გზაზე გა-
ჩერდა – ფეხზე ძლივს იდგა, წელში მოხრილიყო და ისე მია-
კონწიალებდა ჩვერებივით ჩამოკიდებულ მკლავებს, ნამდვი-
ლი მაიმუნი გეგონებოდათ. იდგა და ცრემლისგან გაბრნეი-
ნებული შუშის თვალებით სადღაც სივრცეში იყურებოდა.

– ახლა კი, – ჩაისისინა მის დესჯარდინმა, – აიღე ტამპო-
ნი... არა, ხურდის ჩაგდება საჭირო არაა, ეგ ავტომატი მოშლი-
ლია... აიღე ტამპონი და... ჯანდაბა, გესმის, რას გეუბნები?!
ისე იქცევი, თითქოს აქამდე არასოდეს გქონდეს თვიური!

– თვიური? – გაუკვირდა კერის.

სახეზე ისეთი გულწრფელი გაოცება და შიში ენერა,
რომ შეუძლებელი იყო, ადამიანს ეს ვერ დაენახა და არ
დაფიქრებულიყო. რიტა დესჯარდინს გონებაში უცნაურმა
ეჭვმა გაუელვა... ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო... პი-
რადად მას მენსტრუაცია მეთერთმეტე დაბადების დღის მე-
რე დაენერო... მაშინ ის თავისი ოთახიდან კიბეზე გამოვიდა
და აღელვებულმა ჩასძახა დედას დაბლა, დედიკო, თვიური
მაქვსო.

– კერი, – უთხრა ჩუმად და მიუახლოვდა, – კერი.

გოგონამ უკან დაიხია და კუთხეში მდგარი სოფტბოლის ჩოგნების საკიდი გადააყირავა. თარო გრუხუნით დაეცა და იატაკზე ჩოგნები მიმოიფანტა. მის დესჯარდინი უნებლიერ შეხტა.

— კერი, პირველად გაქვს მენსტრუაცია? — ახლა, როცა ყველაფერს მიხვდა, ამ კითხვის დასმა აღარც იყო საჭირო: მუქი, ბლანტი სისხლი საზარელი სიზანტით მოედინებოდა. კერის ორივე ფეხი წითლად ჰქონდა მოთხვრილი, თითქოს სისხლის მდინარე გადმოლახაო.

— მტკუთა, — საწყლად ამოიკვნესა, — მუცელი...

— გაგივლის, — უთხრა მის დესჯარდინმა. სიბრალულისა და სირცხვილის გრძნობა მოეძალა და უხერხულად იგრძნო თავი. — ახლა უნდა... ჰმ... სისხლი უნდა შევაჩეროთ. შენ...

უეცრად კედელზე ნათურა აინთო და ტკაცანით გადაიწვა. მასნავლებელმა მოულოდნელობისგან შეჰკივლა (ეგონა, ჭერი თავზე დამემხოო) და გაიფიქრა, რომ ყოველთვის, როცა კერის რაღაც აწუხებდა, ირგვლივ სულ ასეთი რამეები ხდებოდა — თითქოს ვიღაცამ დათარსაო. თუმცა ეს აზრი მალევე უკუაგდო. მერე მოშლილი ავტომატიდან ჰიგიენური პაკეტი გამოიღო, გახსნა და უთხრა:

— უყურე, აი, ასე უნდა...

წიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 54):

„მარგარეტ უაიტმა კერი 1963 წლის 21 სექტემბერს ერთობ უჩვეულო ვითარებაში გააჩინა. მართლაც, უაიტების ისტორიის საფუძვლიანად შესწავლისას უნებლიერ გიჩნდება განცდა, რომ თავად კერი ამ უაღრესად ექსცენტრიკული ოჯახის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს, რომელიც, გარ-

კულტურული მიზეზების გამო, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაღაც უაიტი 1963 წლის თებერვალში დაიღუპა. მას პორტლენდში ფოლადის კოჭი დაეცა. ამის შემდეგ მისის უაიტმა ისევ ჩემბერლენის გარეუბანში განაგრძო ცხოვრება.

ქმრის თითქმის ფანატიკური რელიგიური შეხედულებების გამო, მისის უაიტს არც ერთი მეგობარი არ შერჩენია და, შესაბამისად, ის სრულიად მარტო აღმოჩნდა მაშინაც, როცა დაქვრივებიდან შვიდი თვის შემდეგ მუცელი ასტკივდა.

21 სექტემბერს, დაახლოებით 13 საათსა და 30 ნუთხე, კარლინ-სტრიტის მცხოვრებლებმა მისის უაიტის სახლიდან ყვირილი გაიგონეს. თუმცა პოლიცია მხოლოდ საღამოს ექვსი საათის შემდეგ გამოიძახეს. ასეთ დაგვიანებას ორი ერთნაირად უმსგავსო ახსნა შეიძლება ჰქონდეს: მეზობლებმა შარში თავის გაყოფა არ ისურვეს, ან მისის უაიტი დიდად არავის უყვარდა და გადაწყვიტეს, სეირისთვის ეყურებინათ.

მისის ჯორვეია მაკლაგლინმა, უაიტების სამი ცოცხლად გადარჩენილი მეზობლიდან ერთ-ერთმა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრებაზე დამთანხმდა, მითხვა, ყვირილის მიზეზად „რელიგიური ექსტაზი“ მივიჩნიე და პოლიციაში სწორედ ამის გამო არ დავრეკეო.

პოლიციის მოსვლის დროისთვის, 18 საათსა და 22 ნუთხე, ყვირილის ხმა უკვე საკმაოდ იშვიათად ისმოდა. მისის უაიტი პოლიციელებმა მეორე სართულზე, საკუთარ საძინებელში აღმოაჩინეს. თავიდან იფიქრეს, რომ საბრალო ქალს ვიღაც დაესხა თავს: თეთრეული მთლიანად სისხლით იყო გაუღენთილი, იატაკზე კი ხორცის საჭრელი დანა ეგდო. ოფიცირებმა მხოლოდ რამდენიმე ნუთის შემდეგ შენიშნეს, რომ მისის

უაიტს ჯერ კიდევ პლაცენტაში გახვეული ბავშვი ჰყავდა გულში ჩაკრული. როგორც ჩანს, ჭიპლარიც თავად გადაუჭრა.

ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად გვეჩვენება ვარაუდი, რომ მისის უაიტს წარმოდგენა არ ჰქონდა საკუთარ ორსულობაზე და არც კი ესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. უფრო სარწმუნო უნდა იყოს ამ ოჯახის ისტორიის მკვლევრების, ჯ.უ. ბენ-კსონისა და ჯორჯ ფელდინგის, მოსაზრება, რომ სქესობრივი კავშირის „ცოდვასთან“ დაკავშირებული ორსულობის ცნება მთლიანად ბლოკირებული იყო მისის უაიტის ცნობიერებაში. შესაძლოა, მას საერთოდ არ სჯეროდა, რომ ოდესაშე შეიძლებოდა დაფეხმდიმებულიყო.

ასეა თუ ისე, ჩვენ ხელთ გვაქვს მის მიერ ვისკონსინის შტატის ქალაქ კენოშაში მეგობრისთვის მინერილი, სულ ცოტა, სამი წერილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ორსულობის მეხუთე თვეზე საკუთარ ორგანიზმში მიმდინარე ცვლილების მიზეზად ის „ქალური ნაწილების კიბოს“ თვლიდა და რომ დღე-დღეზე ელოდა ქმართან საიქიოში გამგზავრებას“...

თხუთმეტი წუთის შემდეგ, როდესაც მის დესჯარდინმა კერი დირექტორთან წაიყვანა, დერეფნები, საბედნიეროდ, დაცარიელებული იყო და საკლასო ოთახებიდან მონოტონური დუდუნი მოისმოდა.

კერი აღარ ყვიროდა, მაგრამ დროდადრო მაინც სლუკუნებდა. მის დესჯარდინმა ბოლოს საკუთარი ხელით ჩაუფინა საფენი, სველი ხელსახოცით განმინდა და ქვედა საცვლის ჩაცმაშიც დაეხმარა.

მან ორჯერ სცადა აეხსნა, რომ მენსტრუაციაში საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ კერი მხოლოდ ყურებს იცობდა და ტირილს განაგრძობდა.

სამასწავლებლოში დირექტორის მოადგილეს, მისტერ მორტონს გადაეყარნენ, რომელიც სწორედ იმნამს გამოდიოდა თავისი კაბინეტიდან.

მოსაცდელში ფრანგულის გაკვეთილის გაცდენისთვის დასატუქსად დაბარებული ბილი დელუი და პენრი ტრენენტი ისხდნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ.

— შემოდით, — ნაჩეარევად ჩაილაპარაკა მისტერ მორტონმა, — მოდით, მოდით, — და მეაცრად გადახედა ბიჭებს, რომლებიც თვალებდაჭყეტილები მიაშტერდნენ მის დესჯარდინის სპორტულ ტრუსზე დაწინეულ სისხლისან ნათითურებს.

— რას მისჩერებიხართ?!

— სისხლი, — მოუგო პენრი ტრენენტმა და უაზროდ გაიროჲა.

— ორ-ორჯერ დარჩებით გაკვეთილების შემდეგ! — შეუტია ბიჭებს მისტერ მორტონმა, მაგრამ მერე თავადაც დაინახა ნითელი ლაქა და თვალები დააჭყიტა.

მერე კერისა და მის დესჯარდინს კაბინეტში შეუძლვა, კარი მიხურა და კარადის უჯრაში უბედური შემთხვევებისას შესავსები ბლანკის ძებნას შეუდგა.

— თავს როგორ გრძნობ... პრ?..

— კერი, — შეახსენა მის დესჯარდინმა, — კერი უაიტი.

მისტერ მორტონმა, როგორც იქნა, საჭირო ბლანკს მიაგნო, მაგრამ ქალალდზე ყავის ვეებერთელა ლაქა აღმოჩინა.

— ფორმის შევსება არ დაგჭირდებათ, მისტერ მორტონ.

— ალბათ ბატუტზე დაშავდა, არა? ჩვენ მხოლოდ... არ დამჭირდება?

— არა. მაგრამ ვფიქრობ, ავტობებს, კერი დღეს შინ გავუძვათ. დღეს პირველად გადახდა თავს ერთი უსიამოვნო ამბავი,

- მიუგო მის დესჯარდინმა და მრავალმნიშვნელოვნი მზერა სტყორცნა.

მაგრამ მისტერ მორტონი მაინც ვერაფერს მიხვდა.

- ე-ე-ე...კარგი. როგორც გენებოთ. კი ბატონო, - მან ბლანკი უკან ჩააბრუნა და უჯრა ისე სწრაფად მიხურა, რომ თითი მოეწენკა. მერე კი მედიდური იერით კარი გამოაღო, კვლავ მკაცრად გახედა ბილისა და ჰენრის და დაიძახა: - მის ფიშ, დათხოვნის ცნობა გამიმზადეთ კერი რაიტისთვის.

- კერი უაიტისთვის, - გაუსწორა მის დესჯარდინმა.

- უაიტისთვის, - დაეთანხმა მორტონი.

ბილი დელუი ახითხითდა.

- ერთ კვირას დარჩები გაკვეთილების შემდეგ! - თვალები დაუბრიალა მორტონმა. ფრჩხილქვეშ სისხლი ჩაქცეოდა და თითი საშინლად სტკიოდა.

კერი კი გაუჩირებლად ტიროდა.

ერთი წუთის შემდეგ მდივანმა გათავისუფლების ლურჯი ბარათი შემოიტანა. მისტერ მორტონმა ჯიბიდან ვერცხლის-ფერი ფანქარი ამოიღო, აუტანელი ტკივილისგან შეიშმუშნა და ბარათს თავისი ინიციალები მიაწერა.

- მანქანით ხომ არ წაგიყვანოთ, კესი? - ჰეითხა. - თუ გინდა, ტაქსის გამოვიძახებთ.

კერიმ თავი გაიქნია და ცალი ნესტოთი წვინტლის მწვანე ბუშტი გაბერა. მორტონმა თვალი აარიდა და მის დესჯარდინს შეხედა.

- ვფიქრობ, არაა საჭირო, - მიუგო მის დესჯარდინმა,
- კერის მხოლოდ კარლინ-სტრიტი აქვს გასავლელი. სუფთა ჰაერი მოუხდება.

მორტონმა კერის ბარათი გადასცა და დიდსულოვნად გაუღიმა:

— შეგიძლია ნახვიდე, კესი.

— კესი არ მქვია! — დაიყვირა უეცრად კერიმ.

მორტონმა მოულოდნელობისგან უკან დაიხს, მის დეს-ჯარდინი კი სკამზე შეხტა, თითქოს ზურგში მუშტი ჩასცხეს. მაგიდიდან კერამიკის მძიმე საფერფლე გადმოვარდა (როდენის „მოაზროვნე“ იყო, ოლონდ თავში სიცარიელე ჰქონდა ჩასაფერ-ფლებლად) და ლია მწვანე ფერის სინთეზიკურ ხალიჩაზე სიგა-რეტის ნამწვავები და ჩიბუხის თუთუნის ნარჩენები მიმოიფანტა.

— მისმინე... — მორტონმა ნარბები შეჭმუხნა, მისი სიტყვები უფრო მკაცრად რომ გაუღერებულიყო, — მესმის, აღელვებული ხარ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთ გამოხდომებს...

— გთხოვთ... — ჩუმად ჩაილაპარაკა მის დესჯარდინმა.

გაკვირვებულმა მორტონმა ისევ დაჭყიტა თვალები და თავი დაუქნია. დისციპლინის დამცველის ფუნქციების შესრულებისას, რაც დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მისი უმთავრესი მოვალეობა იყო, ის სულ ცდილობდა, ერთგვარ ჯონ უეინად¹ ნარმოებინა თავი. თუმცა, ბუნებრივია, ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა. ხელმძღვანელობამ (რომელ-საც საეკლესიო ვახშმებზე, მშობელთა კომიტეტის სხდომებსა თუ ამერიკული ლეგიონის ჯილდოს გადაცემის ცერემონიებზე, ჩვეულებრივ, დირექტორი ჰენრი გრეილი ნარმოადგენდა) მას „ჩვენი მომხიბვლელი მორტი“ შეარქვა. მოსწავლეები კი „ტრაკის მიმცემს“ ეძახდნენ... მაგრამ რადგან ბილი დელუისა და ჰენრი ტრენენტის მსგავსი ოროსნები ძალიან იშვიათად გამოდიოდნენ სიტყვით მშობელთა კომიტეტის სხდომებსა თუ

¹ ჯონ უეინი — ამერიკელი მსახიობის, რეჟისორისა და პროდიუსერის, მერიონ მიტჩელ მორისონის (1907-1979), ფსევდონიმი.

ქალაქის სხვა შეკრებებზე, ფართო საზოგადოებისთვის უფრო მეტად სკოლის ხელმძღვანელობის მიერ შერქმეული მეტსახელი იყო ცნობილი.

„მომხიბულელმა მორტმა“ ნატკენი თითო ზურგს უკან დაიზილა და ლიმილით თქვა:

— კარგი, მის რაიტ, შეგიძლიათ წახვიდეთ. თუ... ხომ არ გირჩევნიათ, ცოტა ხანს დარჩეთ და დამშვიდდეთ?

— წავალ, — ჩაიბურტყუნა კერიმ და სახეზე ჩამოცვენილი თმა უკან გადაიწია. მერე კი წამოდგა და მის დესჭარდინს ფართოდ გახელილი, დაბინდული თვალებით შეაცემდა. — ისინი დამცინოდნენ. დამცინოდნენ და რაღაც ნივთებს მესროდნენ. სულ დამცინიან.

მის დესჭარდინმა თანაგრძნობით სავსე მზერა შეაგება.

კერი გატრიალდა და ოთახიდან გავიდა.

მორტონმა და ახალგაზრდა მასნავლებელმა თვალი გაყოლეს და წამით სიჩუმემ დაისადგურა. მერე კი დირექტორის მოადგილემ ხმამაღლა ჩაახველა, დაიხარა და საფერფლიდან გადმოცვენილი ნამწვავების აკრეფას შეუდგა.

— მაინც რა მოხდა? — იყითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

მის დესჭარდინმა ამოიოხრა და ზიზღით დახედა სპორტულ შორტზე შემხმარ მოყავისფრო ლაქას.

— თვიური დაეწყო. პირველი თვიური... შუა საშხაპეში...

მორტონმა კვლავ ჩაახველა და ოდნავ განითლდა. ფურცელი, რომლითაც ნაგავს აგროვებდა, უფრო სწრაფად აასრიალა იატაკზე.

— ცოტა არ იყოს, დიდი ხომ არაა, ჰმმმ?..

— პირველი მენსტრუაციისთვის? კი. ამიტომაც განიცადა ასე ძალიან. მაგრამ ვერ გამიგია, დედამისმა რატომ არ... —

უცრიდ აზრი გაუწყდა, რადგან სხვა რამ გაახსენდა. – მგონი, არც მე მოვიქეცი სწორად, მორტი, მაგრამ თავიდან ვერც კი გავიგე, რა ხდებოდა. საწყალს ეგონა, სისხლისგან ვიცლებომ.

მორტონმა შეშფოთებულმა ახედა.

– როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ნახევარი საათის ნინ არც კი იცოდა, რა არის მენსტრუაცია, – დასძინა მის დესჯარდინმა.

– ერთი ის ჯაგრისი მომეცით... ჰო, ჰო, ეგ, – სთხოვა მორტონმა.

მანაც მიაწოდა. ჯაგრისს ტარზე ენერა: „ჩემბერლენის საყოფაცხოვრებო ნივთების კომპანია. ჩეენთან ყოლი გაგიოლებთ ცხოვრებას“.

დირექტორის მოადგილე ფერფლისა და ნამწვავების ხვეტას შეუდგა.

– მგონი, მტვერსასრუტის გარეშე ვერაფერს გავხდები. არადა, როგორც მახსოვს, საფერფლე კიდიდან მოშორებით იღვა. რა უცნაურად ცვივა ხოლმე ნივთები... – მორტონმა მაგიდას თავი აარტყა და სწრაფად წამოიმართა, – მეეჭვება, ნებისმიერ სხვა სკოლაში ამ ასაკის ერთი გოგონა მაინც მონახოს, მენსტრუალური ციკლის შესახებ რომ არაფერი იცოდეს, მის დესჯარდინ.

– ასეთი რამ ჩემთვის უფრო დაუჯერებელია, – მიუგო მასნავლებელმა, – მაგრამ მომხდარს სხვა ახსნა არ აქვს. თანაც კერი განტევების ვაცივითაა კლასში.

– ჰმ... – მორტონმა ფერფლი სანავვეში ჩაყარა და ხელები დაიფერთხა. – მგონი, გამახსენდა... უაიტი. მარგარეტ უაიტის ქალიშვილი. ჰო, ეგაა. ახლა უკვე აღარ მიკვირს... – იგი მაგიდას მიუჯდა და მორცხვად გაიღიმა, – ძალიან ბევრი არიან. ხუთ-ექვს წელიწადში თქვენც აგერევათ ყველაფერი...

ბავშვებს მათი ძმების სახელებს დაუძახებთ და იქნებით ასე... ყველას ვერ დაიმახსოვრებთ.

– ჟო, რა თქმა უნდა.

– იტრიალეთ აქ ჩემსავით ოცი წელი და ნახავთ, – ჩაილაპარაკა მორტონმა და დალვრემილი დააცქერდა გასიებულ თითს, – ზოგჯერ ბავშვები მეცნობიან, მერე კი ვიგებ, რომ ოდესლაც მათ მამებს ვასნავლიდი. თუმცა მარგარეტ უაიტი ჯერ კიდევ ჩემამდე სწავლობდა ამ სკოლაში, რისთვისაც გულნრფელად მაღლიერი ვარ ბედის. თავის დროზე მან ცხონებულ მისის ბისენტეს განუცხადა, უფალს შენთვის საგანგებო ადგილი აქვს მომზადებული ჯოჯოხეთშიო. იცით, რაჭომ? იმიტომ, რომ მისის ბისენტემ დარვინის თეორიის ძირითადი დებულებები გააცნო მოსნავლეებს. მარგარეტი ორჯერ გარიცხეს ამ სკოლიდან. ერთხელ იმისთვის, რომ ჩანთით მიბეგვა თანაკლასელი. ჭორებს თუ დავუჯერებთ, სიგარეტის მოწევისთვის სცემა. უცნაური რელიგიური შეხედულებები ჰქონდა, ძალიან უცნაური... – მორტონი კვლავ ჯონ უეინს დაემსგავსა. – მაშ, თანაკლასელი გოგონები დასცინოდნენ?

– არამარტო დასცინოდნენ. როცა შევედი, გაჰკიოდნენ და ჰიგიენურ პაკეტებს ესროდნენ.

– ღმერთო! – ჯონ უეინი უკვალოდ გაქრა. მორტონი განითლდა, – გვარები დაიმახსოვრეთ?

– კი. ყველა არა, მაგრამ ვისიც დავიმახსოვრე, ისინი ხელად გასცემენ დანარჩენებს. ყველაფრის მოთავე კრისტინ ჰარგენსენი იყო... როგორც ყოველთვის.

– კრისი და მისი რაზმი... – ჩაილაპარაკა მორტონმა.

– კინა ბლეიკი, რეიჩელ სპაისი, ჰელენ შირსი, დონა თიბოდო და მისი და მერი, ლილა გრეისი, ჯესიკა აპშოუ... და

სოუ სნელი, – მის დესჯარდინმა ნარბები შექმუხნა. – სოუსგან
ამას არ ვეღლოდი: ასეთი რამეები ადრე არ იცოდა.

– უკვე ელაპარაკეთ გოგოებს?

მის დესჯარდინმა მნარედ ჩაიცინა.

– არა, უბრალოდ, გავყარე გასახდელიდან. ძალიან გავ-
ბრაზდი. თანაც ერის ნამდვილი ისტერიკა ჰქონდა.

– ჰმ... – მორტონმა თითები ერთმანეთს გადააჭდო, –
საერთოდ თუ აპირებთ დალაპარაკებას?

– ეი, – უხალისოდ მიუგო მის დესჯარდინმა.

– გატყობთ, არც ისე...

– ალბათ მართალი ხართ, – თავი დაუქნია მასწავლებელ-
მა. – გასახდელში ყველამ მნახა და მშვენივრად მესმის, რას
გრძნობდნენ გოგონები. მე თვითონაც მინდოდა, კერისთვის
ხელი ჩამევლო და ლაზათიანად შემენჯულრია. არ ვიცი, იქ-
ნებ ასეთ დროს ქალები ინსტინქტურად ანჩხლდებიან. ახლაც
თვალნინ მიდგას სიუ სნელის სახე.

– ჰმ... – ღრმააზროვნად ჩაიღულუნა მისტერ მორტონმა.
ქალების არასოდეს ესმოდა და სულაც არ ეხალისებოდა მენ-
სტრუაციაზე საუბარი.

– ხვალ დაველაპარაკები, – დაპირდა მის დესჯარდინი
და ნამოდგა, – კუდით ქვას ვასროლინებ.

– ძალიან კარგი. სასჯელი დანაშაულის შესაბამისი უნდა
იყოს. თუ საჭიროდ ჩათვლით, არ მოგერიდოთ, შეგიძლიათ,
ზოგიერთი მათვანი ჩემთანაც გამოუშვათ.

– ეი ბატონო, – მიუგო თავაზიანი ღიმილით ქალმა. – ჰო,
სხვათა შორის, კერის რომ ვამშვიდებდი, საშხაპეში ნათურა
გადაინვა... ესეც ამ ისტორიის საფინალო შტრიხი.

– ახლავე გავგზავნი ელექტრიკოსს, – უთხრა მორტონმა.
– გმადლობთ, კეთილსინდისიერად რომ უდგებით საქმეს, მის

დესკარდინ. როცა გახვალთ, თუ არ შეწუხდებით, მის ფიშს გადაეცით, ბილი და ჰენრი შემოუშვას.

— აუცილებლად გადავცემ, — უთხრა მის დესკარდინმა და კაბინეტიდან გავიდა.

მისტერ მორტონი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და დაუყოვნებლივ ამოიგდო თავიდან ეს საუბარი. მერე კი, რო-დესაც კაბინეტში ბილი დელუი და ჰენრი ტრენენტი შემოძურნენ, თავისთვის ჩაიღია, შემოსულებს მტაცებლის მზერა ესროლა და პირქუში იერი მიიღო — ტყუილად კი არ ეუბნებოდა ჰენკ გრეილს, გაკვეთილების გამცდენებით ვსადილობო.

ჩემბერლენის საშუალო სკოლის მერხზე ამოკანრული წარნერა:

ვარდი არის ვარდისფერი, შაქარი კი — შაქრისფერი,
მაგრამ შაქარს ხმელი მძლნერი ურჩევნია მსუქან კერის.

კერი ოუვინ-ავენიუს გაუყვა და შუქნიშანთან კარლინ-სტრიტზე გადაუხვია. თავჩაქინდრული მიდიოდა და ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. დროდადრო მუცელში ტკივილი დაუვლიდა ხოლმე. კერიც, მოშლილკარბურატორიანი მანქანასავით, ხან ანელებდა და ხანაც აჩქარებდა ნაბიჯს. ამ-ლვრეული თვალებით დაჰყურებდა ტროტუარს და ყურადღებით აკვირდებოდა წვრილმანებს — ბეტონში არეულ კვარცის ბრჭყვისალა ნამსხვრევებს... კლასობანასთვის ასფალტზე დახაზულ, წვიმისგან გაფერმკრთალებულ უჯრედებს... გასრესილ სალეჭ რეზინებს... იაფფასიანი კანფეტების ქალალდებს... (ყველას ვძულვარ და არასოდეს შემეშვებიან. არასოდეს მობეზრდებათ ჩემი წვალება)... ნაპრალში გაჩხერილ ერთპე-

ნიანს... კერი გაჩერდა და ფეხი მიარტყა... (რა საამოა კრის ჟარგენსენის ტანჯვის ნარმოდგენა - თავით-ფეხებამდე დასისხლიანებულია და შენყალებას მევედრება. სახეზე კი ვირთხები დაურბიან. კარგია, კარგი. ასე მოუხდება)... ძალ-ლის მოჯმულს - შუაში ფეხაცმლის ანაბეჭდით... ვიღაც ბი-ჭუნას მიერ ქვით დაჩეჩქვილ პისტონებს... სიგარეტის ნამ-ნვავებს... (დიდ ლოდს ჩავცხებდი თავში იმ კახპას. სათითაოდ დავუჩეჩქვავდი ყველას თავებს. კარგია, კარგი)...

(მაცხოვარი იესო, სათნო და თვინიერი)

კი, დედას რა ენალვლება. მას არ უნევს ყოველი წლის თითოეულ დღეს მგლებს შორის ცხოვრება... არავინ დასცი-ნის, არავინ იგდებს მასხარად, არავინ იშვერს მისკენ თითს... მაგრამ თავად არ ამბობს ხოლმე დედიკო - განკითხვის დღე ახლოვდება (ხოლო სახელად ვარსკვლავისა ითქმის აფსინთი... ხოლო ნამება მათგან, როგორც ნამება მორიელისგან, როდესაც მოწყლავს კაცს...) და მახვილშემართული ანგელო-ზი მოდისო?!

ნეტავ ახლავე დადგეს ეს დღე და იესო, კრავითა და მნებელის არგნით კი არა, რიყისქვებმომარჯვებული მოგვე-ლინოს, რომ თავები დაუხეთქოს ადამიანების დაცინვისა და ნვალების მოყვარულებს, რომ ძირფესვიანად ამოძირკვოს ში-შისგან აჭყივლებული ბოროტება - საზარელი იესო, პირსის-ხლიანი და სამართლიანი...

...უნდოდა, მის მახვილად და მარჯვენად ქცეულიყო...

კერი ტყავიდან ძვრებოდა, რომ კლასელების მარაქაში გარეულიყო. გამუდმებით ეურჩებოდა დედას და გულმოდგი-ნედ ცდილობდა, ნაეშალა ის წითელი წრე, რომელიც მას შემ-ფეგ შემოიხაზა გოგონას გარშემო, რაც პირველად დააღწია თავი მშობლიური სახლის დამთრგუნველ გარემოს და, ბიბ-

ლიკით ხელში, ბარეურ-სტრიტის დაწყებით სკოლაში მიუიდა. კერის ახლაც ახსოვდა ის დღე: როგორ დამცინავად შეხედვს თანაკლასელებმა და რა შემზარავად დადარღდა ყველა, როდე-საც სკოლის ბუფეტში სადილის ნინ სალოცავად დაიჩოქა. იმ დღეს ატეხილი ხარხარის ექო მთელი ამ ნლების განმავლობაში არ მიჩუმებულა.

ნითელი ნრე სისხლს ჰგავდა – რაგინდ ბევრი გენმინდა, არა და არ იშლებოდა... მას შემდეგ კერი აღარასოდეს დაჩო-ქილა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, თუმცა დე-დისტვის ამის შესახებ არ უთქვამს...

მაგრამ ის დღე არ დავინუებია... არც მათ დავინუებიათ.

კერი გააფირებით შეებრძოლა დედას, რომ ქრისტია-ნი ახალგაზრდების საზაფხულო ბანაკში ნასვლის უფლება მოეპოვებინა. საამისოდ ფულიც შეაგროვა კერვით. დედა კი მთელი ამ დროის განმავლობაში დალვრემილი უჩიჩინებდა, რომ ბანაკში გამგზავრება ცოდვაა, რომ იქ მხოლოდ მეთა-დისტები, ბაპტისტები და კონგრეგაციონალისტები იკრიბე-ბიან და მათთან დასვენება რნმენის უარყოფის ტოლფასია... ბოლოს კი ბანაობა აუკრძალა. თუმცა კერი მაინც ბანაობდა და იცინოდა კიდეც, როდესაც თანატოლები მდინარეში ახ-რჩიბდნენ (მხოლოდ ბოლოს აყვირდა, რადგან გაუთავებელი ყურყუმალაობისგან ფილტვებში ჰაერი აღარ დარჩა და ძა-ლიან შეეშინდა). ბანაკის ყველა ლონისძიებაში მონანილეობ-და, მაგრამ „მლოცველ კერის“ ახლოს არ იკარებდნენ. ყველა აბუჩად იგდებდა. ამიტომაც ნამოვიდა სეზონის დახურვამდე ერთი კვირით ადრე ტირილისგან დასიებული თვალებით. მარ-გარეტ უაიტი კი ავტობუსის გაჩერებაზე დახვდა და მკაცრად დაარიგა, გულში ლრმად ჩაებეჭდა მისი შეგონებები, როგორც დასტური იმისა, რომ დედა ყოველთვის მართალია, რომ დე-

დამ უკეთ იცის და რომ ხსნა და სიმშვიდე მხოლოდ ნითელი წრის შიგნით სუფევს.

— ვინაიდან ვინროა ბჭე...² — დასძინა მარგარეტმა ტაქ-სიში და შინ დაბრუნებისთანავე კერი ექვსი საათით ჩაკეტა საკუჭნაოში.

ცხადია, დედიკო ქალიშვილს თანაკლასელებთან ერთად საშხაპეში შესვლასაც უკრძალავდა, მაგრამ კერის საბანაო ნივთები სასკოლო კარადაში ჰქონდა დამალული და მაინც მონანილეობდა მისთვის სამარცხვინო და უხერხულ სიშიშვლის რიტუალში — იმ იმედით, რომ ნითელი წრე სულ ცოტა-თი მაინც გაფერმურთალდებოდა...

(მაგრამ დღეს... დღეს...)

გადალმა ტროტუარზე პატარა ტომი ერბტერი მოდიოდა ველოსიპედით — ჯერ ხუთი წლის იყო და ამიტომაც ორ-თვლიან „შვინზე“ აქეთ-იქიდან კიდევ ორი ნითელი ბორბალი ჰქონდა მიმაგრებული. სკუბი დუს სიმღერას ლილინებდა და გულმოდგინედ ატრიალებდა პედლებს.

კერის დანახვაზე სახეგაბრნყინებულმა ენა გამოყო და აყვირდა:

— ჰეი! კუანააა კეერი! მლოცველააა კეერი!

კერიმ ზიზლით სავსე მზერა ესროლა. ველოსიპედი მყისვე შექანდა და, დამატებითი ბორბლების მიუხედავად, გადაყირავდა. ველოსიპედის ქვეშ მოყოლილმა ბიჭუნამ ბლავილი მორთო. ვოგონამ კი ლვარძლიანად გაიღიმა და გზა განაგრძო — ტომის ზმუილმა საამო მუსიკასავით დაუტკბო სმენა.

² „ვინაიდან ვინროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლი-საკუნ, და მცირედნი ჰპოვებენ მას“ (მათე 7:14).

რა კარგი იქნებოდა, სურვილისამებრ რომ შეეძლოს ასე-
თი რამეების კეთება!

(კი მაგრამ, ახლა სწორედ ეს არ გააკეთა?)

კერი ელდანაცემივით გაშეშდა და უაზრო გამომეტყვე-
ლებით მიაშტერდა სივრცეს. მის ზურგს უკან ჭომი სლუკუ-
ნებდა და გამალებით ისრესდა გადატყავებულ მუხლს. მერე
ველოსიპედს შემოაჯდა და ისევ რაღაც მიაძახა დამცინვად,
მაგრამ კერიმ ყურადღება აღარ მიაქცია – უარესი დაცინვაც
მოუსმენია არაერთხელ...

ის ერთმა რამემ ჩააფიქრა: წელან ჭომის ცუდი რამ
უსურვა

(ნეტავ ჩამოვარდებოდე და მაგ დამპალ თავს გაიხეთ-
ქავდეო)

...და რაღაც მართლა მოხდა.

მისი გონება... როგორ გითხრათ... თითქოს სიტყვას გა-
მოეკიდა... (ზუსტი ახსნა არაა, მაგრამ ამგვარი რაღაც მოხ-
და), ფიქრები ჰანტელს ჩაჭიდებული მკლავის კუნთებივით
დაიჭიმა (არც ეს იყო ამ ყველაფრის ზუსტი შესატყვისი, მაგ-
რამ კერის უკეთესი შედარება თავში არ მოსდიოდა). ბავშვის
სუსტი მკლავის სუსტი კუნთებივით...

და აჲა!

უეცრად კერიმ მისის იორატის ვეებერთელა ფანჯარას
ესროლა გააფრებული მზერა და გაიფიქრა:

(სულელი ბებერი ძუკნა... ჩაიმსხვერეს ეს შუშა!)

მაგრამ არაფერი მომხდარა. მისის იორატის ფანჯარა
უნინდელივით მშვიდად ბზინავდა დილის მზის შუქზე.

მერე გოგონას მუცელში ისევ ჭვალმა დაუარა. ადგა და
გზა განაგრძო.

კი, მაგრამ...

აბა, ნათურა... საფერფლე...

კერიმ მიმოიხედა.

(ბებერი ძუკნა ვერ იტანს დედას).

გონება კვლავ დაძაბა... ოღონდ, ოდნავ... სულ იდნავ. ფიქრთა თანაბარ, მდორე დინებას სუსტმა ჭავლმა გადაუარა, თითქოს სადღაც სიღრმეში წყარომ ამოხეთქაო.

ფანჯრის შუშაც თითქოს შეზანზარდა. ეს იყო და ეს. თუმცა შეიძლება მოეჩვენა კიდეც... შეიძლება...

კერის თავი დაუმძიმდა. ტვინში სუსტი ფეთქვა იგრძნო. თვალები ისე აენვა, თითქოს მთელი აპოკალიფსი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხაო.

მერე კი გზა განაგრძო. დალმა, ცისფერდარაბიანი თეთრი სახლისკენ დაეშვა და უეცრად ისევ დაეუფლა ნაცნობი გრძნობა – სიძულვილის, სიყვარულისა და შიშის უცნაური ნაზავი. ბუნგალოს დასავლეთის ფასადს სახურავამდე სურო მოსდებოდა (ისინი თავიანთ სახლს ყოველთვის „ბუნგალოს“ ეძახდნენ. აბა, „თეთრ სახლს“ ხომ არ დაუძახებდნენ – ეს უპილო პოლიტიკური ხუმრობა უფრო იქნებოდა, ვიდრე სახელნოდება. დედა კი პოლიტიკოსებს თაღლითებად და ცოდვის შვილებად თვლიდა და სულ იმას ამბობდა, ისინი უსათუოდ მიჰყიდიან ქვეყანას უღმერთო წითლებს, რომლებიც ყველა მორნმუნეს – თვით კათოლიკეებსაც კი – კედელთან მიაყენებენ) და ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. კერიმაც იცოდა, რომ სურო ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ზოგჯერ ჭირივით სძულდა ეს ხვიარა მცენარე – ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ სურო სახლის მოსაგუდად მიწიდან ამომძვრალი ვეებერთელა დაძარღვული ხელი იყო.

გოგონამ ნაბიჯი შეანელა.

ქვის სეტყვა გაახსენდა...

მერე კვლავ გაჩერდა და დაბნეულმა დღის კაშაშა შექმნე
თვალუბი მოჟუტის. პო. ქვები. დედას ამის შესახებ სიტყვა არ
დასკუდებისა - იქნებ არც კი ახსოვდა ის დღე. უკანაური ისაა,
რომ თვითობა კიდევ მემორიენტოდა ეს ამბავი მეხსიერებაში.
მამინ ხომ სულ პატარა იყო. სამის, არა? თუ თოხის? მან სა-
ცურაო კატიუშიანი გოგონა დაინახა... მერე კი ციდან ქვე-
ბი ჩამოცვივდა. სახლში ნივთები დაფრინავდნენ აქეთ-იქით...
მოგონებები უფრო ცხადი და მკაფიო გახდა - თითქოს იქვე,
თხელი ტიხონის მიღმა მიმალულიყვნენ და იმასდა ელოდნენ,
როდის მიაღწევდა კერი ერთგვარ გონებრივ სიმწიფეს.

იქნებ სწორედ დღევანდელ ამბებს ელოდნენ...

ფრაგმენტი ჯევ გეოვერის სტატიიდან „ერი: ტელეკინე-
ზის მავი განთიადი“ (უკრინალი „ესეკუარი“, 1980 წლის 12 სექ-
ტემბერი):

„ესტელ პორანი სან-დიეგოს ეეთილმონის გარეუბან
პერიშში უკვე თორმეტი ნელის, ცხოვრიბს და გარეგნობითაც
ნამდვილი „მის კალიფორნია“: ხასხას ფერის ტანსაცმელს
იცვამს და ქარვისფერ მზის სათვალეს იქეთებს ხოლმე; ღია
ფერის თმიდან ალაგ-ალაგ მავი კულულები მოუჩანს; შინდის-
ფერ „ფოლესვაგენს“ ატარებს, რომელსაც ბენზინის ბაკის
სარქველზე ღიმილის გამოსახულება აქვს მიკროლი, უკან
შუძაზე კი - გარემოს დაცვის მხარდამჭერი სლოვანი. ეს-
ტელას ქმარი „ბანკ ოვ ამერიკის“ პერიშის განყოფილებაში
მუშაობს; მისი ვაუი და ქალიშვილი კი სამხრეთ კალიფორნიის
პლაუების ბინადართა მუდამ გარუკეული თაობის ტიპური
ნარმომადგენლები არიან. სახლის კაბეტა უკანა ეზოში გრი-
ლი უდგათ, კარის მუსიკალური ზარი კი „პერი, ვაკედს“ უკრავს.

მაგრამ კერი უაიტის ხენებაზე მისის პორანის სულში კვლავ იჩენს ხოლმე თავს ახალი ინგლისის უნინდელ მკვიდრთათვის დამახასიათებელი შიში და ძრნოლა. მისი სახის გამომეტყველების შემხედვარეს კი პოვარდ ლავკრაფტის მის-ტიკური არკემის ბინადრები უფრო გაგახსენდება, ვიდრე ჯეკ კერუაუის კალიფორნიელი პერსონაჟები.

— რა თქმა უნდა, ძალიან უცნაური ვინმე იყო, — გვეუბნება სტელა პორანი და სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. — მთელი ოჯახი ასეთი იყო. რაღაც მშენებლობაზე მუშაობდა და, როგორც ამბობდნენ, თან სულ ბიბლიას და 38-კალიბრიან რევოლვერს დაატარებდა. ბიბლია საკითხავად დაჰქონდა, რევოლვერი კი იმ შემთხვევისთვის, ვინიცობაა, ანტიქრისტეს გადაჰყოდა. ბიბლია თავადაც მინახავს, იარაღისა კი რა მოგახენოთ, ზუსტად არავინ იცის... გარუჯული სახე, მოკლედ შეჭრილი თმა და საკმაოდ მრიხანე იერი ჰქონდა. რაც გინდა მომხდარიყო, ადამიანები მუდამ მზერას არიდებდნენ. რომ გიყურებდა, თვალებში სულ ცეცხლი ენთო. მის დანახვაზე ძალაუნებურად გადაღმა ტროტუარზე გადახვიდოდი და თავში აზრადაც არ მოგივიდოდა, ზურგს უკან დაჯდანვოდი, ან ენა გამოგეყო. აი, ასეთი საშინელი ვინმე იყო.

მისის პორანი წამით დუმდება და სიგარეტის ბოლს ჭერში უშვებს. ის კარლინ-სტრიტზე მხოლოდ ოც ნლამდე ცხოვრობდა და აქედან ბოლო რამდენიმე წელი მოტონში, ლევინის ბიზნეს-სკოლაში გაატარა, მაგრამ ქვის სეტყვის ამბავი მაინც მშვენივრად ახსოვს.

— ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები, — ამბობს ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ნეტა მე ხომ არ გამოვიწვიე ეს სეტყვა-მეთქი? ჩვენი უკანა ეზოები ერთმანეთს ესაზღვრებოდა. მისის უაიტს ღობესთან ხვიარა მცენარე ჰქონდა დარგული, მაგრამ

სანამ მცენარე გაიზრდებოდა და ლობეს დაბურავდა, ის ქალბატონი თითქმის ყოველდღე ურეკავდა დედაჩემს და ეჩხუბებოდა – შენი ქალიშვილი ეზოში შოუს ნუ მართავსო. მინდა გითხრათ, რომ ჩემი საბანაო კოსტიუმი სულაც არ იყო უხამსი და ზედმეტად მოშიშვლებული. ახლანდელი გადასახედოდან მორიდებულიც კი ეთქმოდა – ჩვეულებრივი ძველმოდური კოსტიუმი მქონდა, მაგრამ მისის უაიტი მაინც ქვეყანას აქცივდა – ამ უმსგავსობას ჩემი პატარა არ უნდა ხედავდესო. დედაჩემი, რა თქმა უნდა, თავიდან ჭაქტიანად პასუხობდა, მაგრამ, როგორც წესი, მოთმინება დიდხანს არ ჰყოფნიდა ხოლმე. არ ვიცი, რა უთხრა იმ დღეს ამისთანა მარგარეტ უაიტმა (ალბათ, ბაბილონელი მეძავი მინოდა), მაგრამ დედაჩემი ბოლოს ისე განიწმატდა, რომ უთხრა – ჩვენი ეზო ჩვენ გვეკუთვნის და ჩემს ქალიშვილს, თუ მოუნდა, აქ სულაც შიშველს შეუძლია, იცეკვოსო. მერე კი ბინძური დედაბერი უნოდა და ისიც უთხრა, თავის მაგივრად მატლებით სავსე ქილა გაბიაო. მოკლედ, ერთი ამბავი ატყდა... ხომ გასაგებია საქმის არსი?

გადავწყვიტე, ეზოში გასარუჯად აღარ გავსულიყავი: არ მიყვარს ჩხუბი და აყალმაყალი. მაგრამ დედაჩემი თუ გაბრაზდა, მტრისას! – ადგა, „ჯორდან მარშში“ ერთი ციცქნა თეთრი ბიკინი მიყიდა და მითხრა, ამიერიდან შეგიძლია, ეზოში ამით იკოტრიალოო. აქაოდა, ეს ჩვენი ეზოა და არავის საქმე არაა, საკუთარ სახლში რას ვიზამთო.

სტელა ჰორანი იღიმება და სიგარეტს აქრობს.

– ვცადე, შევკამათებოდი, ამეხსნა, რომ ზედმეტი პრობლემები არ მჭირდებოდა და არ ვაპირებდი მათ ომში პაიკის როლის თამაშს, მაგრამ ამაოდ. დედაჩემმა რაღაც თუ აიჩემა, დაგორებულ ბულდოზერს ემსგავსება – კაციშვილი ვერ გააჩერებს. მაგრამ უბედურება მხოლოდ ეს არ იყო. სიმართლე

გითხრათ, უბრალოდ, მეშინოდა უაიტების – რელიგიისგან ჭკუაშერყეული გიუები იყვნენ და მათთან საქმის დაჭერა არ მინდოდა. მართალია, რაღაც უაიტი უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ იქნებ მარგარეტ უაიტს ისევ ჰქონდა მისი რევოლუცი?.. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, იმ დღეს მაინც გავშალე ეზოში მატყულის საბანი, წავისვი გასარუჯი ლოსიონი და ჩავრთე რადიო, სადაც ზუსტად იმ დროს „ორმოც საუკეთესო სიმღერას“ გადმოსცემდნენ. დედაჩემი ამ მუსიკას ვერ იტანდა და სულ მეჩხუბებოდა, გამორთე, სანამ ჭკუიდან შევშლილვარო. მაგრამ იმ დღეს თვითონვე ისე აუნია ორჯერ ხმას, რომ მართლაც ბაბილონელ მეძავად ვიგრძენი თავი.

უაიტების სახლიდან ცხვირი არავის გამოუყვია. მარგარეტიც კი არ გამოსულა სარეცხის გასაფენად... პო, სხვათა შორის, ის ეზოში არასოდეს ჰქონდა ქვედა საცვალს. თავისი ქალიშვილის ტრუსებსაც კი სახლში აშრობდა – მერე რა, რომ კერი სულ რაღაც სამი წლისა იყო.

ამან ცოტა დამამშვიდა: ვიფიქრე, იქნებ მარგარეტმა კერი სასეირნოდ წაიყვანა-მეთქი – ბუნების წილში სალოცავად, ან რა ვიცი, კიდევ რისთვის. მოკლედ, მალე ზურგზე გადავბრუნდი, თვალებზე ხელი ავიფარე და ჩავთვლიმე.

რამდენ ხანს ვიყავი ძილ-ბურანში, არ ვიცი, მაგრამ როცა გავილვიძე, დავინახე, თავზე კერი წამომდგომოდა და გულდასმით მათვალიერებდა.

მისის ჰორანი დუმდება და სივრცეს გასცემის. გარეთ უწყვეტ რიგად მიქრიან მანქანები. ოთახში მხოლოდ ჩემი დიქტოფონის ზუზუნი ისმის, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს თხელი, მყიფე გარსია, რომელიც სხვა, წამდვილი და პირქუში სამყაროსგან გვმიჯნავს... სამყაროსგან, სადაც კოშმარები იბადება.

— ძალიან საყვარელი ბავშვი იყო, — განაგრძობს სტელა ჰორანი და ისევ უკიდებს სიგარეტს. — მისი სკოლის დროინდელი სურათებიც მინახავს და ის შავ-თეთრი ბუნდოვანი ფოტოც. „ნიუსუიქში“ რომ დაიბეჭდა. მახსოვს, იმ სურათებს რომ ვუყურებდი, გაოგნებული ვფიქრობდი — ღმერთო, სად გაქრა ის ბავშვი, რა უქნა ამისთანა იმ ქალმა-მეთქი? გაუგებარი განცდა დამეუფლა: შიშისა და სიბრალულის უცნაური ნაზავი... ისეთი ბავშვი იყო, ჩაყლაპავდი — ნითელლოყება, დიდრონი ანთებული თვალებითა და ლია ფერის თმით... თუმცა ეტყობოდა, რომ დროთა განმავლობაში თმის ფერი გაუმჯედებოდა. ერთი სიტყვით, ძალიან კაი ვინმე იყო: საყვარელი, ჭკვიანი და უმანქო. როგორც ჩანს, დედის გავლენას მაშინ ჯერ კიდევ არ მოეწამლა მისი სული.

მოულოდნელობისგან ოდნავ წამოვინიე და ცალყბად გავუღიმე. არ ვიცოდი, რა მექნა. დასიცხული ვიყავი და საერთოდ ვეღარ ვაზროვნებდი. ბოლოს ავდექი და მივესალმე — გამარჯვობა-მეთქი. გოგონას საკმაოდ ლამაზი — თუმცალა პატარა ბავშვისთვის ზედმეტად გრძელი — ყვითელი კაბა ეცვა... თანაც იმ პაპანაქებაში... ნვივებამდე სწვდებოდა.

ჰასუხად კერიმ კი არ გამიღიმა, ჩემკენ თითო გამოიშვირა და მკოთხა:

— ეს რა არის?

მკერდზე დავიხედე და რას ვხედავ — სანამ მეძინა, ლიფი ჩამომცურებია.

ლიფი გავისწორე და მივუგე:

— ჩემი ძუძუებია, კერი.

მან კი გამოშიცხადა:

— მეც მინდა ეგეთი ძუძუები.

- ცოტა ხანს მოიცავე, კერი... და რვა-ცხრა წელიწადში შენც გაგეზრდება.

- არაფერიც არ გამეზრდება. დედამ მითხრა, კარგ ვო-
გონებს ეგენი არა აქვთო, – ამას რომ ამბობდა, თავისი ასაკის
ბავშვისთვის ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა: სევდიანი და,
ამავდროულად, თავმომწონე იერი ჰქონდა.

ყურებს არ დავუჯერე... და თავში პირველი რაც მომივი-
და, ის ვუთხარი:

- კი მაგრამ, მეც კარგი ვოგო ვარ... თან გგონია, შენს
დედიკოს არ აქვს ძუძუები?

კერიმ თავი ჩაეინდრა და რაღაც ჩუმად ჩაიბურტყუნა.
მერე კი, როცა ვთხოვე გაემეორებინა, ჯიქურ შემომხედა და
მითხრა: – დედიკომ როცა გამაკეთა, მაშინ ცუდი იყო და ამი-
ტომაც აქვს ძუძუები. „ბინძურიმუთაქები“ – ერთ სიტყვასა-
ვით ჩაილაპარაკა ბოლოს.

გაკვირვებული ვუყურებდი და ვერ ნარმომედგინა, რომ
ასეთი რამ შეიძლებოდა სინამდვილეში მომხდარიყო. ისე გა-
ვოგნდი, ველარაფერი ვუპასუხე. ასე მდუმარედ შევცეკეროდი
და მხოლოდ ის მინდოდა, ხელი დამევლო ამ ბავშვისთვის და
სადმე შორს, ძალიან შორს გადამემალა.

მერე კი უკანა კარიდან მარგარეტ უაიტი გამობრძანდა
და დაგვინახა.

რამდენიმე წამს გაშტერებული გვიცეკერდა – ალბათ თვა-
ლებს არ უჯერებდა. ბოლოს კი პირი დაალო და დაიჩხავლა.
უფრო საშინელი ხმა ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია – გეგო-
ნებოდა, მამალი ალიგატორი ხავისო. საშინლად ლრიალებდა
– გააფორებული და გაცოფებული. სახე სახანძრო მანქანასა-
ვით გასწითლებოდა; მუშტად შეკრული ხელები უცახცახებდა;
თავი კი მაღლა აენია და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, გაჟ-

კონდა. გეფიცებით, სახე ისე მოელრიცა, შევშეოთდი, ტვინში სისხლი ხომ არ ჩაექცა-მეთქი.

მეგონა, კერის შიშისგან გული წაუვიდოდა. საბრალო ბავ-შვი აინურა და დაპატარავდა. სახეზე მიტკლისფერი დაედო.

დედამისი კი ღრიალებდა:

– კევერრრრრრრრრრრრ!

ნამოვხტი და შევუტიე:

– ნუ უყვირით ბავშვს! როგორ არ გრცხვენიათ! – რაღაც ამის მსგავსი სისულელე ნამოვიძახე. ზუსტად არ მახსოვს.

კერი სახლისკენ წავიდა. მერე წამით შეჩერდა, ისევ გა-დადგა რამდენიმე ნაბიჯი და, სანამ ჩვენი ეზოდან თავის ეზოში გადავიდოდა, მომიტრიალდა და შემომხედა... ისე შემომხედა... ახლაც ურუანტელი მივლის... ვერც კი გადმოგცემთ, რა ამოვი-კითხე მის მზერაში... შიშიც დავინახე... ჩემეუენ ლტოლვაც, სი-ძულვილიც... და კიდევ დიდი ტკივილი. თითქოს მთელი ცხოვ-რება დაენგრა და ქვეშ მოიყოლაო... თითქოს ცამ ქვით და-სეტყვაო... არადა, მაშინ სულ რაღაც სამი ნლისა თუ იქნებოდა.

ხმაურზე დედაჩემიც გამოვარდა. საბრალო ბავშვის და-ნახვაზე ნირი წაუხდა. მარგარეტი კი... ყვიროდა. კახპებსა და მეძავებზე გაჰკიოდა რაღაცას... მამებს ახსენებდა – მეშვიდე თაობამდე გინევთ მათი ცოდვებით. მე ხმას ვერ ვიღებდი – პირი ისე გამიშრა, ენას ვეღარ ვატრიალებდი.

კერი ერთ-ორ წამს გაუბედავად იდგა ჩვენი ეზოების სა-ზღვარზე. უეცრად მარგარეტ უაიტმა მალლა აიხედა და, ყვე-ლაფერს გეფიცებით, ყეფა ატეხა. ჰო, მართლა აყეფდა. მერე კი... თვითგვემას მოჰყვა – ყელსა და ლოყებს იკანრავდა, ტა-ნაცმელს იგლეჯდა.

კერიმ შესძახა – დედიკო, დედიკო და მისკენ გაქან-და. მისის უაიტი კი ბაყაყივით ჩაჯდა და ხელები შემართა.

მეგონა, ბავშვის შუაზე გაგლეჯას აპირებდა და უნებლიერ შევეკივლე. მარგარეტი კი იღიმებოდა... იღიმებოდა და ნიკაპ-ზე დორბლი ჩამოსდიოდა... ფუ, რა საზიზლრობა იყო! ...მერე კერის ხელი სტაცა და სახლში შევარდა. რადიო გამოვრთე და გავიგონეთ, რასაც ეუბნებოდა... ყველაფერი არა, მაგრამ ცალკეული სიტყვები გვესმოდა და ვხვდებოდით, რაც ხდებოდა. ატყდა ლოცვა, ტირილი, ყვირილი – მოკლედ, ერთი ვაიუშველებელი იდგა. შემდეგ მარგარეტ უაიტმა კერის საკუჭნაოში შესვლა და ლოცვა უბრძანა. ბავშვი ტიროდა – ძალით არ მიქნია და მეტს აღარ ვიზამო, მაგრამ ვინ მოუსმინა! ცოტა ხანში კი სიჩუმე ჩამოწვა. მე და დედაჩემმა ერთმანეთს გადავხედეთ – თავს დავდებ, ასე დათრგუნული, მამა რომ მოკვდა, მაშინაც კი არ ყოფილა. საბრალო ბავშვიო – მხოლოდ ეს თქვა და ორივენი სახლში შევედით.

სტელა ჰორანი დგება და ფანჯარასთან მიდის – მომხიბ-ვლელი ქალია და ძალიან უხდება ზურგამოჭრილი ყვითელი სარაფანი.

– ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ხელახლა გადამხდენოდეს თავს ის ამბავი, – ამბობს და ჩემკენ ტრიალდება. – ახლაც ტანში გამცრა, – გულზე ხელებს იკრეფს, თითქოს შესცივდაო. – კი, ძალიან კარგი ბავშვი იყო. ამ ფოტოების შემხედვარე ვერც იფიქრებ, რომ...

ფანჯრის მილმა კვლავ დაქრიან მანქანები, მე კი ვზივარ და ვუცდი, როდის განაგრძობს თხრობას. ახლა ის ჭოკით მხტომელს ჰეგავს – დგას და ფიქრობს, ძალიან მაღლა ხომ არ ამინიეს თამასაო?

– დედამ რძიანი მაგარი ჩაი მოადუღა შოტლანდიურად
– სწორედ ისეთი, როგორსაც ბავშვობაში მიღულებდა, როცა ჭინჭრით ვისუსხებოდი, ან ველოსიპედიდან ვვარდებოდი.

საშინელი დასალევი იყო, მაგრამ მაინც ვსვამდით; დედაჩემს ზურგზე გარღვეული ძველი საშინაო კაბა ეცვა, მე კი – ბაბილონელი მეძავის ბიკინი... მეტირებოდა, მაგრამ ეს ამბავი იმდენად ცხოვრებისეული იყო და იმდენად არ ჰგავდა კინოს, რომ სატირლად არ გამოდგებოდა. ერთხელ ნოუ-იორკში ასეთ სცენას შევესწარი: ქუჩაში ბებერ, ბინძურ ლოთს ცისფერკაბიანი პატარა გოგონა მიჰყავდა ხელჩაკიდებული. ბავშვი ისე ტიროდა, რომ ცხვირიდან სისხლი წასკდა. ლოთს ჩიყვი ჰქონდა და ველოსიპედის კამერას მიუგავდა კისერი. შუბლზე, ზუსტად შუაში უზარმაზარი ნითელი კოპი ამოსვლოდა; მის ლურჯ პიჯაკს კი თეთრი ძაფი გასდევდა მთელ სიგრძეზე. მიდიოდა, მიათრევდა ამ საბრალო ბავშვს და გარშემო ყველა ჩქარი ნაბიჯით უვლიდა გვერდს... რადგან იცოდნენ, რომ ყურდლებას თუ არ მიაქცევდნენ, ის საცოდავი წყვილი თავისით მიეფარებოდა თვალს. ესეც უაღრესად ცხოვრებისეული სურათი იყო.

სწორედ ამ ამბის მოყოლას ვაპირებდი დედასთვის, როდესაც დაინყო ის, რაც თქვენ გაინტერესებთ. გარეთ რაღაც დაეცა მინაზე – ისეთი ძალით დაენარცხა, რომ ბუფეტში ჭურჭელი აწკრიალდა. მინაც იძრა – თითქოს სახურავიდან ვებერთელა სეიფი გადმოაგდესო.

სტელა ახალ სიგარეტს უკიდებს და სწრაფად არტყამს რამდენიმე ნაფაზს.

– ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე, მაგრამ უჩვეულო ვერაფერი დავინახე. ის იყო, მაგიდასთან მიბრუნება დავაპირე, რომ ციდან ისევ ჩამოვარდა რაღაც – რაღაც ბრჭყვიალა. შუშის უზარმაზარი ლოდი უაიტების სახურავის კიდეს მოხვდა და წვრილად დაიმსხვრა. მერელა მივხვდი, რომ შუშის კი არა, ყინულის ლოდი იყო. ამის სათქმელად დედაჩემს მივუტრიალდი და... სწორედ მაშინ წამოვიდა სეტყვა.

ლოდები უაიტების სახურავზე, ეზოსა და სარდაფის სარქველზე ცვიოდა. ეს სარქველი ფურცლოვანი რკინისგან იყო დამზადებული და ყინულის დაცემისთანავე ზარივით აგუგუნდა. მე და დედაჩემმა შეშინებულებმა შევეივლეთ და ჭექა-ქუხილისგან დამფრთხალი ბავშვებივით ერთმანეთს ჩავეკარით.

მერე კი ყველაფერი დამთავრდა. უაიტების სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ვხედავდი, როგორ დნებოდა მზეზე ყინული და როგორ მოედინებოდა კრამიტზე წყლად. ყინული მზეზე ისე ბზინავდა, თვალს ვერ გაუსწორებდი.

დედამ შემომხედა – უნდოდა, ეკითხა, დამთავრდა თუ არა ეს საშინელებაო... მაგრამ უეცრად ცხადად გავიგონეთ მარგარეტის ყვირილი. ამჯერად მისი ხმა უნინდელზე უფრო შემზრუად ისმოდა, რადგან მასში დაუფარავი შიში იგრძნობოდა. მერე კი ლანალუნი ატყდა – თითქოს ბავშვს ჭურჭელს ესვრისო.

უაიტების სახლის უკანა კარი ხმაურით გაიღო, კედელს მიენარცხა და ისევ ხმაურით დაიხურა. თუმცა სახლიდან არავინ გამოსულა – მხოლოდ ყვირილის ხმამ იმატა. დედამ მირჩია, პოლიციაში დამერეკა, მაგრამ განძრევა ვერ შევძელი. ერთხანს გაშეშებული ვიდექი, შემდეგ გარეთ გავედი და არემარე მოვათვალიერე. მისტერ კირკი და მისი ცოლი ვირჯინია ქუჩაში იდგნენ. სმიტებიც გამოვიდნენ. მალე მთელი სამეზობლო გარეთ გამოეფინა. მისის უორვიკმაც კი გამოიხედა – არადა, ის ერთი კვარტლის მოშორებით ცხოვრობდა და თანაც ცალ ყურში არ ესმოდა.

ისევ გაისმა ლანალუნის ხმა – ბოთლების, ჭიქების... რა ვიცი, რას ამტვრევდნენ... უეცრად უაიტების გვერდითა ფანჯარა ჩაიმსხვრა და ღიობიდან კინალამ სამზარეულოს მაგიდა გადმოვარდა. ლმერთია მონამე! – უზარმაზარი მაგიდა იყო: ალბათ სამას ფუნქს მაინც ინონიდა. გამავებინეთ, როგორ

შეძლებდა ქალი – თუნდაც, ზორბა და ლონიერი – ასეთი რა-
მის გაკეთებას?

ვკითხე, რას გულისხმობთ-მეთქი.

– მე მხოლოდ იმას ვყვები, რაც ჩემი თვალით ვნახე, –
რატომლაც ცოტა გულნატყენი ხმით მპასუხობს მისის ჰორა-
ნი. – ხომ არ მითხოვია, ყველაფერი დაიჯერეთ-მეთქი!

და უფრო მშვიდად განაგრძობს:

– შემდეგ ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა. უაიტების
ნყალსადინარი ლარებიდან ნყალი წვეთავდა და მთელი ეზო
ყინულის ლოდებით იყო მოფენილი. თუმცა ყინული ძალიან
სწრაფად დნებოდა.

მისის ჰორანი იცინის და სიგარეტს აქრობს.

– ისე, ამაში გასაკვირი არაფერია: გაგანია აგვისტო იყო.

ჩაფიქრებული ტახტს უახლოვდება, ნამით ჩერდება და
ისევ უკან ბრუნდება.

– მერე კი ციდან ქვები ჩამოცვივდა. პირდაპირ მონმენ-
დილი ციდან... ჭურვებივით ცვიოდა... საშინელი გრუხუნით.
დედაჩემმა – რა ხდება, რა ამბავიაო და თავზე ხელები ნაიფა-
რა. მე კი განძრევაც ვერ შევძელი. ეს სასწაული ყველამ ნახა
და გაოცებისგან ადგილიდან ფეხი ვერავინ მოიცვალა. თუმცა
ქვები მაინც მხოლოდ უაიტების ეზოში ცვიოდა.

ერთი ქვა ნყალსადინარს მოხვდა და უზარმაზარი ლარი
ჭახანით დაეცა ეზოში. სხვებმა სახურავი დახვრიტეს. ქვის
დაცემისას კრამიტს ტკაცატკუცი გაჰქინდა და მტვერი ას-
დიოდა. ძირს დაცემული ლოდებისგან კი მიწა ისე ზანზარებ-
და, ვიბრაციას ფეხებით ვგრძნობდი.

ბუფეტში ჭურჭელი ნკრიალებდა, სამზარეულოს კარა-
დაც ზანზარებდა, დედაჩემის ჩაის ფინჯანი მაგიდიდან გად-
მოვარდა და დაიმსხვრა.

ეზოში დაცემული ლოდები მოზრდილ ორმოებს ტოვებდნენ, ორმოებს კი არა – ნამდვილ კრატერებს. მისის უაიტმა მოგვიანებით მეძველმანეც კი დაიქირავა ამ ლოდების გასაზიდად. ჩვენმა მეზობელმა ჯერი სმიტმა კი იმ მეძველმანეს დოლარი მისცა – ქვიდან ერთი ნატეხი ჩამომამტვრევინეო. მერე ეს ნატეხი ბანგორის უნივერსიტეტში წაიღო შესამონ-მებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი გრანიტი იყო და სხვა არაფერი.

ერთ-ერთი ლოდი უაიტების ბალის მაგიდას დაეცა და ნამსხვრევებად აქცია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მათი ეზოს გარეთ არაფერი დაზიანებულა და არც არავინ დაშავებულა.

მისის ჰორანი ჩუმდება, ფანჯარას ზურგს აქცევს და ჩემკენ ტრიალდება. სახეზე ეტყობა, როგორ ააღელვა ამ მოგონებებმა. ცალი ხელით გამალებით ინენავს მოდურად დავარცხნილ თმას.

– ადგილობრივ გაზეთში სულ პატარა ცნობა დაიბეჭდა ამ ამბის შესახებ. სანამ ბილი ჰარისი მოვიდოდა (სწორედ ის აშუქებდა ჩემბერლენის ახალ ამბებს), მარგარეტ უაიტმა სახურავიც შეაკეთა და ეზოც დაასუფთავა. კი ვუთხარით, ქვებმა სახურავი რომ დახვრიტეს, მაგრამ აღბათ იფიქრა, მაშა-ყირებენო.

არავის უნდა ამის დაჯერება – ახლაც კი... თქვენ და თქვენი სტატიის მკითხველებიც, აღბათ, გაიცინებთ და იტყვით, ეს გადარეული ქალი ნამდვილად მზეზე გადახურდა იმ დღესო. მაგრამ მართლა ასე მოხდა. ჩვენი ქუჩის ბევრმა მცხოვრებმა საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი და ჩემ მიერ მონაყოლი ამბები ისევე რეალურია, როგორც ლოთისა და გოგონას წელან ნახსენები ისტორია. ჰოდა, აი, კიდევ რა მოხდა...

ამაზე უკვე ალარავინ იცინის, რადგან ბევრი ადამიანი დაიღუპა. თანაც ეს ამბავი უაიტების ეზოს ფარგლებს გასცდა.

მისის ჰორანს ეღიმება, მაგრამ ეს ღიმილი სულაც არაა მხიარული.

— რაღუ უაიტს სიცოცხლე დაზღვეული ჰქონდა და მისი დალუპვის შემდეგ მარგარეტ უაიტმა საკმაოდ სოლიდური თანხა აიღო. უაიტებს სახლიც დაზღვეული ჰქონდათ, მაგრამ მარგარეტს ზარალის სანაცვლოდ ცენტიც არ მიუღია, რადგან ზარალი „უფლის ნებით“ მიადგა. ჰოეტურად უდერს, არა?

მისის ჰორანი იცინის, მაგრამ არც ეს სიცილი უდერს მხიარულად...”

ჩანაწერი კერი უაიტის წიგნაკში:

„ხომ ყველამ იცით, ყველანი ხვდებით
ამოისუნთქავს გოგონა შვებით,
როცა გაიგებს და დარწმუნდება,
რომ ისეთია, როგორიც სხვები...³

კერი სახლში შევიდა და კარი დახურა. მზე გაქრა. სახლში მუქი ჩრდილები ირეოდა. სიგრილე და ტალკის მძაფრი სუნი იღვა. სიჩუმეს მხოლოდ სასტუმრო ოთახში ჩამოკიდებული ძველი გუგულიანი საათის წიქნიკი არღვევდა. დედამისმა საქველმოქმედო კუპონებით იყიდა ეს საათი თავის დროზე. ჯერ კიდევ მეექვსე კლასში იყო კერი, როცა უნდოდა, დედისთვის ეკითხა — საქველმოქმედო კუპონებით რაიმეს ყიდვა ცოდვა არ არის? მაგრამ ვერ გაბედა.

³ „აზრობრივად შეცვლილი ცოტატა ბობ დოლანის სიმღერიდან „Just Like a Woman“.

კოლში შევიდა და პალტო კარადაში შეკიდა. კარადის თავზე სურათი ეკიდა, რომელზეც ლვთიური შუქით გაბრნყინებული იესო ქრისტე მაგიდის გარშემო შემომსხდარ ოჯახს დაჰყურებდა ზემოდან. სურათს (ასევე მბრნყინავი ასოებით) მიწერილი ჰქონდა: „უხილავი სტუმარი“.

სასტუმრო ოთახში კერი გაცვეთილი და გახუნებული ხალიჩის შუაგულში გაჩერდა, თვალები დახუჭა და ნყვდიადში მოხტუნავე ნერტილებს დააკვირდა. თავი უსკდებოდა და გული ერეოდა.

მარტო.

დედა ჩქაროსნულ საუთოო მანქანაზე მუშაობდა ჩემბერ-ლენ-ცენტრში – სამრეცხაო „ცისფერ ბაფუთაში“. მუშაობა მაშინ დაიწყო, როცა კერის ხუთი ნელი შეუსრულდა – სწორედ მაშინ გაუთავდა ქმრის დაღუპვის გამო მიღებული ფული. მისი ცვლა დილით, რვის ნახევარზე იწყებოდა და ნაშუადლევს, თხს საათზე მთავრდებოდა. დედა სულ ამბობდა – სამრეცხაო ულმერთოების ბუდეა, მთავარი ულმერთო კი მისი მმართველი ელტონ მოტივი. დედა ირწმუნებოდა, რომ ელტისთვის (სწორედ ასე ეძახდნენ მას „ცისფერ ბაფუთაში“) სატანას ჯოვანხეთში განსაკუთრებული ცისფერი კუთხე ჰქონდა გამზადებული.

მარტო.

კერიმ თვალები გაახილა. სასტუმრო ოთახში ორი სწორსაზურგიანი სავარძელი იდგა. კედელთან, ლამპის ქვეშ საკერავი მაგიდა მიყუჩებულიყო. ამ მაგიდასთან კერი კაბებს კერავდა საღამოობით – სანამ დედამისი მაქმანების ქსოვითა და მეორედ მოსვლაზე მსჯელობით იყო გართული. მოპირდაპირე კედელზე გუგულიანი საათი ეკიდა.

ამ ოთახშიც უხვად იყო რელიგიურ თემაზე შექმნილი სურათები, მაგრამ კერის ყველაზე მეტად სავარძლის თავზე ჩა-

მოკიდებული ნახატი მოსწონდა. მასზე მწყემსი იესო იყო გა-
მოსახული – მოდიოდა და რივერსაიდის გოლფის მოედანივით
სწორ და ხასხასა მინდოოზე მოერეკებოდა კრავებს. დანარჩე-
ნი სურათები ნაკლებად უშფოთველი იყო – ერთზე იესო მო-
ვაჭრებს ყრიდა ჭაძრიდან, მეორეზე მოსე სჯულის ფიცრებს
ამხობდა თავზე ოქროს ხბოს თაყვანისმცემლებს, მესამეზე
ურნმუნო თომა ქრისტეს ჭრილობას ეხებოდა ხელით (ვინ უნ-
ყის, რა შემზარავი ხიბლი ჰქონდა ამ სურათს და რა საშინელი
კოშმარები ესიზმრებოდა კერის მის გამო ბავშვობაში), მეოთ-
ხეზე ნოეს კიდობანი მიაპობდა ჭალლებს, ბობოქარ ნყალში კი
ცოდვილები იხრჩობოდნენ, მეხუთეზე ლოთი ეხატა ოჯახთან
ერთად, სოდომისა და გომორის გადაწვის ნინ...

პატარა მაგიდაზე ლამპა იდგა. ლამპის ქვეშ კი რელიგიუ-
რი ბროშურების მთელი დასტა იდო. ზედა ბროშურის ყდაზე
ვიღაც ცოდვილი (მისი სულიერი სტატუსი ეჭვს არ იწვევდა,
რადგან ჭანჯვისგან სახე დამანჭვოდა) ვეებერთელა ლოდის
ქვეშ შეძრომას ცდილობდა. სათაური გვამცნობდა: „და ვერ
დამალოს იმ დღეს იგი ქვამაც კი!“

მაგრამ ოთახის მთავარ მშვენებას განაპირა კედელზე ჩა-
მოკიდებული უზარმაზარი (ოთხიოდე ფუტის სიმაღლის) თა-
ბაშირის ჯვარცმა წარმოადგენდა. დედამ ეს ქანდაკება სენტ-
ლუისიდან ფოსტით გამოიწერა. ჯვარზე მიჭედებულ იესოს
ტკივილისგან დასჭიმვოდა კუნთები და გალებულ პირზე კვნე-
სა შეჰერინოდა. ეკლის გვირგვინით დაკანრულ შუბლზე ალის-
ფერი სისხლი მოედინებოდა. თვალები კი გადატრიალებული
ჰქონდა – ერთი სიტყვით, მაცხოვრის სახე შუა საუკუნეების
მხატვრობისთვის დამახასიათებელ აგონის ჭიპურ გამოსახუ-
ლებას წარმოადგენდა. ხელები სიხლით დასვროდა, ფეხები კი
თაბაშირის პატარა თაროზე ჰქონდა მილურსმული. ბავშვო-

გაში ამ ქანდაკების გამო კერის საშინელებები ესიზმრებოდა: დასახიჩრებული იესო ჩაქუჩითა და ლურსმნებით დასდევდა ბნელ დერეფნებში – ევედრებოდა, ჩემი ჯვარი იტვირთე და გამომყევიო. ბოლო დროს კი ეს სიზმარი ცოტა გაუგებარ და ბევრად უფრო ავისმომასწავებელ ზმანებად გადასხვაფერდა. კერის ეჩვენებოდა, რომ ქრისტე მოკვლას კი არა, უფრო საშინელ რამეს უპირებდა.

მარტო.

მუცლის ტკივილმა ცოტათი უკლო. კერის უკვე აღარ ეშინოდა, რომ მოკვდებოდა. სიტყვა „მენტრუაციამ“ ყველა-ფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ეს ხომ უბრალოდ „თვიური“ იყო და სხვა არაფერი. კერიმ შეშინებულმა ჩაიხითხითა და მისი სიცილი უცნაურად გაისმა ოთახში ჩამონილილ სიჩუ-მეში. ეს სიტყვა მისთვის უკვე სულელურ ტელევიქტორინებ-თან ასოცირდებოდა: „ეს თქვენი შანსია! ამ თვეში შეგიძლიათ ბერმუდის კუნძულებზე დასვენება მოიგოთ!“ ქვის სეტყვის მსგავსად, მენსტრუაციის შესახებ ცოდნაც, როგორც ჩანს, მისი მეხსიერების შორეულ კუნჭულში გადამალულიყო და ხელსაყრელ დროს ელოდა ამოსატივტივებლად.

კერი შეტრიალდა და კიბეს მძიმე ნაბიჯით აუყვა. სააბა-ზანოს ხის იატაკი გულმოდგინედ იყო გახეხილი („სისუფთავე სინმინდის ტოლოვასია“). კედელთან, თუჯის კლანჭებიან თა-თებზე დიდი აბაზანა იდგა. ქრომირებული ონკანიდან ნყალი წვეთავდა. აბაზანის მომინანქრებულ ზედაპირს უანგის გრძე-ლი ზოლი გასდევდა. უაიტებს შხაპი არ ჰქონდათ: დედა ამ-ბობდა, შხაპის გადავლება ცოდვააო.

კერიმ კარდა გამოაღო და შიგ შელაგებული ნივთების თვალიერებას შეუდგა – იღებდა და დიდი სიფრთხილით აბ-რუნებდა თავის ადგილას, რომ დედას არაფერი შეემჩნია.

ლურჯი კოლოფი კარადის სიღრმეში, ძველ პირსახოცებს შორის იპოვა. გახუნებულ კოლოფზე ნახევრად შიშველი ქალი იყო გამოსახული – გრძელი, თითქმის გამჭვირვალე ლამის პერანგი ეცვა მხოლოდ.

კერიმ ერთი საფენი ამოილო და ყურადღებით შეათვალიერა. იგი ხშირად იწმენდდა ასეთი საფენებით ჭურის საცხს... ერთხელ შუა ქუჩაშიც კი მოიწმინდა... ახლალა გაახსენდა (ან მოეჩვენა, რომ გაახსენდა), რა გაოგნებულები უყურებდნენ გამვლელები. უეცრად ალმური მოედო. გოგონები ხომ მართლა ეუბნებოდნენ ამის შესახებ რაღაცას! სირცხვილის გრძნობა გალიზიანებამ და ბრაზმა შეცვალა და ანითლებული ლოცები მყისვე გაუფირდა.

კერი თავის ციცქნა საძინებელში გავიდა. იქაც ბევრი რე-ლიგიურ თემაზე შექმნილი სურათი ეკიდა. თუმცა ამ სურ-თებზე მეტწილად კრავები იყო გამოსახული და არა მრისხა-ნე წინასწარმეტყველები. კედელზე ოუვინის სკოლის დროშა გაეკრათ. კომოდზე ბიბლია და ქრისტეს მანათობელი ფიგურა იდო.

კერი გახდას შეუდგა – ჯერ კოფტა გაიძრო, მერე მუხ-ლებამდე ჩამოშვებული საძულველი ქვედატანი, მერე წინდის დამჭერები, მერე ნეილონის წინდები... ათასნაირი ლილების, შესაკრავებისა და რეზინების გახსნა-შეკვრა უკვე გულს ურევდა.

სკოლის ბიბლიოთეკაში დასტებად ელაგა უურნალ „სე-ვენტინის“ ნომრები და კერიც ხშირად ინტერესით ათვალიერებდა მათ – ოლონდ ცდილობდა, სახიდან იდიოტური სიმშვიდის გამომეტყველება არ ჩამოეშორებინა. მოკლე კაბებში, ნეილონის წინდებსა და მაქმანებიან საცვლებში გამოპრანჭული ფოტომოდელები ისე მსუბუქად და ბუნებრივად გამოიყუ-

რებოდნენ... ჰო, სწორედ „მსუბუქებს“ ეძახდა ასეთ გოგოებს კურის დედა. კურიმაც მშვენივრად იცოდა, რა პასუხს მიიღებდა დედამისისგან, ასე ჩაცმა რომ განეზრახა. გარდა ამისა, მისთვის ისიც ცხადი იყო, რომ ასეთ საცვლებში თავს ნამდვილად ვერ იგრძნობდა ბუნებრივად. როგორია, შიშველსა და ავხორცის, ექსპიბიციონიზმის ცოდვით დამძიმებულს, ფეხებს შორის რომ ნიავი გაგიქროლებს და ვნებას აღგიძრავს? თუმცა ისინი მყისვე მიხვდებიან მის გრძნობებს. ისინი ხომ ყოველთვის ხვდებიან... და უსათუოდ მოიგონებენ რაიმეს, რომ დაამცირონ, დასცინონ და ისევ შეაბრუნონ იმ ნიშაში, რომელიც უკვე დიდი ხანია მიუჩინეს, როგორც ქვეყნის მასხარას.

Այրոմ ուշոցա, բռմ ևեցա...

(რა სხვა?)

...სხვა ადგილის დამკვიდრებას იმსახურებდა. კი, ცოტა
არ იყოს, თეძოსრული იყო, მაგრამ ზოგჯერ ძალიან მარტო-
სულად გრძნობდა თავს და ამ გაუსაძლისი სიცარიელის შევ-
სებას მხოლოდ ჭამით, ჭამითა და ჭამით ახერხებდა. თუმცა
არც ისე მსუქანი იყო – ორგანიზმი გარკვეული ზღვრის გა-
დალახვის საშუალებას არ აძლევდა. ფეხები კი ძალიანაც ლა-
მაზი ჰქონდა, ამ მხრივ სიუ სწელსა და ვიკი ჰენსკომსაც არ
ჩამოჰვარდებოდა. მას შეეძლო...

(ରୂପ? ରୂପ? ରୂପ?)

...შეეძლო, აღარ ეჭამა შოკოლადი. მაშინ მუწუკებიც
გაუქრებოდა. ჰო, ყოველთვის ასე ხდება ხოლმე. კიდევ შეეძ-
ლო, მოდურად დაევარცხნა თმა; ეყიდა ნაირ-ნაირი კოლგო-
ტები და მნვანე ან ლურჯი მოტმასნილი რეიტუზები; შეეკერა
მოკლე კაბები... ამას ხომ ბევრი არაფერი უნდოდა. მას შეეძ-
ლო, უბრალოდ...

ପ୍ରକାଶକା

კერიმ ბამბის მძიმე ლიფი მოიხსნა, ძირს დააგდო და რძისფერი, გლუვი მკერდი შეითვალიერა. მერე ხელით ღია ყავისფერ ძუძუს თავს შეეხო და ტანში გააურუოლა. ეს ხოგ ცოდვა იყო! დედა ხირად აშინებდა მას „რაღაცით“. სახიფათო, პირველქმნილი და ცოდვით სავსე „რაღაცით“, „რაღაცით“, რაც მას დაასუსტებდა და დაღუპავდა. „ფრთხილად იყავი, – ეუბნებოდა, – ის ღამლამობით მოდის და ცოდვაზე ფიქრს გვაიძულებს. ცოდვაზე, რომლითაც სავსეა ავტოსადგომები და გზისპირა მოტელები“.

მართალია, ჯერ დილის ცხრა საათი იყო, მაგრამ კერიმ ცხადად იგრძნო, რომ სწორედ იმ „რაღაცამ“ მოაკითხა. მან ისევ მოისრისა მკერდი...

(ბინძურიმუთაქები)

კანი ცივი ჰქონდა, მაგრამ ძუძუსთავი თბილი და მკვრივი იყო. კერიმ თითები წაუჭირა და იგრძნო, როგორ მოერია სისუსტე. ჰო, ეს მართლაც ის „რაღაც“ უნდა ყოფილიყო.

ტრუსები ისევ სისხლით დაესვარა.

უეცრად კერიმ იგრძნო, რომ ცრემლად უნდა დაღვრილიყო, ეყვირა და ამოეგლიჯა, გაესრისა და გაეთელა ეს „რაღაც“.

მისის დესჯარდინის მიერ ჩაფენილი საფენი უკვე სისხლით გაუღენთილიყო და კერიმაც მის ადგილას ახალი ტამ-პონი ჩაიფინა. იცოდა, რომ ცუდად იქცეოდა... რომ ისინიც ცუდად იქცეოდნენ... ამიტომაც სიძულვილი იგრძნო საკუთარი თავისა და მათ მიმართ. მხოლოდ დედაა კარგი და კეთილი: მან ხომ შავი კაცი დაამარცხა (კერიმ ეს სიზმარში ნახა). დედამ შავი კაცი ცოცხით გააგდო კარში და ისიც ჩლიქების ნკარანკურით დაეშვა კარლინგ-სრიტზე – თან ქვაფენილზე სულ ნაპერნკლებს ყრიდა.

დედამ ამოიგლივა სულიდან ის „რაღაც“ და უმნიკვლო
დარჩა.

რომ იცოდეთ, როგორ სძულდა კერის დედა!

გოგონამ კარზე ჩამოკიდებულ პატარა სარკეში თავის
ანარეკლს მოჰკრა თვალი. პლასტიკის იაფფასიან ჩარჩოში
ჩასმული სარკე ისეთი პატარა იყო, მხოლოდ თმის დასავარ-
ცხნად თუ გამოდგებოდა.

კერის სძულდა საკუთარი სახე – თავისი ბრიყვული, უაზ-
რო გამომეტყველება; უფერული თვალები; წითელი, მბზინავი
მუნუკები; აქა-იქ მიმოფანტული ფერიმჭამელები...

უცრად მისი ანარეკლი ორად გაიპო. გატეხილი სარკე
ჩამოვარდა და კერის ფეხებთან ნამსხვრევებად იქცა. კარზე
კი მხოლოდ პლასტიკის ცარიელი ჩარჩო დარჩა – თვალამოგ-
დებულ ფოსოსავით.

ოგილვის „ფსიქიკური მოვლენების ლექსიკონიდან“:

„ტელეკინეზი – გონების ძალით საგნების გადაადგილე-
ბის ან საგნებში ცვლილებათა გამოწვევის უნარი. ფენომე-
ნი ხშირად თავს იჩენს სხვადასხვა სახის კრიზისულ სიტუა-
ციებში. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მძიმე საგნების
ქვეშ მოყოლილი ადამიანების გასათავისუფლებლად ჰაერში
აუნევიათ ავტომობილები ან შენობის ჩამოქცეული კედლები.
ამ მოვლენას ხშირად ურევენ პოლტერგეისტში (რაც სიტ-
ყვასიტყვით „ცელქ სულს“ ნიშნავს). უნდა აღინიშნოს, რომ
პოლტერგეისტი ასტრალური მოვლენაა, რომლის არსებობაც
დღემდე დაუდასტურებელია. ტელეკინეზი კი გონების მოქმე-
დების გამოვლინებად მიიჩნევა, სავარაუდოდ, ტვინის ელექ-
ტროქიმიური თვისებებით აიხნება...“

„ფურნიდის“ უკანა სავარიძელზე ტომი როსთან თომარს რომ მოჩინა, სიუ სწელმა აუჩქარებლად გაისწორა ტანსაცმელი და რატომლაც ისევ კერი გაახსენდა.

პარასკევი საღამო იყო და ტომიმ (ის ისევ შარვალჩახ-დოლი იჯდა და ჩაფიქრებული იმზირებოდა უკანა ფანჯარაში – ცოტა არ იყოს, სასაცილო და თანაც გულის ამაჩუყებელი სანახავი იყო) ბოულინგის სათამაშოდ ნაიყვანა. რასაკვირველია, ბოულინგი ორივესთვის მხოლოდ სახლიდან გამოსვლის საბაზი იყო და სხვა არაფერი – სექსის გარდა, მათ არაფერი უნდოდათ.

სიუ ტომის ოქტომბრიდან ხვდებოდა (უკვე მაისი იყო), მაგრამ საყვარლები სულ რაღაც ორი კვირის ნინ გახდნენ. „ეს უკვე მეშვიდეა, – დაითვალა სიუმ გონებაში. – დიდი არაფერი, მაგრამ ნინას ცოტათი ჯობდა“.

პირველად სიუს ძალიან ეტკინა. მის უახლოეს მეგობრებს, ჰელენ შირსსა და ჯინ გოლტის უკვე ჰქონდათ ამის გამოცდილება და არნმუნებდნენ – მტკიცნეული სულაც არაა, ნემსის ჩხვლეტას ჰეგავსო... შემდეგ კი სამოთხის ნეტარებას ჰპირდებოდნენ. მაგრამ პირველ დღეს სიუ ისეთ დღეში ჩავარდა, თითქოს თოხის ტარი შეარჭესო. მოგვიანებით ტომი გამოუტყდა, რომ პრეზერვატივი არასწორად ჩამოიცვა.

დღეს კი სიუმ უკვე მეორედ იგრძნო სიამოვნების მსგავსი რაღაც, მაგრამ ყველაფერი მალევე დამთავრდა. თავიდან ტომი მედგრად იდგა, თუმცა მერე ბრახ, და ყველაფერი მოჩინა. მოკლედ, არც ისე ინვიმა, როგორც ქუხდა.

ამის გამო სიუს სევდა შემოანვა და კერი გაახსენდა. სირცხვილის გრძნობამ მაინცდამაინც მაშინ გადაუარა ტალღასავით, როცა ემოციურად სრულიად დაუცველი იყო... ცოტა ხნის შემდეგ ტომიმ, როგორც იქნა, თვალი მოსწყვიტა ბრი-

ქიარდ პილის მშვენიერ ხედს და ცხარე ცრემლით მტირალი სიუ შერჩა ხელში.

— ჰეი, — უთხრა შეძლოთებულმა და მოუქნელად მოეხვია,
— რა გატირებს?

— ყველაფერი რიგზეა, — მიუგო სიუმ სლუკუნით. — შენ
არაფერ შეუაში ხარ. უბრალოდ, დღეს ძალიან ცუდი რამ ჩავი-
დინე და ახლა გამახსენდა.

— მაინც რა ჩაიდინე? — ტომი ნაზად მიეფერა კისერზე.

თავისდაუნებურად სიუ საშხაპის ამბის მოყოლას შეუდგა
— თან არც კი სჯეროდა, ამაზე რომ ლაპარაკობდა. სიმარ-
თლეს თვალს თუ გავუსწორებთ, სიუმ ტომის იმიტომ მისცა,
რომ (უყვარდა? ჭკუას კარგავდა მის გამო? ამას მნიშვნელო-
ბა არ აქვს — შედეგი ერთია)... იმ დილით ჩადენილ სისაძაგ-
ლეში გამოტყდომა კი სულაც არ იყო ბიჭის გულის მოგების
საუკეთესო საშუალება. ტომი, ყველაფერთან ერთად, პოპუ-
ლარულიც იყო. სიუც პოპულარულ გოგოდ ითვლებოდა და
თითქოს წინასწარ ჰქონდა დასახული თავისნაირის შეყვარე-
ბა. ისინი უსათუოდ უნდა აერჩიათ გამოსაშვები მეჯლისის
მეფედ და დედოფლად. უფროსმა კლასმა უკვე აირჩია ისინი
სკოლის „საუკეთესო წყვილად“. ერთი სიტყვით, სიუ და ტო-
მი ვარსკვლავებად გაბრნყინდნენ სასკოლო ურთიერთობების
მუდამ ცვალებად ცის კაბადონზე და გარშემო მყოფთათვის
ერთგვარ რომეოდ და ჯულიეტად გადაიქცნენ.

ახლა კი სიუ, ზიზლითა და დარდით გულდამძიმებული,
ფიქრობდა, რომ თეთრკანიანი ამერიკის ყველა პროვინციული
ქალაქის თითოეულ საშუალო სკოლას ჰყავდა ზუსტად მათ-
ნაირი წყვილი.

ახლა, როცა მიიღო ის, რაზეც ყოველთვის ოცნებობდა —
სტატუსი, დაცულობისა და თავდაჯერებულობის შეგრძნება

- სიუმ უეცრად აღმოაჩინა, რომ ამ ყველაფერს აჩრდილივით მუდამ თან სდევდა შფოთიც. მას სულ სხვანაირად წარმოედგინა ეს ყველაფერი. მათი თბილი, მყუდრო და ნათელი წრის გარშემო შავ-ბნელი აჩრდილები შემოკრებილიყვნენ. ერთი ასეთი აჩრდილი იყო გამუდმებული ფიქრი იმაზე, რომ ტომის მხოლოდ იმიტომ მოატყნევინა თავი (აუცილებელი იყო ამ სიტყვის ხმარება? კი, ამჯერად აუცილებელი იყო), რომ ის ვაუბატონი პოპულარობით სარგებლობდა; ან ის ფაქტი, რომ მათ ერთად სიარული აწყობდათ; ანდა ის, რომ მაღაზიის ვიტრინაში თავისი და ტომის ანარეკლების დანახვისას ფიქრობდა
- რა ლამაზი წყვილი ვართო. სიუ დარწმუნებული იყო (ან შეიძლება მხოლოდ იმედი ჰქონდა), რომ აუცილებლად გამონახავდა ძალას და არ დაჲყვებოდა მშობლების, მეგობრებისა და, თუგინდ, საკუთარ სურვილებსა და მოლოდინს. მაგრამ იმ დილით საშხაპეში ცუდი რამ მოხდა და სიუც სხვებთან ერთად მონაწილეობდა ამ უმსგავსობაში – სხვებივით კიოდა და სასტიკად იქცეოდა. ფრაზა „ისე მოიქაცი, როგორც ყველა იქცევა“ გულის ამრევ სურათებს უხატავდა მის წარმოსახვას. მართლაც ცუდი წარმოსადგენია მთელი დღის განმავლობაში თმაში ჩახვეული ბიგუდებით საუთოო მაგიდასთან დგომა და საპნის ოპერების ყურება, სანამ ქმარი რომელილაც უსახუროვისში „ინყვეტს წელს“; მერე მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციაში შესვლა, მერე კი, შემოსავლის ხუთნიშნა ციფრამდე ზრდასთან ერთად, ქალაქების კლუბში განევრიანება; ყვითელგარსიანი მრგვალი აბების გაუთავებლად ყლაპვა სხეულის ქალწულობის დროინდელი ფორმების შესანარჩუნებლად და იმ უცხო არსებებისგან თავდასაცავად, სულ რომ იჯვამენ და ლამის ორ საათზე გამყინავი ხმით ინყებენ ტირილს; ტერი სმიტთან (1975 წლის მის „კარტოფილის ყვავილთან“)

და ვიკი ჯონსთან (ქალთა ლიგის ვიცეპრეზიდენტთან) ერთად სუფთა, უზანგო ქალაქისთვის თავდადებული ბრძოლა – პლა-კატებით, პეტიციებითა და დალლილი, მოღიმარი სახეებით...

კერი... ყველაფერი წყეული კერის ბრალი იყო. შესაძლოა, სიუს ადრეც ესმოდა ნათელი ნრის გარედან მომავალი ნაბი-ჯის ჩუმი ხმა, მაგრამ დღეს, თავისი უსინდისობის ამბის მო-ყოლისას, ცხადად დაინახა ეს აჩრდილები – წყვდიადში ლამ-პიონებივით რომ უნათებდათ ყვითელი თვალები.

სიუს კი უკვე კაბაც ნაყიდი ჰქონდა გამოსაშვები მეჯლი-სისთვის – ცისფერი, ძალიან ლამაზი კაბა.

– მართალი ხარ, – უთხრა ჭომიმ, როცა სიუმ თხრობა დასრულა. – მაგაში კარგი არაფერია. არადა, ეგეთი რამები არ გჩვევია, – ჭომის მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა და სიუ შიშმა შეიჰყო. მაგრამ მერე ბიჭმა გაულიმა და მისმა ხალი-სიანმა ლიმილმა შიში თითქმის გაუქარნყლა.

– ერთხელ უგონოდ მყოფს დავარტყო. არასოდეს მომი-ყოლია?

სიუმ თავი გააქნია.

– ჰო, – ჭომიმ ფიქრიანად მოისრისა ცხვირი, ლოყა ოდ-ნავ აუთრთოლდა. მაშინაც ასეთი იერი ჰქონდა, პრეზერვატი-ვის შესახებ რომ გამოუტყდა. – დენი პატრიკი ერქვა. მეექვსე კლასში მაგრად მცემა. ვერ ვიტანდი, მაგრამ თან მეშინოდა მისი. სულ ხელსაყრელ დროს ვუცდიდი შურის საძიებლად. ხომ იცი, როგორ ხდება ხოლმე?

სიუ ვერ მიხვდა, ჭომი რას გულისხმობდა, მაგრამ მაინც დაუქნია თავი.

– მოკლედ, ერთი-ორი ნლის შემდეგ ცუდი რამე გაიჩალი-ჩა: ისეთ ვინმეს აუშარდა, ვისაც არ უნდა აშარებოდა. გვყავდა ერთი ასეთი – პიტ ჭაბერი. პატარა, მაგრამ ჯანიანი. დენიმ

რაღაცაზე გაუხურა... აღარც მახსოვს, რაზე... მგონი, შუშის ბურთულების წართმევა უნდოდა. პიტმა ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და გემრიელად დაქოთა. პირდაპირ სკოლის მოედანზე სცემა. დენი დაეცა, თავი დაარტყა და გონება დაკარგა. ყველანი გავიქეცით – გვეგონა, მოკვდა. ოლონდ სანამ გავიქცეოდი, ნეკნებში წიხლი ვუთავაზე. მერე კი ძალიან შემრცხვა... ბოდიშის მოხდას არ აპირებ?

- შენ რა, მოუხადე?
- ჰა? არა, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა, სუზი.

- ეგრე გგონია?
- ჯერ ერთი, მეშვიდე კლასში უკვე აღარ ვართ. თანაც, მე რაღაც მიზეზი მაინც მქონდა (თუმცა ეს დიდი ვერაფერი გამართლება). შენ კი რა დაგიშავა იმ შტერმა გოგომ?

სიუმ არ უპაუხა – სათქმელი არაფერი ჰქონდა. მთელი ცხოვრების მანძილზე კერისთვის ასი სიტყვა თუ ექნებოდა ნათქვამი და ამ ასი სიტყვის ნახევარზე მეტი გუშინ უთხრა. დაწყებითი სკოლის შემდეგ ფიზკულტურის დარბაზი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ: კერი კომერციისა და ბიზნესის განხრით მიდიოდა. სიუ კი, რასაკვირველია, კოლეჯისთვის ემზადებოდა.

უეცრად საკუთარი თავის მიმართ ზიზღი იგრძნო. სიუმ მეტის ატანა ვეღარ შეძლო და ტომის შეუტია:

- როდის აქეთ გახდი ასეთი წესიერი? მას შემდეგ, რაც ჩემთან დაინყე სიარული?

ტომის ღიმილი უკვალოდ გაუქრა და სიუმ ინანა თავისი სიტყვები.

- ალბათ, აჯობებდა ჩუმად ვყოფილიყავი, – ჩაილაპარაკა და შარვლის ანევას შეუდგა.

– მაპატიე, შენ კი არა, მე უნდა დამეჭირა ენაზე კბილი,
– სიუმ ხელზე ხელი მოუთათუნა. – უბრალოდ მრცხვენია,
ხომ გესმის?

– მესმის. მაგრამ ჯობდა, რჩევები ჩემთვის შემენახა. რო-
გორც ხედავ, ცუდი მრჩეველი ვარ.

– ტომი, ზოგჯერ არ გაღიზიანებს ეს შენი... პოპულარო-
ბა?

– რა? – კითხვამ აშკარად გააკვირვა. – იმას გულისხმობ,
ფეხბურთს რომ ვთამაშობ და კლასის პრეზიდენტი რომ ვარ?

– ჰა.

– არა. იმიტომ, რომ მაგას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.
საერთოდ, ცხოვრებაში მთავარი სკოლა არაა. სანამ სწავლობ,
კი გეჩვენება, რომ ეს ძალიან კარგია, მაგრამ მერე ასეთი რა-
მეები ვიღას ახსოვს! ერთად როცა შეიკრიბებიან და ლუდით
გაიჭყიპებიან, შეიძლება მხოლოდ მაშინ გაიხსენონ. ყოველ
შემთხვევაში, ჩემი ძმა და მისი ძმაკაცები სწორედ ასე არიან.

სიუს შვება არ უგრძნია. პირიქით, უფრო ძლიერმა შიშ-
მა შეიძყრო. აი, პატარა სიუ იუვინის სკოლიდან – სკოლის
თაგულის მთავარი ყვავილი. გამოსაშვები მეჯლისის კაბა კი,
პოლიეტილენის შალითაში ჩადებული, სამუდამოდ შეუკიდიათ
კარადაში...

ოდნავ დაორთქლილი შუშების მიღმა ბინდი ჩამოწვა.

– ალბათ, ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ მამაჩემის
ავტოსახელოსნოში დავინყებ მუშაობას, – თქვა ტომიმ. – პა-
რასკევობით და შაბათობით ლუდით გამოვთვრები ხოლმე
„ძია ბილში“ ან „კავალიერში“ და გავიხსენებ, როგორ წავარ-
თვი სანდერსს ბურთი და როგორ დავამარცხეთ დორჩესტე-
რი. ჯუჯლუნა ცოლი მეყოლება და ყოველთვის დემოკრატებს
მივცემ ხოლმე ხმას...

- გეუკოფა, - სიუმ შიშის მოტებო გემო იგრძნო და ჭო-
მი თავისკენ მიიზიდა. - მომეფერე. ვერ გამიგია, რა მჭირს
დღეს. მომეფერე. მომეფერე.

ტომიც მოეფერა... ამჯერად ყველაფერი სხვანაირად მოხ-
და. ამჯერად მათთვის არაფერს შეუშლია ხელი - არ ყოფილა
უზრო ფაციუსუცი და თანაბარ, ზომიერ რიტმს სულ მაღლა
და მაღლა მიჰყავდა ორივე. ტომი ორჯერ შეჩერდა - სულის
მოსათქმელად და თავის შესაკავებლად. მერე ისევ განაგრძო
(ჩემამდე არავინ ჰყოლია. თვითონ გამომიტყდა, არადა, რომ
ეცრუა, დავუჯერებდი), თანაც მთელი შემართებით განაგრძო.

სიუს სუნთქვა გაუხშირდა. მერე ერთი-ორჯერ წამოიკივ-
ლა. მერე კი ტომის ზურგზე ხელები შემოაჭდო და ყველა ცუ-
ჭი ნინათგრძნობა და საფიქრალი უკვალოდ გაუქრა. თითქოს
მისმა თითოეულმა უჯრედმა საკუთარი ორგაზმი განიცადა,
მთელი სხეული მზის კაშკაშია სინათლით აევსო, გონებაში კი
მუსიკა აგუგუნდა და ნაირფერი პეპლები აფარფატდნენ...

მოგვიანებით, უკვე სახლში რომ ბრუნდებოდნენ, ტომიმ
უთხრა, მინდა, გამოსაშვებ მეჯლისზე მე მახლდეო. სიუ და-
თანხმდა. მერე ტომიმ ჰკითხა, კერისთან დაკავშირებით რას
აპირებო. სიუმ მიუგო, ჯერ არ გადამინყვეტიაო. ტომიმ -
მაგას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვსო. სიუს კი უეცრად მოეჩ-
ვენა, რომ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სტატიიდან „ტელეკინეზი: ანალიზი და შედეგები“ („ყო-
ველნლიური სამეცნიერო ალმანახი“, 1982), დეკანი კ. ლ. მაკ-
გაფინი:

„რა თქმა უნდა, დღესაც არიან მეცნიერები (სამწუხაროდ,
მათ მორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი დიუკის უნივერ-

სიტეტის თანამშრომლებს უკავიათ), რომლებიც უარყოფენ კერი უაიტის ისტორიიდან გამომდინარე დაუჯერებელ დასკვნებს. „ბრტყელი დედამიწის“ თეორიის მომხრეთა, როზენკრეიცერთა თუ კროლის მიმდევართა მსგავსად, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ ატომური ბომბის აფეთქება ფიზიკურად შეუძლებელია, ეს საწყლებიც ქვიშაში თავჩარგულები უყურებენ ფაქტებს – ბოდიშს გიხდით ასეთი უჩვეულო მეტაფორისთვის.

რა თქმა უნდა, ძნელი არაა სამეცნიერო ნრეების კრიტიკული ნერილებისა თუ კონფერენციებზე გამართული ცხარე დისკუსიების მიზეზების გაგება. სამეცნიერო საზოგადოება ტელეკინეზის იდეასაც კი ძნელად შეეგუა. ეს ბუნებრივიცა, რადგან ამ იდეას ყოველთვის თან სდევენ სპირიტისტები, მედიუმები, თეოფის ტრიალი და გაბრნყინებული შარავანდები – ერთი სიტყვით, თავი საშინელებთა ფილმში გეგონება.

კერი უაიტის ისტორიის ფინალი ძალიან რთულ და შემაშფოთებელ კითხვებს წარმოშობს. თითქოს მიწისძვრამ შეაზანზარა ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, როგორ უნდა იქცეოდეს რეალური სამყარო. ამიტომაც, განა მართებულია ჯერალდ ლუპონეს მსგავსი ცნობილი ფიზიკოსის გაკრიტიკება იმის გამო, რომ, უამრავი სარწმუნო მტკიცებულების ნახვის მიუხედავად, კვლავაც მისტიფიკაციად მიიჩნევს მომხდარს? რადგან, თუკი კერი უაიტი ჭეშმარიტებაა, ნიუტონს რაღა ვუყოთ?..“

კერი დედასთან ერთად სასტუმრო ოთახში იჯდა და ტენესი ერნი ფორდის სიმღერას („დაე, ენთოს მქრქალი შუქი“) უსმენდა. ფირფიტა ტრიალებდა ძველ ფონოგრაფზე, რომელსაც დედა „ვიქტოროლას“ (განსაკუთრებულად კარგ ხასიათ

ზე ყოფნისას კი „ვიკის“) ეძახდა. კერი საკერავ მანქანასთან იჯდა, ფეხით პედალს აწვებოდა და ახალ პალტოს სახელოს აკერებდა. დედა თაბაშირის ჯვარცმის ქვეშ მოკალათებულიყო, მაქმანებს ქსოვდა და მუსიკას ბაკუნით აყოლებდა ფეხს. ამ და უამრავი სხვა ჰიმნის დამწერი მისტერ პ. პ. ბლისი დედასთვის მიწაზე ღვთის მოლვანეობის უბრნყინვალეს ნიმუშს წარმოადგენდა. ადრე მისტერ ბლისი მეზღვაური, დიდი ცოდვილი (რაც მარგარეტ უაიტისთვის ერთი და იგივე იყო) და ღვთის მგმობელი იყო. მაგრამ ერთხელ ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა და როდესაც ნავი ის იყო უნდა გადაბრუნებულიყო და ჩაძირულიყო, მისტერ ბლისს ჯოჯოხეთის ხილვა ზეგარემოევლინა – მის ქვეშ ზღვის ფსკერი განიხვნა, რომ შთაეთანთქა. მაშინ მისტერ ბლისი ცოდვილ მუხლებზე დაემხო და ლოცვა აღავლინა. იგი შეპეირდა უფალს, რომ თუ გადარჩებოდა, დარჩენილ სიცოცხლეს მის სამსახურს შეალევდა... და ქარიშხალიც, ბუნებრივია, მაშინვე ჩადგა.

შორით კაშკაშებს უფლის შუქურა,
ჩვენც მუდამ ღმერთის მიმართ ვილოცებთ
და მარად მისი ალთქმის ერთგულნი
სანთლად ვენთებით სანაპიროზე...

მისტერ ბლისის ყველა ჰიმნში ზღვის თემატიკა ჭარბობდა. იმ დღეს კერი ძალიან ლამაზ კაბას კერავდა – თავად კაბა შინდისფერი იყო (ნითლის შეკერვის ნებას დედა არ აძლევდა), სახელოებზე კი ლამაზი ნაკეცები ჰქონდა. გოგონა ცდილობდა, საქმიდან ყურადღება არ გადაეტანა, მაგრამ ძალაუნებურად მაინც ათასი რამ აგონდებოდა. ჭერზე ჩამოყიდებული ჭალიდან მძლავრი ყვითელი შუქი იღვრებოდა. პლუ-

შის პატარა მტვრიან დივანზე არავინ იჯდა (კერის ბიჭები არასოდეს სტუმრობდნენ), ოთახის შორეულ კედელზე ორი ჩრდილი კრთოდა: ჯვარცმული ქრისტესი და ჯვრის ქვეშ მოკალათებული მარგარეტ უაიტის – სამრეცხაოში სკოლიდან დაურეკეს და ისიც ნაშუადლევს უკვე შინ იყო. კერიმ ჯერ კიდევ ფანჯრიდან დაინახა, როგორ უახლოვდებოდა დედამისი სახლს და კანკალმა აიტანა.

მარგარეტი ზორბა ტანის ქალი იყო და მუდამ ფართო-ფართულიანი ქუდით დადიოდა. ბოლო დროს ფეხები უსივ-დებოდა და ზოგჯერ იფიქრებდი, ტერფები ფეხაცმლიდან ცომივით გადმოსდისო. ქუჩაში ბენვისსაყელოიან თხელ შავ პალტოს იცვამდა. მისი ცისფერი თვალები ბიფოკალური სათვალის მიღმა ვეებერთელა ჩანდა. სახლიდან უჩანთოდ არასოდეს გადიოდა. ჩანთაში ელაგა: ხურდის ჩასაყრელი პორტმონე, მსხვილი კუპიურებისთვის განკუთვნილი საფულე (ორივე შავი ფერის) და დიდი ბიბლია (ისიც შავყდიანი), რომელზეც ოქროსფერი ასოებით მისი სახელი ენერა. გარდა ამისა, ჩანთის გვერდითა ჯიბეში რელიგიური ბუკლეტების რეზინით შეკრული დასტაც იდო. ბუკლეტების უმეტესობა ნარინჯის-ფერი და უხარისხოდ დაბეჭდილი იყო.

კერის ბუნდოვნად ახსოვდა, რომ დედა და მამა რალფი ადრე ბაპტისტები იყვნენ. მავრამ მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ ბაპტისტები ანტიქრისტეს ემსახურებიან, ლვთისმსახურებას სახლში ატარებდნენ. დედა სამშაბათობით, პარასკევობით და კვირაობით „ნირავდა“ და ამ დღეებს „ნმინდა დღეებს“ უძახდა. დედა მღვდლის როლს ასრულებდა, კერი – კონგრეგაციისას. თავად ნირვა კი ორ-სამ საათს გრძელდებოდა.

როცა დედამ კარი გაალო და სახლში შემოვიდა, კერი მისაღებში იდგა. ნამით ერთმანეთს შეხედეს – როგორც ვესალებში

ტერნის გმირებმა გადამწყვეტი ბრძოლის ნინ. ასეთი ნამები (ნუთუ დედიკოს თვალებში შიშმა გაუელვა?) მოგვიანებით ბევრად უფრო გრძლად გეჩვენება.

დედამ კარი მიხურა.

— შენ ქალი ხარ... — თქვა ჩუმად.

კერიმ იგრძნო, როგორ აუცახცახდა ტუჩები და როგორ დაემანჭა სახე, მაგრამ თავს ვერაფერი მოუხერხა.

— რატომ არ გამაფრთხილე? — ჰეითხა ტირილით, — რომ იცოდე, როგორ შემეშინდა!.. გოგოები კი დამცინოდნენ, ათას რამეს მესროდნენ და...

სანამ ლაპარაკობდა, დედა მიუახლოვდა და უეცრად მისმა კოურიანმა, დაკუნთულმა ხელმა მოქნილ ნკეპლასავით გაინუილა ჰაერში და ლანანით მოხვდა კერის ლოკაზე. კერიმ მოულოდნელობისგან შეჰკივლა და იატაკზე გაიშხლართა.

— ...ღმერთმა კი ევა ადამის ნეკნიდან შექმნა, — დედა კერის სათვალის შუშებით გადიდებული, ტაფაზე დახლილი კვერცხივით ვეებერთელა თვალებით დააცექერდა და ფეხი მიარტყა.

კერიმ ისევ შეჰყვირა.

— ადექი, ქალო! ნამოდი, ვილოცოთ! ვევედროთ იქსოს ქალთა სუსტი, ცოდვილი სულების გამო!

— დედა...

კერი ბლაოდა — დიდი ხნით მიყუჩებულმა ისტერიკამ უეცრად ამოხეთქა. გოგონამ ფეხზე ნამოდგომაც ვერ შეძლო — ცრემლიან სახეზე მიწებებული განენილი თმით იატაკზე დახოხავდა და სლუკუნებდა. დედა კი დროდადრო ფეხებს ურტყამდა. ასე ხოხვით მიაღწიეს მისალებიდან საკურთხევლამდე, ყოფილ საძინებელში რომ ჰქონდათ მოწყობილი.

— ევა კი სუსტი იყო და... თქვი, ქალო, თქვი!

— არა, დედიკო, გეხვენები, მიშველე...

კერის კიდევ მოხვდა ფეხი.

- ევა კი სუსტი იყო და შავი ყორანი აფრინა ქვეყანაზე,
- განაგრძო დედამ. – და ერქვა ამ ყორანს სახელად „ცოდვა“ და სქესობრივი კავშირი იყო პირველცოდვა. და დაწყევლა უფალმა ევა და ეს წყევლა სისხლის წყევლა იყო. ადამი და ევა განიდევნენ ედემის ბალიდან და ნახა ევამ, როგორ ეზრდებოდა მუცელში ბავშვი.

დედამ კიდევ ერთი ნიხლი მიარტყა უკანალში და კერი ცხვირით გასრიალდა ხის იატაკზე. ამასობაში საკურთხეველს მიუახლოვდნენ. მაგიდაზე აბრეშუმის მოქარგული გადასაფარებელი ეფარა და ჯვარი იდო; აქეთ-იქით, კუთხებში კი თეთრი სანთლები იდგა. სანთლებს ფერადი სურათებიდან ქრისტე და მოციქულები დასცეროდნენ. ხელმარჯვნივ კი საშინელ, ბნელ გამოქვაბულს დაეფრინა ხახა – ადგილს, სადაც კვდებოდა უფლის (და დედის) ნებასთან შენინაღმდეგების ყველა იმედი და სურვილი. საკუჭნაო ლია იყო – თითქოს დასცინოდა კიდეც კერის. შიგნით კი, მუდამ ანთებული ლურჯი ლამპის ქვეშ, ჯონათან ედუარდსის ცნობილი ქადაგებით შთაგონებული ნახატი – „ცოდვილნი განრისხებული უფლის ხელში“ – ეკიდა.

- ხოლო პირველს მოჰყვა მეორე წყევლა, – შესძახა დედამ. – წყევლა ბავშვის შობისა, და შვა ევამ კაენი ტანჯვითა და ტკივილით.

მერე ისე, რომ ნამოდგომა არ აცალა, ძალით მიათრია ქალიშვილი საკურთხეველთან, მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი და გვერდით ჩაიმუხლა.

- ხოლო კაენის შემდგომად შვა ევამ აბელი, რამეთუ ვუ განინმინდა სქესობრივი ურთიერთობის ცოდვისგან... და ამიტომაც დაწყევლა იგი უფალმა კაცისკვლის წყევლით.

და მოკლა კაენმა აბელი ქვით. და მაინც განინმინდნენ ევა და მისი ქალიშვილები ცოდვისგან... და ამ ცოდვაზე და-ფუძნა ცბიერმა გველმა გარყვნილებისა და სისაძაგლის სამ-კვიდრო თვისი.

— დედიკო! — იყვირა კერიმ. — დედა, გეხვენები, დამიგდე ყური. მე არაფერი დამიშავებია!

— დახარე თავი! — დაიუინა დედამ. — დროა, ვილოცოთ!

— უნდა გავეფრთხილებინე!

დედამ მძიმედ ჩასცხო კერის კეფაში. ამ ნამორტყელაში ცხადად იგრძნობოდა თეთრეულის ფუთებისა და სველი ზენ-რებით დატვირთული ურიკების თრევაში გატარებული თერთ-მეტივე ნელი. კერიმ მოულოდნელობისაგან ნინ გადაიქნია თავი და ისე სდომუზა შუბლი საკურთხეველს, რომ სანთლები შეზანზარდა, შუბლზე კი ნითელი ლაქა დააჩნდა.

— ვილოცოთ, — უთხრა დედამ ჩუმად, მაგრამ მტკიცედ.

კერიმ სლუკუნითა და ცხვირის სრუტუნით დახარა თავი. ზედა ტუჩითან ნესტოდან გადმოკიდებული ნვინტლი უქანავებდა ქანქარასავით და გოგონამაც (ლმერთო, ხუთი ცენტიც რომ მომცე თითოეულ ტირილში... ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვუტირებივარ ამ ოთახში) სახელოთი მოიხოცა ცხვირი.

— ლმერთო მოწყალეო, — დედამ თავი უკან გადაიქნია და შეჰდალადა, — შეენიე ამ ცოდვილ ქალს, რომ განჭვრიტოს ცოდვა თავისი ასაკისა და თავისი სიცოცხლისა. შეასმინე, რომ უცოდველ ქალს არასოდეს ენეოდა ნყევლა სისხლისა! ალბათ ავხორცობის ცოდვით შეიბილნა თავი. ალბათ, როკ-ენ-როლს მოუსმინა რადიოში. ან ვინ იცის, იქნებ ანტიქრისტემ შეაცდინა... უჩვენე, რომ ეს შენი შურისმაძიებელი, თუმ-ცალა მადლიანი ხელების ნამოქმედარია...

— არა! გამიშვი!

კერიმ წამოდგომა სცადა, მაგრამ დედამ მაგრად ჩასჭიდა ლონიერი, ფოლადის ბორკილივით მტკიცე ხელი და ისევ დაარიქა.

— ...და რომ ეს შენი ნიშანია, რომ ამიერიდან მართალი გზით უნდა იაროს, თორემ ენევა ტანჯვა გეენისა. ამინ! — მარგარეტმა ყურადღებით შეათვალიერა ქალიშვილი თავისი გაბრძყინებული, ვეებერთელა თვალებით და დასძინა: — ახლა კი შედი საკუჭნაოში.

— არა! — კერის შიშისგან სუნთქვა შეეკრა.

— საკუჭნაოში შედი-მეთქი! და ილოცე. შენდობა სთხოვე უფალს ცოდვებისთვის.

— მე არაფერი შემიცოდია, დედა! მე კი არა, შენ შესცოდე. შენ არ გამაფრთხილე და ამიტომაც დამცინა ყველამ.

კერის ისევ მოეჩვენა, რომ დედის თვალებში შიში დაინახა. თუმცა ეს შეგრძნება მყისვე გაუქრა. მარგარეტი სწრაფად მოეგო გონს და ლურჯად განათებულ საკუჭნაოში კერის შეთრევას შეეცადა.

— ილოცე და მოგეტევება ცოდვები.

— დედა, ხელი გამიშვი! ახლავე!

— ილოცე, ქალო!

— იცოდე, ისევ მოვიყვან ქვის სეტყვას!

დედა გაქვავდა. წამით თითქოს სუნთქვაც კი შეეკრა.

მერე კი კერის ყელში სწვდა და წაუჭირა.

მანამ უჭერდა, სანამ გოგონას თვალთ არ დაუბნელდა

— ფიქრები აერია და უკვალოდ გაეფანტა... მხოლოდ დედის ვეებერთელა თვალებს ხედავდა.

— ეშმაკის ნაშიერო! — ჩაისისინა მარგარეტმა. — ლმერთო, რატომ დამწყევლე ასე?!

კერი გამალებით ეძებდა სიტყვებს, რომლებშიც სრულად ჩატევდა მთელ თავის სიძულვილსა და ტკივილს, სირცხვილსა და შიშს. თითქოს მთელი მისი სიცოცხლე ამ უსუსური აპბოხის ერთ წამიერ გაელვებაში ჩატეულიყოს. მერე ფართოდ დაჭყეტილი თვალებით შეხედა დედას, დორბლით სავსე პირი გააღო და...

— ძუკნა! — შეუძახა.

— ცოდვა! დიდი ცოდვა! — დამდულრულ კატასავით დაიჩხავლა მარგარეტმა. მერე ზურგში, კისერსა და თავში დაუშინა კერის ხელები და ისევ ლურჯი საკუჭნაოსკენ გაახოხიალა.

— ნახმარო ძუკნა! — ისევ დაუყვირა კერიმ.

(ჰო, ასე, ასე! რა თქმა უნდა... აბა, სხვანაირად როგორ გავუჩნდებოდი?!)

მერე საკუჭნაოში შეფრინდა, თავი კედელს მიარტყა და თითქმის უგონოდ დაეცა იატაკზე. საკუჭნაოს კარი დაიხურა და კლიტემ დაიჩხაკუნა.

კერი მარტო დარჩა მრისხანე ღმერთთან.

ლურჯი შუქით განათებულ ნახატზე ვეებერთელა, თეთრნვერა იელოვა ლრუბლებიდან ცეცხლოვან ქვესკნელში ყრიდა აყვირებულ ადამიანებს. ქვემოთ, გეენის ცეცხლში შემზავი დემონები დაძრნოდნენ, ალმოდებულ ტახტზე კი შავი კაცი იჯდა სამკაპით ხელში. კაცს ადამიანის სხეული, წანვეტებული კუდი და ტურის თავი ჰქონდა.

ამჯერად ვერ გამტეხს.

მაგრამ მაინც ვერ მოითმინა...

ექვსი საათიც არ გასულიყო, რომ ატირდა და დედას დაუწყო ძახილი, გამომიშვიო — საპირფარეშოში უნდოდა...

შავი კაცი კი ბოროტად იკრიფტებოდა და წითელ თვალებში ეტყობოდა, რომ ყველაფერი იცოდა დედათა წესის შესახებ.

ერთსათანი ტირილისა და ძახილის შემდეგ მარგარეტმა კარი გაუღო და კერიც თავქუდმოგლეჯლი გავარდა საპირფარეშოსკენ.

მაგრამ მხოლოდ ახლა, საკერავ მანქანასთან მორჩილად მჯდომს გაახსენდა დედის თვალებში დანახული შიში და თითქოს მიხვდა, რაც ხდებოდა.

მარგარეტი საკუჭნაოში ხშირად კეტავდა... ზოგჯერ მთელი დღითაც კი – მაგალითად, როგორც იმ დღეს, შუბერის მაღაზიაში ორმოცდაცხრაცენტიანი ბეჭედი რომ მოიპარა, ან მაშინ, როცა ბობი პიკეტის ფოტო უპოვა ბალიშის ქვეშ. ერთხელ კერიმ შიმშილისა და შარდის სუნისგან გონებაც კი დაკარგა. ის არასოდეს ეკამათებოდა დედას. დღეს კი შეუკურთხა კიდეც, მაგრამ, ამის მიუხედავად, თითქმის ხელადვე გამოუშვეს...

ესეც ასე. კაბა მზადაა. კერიმ პედლიდან ფეხი აიღო და კაბა სინათლეზე შეათვალიერა. კაბა გრძელი და უშნო იყო – თავიდანვე შესძულდა.

ახლა უკვე იცოდა, რატომაც გამოუშვა დედამ.

– შეიძლება, დავიძინო? – ჰეითხა მორჩილად.

– კი, – დედას ხელსაქმისგან თავი არ აუღია.

კერიმ კაბა მკლავზე გადაიკიდა და საკერავ მანქანას დახედა, პედალი თავისით დაიძრა დაბლა. მერე ნემსი ახტუნავდა, მასრა ამოძრავდა და გვერდითა ბორბალიც დატრიალდა.

დედამ თავი ასწია და ფართოდ გახელილი თვალებით მიაშტერდა. ხელსახოცის კიდეზე ამოქსოვილი რთული და მკაცრი ორნამენტი გაიხსნა და დაიშალა.

- უბრალოდ, ძაფს ვიღებ, - ჩუმად ჩაილაპარაკა კერიმ.
- წადი, დაიძინე, - მოუჭრა დედამ და მის ხმაში ისევ შიშმა გაიჟღერა.
- ჰო, (ალბათ შეეშინდა, კარი არ ჩამომეგლიჯა) დედა. (არადა, ჩამოვგლეჯდი. მგონი, შევძლებდი).

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 58):

„მარგარეტ უაიტი დაიბადა და გაიზარდა ჩემბერლენის მოსაზღვრე პატიარა ქალაქ მოცონში, სადაც არც დაწყებითი და არც საშუალო სკოლა არ არის. მისი მშობლები საკმაოდ შეძლებულები იყვნენ. მათ ეკუთვნოდათ ქალაქგარეთ მდებარე ლამის კლუბი „ჯოლი როუდჰეისი“. მარგარეტის მამა ჯონ ბრიგჰემი პარში სროლისას მოკლეს 1959 წელს. იმ დროისთვის მარგარეტ ბრიგჰემი თითქმის ოცდაათი წლისა იყო. სწორედ მაშინ დაინყო მან ფუნდამენტალისტთა შეკრებებზე სიარული. დედამისმა სხვა კაცთან დაინყო ცხოვრება (პაროლდ ელისონთან, რომელსაც მოგვიანებით ცოლადაც გაჰყვა), მარგარეტი კი, რომელიც ისევ მამისეულ სახლში ცხოვრობდა, უბრალოდ, ხელს უშლიდა: მას მიაჩნდა, რომ დედამისი ჯუდითი და პაროლდ ელისონი ცოდვაში ცხოვრობდნენ და არაერთხელ გამოუთქვამს აზრი ამასთან დაკავშირებით. ჯუდით ბრიგჰემი დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი სიცოცხლის ბოლომდე გაუთხოვარი დარჩებოდა. პაროლდ ელისონის უფრო უხეშ განსაზღვრებას თუ მოვიშველიებთ, „მარგარეტს სახე ბენზინმზიდის ტრაქს მიუგავდა და ტანიც არანაკლებ უშნო ჰქონდა“. გარდა ამისა, პაროლდი გერს „პატიარა იესოსაც ეძახდა“.

1960 წლამდე მარგარეტი უარს ამბობდა სახლიდან წასვლაზე, სანამ ერთ-ერთ რელიგიურ თავყრილობაზე რაღაფ

უაიტს არ შეხვდა. ამავე ნლის სექტემბერში ის მოტონიდან ჩემპერლენ-ცენტრში, ერთ პატარა ბინაში გადავიდა საცხოვ-რებლად.

1962 ნლის 23 მარტს მარგარეტ ბრიგჰემმა და რალფ უაიტმა იქორწინეს. 1962 ნლის 3 აპრილს მარგარეტი რამდენიმე დღით ქალაქ უესტოვერის საავადმყოფოში მოხვდა.

„არა, საქმის ვითარება მას არ აუხსნია, – განმარტა ჰაროლდ ელისონმა, – ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვინახულეთ, მან კი ცოდვებში გვამხილა და ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვა გვინინასწარმეტყველა. არადა, იმ დროისთვის მე და ჯუდითი უკვე ცოლ-ქმარი ვიყავით. გვითხრა, ლმერთმა უხილავი დამლით მოგნიძნათო. მოკლედ, სულ გააფრინა. დედამისმა სცადა, ალერსიანად დალაპარაკებოდა და გამოეკითხა, რა მოხდა, მაგრამ მარგარეტი ისტერიკაში ჩავარდა და აყვირდა, რომ მალე უფლის ანგელოზი მახვილით დაივლიდა ყველა ავტოსადგომს და ულმობლად შემუსრავდა ყველა ცოდვილს. მოკლედ, რაღა უნდა გვექნა? ავდექით და ნამოვედით“.

თუმცა ჯუდით ელისონს უკეთ ესმოდა, რა შეემთხვა მის ქალიშვილს: იგი თვლიდა, რომ მარგარეტს მუცელი მოეშალა... რაც იმას ნიშნავდა, რომ ნაყოფი ჯერ კიდევ ქორწინებამდე იყო ჩასახული – ამ ფაქტის დადასტურება კი ახალი, სრულიად მოულოდნელი კუთხით დაგვანახებდა კერის დედის ხასიათს.

1962 ნლის 19 აგვისტოს დედისთვის მინერილ გრძელ და საკმაოდ აბდაუბდა ნერილში მარგარეტი ირნმუნება, რომ ის და რალფი უმანკოდ, „სქესობრივი კავშირის“ ცოდვის გარეშე ცხოვრობენ და ურჩევს ჯუდითსა და ჰაროლდ ელისონებს, მათაც გადაკეტონ „სიბილნის წყარო“. „მხოლოდ ამ გზით არიდებთ თავს შენ და ის კაცი სისხლიან ნვიმას, –

ნერდა მარგარეტი ბოლოს. – მე და რალფი მარიამისა და იოსების მსგავსად ვცხოვრობთ და არასოდეს შევიცნობთ და შევრყვნით (სწორედ ასე ნერია!) ერთმანეთის სხეულს. ხოლო თუკი მაინც გვინერია შთამომავლობის ყოლა, დაე, იყოს ნება უფლისა”.

თუმცა კალენდარი მოწმობს, რომ კერი იმავე ნელს, ცოტა მოგვიანებით ჩაისახა...“

ორმაბათს ფიზკულტურის გაცვეთილზე გოგონები ჩუმად, ჩვეული ხმაურისა და შეძახილების გარეშე იცვლიდნენ ტანსაცმელს და არავის გაჰკევირვებია, გასახდელში გაბრაზებული მის დესჯარდინი რომ შემოვარდა. მკერდზე ვერცხლის-ფერი სასტვენი ეკიდა და ისევ ის სპორტული ტრუსი ეცვა, რომელიც პარასკევს ნახეს მის ტანზე. ტრუსებს კერის სისხლის ლაქები აღარ ემჩნეოდა.

გოგონები თვალს ვერ უსწორებდნენ და ჩუმად განაგრძობდნენ ჩაცმას.

– მაშ, სკოლას ამთავრებთ, არა? – ჩუმად თქვა მის დესჯარდინმა. – რამდენი დარჩა? სულ რაღაც ერთი თვე, არა? საგაზაფხულო მეჯლისამდე უფრო ნაკლებიც კი. თავს დავდებ, უმეტესობას მხლებლებიც შერჩეული გყავთ და კაბებიც გაქვთ გამზადებული. სიუ, ალბათ, ჭომი როსტან ერთად მიდის, ჰელენი – როი ევარტისტან ერთად. კრის, შენ ვინდა აირჩიე? ვინ გააბედნიერე?

– ბილი ნოლანი, – დალვრემილი სახით მიუგო კრის ჰენსენმა.

– როგორ გაუმართლა! ასე არაა? – ჩაილაპარაკა მის დესჯარდინმა, – მეჯლისის სალამოს რა უნდა აჩუქო? სისხლით დალაქავებული საფენი? თუ ტუალეტის ქალალდის ნახმარი

ნაგლეჯი? თუ არ ვცდები, ბოლო დროს ასეთ რაშეებში ბადა-
ლი არ მოგეძებნება.

კრისი გაწითლდა.

— საკმარისია, წავედი, — თქვა და კარისკენ გაემართა. —
ამის მოსმენას არ ვაპირებ.

პარასკევს მომხდარმა ამბავმა მის დესჯარდინს მოსვენე-
ბა დააკარგვინა — მთელი უქმეების განმავლობაში თვალწინ
ედგა მტირალი კერი ფეხებს შორის მიურული სველი ტამპო-
ნით... თუმცა საკუთარ თავზეც ბრაზობდა — თავისი გულცი-
ვობისა და უსაფუძვლო გაღიზიანების რცხვენოდა.

როცა კრისმა გვერდით გავლა დააპირა, მის დესჯარდინ-
მა მხარში ხელი წაავლო და იქვე ჩამწკრივებული ლითონის
კარადებისკენ მოისროლა. კრისი გრუხუნით მიენარცხა სალა-
თისფერი კარადის კარს და გაოგნებული მიაჩერდა მასწავლე-
ბელს. მერე სახე ბრაზისგან მოექცა და აყვირდა:

— ვინ მოგცა ამის უფლება! პასუხს გაგებინებ! აი, ნახავ,
შე ბოზო!

ზოგი შეკრთა, ზოგს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ თავი არა-
ვის აუნევია — ყველა ჭიუტად დასჩერებოდა იატაკს. მდგო-
მარეობა უმართავი ხდებოდა. სიუმ თვალი მოჰკრა, როგორ
მიეკრნენ ერთმანეთს მერი და დონა თიბოდოები და როგორ
ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელები.

— ფეხებზე მკიდია, ჰარგენსენ, — უთხრა მის დესჯარდინ-
მა. — ძალიან ცდებით, თუკი რომელიმე თქვენგანი ფიქრობს,
რომ ახლა, როგორც მასწავლებელი, ისე გელაპარაკებით. მე
მხოლოდ იმას მინდა მიგახვედროთ, რომ პარასკევს მძღნერუ-
ლი საქციელი ჩაიდინეთ. ნამდვილი მძღნერობა.

კრის ჰარგენსენს თავი დაეხარა და დამცინავად იღიმე-
კრის ჰარგენსენს თავი დაეხარა და დამცინავად იღიმე-

- სად, მაგრამ მასნავლებელს თვალს ვერავინ უსწორებდა. სიუ უეცრად მიხვდა, რომ დანაშაულის ადგილს – საშხაპე კაბინას მისჩერებოდა და მზერა სასწრაფოდ სხვაგან გადაიტანა. გოგონებისგან ჯერ არავის სმენოდა, რომ მასნავლებელს რაიმე საქციელისთვის „მძღნერული“ ენოდებინა. – თუ გიფიქრიათ, რას გრძნობდა იმწამს კერი უაიტი? საერთოდ შეგიძლიათ ფიქრი? სიუ! ფერნ! ჰელენ! ჯესიკა! ყველას გეკითხებით! კერის მახინჯად თვლით, არადა, პარასკევს რაც ჩაიდინეთ, იმაზე დიდი სიმახინჯე ცხოვრებაში არ მინახავს.

კრის პარგენსენმა ადვოკატი მამის შესახებ ჩაიბურტყუნა რაღაც.

– მოკეტე! – სახეში მიაძახა მის დესჯარდინმა.

კრისმა მოულოდნელობისგან თავი უკან გადაიქნია, კეფა რკინის კარადას მიარტყა და ნატკენი ადგილის სრესას შეუდგა.

– კიდევ ერთ რამეს გეტყვი, – განაგრძო მასნავლებელმა ცოტა ხმადაბლა, – და თუ დამჭირდა, თმასაც დაგანინკნი. ეჭვი ხომ არ გეპარება?

კრისმა, ალბათ იფიქრა, გიუიაო, და გაჩუმება ამჯობინა.

მის დესჯარდინმა დოინჯი შემოირტყა და გამოაცხადა:

– დირექციამ ყველას განგისაზღვრათ სასჯელი. სამწუხაროდ, ის არა, რაც მე მინდოდა. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ყველას სამ-სამი დღით აგიკრძალავდით მეცადინეობებზე დასწრებას და არც გამოსაშვებ საღამოზე დაგიშვებდით.

გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს და აბუზლუნდნენ.

– ასე უფრო ადვილად ისწავლიდით ჭკუას. სამწუხაროდ, სკოლის ადმინიტრაციაში მხოლოდ მამაკაცები არიან და, ვეჭვობ, ნესიერად ვერ გაიაზრეს, რამდენად ამაზრზენი იყო თქვენი საქციელი. ამიტომაც მხოლოდ დამატებით მეცა-

დინეობებზე მოგინევთ დარჩენა... ისიც, სულ რაღაც, ერთი კვირის განმავლობაში.

ყველამ შვებით ამოისუნთქა.

– მაგრამ ეს ჩემი მეცადინეობების კვირეული იქნება და, გაითვალისწინეთ, ტყავს გაგაძრობთ.

– მე არ დავრჩები, – თქვა კრისმა და ზიზღით მოპრუნა ტუჩები.

– შენი საქმეა, კრის. როგორც ჩათვლი საჭიროდ, ისე მოიქეცი. მაგრამ დამატებითი გაკვეთილების გაცდენისთვის არც სკოლაში და არც გამოსაშვებ მეჯლისზე არ დაიშვები. გასაგებია?

ხმა აღარავის ამოუღია.

– ძალიან კარგი. ახლა კი გამოიცვალეთ და ჩემს ნათ-ქვამზე დაფიქრდით, – დაასრულა მის დესჯარდინმა და საშ-ხაპიდან გავიდა.

ერთხანს ყველა გაოგნებული დუმდა. მერე კრის ჰარგენ-სენმა იყვირა:

– ამას არ შევარჩენ! – უახლოეს კარადას მივარდა, ვი-ლაცის ფეხსაცმელს დასწვდა და გამნარებულმა კარისკენ ის-როლა, – ყველაფერს გავახსენებ! ჯანდაბა! ჯანდაბა! მაგას ნახეთ რა ვუქნა! თუ ყველა ავდგებით და...

– მოკეტე, კრის, – თქვა სიუმ და თვითონაც გაუქვირდა, რა ბებრულად და უსიცოცხლოდ გაიუღერა მისმა ხმამ. – უბ-რალოდ, მოკეტე.

– ეს ასე არ დამთავრდება, – კრისმა სწრაფად გაიხსნა კაბის შესაკრავი და მნვანე ტრუსებს დასწვდა, – ეს ამბავი ასე არ დამთავრდება!

არც შემცდარა.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 60-61):

„ამ შემთხვევის გულდსამით შესწავლის შემდეგ დავასკვენი, რომ ის ადამიანები, რომლებიც სამეცნიერო თუ პოპულარული გამოცემებისთვის მსგავს კვლევებს აწარმოებენ, ზედმეტად ბევრ დროს უთმობენ ადრეულ ასაკში კერი უაიტის ტელეკინეტიკური ნიჭის გამოვლენის ფაქტების ძიებას. უხეშ ანალოგიას თუ მოვიშველიებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან ჰგავს მოძალადის ბავშვობაში მასტურბაციის ფაქტების კვლევას.

ამ ფონზე ქვის სეტყვის ამბავი ერთგვარ ანომალიას ნარმოადგენს. მრავალი მკვლევარი შეცდომით მიიჩნევს, რომ თუკი არსებობს ერთი შემთხვევა, უსათუოდ უნდა არსებოდეს სხვა შემთხვევებიც. მოვიყვან კიდევ ერთ ანალოგიას და ვიტყვი: იგივე იქნებოდა კრეიტერ ლეიკ პარკში მეტეორიტების მკვლევართა გაგზავნა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ადგილას ორი მილიონი ნლის ნინ ასტეროიდი ჩამოვარდა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბავშვობაში ტელეკინეტიკური შესაძლებლობების გამოვლენის სხვა ფაქტები კერის შემთხვევაში არ დარეგისტრირებულა. ის რომ ერთადერთი ბავშვი არ ყოფილიყო ოჯახში, კიდევ შეიძლებოდა ჭორის დონეზე მაინც გაგვეგო რაიმე პატარ-პატარა ინციდენტების შესახებ.

მაგალითად, სხვა მდგომარეობაა ანდრეა კოლინცის შემთხვევაში (უფრო დაწვრილებით იხ. მე-2 დანართი). ჩვენთვის ცნობილია, რომ, როცა ანდრეა სახურავზე აძვრომისთვის მიტყეპეს, „ნამლების კარადის კარი თავისით გაიღო და თაროებიდან ნამლის შუშები გადმოცვივდა – თან ზოგმა შუშამ საბაზანოს ერთი კედლიდან მეორე კედლამდე იფრინა. სახ-

ლში ყველა კარი გაჯახუნდა და ბოლოს გადაყირავდა მაგიდა, რომელზეც სამასგირვანქიანი სტერეოაპარატურა იდგა, ფირფიტები კი მთელ ოთახში მიმოიფანტა და დაიმსხვრა".

აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა, რომელიც უურნალ „ლაიფის“ 1955 წლის 4 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, ანდრეას ძმების მონაცემლის საფუძველზეა ჩაწერილი. ცხადია, სამეცნიერო თვალსაზრისით, უურნალი „ლაიფი“ ობიექტურ და სარწმუნო ნყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამ ამბის დამადასტურებელი სხვა უტყუარი ფაქტები და კარგად გათვით-ცნობიერებულ მოწმეთა მონათხრობებიც უხვად არსებობს.

კერი უაიტის შემთხვევაში მხოლოდ მარგარეტ უაიტი იყო იმ მოვლენათა ერთადერთი მოწმე, რომლებიც ამ დიდი ტრაგედიის პროლოგად იქცა. მარგარეტ უაიტი კი, მოგეხსენებათ, ცოცხალი აღარაა.

იუვინის სკოლის დირექტორი ჰენრი გრეილი მთელი კვირის მანძილზე ელოდა კრისის მამას, მაგრამ ბატონი ჰარგენსენი მხოლოდ პარასკევს მივიდა – მას მერე, რაც წინა დღით მისმა ქალიშვილმა მრისხანე მის დესჯარდინის დამატებითი მეცადინეობა გააცდინა.

– გისმენთ, მის ფიშ, – ოფიციალური ტონით თქვა გრეილმა ინტერკომში, თუმცა ფანჯრიდანვე დაინახა მოსაცდელში შემოსული ჰარგენსენი, რომელსაც ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი ფოტოებიდან იცნობდა.

– მისტერ გრეილ, თქვენთან მისტერ ჯონ ჰარგენსენია მოსული.

– შემოუშვით, გეთაყვა, – უთხრა გრეილმა და გაიფიქრა: „ჯანდაბა, ფიშ! აუცილებელია ასეთი ოფიციალური ტონით ლაპარაკი?“

გრეილს ერთი უშნო ჩვევა ჰქონდა – საუბრისას ქალალ-დის სამაგრებს ლუნავდა, ხელსახოცებს ხევდა, ფურცლებს კუთხეებს უკეცავდა... ქალაქის ნამყვან ადვოკატ ჯონ ჰარ-გენსენთან შეხვედრისთვის მან „მძიმე არტილერია“ – სამაგ-რების მთელი კოლოფი მოამზადა.

ჰარგენსენი მაღალი და წარმოსადეგი კაცი იყო. თითოეული მოძრაობითა და ყოველი უესტით აჩვენებდა, რომ სრულ-ყოფილად ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას და რომ ამ საქმეში მთელს ქალაქში ბადალი არ მოეძებნებოდა. ტანზე ინგლიური ყაიდის შესანიშნავი კოსტიუმი ეცვა მნვანე და ოქროსფერი, ოდნავ შესამჩნევი ელვარებით (გრეი-ლის ძველი, ქუჩის გადაღმა ნაყიდი კოსტიუმი მასთან ახლო-საც ვერ მივიდოდა); ხელში ნამდვილი ტყავის, ქრომირებული ფოლადით შემოსალტული კეისი ეჭირა; გალიმებისას ქათქა-თა კბილები ფაიფურივით უპზინავდა – ერთი ასეთი ღიმილი და მდედრობითი სქესის ნაფიცი მსაჯულები ცხელ ტაფაზე დაგდებული მარგარინივით დნებოდნენ. ხელის ჩამორთმევაც უმაღლესი ხარისხისა ჰქონდა – მტკიცე, კეთილგანნყობილი და ხანგრძლივი.

– მისტერ გრეილ, უკვე დიდი ხანია, თქვენთან შეხვედრა მინდა.

– ყოველთვის საიამოვნოა სკოლის საქმეებით დაინტერე-სებულ მშობლებთან საუბარი, – მიუგო გრეილმა ცივი ღიმი-ლით. – ამიტომაც ვატარებთ ყოველ ოქტომბერს ღია კარის დღეს.

– ჰო, რა თქმა უნდა, – გაულიმა ჰაუხად ჰარგენსენმა, – მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დაკავებული ბრძანდებით... მე კი ორმოცდახუთ წუთში სასამართლოში უნდა ვიყო. ამიტო-მაც იქნებ პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავით?

— კი ბატონი, — გრეილი კოლოფს დასწურდა და პირველი სამაგრის დასაგრეხად მოემზადა. — თუ არ ვცდები, თქვენი ქალიშვილისთვის დაწესებული დისციპლინარული სასჯელის თაობაზე სასაუბროდ მობრძანდით. უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებული პოლიტიკა უკვე დიდი ხნის წინაა განაზღვრული და თქვენ, როგორც სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანი, თავადაც უნდა ხვდებოდეთ, რომ ასეთ შეთხვევაში რაიმე გამონაკლისის დაშვება შეუძლებელია...

ჰარგენსენმა ხელი მოუთმენლად გაიქნია.

— აშკარად ცდებით, მისტერ გრეილ. აქ იმიტომ მოვედი, რომ ფიზკულტურის მასწავლებლის, მის რიტა დესჯარდინის მხრიდან ჩემი ქალიშვილის მიმართ უხეში მოპყრობა გავაპროტესტო. გარდა ამისა, ვშიშობ, სიტყვიერ შეურაცხყოფასაც ჰქონდა ადგილი. თუ არ ვცდები, მის დესჯარდინმა იხმარა სიტყვა „მძლნერული“.

გრეილმა ჩუმად ამოიოხრა.

— მის დესჯარდინს საყვედური გამოეცხადა.

ჰარგენსენის ლიმილი დაახლოებით ოცდაათი გრადუსით გაგრილდა.

— ვშიშობ, მხოლოდ საყვედური საკმარისი არაა. როგორც ვიცი, ის ახალგაზრდა ჰმ... ქალბატონი, პირველი წელია, რაც ასწავლის. ასე არაა?

— დიახ. და სავსებით გვაკმაყოფილებს მისი მუშაობა.

— ისიც გაკმაყოფილებთ, მოსწავლეებს ლითონის კარადებს რომ ანარცხებს და მეზღვაურივით იგინება?

გრეილი იერიშზე გადავიდა:

— ადვოკატი ბრძანდებით და, წესით, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს შტატში სკოლას აქვს უფლება, იმოქმდოს *in loco*

*parentis.** ინუ სასკოლო მეცადინეობების მსვლელობისას ჩვენ არა მხოლოდ სრულ პასუხისმგებლობას ვიღებთ მოსწავლეებზე, არამედ მთელი სისრულით მოვიძოვებთ მშობლის უფლებებს. თუკი არ იცნობთ პრეცედენტებს, შეისწავლეთ საქმე „მონონდოკის სასკოლო ოლქი კრეიინპულის ნინაალმდეგ“. ან...

— ვიცნობ ამ კონცეფციას. — გააწყვეტინა პარგენსენმა. — ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ არც კრეიინპულის საქმე, რომლის მოშველიებაც ძალიან უყვართ სკოლების ადმინისტრატორებს, და არც ფრიკის საქმე არანაირ კავშირში არაა ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფასთან. სამაგიეროდ არსებობს საქმე „მე-4 სასკოლო ოლქი დევიდის ნინაალმდეგ“. გსმენიათ რაიმე ამის შესახებ?

გრეილს მშვენივრად ახსოვდა ეს საქმე. მეოთხე ოლქის საშუალო სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილე მისი მეგობარი იყო და თავის დროზე ხშირად ხვდებოდა პოკერის სათამაშოდ. ამეამად ჯორჯი სკოლაში აღარ მუშაობდა და პოკერსაც იშვიათად თამაშობდა — მას საჭაზღვეო კომპანიაში მოუნია გადასვლა, რადგან ერთხელ ერთ-ერთ მოსწავლეს ზედმეტად გრძელი თმა შეკრიჭა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასკოლო ოლქმა დაზარალებულს შვიდი ათასი დოლარი გადაუხადა — ანუ დაახლოებით ათასი დოლარი მაკრატ-ლის თითოეულ გაჩხაკუნებაში.

გრეილი მეორე სამავრს მიადგა.

— მაგრამ მოდი, შევეშვათ პრეცედენტების ციტირებას, მიტერ გრეილ. მოცლილი არც ერთი არა ვართ. არაფერში მჭირდება ზედმეტი განამანია. ჩემი ქალიშვილი ახლა სახ-

* მშობლების ნაცვლად (ლათ.).

ლოსი. ორშაბათსაც და სამშაბთსაც შინ დარჩება და მეტადონებებზე მისი არდაშვების ვადაც ამოინურება. ამ სასჯელს შეც ვეთანხმები, – მან კვლავ მბრძანებლურად აფნია ხელი.

(აპა, ფიდო⁵, გემრიელი ძვალი)

– ახლა მოგახსენებთ, მე რა მინდა, – განავრძო ჰარგენსენმა. – პირველი: გამოსაშვები მეჯლისის ბილეთი ჩემი ქალიშვილისთვის. გამოსაშვები საღამო მნიშვნელოვანი მოვლენაა წებისმიერი გოგონასთვის და კრისიც ძალიან განიცდის ამის გამო. მეორე: არანაირი კონტრაქტის გაგრძელება იმ მის დესჯარდინს. ამას დაუინებით მოვითხოვ. დარნმუნებული ვარ, საქმე სასამართლომდე თუ მივიდა, სკოლიდანაც გავარდება და ზარალის ასანაზღაურებლად კა მოზრდილი თანხოს გადახდაც მოუნევს. მაგრამ არ მინდა შურისძიება.

– თუ არ დაგთანხმდით, ალტერნატივა მხოლოდ სასამართლოა?

– თუ სწორად მახსოვს პროცედურა, ჟერ მოსმენა უნდა გაიმართოს განათლების კომიტეტში. მერე კი ჰო, სასამართლო შედგება. თქვენთვის სავალალოდ.

კიდევ ერთი სამაგრი...

– ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის. ხომ მართალია?

– პრინციპში მართალია.

– ერთი ეს მითხარით, მისტერ ჰარგენსენ, თუ იცით, რომ თქვენი ქალიშვილი და მისი თანაკლასელები პიგიენურ პაკეტებს ესროდნენ გოგონას, რომელსაც პირველად დაენყო მენტრუაცია? – თანაც იმ საწყალ ბავშვს ეგონა, რომ სისხლისგან იცლებოდა და ნუთინუთზე მოკვდებოდა.

⁵ აპაბამ ლინკოლნის ძალის სახელი.

ჰარგენსენმა შუბლი ოდნავ შეჭმუხნა – თითქოს გვერდით ოთახში ჩურჩულს უსმენსო.

– მგონი, ამას საქმესთან კავშირი არ აქვს. მე სკოლის თანამშრომლის ქმედებაზე გელაპარაკებით...

– რა მნიშვნელობა აქვს, რაზე მელაპარაკებით? იმ გო-გონას, კერიეტ უაიტს, „ცალტვინას“ უძახდნენ, „ხვრელის და-ცობას“ ურჩევდნენ და კიდევ ათასნაირად ამცირებდნენ. იმ ბავშვს ეს კვირა საერთოდ არ უვლია სკოლაში. როგორ გვონიათ, ეს არაა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა? ჩემი აზრით, არის.

– სულაც არ ვაპირებ თქვენი ნახევრადსარწმუნო განცხა-დებებისა და ბანალური ლექციების მოსმენას. საკმაოდ კარგად ვიცნობ საკუთარ ქალიშვილს, რომ...

– ინებეთ, – გრეილმა დოკუმენტების კალათიდან ვარ-დისფერი ბარათების დასტა ამოილო და მაგიდაზე დააგდო.

– მე კი მგონია, საერთოდ არ იცნობთ. ყოველ შემთხვევაში, ისეთს, როგორიც ამ ბარათებშია... თორემ მიხვდებოდით, რომ ყურები აქვს დასახევი... თანაც რაც უფრო მაღე, მით უკეთესი – სანამ ვინმესთვის სერიოზული ზიანი მიუყენებია.

– რა თქვენი...

– იუვინის სკოლაში ოთხი წელია, სწავლობს, – გააწყვე-ტინა გრეილმა, – ამთავრებს სამოცდაცხრამეტი წლის ივნის-ში, ანუ ერთ თვეში. გონებრივი განვითარების მაქსიმალური კოეფიციენტი 140 აქვს. საშუალო – 83. ამის მიუხედავად, ობერლინის კოლეჯში ჩაირიცხა. ეტყობა, ვილაცამ (სავარაუ-დოდ, თქვენ, მისტერ ჰარგენსენ) ჩაუნიო საქმე. დამტებით გაკვეთილებზე დასწრება, სასჯელის სახით, სამოცდათოთ-ხმეტჯერ დაუნესდა. აქედან ოცჯერ სხვადასხვა ნაკლოვანე-ბის მქონე ბავშვების დაჩაგვრისთვის. კრისის დამქაშები მათ

„უმაქნის ჩმორებს“ ეძახიან – თვლიან, რომ ძალიან სასაცილოდ უდერს. შემდეგ... ხსენებული დამატებითი გაკვეთილებიდან ორმოცდათერთმეტი გააცდინა. ჩემბერლენის დაწყებით სკოლაში ერთი სასჯელი თანაკლასელის ფეხაცმელში პეტარდის ჩაგდებისთვის დაიმსახურა. ბარათში წერია, რომ ამ „უწყინარი ხუმრობის“ გამო მსხვერპლმა, ირმა სვოუპმა კინალამ ორი თითი დაკარგა (თუ არ ვცდები, ირმას კურდლლის ჭური ჰქონდა). თქვენს ქალიშვილზე ვლაპარაკობ, მისტერ ჰარგენსენ. ნუთუ ეს არაფერს გეუბნებათ?

– როგორ არა! – მიუგო ჰარგენსენმა და წამოიმართა, – ეს იმას მეუბნება, რომ ამის შემდეგ მხოლოდ სასამართლოში გნახავთ და ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, კომივოიაუორობაც სანატორელი გაგიხდებათ.

გრეილიც წამოდგა და თვალში თვალში გაუყარა. თავს ძლივს იკავებდა.

– ეგრე იყოს, – უთხრა მტკიცედ და უეცრად ჰარგენსენის მზერაში გაოცება შენიშნა. ამიტომაც თითები გადააჯვარედინა და გადაწყვიტა, ბრძოლა ნოკაუტით დაესრულებინა... ან, თუნდაც, ტექნიკური ნოკაუტით, რაც, სხვა თუ არაფერი, სამსახურს მაინც შეუნარჩუნებდა მის დესჯარდინს და ჭუასაც ასწავლიდა ამ გაყოყოჩებულ არამზადას. – ისე, როგორც ვხედავ, ბოლომდე არ გაგიაზრებიათ პრინციპი *in loco parentis*, ბატონო ჰარგენსენ. მოცემულ შემთხვევაში ის იცავს არა მხოლოდ თქვენს ქალიშვილს, არამედ კერი უაიტსაც. ამიტომაც, რანამს სასამართლოს მიმართავთ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, მაშინვე თქვენი ქალიშვილის წინააღმდეგ შევიტანთ სარჩელს და დავიცავთ კერი უაიტის უფლებებს.

ჰარგენსენმა პირი გააღო, ისევ დამუნა და ძალისძალად ამოლერლა:

- ნუ გვონიათ, რომ თავს დაიძერენთ ასეთი იაფფასიანი...
- ხრიუებით, არა? ხომ ამ სიტყვის თქმა გინდოდათ? - გრეილმა ნიშნის მოგებით გაულიმა, - იმედია, გასასვლელს თავად მიაგნებთ, მისტერ პარგენსენ. თქვენი ქალიშვილის-თვის დანიშნული სასჯელი ძალაში რჩება. შეგიძლიათ სასა-მართლოში გვიჩივილოთ. თქვენი ნება.

პარგენსენმა ცივად გადააბიჯა კაბინეტის ზღურბლს და ნამით შეჩერდა - თითქოს რალაცის თქმას აპირებსო. მაგრამ არაფერო თქვა და ოთახიდან სწრაფად გავიდა - ეინალამ კა-რიც კი გაიჯახუნა.

გრეილმა შვებით ამოისუნთქა. ძნელი მისახვედრი არ იყო, სადამდე მიიყვანდა კრის პარგენსენს თავხედობა და სი-ჯიუტე.

ნუთის შემდეგ კაბინეტში მორტონი შემოვიდა.

- როგორ ჩაიარა?
- დრო გვიჩვენებს, მორტი, - მიუგო გრეილმა და უკმა-ყოფილო სახით დახედა დაგრეხილ საკანცელარიო სამაგრებს.
- აპირებს ჩივილს?
- არ ვიცი. ისე, როცა დავემუქრე, ჩვენც გიჩივლებთ-მეთქი, ცოტა აზრზე მოვიდა.
- კი, მოვიდოდა, - მორტონმა ტელეფონის აპარატს შე-ხედა და დასძინა: - მგონი, დროა, ეს ამბავი სკოლის ინსპექ-ტორს შევატყობინოთ.
- მართალი ხარ, - გრეილმა ყურმილი აიღო, - კიდევ კარგი, უმუშევრობის დაზღვევა მაინც მაქვს.
- მეც მაქვს, - ერთგულად დაუკრა კვერი მორტონმა.

ნივნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (მე-3 დანართი):

„ქვემოთ მოყვანილი ლექსი კერის მიერ მეშვიდე კლასში შესრულებული საშინაო დავალებაა. მისი ლიტერატურის მას-ნავლებელი, მისტერ ედვინ კინგი იხსენებს: „არ ვიცი, რატომ შევინახე ეს თხზულება: მას ძლიერ მოსწავლედ არასოდეს მი-ვიჩინევდი და ესეც დიდი ვერაფერი ლექსია. გაკვეთილებზე კერი ყოველთვის ჩემად იჯდა და არ მახსოვს, ერთხელ მაინც აენიოს ხელი. მოუხედავად ამისა, ამ ლექსში მაინც არის რაღაც“.

კედლიდან ცივად მიმზერს იქსო,
თიხის ჯვარცმაზე გაქვავებული.
თუკი ვუყვარვარ, როგორც თქვა დედამ,
მაშინ რატომ ვარ ასე ეული?

ფურცელს, რომელზეც ეს ოთხტაეპიანი ლექსია დაწერი-ლი, კიდეებზე ჯვრის ფორმის ფიგურები აქვს მიხატული".

ორშაბათს ტომის ვარჯიში ჰქონდა და სიუმაც გადაწყვი-ტა, ქალაქის ცენტრში, „კელი ფრუტ კომპანიში“ დალოდებო-და. კელის მაღაზია უფროსკლასელთა ერთადერთი ნავსაყუ-დელი იყო მთელს ჩემბერლენში მას შემდეგ, რაც ნარკოტი-კების გახმაურებული ამბის გამო შერიფმა დოილმა დასასვე-ნებელი ცენტრი დახურა. „კელი ფრუტ კომპანი“ მსუქან და მუდამ მოღუშულ ჰიუბერტ კელის ეკუთვნოდა. ის თმას შავად იღებავდა და სულ წუნუნებდა, ელექტროსტიმულატორი ბო-ლოს მომიღებსო.

მისი დაწესებულება საბაკალეო მაღაზიის, გაზიანი სამე-ლების ბარისა და ბენზინგასამართი სადგურის ერთგვარ ნა-ზავს ნარმოადგენდა – შესასვლელთან უანგიანი ბენზინგასა-მართი ავტომატი იდგა, რომლის გამოცვლა კელის არც უფიქ-

რია, როცა ეს ბიზნესი იყიდა. გარდა ამისა, კელი ვაჭრობდა ლუდით, იაფეასიანი ლვინით, პორნოგრაფიული უურნალებითა და ისეთი უცნობი მარკების სიგარეტებით, როგორებიცაა „მურადსი“, „კინგ სანო“ ან „მარველ ტრაიტსი“.

თავად ბარი ნამდვილი მარმარილოთი იყო განყობილი და ოთხ თუ ხუთ ტიხრებით გამიჯნულ მაგიდას იტევდა. სწორედ ამ მაგიდებთან კლავდნენ დროს ის უილბლო მოზარდები, რომლებსაც დასალევად ან მოსანევად წასასვლელი არსად ჰქონდათ. ბარის კუთხეში, დამტვერილი ნიგნებით გაძეძგილი თაროს გვერდით, ნაირფრად ციმციმებდა პინბოლის მოშლილი ავტომატი, რომელიც მესამე ბურთზე რატომლაც ყოველთვის ანულებდა ანგარიშს.

ბარში შევიდა თუ არა, სიუმ შორეულ მაგიდასთან კრის ჰარგენსენი დაინახა. კრისის ახალი თაყვანისმცემელი, ბილი ნოლანი უურნალების დახლთან იდგა და „პოპულარული მექანიკის“ ბოლო ნომერს ფურცლავდა. სიუსთვის გაუგებარი იყო, რა ნახა კრისმა – ყველაფრით უზრუნველყოფილმა და ყურდღებით განებივრებულმა გოგომ ამ ნოლანში, რომელიც, გულმოდგინედ გადავარცხნილი, გაპოხილი თმით, ელვაშესაკრავებით დახუნძლული ტყავის პიჯაკითა და მბოლავი „შევროლეთი“, ორმოცდაათიანი ნლების გადმონაშთს ჰგავდა.

– სიუ! – დაუძახა კრისმა, – ჩვენთან მოდი!

სიუს ზიზღის უცნაური გრძნობა დაეუფლა და ყელში ბოლმა მოებჯინა, მაგრამ, ამის მიუხედავად, თავი დაუკრა და ხელი დაუქნია. კრისის დანახვაზე უეცრად მოეჩვენა, რომ საშხაპის ოდნავ შეღებულ კართან იდგა, კარს მიღმა კი კერი უაიტი იჯდა მოკუნტული და ხელებში თავჩარგული. სიუ საკუთარმა პირმოთნეობამ გააპრაზა (რატომ არ გავტრიალდი და არ ნავედი?).

— ათი ცენტის რუტბირი დამისხით, — თქვა მან.

ჰიუბის საუკეთესო რუტბირი ჰქონდა. დიდ, გაყინულ კათხებში ასხამდა — ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რომ იყენებდნენ, ისეთებში. სკოლაში, სანამ მეცადინეობა დაუმთავრდებოდა, სიუს სულ ეს სასმელი ელანდებოდა — მერე რა, რომ ასუქებდა, სიამოვნებაზე მაინც ვერ ამბობდა უარს. მაგრამ ახლა უეცრად აღმოაჩინა, რომ კრისის დანახვაზე ყველაფრის ხალისი გაუქრა.

— გული როგორ გაქვს, ჰიუბი? — ჰკითხა სიუმ.

— ეჰ, ბავშვებო, — კელიმ სასმელს დანით გადააცალა ქაფი და კათხა პირამდე გაავსო, — თქვენ რა გესმით! აი, დღეს დილით საპარსი ჩავრთე და იმისთანა მძეძგვა! ასათმა ვოლტმა პირდაპირ სტიმულატორში გაიარა. ვერასოდეს გაიგებთ, რა დღეში ვარ! ასე არაა?

— ალბათ, ასეა.

— ასეა, ასე. ღმერთმა არ გაგაგებინოს. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს ამ ნამებას ჩემი პატარა მოტორი? თუმცა, ალბათ, დიდხანს არ მომიწევს მარჩიელობა. ფეხებს რომ გავფუშე და ქალაქის მერია ამ ადგილას ავტოსადგომს მოაწყობს, მაშინ გაიგებთ... ათი ცენტი გმართებს.

სიუმ მარმარილოს დახლზე მონეტა დადო.

— ჩემს დანჯლრეულ გულს კიდევ ორმოცდაათი მილიონი ვოლტი უნდა? — ჩაიბურტყუნა კელიმ და ოდნავ გამობურცულ გულის ჯიბეს დახედა.

სიუ დარბაზის ბოლოში გავიდა და კრისის მაგიდას მიუჯდა. კრისი ძალიან კარგად გამოიყურებოდა: შავი თმა მწვანე რეზინით ჰქონდა შეკრული, შემოტმასნილი ბლუზა კი უფრო მეტად გამოკვეთდა მისი სავსე, მაღალი მკერდის ფორმებს.

— როგორ ხარ, კრის?

— მშვენივრად, — მოუგო კრისმა ზედმეტად მხიარული ხმით. — ახალი ამბავი გაიგე? გამოსაძებელი მეჯლისზე არ მიშვებენ. მაგრამ აგურ ნახავ, ის ბებერი ნაბოზარი გრეილი სამსახურს თუ არ დაუკარგავს.

ოუვინის სკოლაში ეს ამბავი ყველას გაგონილი ჰქონდა და, ცხადისა, გამონაულისი არც სოუ იყო.

— მამა სასამართლოში აპირებს ჩივილს, — თქვა კრისმა და ბილის გასძახა: — ბილი! მოდი, სოუ მიესალმე.

ბილიმ უურნალი დადო და მაგიდას ფეხების ფრატუნით მოუახლოვდა — ცერები ქამარში ჰქონდა გაჩრიილი და საჩვენებელ თითებს განიერტოტებიანი „ლევისის“ შესაკრავზე ითათუნებდა. კომიქსის პერსონაჟს ჰგავდა და სიუმ პირზე ხელი აფარა, რომ არ გასცინებოდა.

— გამარჯობა, სოუზი, — მიესალმა ბილი და მაგიდას მიუჯდა. მერე კრისს ხელი გადახვია და უემოციო სახით, თითქოს ხორცის ნაჭერს სინჯავსო, მხარზე ფერება დაუნცო.

— ისე, ვფიქრობ, მაინც მივალთ მეჯლისზე, — თქვა კრისმა, — პროტესტის ნიშნად... ან რაღაც ამის მსგავსს მოვიფიქრებთ.

— მართლა? — სოუ ძალიან გაოცდა.

— არა, რა თქმა უნდა... — ამოიოხრა კრისმა, — არ ვიცი...

მერე ბრაზისგან სახე მოექცა — თითქოს უეცრად ქარიშხალი ამოვარდა.

— ყველაფერი იმ ძუენა კერი უაიტის ბრალია! — ნამოძახა გამწარებულმა, — ტრაკში შეიტენოს თავისი ლვითისმოსობა!

— კა, გეყოფა, — სოუ მის დამშვიდებას შეეცადა.

— აა, ყველანი რომ ამომღვომოდით მხარში და მეჯლისზე არ ნასულიყავით... ლმერთო! სოუ, შენ რაღა დაგემართა?

ერთად დედას ვუტირებდით. არ მეგონა, სხვების პაიკად თუ გადაიქცეოდი.

სოუმ იგრძნო, რომ ალმური მოედო.

— სხვების რა მოგახენო, მაგრამ მე არავის პაიკი არა ვარ.

სასჯელს იმიტომ შევეგუე, რომ დავიმსახურე: ჩვენ მართლა საძაგლად მოვიქეცით. ასეა.

— რას ბოდავ?! ის ჩათლახი კერი სულ იმას გაიძახის, რომ ყოველადნმინდა დედამისისა და მის გარდა, ყველას ჯო-ჯოხეთის კუპრში მოგვინევს ბანაობა, შენ კი დამდგარხარ და ექმაგები. საფენები კი არ უნდა გვესროლა, ხახაში უნდა ჩაგვეჩარა მისთვის.

— ჰო, მართალი ხარ. კარგად იყავი, კრის, — გააწყვეტინა სოუმ და სწრაფად წამოდგა.

ამჯერად კრისი განითლდა: სახე ისე აუჭარხლდა, თით-ქოს მის შინაგან მზეს ნითელი ლრუბელი გადაეფარაო.

— ესეც გამომივიდა აქ ორლეანელი ქალნული! თუ სწრად მახსოვეს, იმ დღეს ამ საქმეში შენც მონაწილეობდი.

— კი, — სოუს გააურუკოლა, — მაგრამ დროზე გავჩერდი.

— მართლა? რას მელაპარაკები! — კრისმა გაოცებული გა-მომეტყველება მიიღო, — მოკლედ, ნამდვილი ნმინდანი ხარ. ეს სასმელიც თან წაიღე, თორემ შემთხვევით შეიძლება შევ-ხო და ოქროდ ვიქცე.

სოუს რუტბირისთვის ხელი არ უხლია — გატრიალდა და ბორძივ-ბორძიკით გავიდა ქუჩაში. სევდა შემოაწვა, ისეთი და-დო სევდა, რომ ვერც მრისხანებითა და ვერც ცრემლით გად-დო სევდა, ის ყოველთვის ადვილად პოულობდა საერთო ენას მოსცემდა. ის ყოველთვის ადვილად იჩხუბა მას შემდეგ, რაც კი-თანაკლასელებთან და პირველად იჩხუბა მას შემდეგ, რაც კი-თანაკლასელებთან გამოვიდა. ერთი სიტყვით, პირვე-კინების წინჯნის ასაკიდან გამოვიდა. ერთი სიტყვით, პირვე-ლად მოუვიდა უსიამოვნება საკუთარი პრინციპების გამო.

რა თქმა უნდა, ერისმა ყველაზე მტკიცნეულ ადგილას დააჭირა ფეხი. სიუ მართლა თვალთმაქცობდა. სულის სილ-რმეში მწარე სიმართლე ჰქონდა დაფლული: იმას, მორჩილად რომ მიიღო სასჯელი და ყოველდღე დადიოდა სპორტულ დარბაზში, სადაც მის დესჯარდინის მეთვალყურეობის ქვეშ მთელი საათის განმავლობაში ოფლად იღვრებოდა, არაფერი ჰქონდა საერთო კეთილშობილებასთან. უბრალოდ, სიუ მზად იყო, ნებისმიერი საფასური გადაეხადა, ოლონდაც გამოსაშვებ საღამოზე მოხვედრილიყო... დიახ, ნებისმიერი საფასური...

ტომი კვლავ არ ჩანდა.

სიუ სკოლისკენ გაემართა. მუცელში ჭვალი უვლიდა...

მის სიუ „ქალთაკლუბი“... კალმით ნახატი სიუზი... სანიმუშო გოგონა, რომელიც მხოლოდ იმ ბიჭს აძლევს, ვისაც ცოლად უნდა გაჰყვეს – რა თქმა უნდა, საკვირაო დანართში დაბეჭდილი სათანადო პუბლიკაციითა და ქორნილის ფოტო-სურათებით. ორი ბავშვი, რომლებსაც ტყავი უნდა გააძრო, თუკი წამით მაინც გამოამუღავნებენ პატიოსნებას – თუკი იკამათებენ, იჩხუბებენ და ალარ გაულიმებენ ყველას, ვინც მათგან ლაქუცს მოელის.

გამოსაშვები მეჯლისი. ცისფერი კაბა. მაცივარში ნადები ყვავილებით მორთული კორსაუი. თეთრ სმოკინგში, შავ შარ-ვალსა და შავ ფეხსაცმელში გამოწყობილი ტომი. „კოდაკებითა“ და „პოლაროიდებით“ შეიარაღებული მშობლები. ფარჩა-აბრეშუმით მორთული სპორტული დარბაზი. ორი მუსიკალური ჯგუფი – ერთი როკს უკრავს, მეორე – ნუნარ მუსიკას. იქ „უმაქნის ჩმორებს“ არ შეუშვებენ. იქ მხოლოდ კლუბის ნევრები დაიშვებიან.

სიუმ ვეღარ მოითმინა და ტირილი ნასკდა.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 60):

„ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტი კრის პარგენსენის მიერ დო-
ნა კელოგისთვის მიწერილი წერილიდან. დონა 1978 ნლის
შემოდგომაზე ჩემბერლენიდან პროვიდენსში გადავიდა. რო-
გორც ჩანს, ის კრისის უახლოეს მეგობართაგანი იყო. წერილი
1979 ნლის 17 მაისით თარიღდება.

„მოკლედ, გამოსაშვებ მეჯლისზე აღარ მიმესვლება. მა-
მაჩემმა კი ჩაისვარა და სასამართლოში ჩივილს აღარ აპი-
რებს. მაგრამ ამას მაინც არ შევარჩენ. ჯერ კიდევ არ ვიცი,
რას ვიზამ, მაგრამ გეფიცები, ძალიან ცუდ სიურპრიზს მო-
ვუმზადებ იმ ჩათლახებს...“

ჩვიდმეტი იყო. ჩვიდმეტი მაისი. კერიმ გრძელი თეთრი
ლამის პერანგი ჩაიცვა და კალენდარზე გასული დღე გადა-
ხაზა. გასულ დღეებს ის მსხვილი შავი ფლომასტერით შლი-
და – მერე რა, რომ ასეთი საქციელი სიცოცხლის მიმართ
ცუდ დამოკიდებულებაზე მეტყველებდა. კერის ეს სულაც
არ ანალვებდა. მას მხოლოდ ის ადარდებდა, რომ დილით
დედა ისევ გაუშვებდა სკოლაში და ისევ მოუწევდა მათთან
შეხვედრა.

კერი საკუთარი ფულით ნაყიდ პატარა სარწეველა სავარ-
ძელში ჩაჯდა და თვალები დახუჭა. ცდილობდა, მათზე აღარ
ეფიქრა და უსარგებლო აზრებისგან გათავისუფლებულიყო
– თითქოს იატაკი მოგავა და მთელი ნაგავი ხალიჩის ქვეშ,
ჰვეცნობიერში შეხვეტაო. აი, ასე. ახლა ყველაფერი რიგზეა!

კერიმ თვალები გაახილა და კომოდზე შემოდებულ თმის
ჯაგრისს შეხედა.

ერთი, ორი და...

ჯაგრისი ჰერში აინია... ძალიან მძიმე იყო, თითქოს ვილაც სუსტი ხელით ვეებერთელა ჰანტელის აწევას ცდილობს. ჰმმ...

ჯაგრისი კომოდის კიდეს გადასცდა – უნდა ჩავარდნოლიყო, მაგრამ არ ჩავარდა: ჰერში ეკიდა და ოდნავ ირწეოდა, თითქოს უხილავი ძაფი იჭერსო. კერიმ თვალები მოჭუტა. საცეტელზე ძარღვები დაებერა. ექიმები უსათუოდ დაინტერესდებოდნენ მის ორგანიზმში ამ დროს მიმდინარე პროცესებით, რომლებსაც, ერთი შეხედვით, არანაირი ლოგიკური ახსნა არ ჰქონდა. წნევამ ას ოთხმოცდაათამდე აუნია; სიცხე 94.3 გრადუსამდე⁶ დაუვარდა; პულსი ას ორმოცი გაუხდა – ასეთი სიხშირით გული ასტრონავტებსაც კი არ უცემთ სტარტის დროს. კერის სხეული წვავდა ენერგიას, რომელიც არაფრიდან გაჩნდა და არაფრისკენ მიედინებოდა. მისთვის ელექტროენცეფალოგრამა რომ გადაგელოთ, ლენტზე ალფა-რიტმის მაჩვენებელი თანაბარ ტალღებად კი არა, უზარმაზარ დაკბილულ მნვერვალებად გამოისახებოდა.

კერიმ ჯაგრისი ისევ კომოდზე დააბრუნა. ძალიან კარგი. ჯერ კიდევ გუშინ ძირს ჩამოუვარდა – როგორც „მონოპლიაში“: ყველაფერი დაკარგა და ციხეში ჩაჯდა.

მერე ისევ დახუჭა თვალები და სავარძელი დაარნია. მიხო ორგანიზმი ისევ ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდებოდა: ხშირ-ხშირად სუნთქვავდა, თითქოს ირბინაო. სავარძელი ჩუმად ჭრიალებდა, მაგრამ ჭრაჭუნი არ აღიზიანებდა... პირი-ჭით, ამშვიდებდა კიდეც. ჭრი... ჭრი... ჭრი... თავში კი არანაირი აზრი არ უტრიალებდა...

– კერი! – მოესმა დედის ოდნავ ალელვებული ხმა.

⁶ ფარენგეტით.

(ალბათ იგრძნო, რაღაც რომ ხდებოდა – რადიომიმღებიც ხმაში შეიძინებს, სამზარეულოში მიქსერს როცა რთავენ. კარგია, კარგია!)

– უკვე ილოცე, კერი?

– ვლოცულობ, – გასძახა გოგონამ.

„ჰო, ჰო, ვლოცულობ. ნუ გეშინია“.

კერიმ თავის პატარა საწოლს შეხედა.

ერთი, ორი და...

საწოლის ფეხი ორი-სამი დუიმით ჰაერში აინია.

გოგონამ თვალები დახუჭა და საწოლი გრუხუნით დაენარცხა იატაკზე.

კერი ლიმილით ელოდა დედის წყევლასა და ყვირილს. მაგრამ დედა დუმდა. მაშინ ადგა და გრილ თეთრეულში შენვა. თავი სტკიოდა და გული ერეოდა... თუმცა ამაში უჩვეულო არაფერი იყო – გონების დაძაბვის შემდეგ სულ ასე ემართებოდა. გული ისე უცემდა, რომ შეეშინდა კიდეც.

მერე სინათლე ჩააქრო და საწოლის თავს მიეყრდნო – ბალიში არ ჰქონდა, რადგან დედა ბალიშზე ძილს უკრძალავდა.

ეშმაკებზე, ჭინკებსა და კუდიანებზე ფიქრობდა (მეც კუდიანი ვარ, დედა, ეშმაკის ნაშიერი) – აი, მიქრიან ბნელ ლამეში... ჭრიან რძეს, აყირავებენ სადლვებლებს, ანადგურებენ მოსავალს. ისინი კი გულგახეთქილები იყუუებიან სახლებში და ჰერონიათ, რომ კარებზე დახატული ნიშნები დაიფარავს ავი თვალისგან.

კერის ჩაეძინა და დაგორებული ლოდები დაესიზმრა – ისინი გრიალით მოარღვევდნენ ნყვდიადს და გასასრესად დაეძებდნენ დედას და მათ. მაგრამ ვერ დაიმალებიან ისინი კლდეთა შორის და ვერც მკვდარი ხის უკან ჰპოვებენ თავშესაფარს.

სიუზენ სნელის ნიგნიდან „მე მქვია სიუზენ სნელი“, (ნიუ-ოთრები, „საიმონ ენდ შუტერი“, 1986), გვ. i-iv:

„ჩემბერლენში, გამოსაშვებ მეჯლისზე მომხდარ ამბებზე საუბრისას უურნალისტებსაც, დიუკის უნივერსიტეტის მეცნიერებსაც, დევიდ კონგრესსაც (მიუხედავად იმისა, რომ მისი ნიგნი „აფეთქებული აჩრდილი“ ამ თემაზე დაწერილი ერთადერთი ნაშრომია, რომელიც სანახევროდ მაინც ასახავს სიმართლეს) და კერი უაიტის საქმის შემსწავლელი კომისიის წევრებსაც (რომლებმაც განტევების ვაცად მაქციეს) მხედველობიდან გამორჩათ ის ფაქტი, რომ ჩვენ იმხანად ბავშვები ვიყავით.

კერი ჩვიდმეტი წლისა იყო, მეც და კრის პარგენსენიც – ჩვიდმეტის, ტომი როსი – თვრამეტის, ბილი ნოლანი კი, რომელიც თავის დროზე მეცხრე კლასში ჩარჩა, ცხრამეტის...

მოზრდილი ბავშვები, სოციალური თვალსაზრისით, უფრო ადეკვატურები არიან, ვიდრე პატარები, მაგრამ ისინიც ხშირად იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს, ხშირად რეაგირებენ ზედმეტად მძაფრად და ხშირად უჭირთ ხოლმე ვითარების სათანადოდ შეფასება.

მომდევნო თავში შევეცდები, საკუთარ მაგალითზე დაყრდნობით განვმარტო ზემოთ თქმული. ის, რის მოყოლასაც ვაპირებ, უაღრესად მნიშვნელოვანია ხსენებულ მოვლენებში ჩემი როლის საჩვენებლად და ათასგვარი ბრალდებისა თუ მონაჭორის უარსაყოფად ზოგიერთი ისეთი სცენის გახსენება მომინევს, რომლებიც დღემდე ენით აუნერელ ტკივილს მაყენებს.

ეს ყველაფერი ადრეც დაწვრილებით ვუამბე კერი უაიტის საქმის შემსწავლელი კომისიის წევრებს, მაგრამ ჩემს მონაყოლს უნდობლად მოეკიდნენ. ორასი ადამიანის დაღუპვი-

სა და მთელი ქალაქის დანგრევის ფონზე ძალიან ადვილად ავინყდებათ ის ფაქტი, რომ ჩვენ მაშინ ბავშვები ვიყავით – ბავშვები, რომლებსაც მხოლოდ საუკეთესო ზრახვები გვა-გოძრავებდა...

– გააფრინე?

ტომი ყურებს არ უჯერებდა. იჯდა და თვალებს აფა-ხურებდა. მასთან იყვნენ სახლში. ტელევიზორი გუგუნებდა, მაგრამ არავინ უყურებდა. ტომის დედა ქუჩის გადაღმა, მი-სის კლეინთან იყო სტუმრად. მამა კი სარდაფში ჩიტის სახლს აწყობდა.

სიუ შეცბა, მაგრამ არ შემდრკალა.

– ასე მინდა, ტომი.

– გასაგებია, მაგრამ მე არ მინდა. ამაზე სულელური არა-ფერი მსმენია. კაცს ეგონება, სანაძლეო გაქვს დადებული.

სიუ გაყინული სახით შეაცერდა.

– რას მელაპარაკები?! შენ არ იყავი გუშინ, ტვინი რომ გახვრიტე ტრაპახით, ასეთი ვარ, ისეთი ვარო? ესე იგი, საქმე საქმეზე როცა მიდგება...

– ჰეი! მოიცა! – ტომის არ სწყენია. გაელიმა კიდეც. – უარი ხომ არ მითქვამს!.. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ მითქვამს.

– შენ...

– მოიცა. რატომ ჩქარობ? ბოლომდე მათქმევინე. ესე იგი, გინდა, რომ კერი უაიტი გამოსაშვებ მეჯლისზე დავპატიუო. კაი, ეგ გასაგებია. მაგრამ სხვა რაღაც ვერ გავიგე.

– მაინც რა? – სიუ ნინ გადმოიხარა.

– ჯერ ერთი, რაში გჭირდება ეს ყველაფერი? და მეო-რე: რომც დავპატიუო, რატომ გგონია, რომ კერი ნამოსვლაზე დამთანხმდება?

- რას ჰქვია, არ დაგთანხმდება! შენ ხომ... - სიუს ენა დაება, - შენ ხომ... ყველას მოსწონხარ და...
- ორივემ მშვენივრად ვიცით, რომ, წესით, კერის სულაც არ უნდა უყვარდეს ისინი, ვინც ყველას მოსწონს.
- ნუ გეშინია, წამოგყვება.
- რა იცი?

სიუ წამით ისევ დაიბნა, მაგრამ მერე ტომის თვალებში ჩახედა და მტკიცედ მიუგო:

- რომ იცოდე, როგორ გიყურებს ხოლმე, - ამ სიტყვებში ქათინაურიც იყო და წაქეზებაც, - თავს დავდებ, უყვარხარ. ისევე, როგორც ჩვენი სკოლის გოგოების ნახევარს.

ტომიმ თვალები გადაატრიალა.

- არა, მართლა, - დასძინა სიუმ თავის მართლების ტონით. - უარს ვერ გეტყვის.

- დავუშვათ, დაგიჯერე, - თქვა ტომიმ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - დანარჩენს რა ვუყოთ?

- ანუ რა საჭიროა ეს ყველაფერი? რა საჭიროა და, ასე შეიძლება, თავისი ნაჭუჭიდან გამოვიდეს. იქნებ ჩაებას...

- საყოველთაო მხიარულებაში? კარგი რა, სიუზი! თვითონ თუ გვერა ამ სისულელის?

- იქნებ არც მვერა, - მიუგო სიუზიმ, - მაგრამ ხომ იცი, თავს დამნაშავედ ვთვლი მის წინაშე.

- საშხაპის ამბავს გულიხმობ?

- მაგასაც და ბევრ სხვა რამესაც. მარტო ეს რომ იყოს, კიდევ დავმშვიდდებოდი. მაგრამ საწყალ კერის ჯერ კიდევ დაწყებითი სკოლიდან იგდებენ აბუჩად. ყოველთვის არა, მაგრამ ზოგჯერ მეც ვიღებდი ამაში მონაწილეობას. მეც კრისისა და მისი ამხანაგების ნრეში რომ მეტრიალა, ასეთი შემთხვევები გაცილებით ხშირი იქნებოდა. მაშინ ასეთი რამეები...

ჭმ... ძალიან სასაცილოდ გვერდებოდა. გოგოები ჩვენს ასაკში ნამდვილი აფთრები არიან... ბიჭებმა ასეთი რამეები არ იციან... ბიჭები ერთი-ორს შეუჩიჩხინებდნენ და თავს ანებებდნენ. აი, გოგოები კი გაუთავებლად აწვალებდნენ... სიმართლე გითხრა, აღარც მახსოვს, რით დაინყო ეს ყველაფერი. კერის ადგილას ვერ მოვითმენდი: ქვის ქვეშ შევძვრებოდი და მთელ ქვეყანას დავემალებოდი.

— რას იზამ, ბავშვები იყავით, — უთხრა ტომიმ, — ბავშვებმა კი არ იციან, რას სჩადიან. ისინი ვერც კი აცნობიერებენ, ვინმეს ტკივილს რომ აყენებენ. მათთვის უცხოა თანაგრძნობის განცდა. გესმის?

უეცრად სიუ მიხვდა, რომ აუცილებლად უნდა ეთქვა ერთი მნიშვნელოვანი რამ, რის გვერდითაც სამხაპის ამბავიც კი უფერულდებოდა — ისევე, როგორც ვება მთა უფერულდება და პატარავდება უკიდეგანო ცის ფონზე.

— ბავშვები კი არა, ვერავინ ვაცნობიერებთ, რამხელა ტკივილს ვაყენებთ ხოლმე ერთმანეთს. გაზრდასთან ერთად ადამიანები უკეთესობისკენ არ ვიცვლებით — მხოლოდ ჭურა გვემატება. ჩვენ უნინდელივით ვაცლით ბუზებს ფრთებს, ოლონდ ახლა უფრო სარწმუნო არგუმენტებს ვიგონებთ თავის გასამართლებლად. ბევრი ირნმუნება, რომ ძალიან შეეცოდა კერი უაიტი (ყველზე სასაცილო ისაა, რომ ამას, ძირითადად, გოგოები ამბობენ), მაგრამ მათგან ვერც ერთს ვერ ნარმოუდგენია, როგორია ყოველდღე, ყოველ ნამს მის დღეში ყოფნა... ვერ ნარმოუდგენიათ და არც აინტერესებთ.

— არც შენ გაინტერესებს?

— არ ვიცი, — სიუს ტირილი წასკდა, — მაგრამ ვინმემ მაინც ხომ უნდა სცადოს რაღაცის გამოსწორება... გააკეთოს რამე მნიშვნელოვანი!

- კარგი, დავპატივებ.
 - მართლა? - ნამოიძახა გაოცებულმა სიუმ. სინამდევი-ლეში არც კი სჯეროდა, რომ ტომი თხოვნას შეუსრულებდა.
 - ჰმ. მაგრამ ვფიქრობ, უარს მეტყვის. ზედმეტად დიდი ნარმოდგენა გაქვს ჩემს გარეგნობაზე... სისულელეა, რაც ნე-ლან პოპულარობის შესახებ მითხარი. ტყუილად გაქვს აკვია-ტებული ასეთი რამეები.
 - გმადლობ, - სიუმ ისე ამოიოხრა, გეგონებოდათ, ინკვი-ზიტორს ნამებისთვის მადლობას უხდისო.
 - ძალიან მიყვარხარ, - უთხრა ტომიმ.
- სიუმ გაკვირვებულმა შეხედა - ტომიმ პირველად უთხრა ეს სიტყვები.

ნიგნილან „მე მქვის სიუზენ სნელი“ (გვ. 6):

„ბევრს (უფრო კაცებს ვგულისხმობ) სულაც არ უკვირს, ტომის რომ ვთხოვე, კერი უაიტს ხლებოდა მეჯლისზე. ამ ადამიანებს უფრო ის აოცებს, რომ ტომიმ ასეთ უჩვეულო თხოვნაზე უარი არ მითხრა - როგორც ჩანს, მამაკაცებს თა-ვიანთი სქესის ნარმომადგენელთაგან ალტრუიზმის გამოვლი-ნება ცოტა უცნაურად ეჩვენებათ.

ტომიმ კერი უაიტი იმიტომ დაპატიუა, რომ უუყვარდი და ხათრი არ გამიტეხა. „ასე რატომ გგონიათ?“ - მკითხავენ სკეპტიკოსები. იმიტომ, რომ თვითონ მითხრა. ტომის ვინც იცნობდა, ამ არგუმენტსაც იკმარებდა...“

ტომი როსმა კერისთან დალაპარაკება ოთხშაბათს, ლან-ჩის დროს გადაწყვიტა და უეცრად აღმოაჩინა, რომ პატარა ბიჭივით ღელავდა.

კერი თოხი როგორ უკან იჯდა და მეხუთე გაცვეთის
დასრულების შემდეგ ტომი, გასასვლელისკენ ხმაურით და-
რული კლასელების საპირისპიროდ, გაუბედავი ნაბიჯით ნავი-
და მისი მერხისკენ. მისტერ სტივენსი – ახლად ნამოზრდილი
ლიპით დამშვენებული მაღალი მამაკაცი – დინჯად ანუობდა
ქალალდებს ტყავის გაცვეთილ პორტფელში.

– კერი!

– ჰა?

კერიმ ნიგნს თვალი მოსწყვიტა და შეშინებულმა ამოხე-
და, თითქოს თავში ჩარტყამას მოელისო. მოუამული დღე იყო
და ჭერქვეშ მოკაშკაშე ფლოურესცენტრი ლამპების შუქი
კიდევ უფრო უფერმერთალებდა ისედაც ფერმერთალ სახეს.
ტომიმ პირველად შეამჩნია (ალბათ იმიტომ, რომ ნესიერად
პირველად შეხედა), რომ კერი სულაც არ იყო უშნო. სახე უფ-
რო მრგვალი ჰქონდა, ვიდრე – ოვალური, თვალები კი ისეთი
მუქი, გეგონებოდა, სილურჯეს ასხივებენო. ჩალისფერი და
ცოტა უხეში, კეფაზე კონად შეეკრული თმა არც ისე უხდებო-
და. სქელი, სველი ტუჩების უკან ქათქათა და სნორი კბილები
მოუჩანდა. ტანად როგორი იყო, ვერ გაიგებდი – ტომარასა-
ვით ჩამოჩაჩული სქელი სვიტერი მკერდს სრულიად უმაღავ-
და. ჭრელი და შეუხედავი კაბა ეცვა: ორმოცდაათიანი ნლების
ყაიდაზე ბოლოში ზარივით გაგანიერებული. მსხვილ და კოხ-
ტა ნვივებს კი სქელი ნინდები უფარავდა.

კერის თვალებში შიში ჩაბუდებულიყო... შიში და კიდევ
რაღაც... ტომიმ ზუტად იცოდა, რაც იყო ეს „რაღაც“ და ვე-
ღარ გაეგო – სნორად იქცეოდა, თუ საქმეს აფუჭებდა. თუმცა
ვინ იცის, იქნებ სოუ მართალი იყო...

– ჩემთან ერთად ხომ არ ნამოხვიდოდი გამოსამვებ მეჯ-
ლისზე?.. თუ, რა თქმა უნდა, ვერ არავის დაუპატიჟებიხარ...

კერიმ თვალები დააფახურა და უცრად უცნაური რაგ მოხდა. ალბათ, მხოლოდ ერთი გაელვება იყო, მაგრამ მოგვიანებით ტომიმ ადვილად გაიხსენა ეს შეგრძნება (როგორც სიზმრად ნანახი ამოტივტივდება ხოლმე გონებაში): უცრად თავბრუ დაეხვა და გულისრევამ მოუარა – თითქოს ნაბახუ-სევი ყოფილიყოს.

მერე კი გადაუარა.

– რა? რა თქვი?

სხვა თუ არაფერი, არ ვაბრაზებულა მაინც. ტომი წივილ-კივილს, ცრემლებსა და ციც უარს ელოდა. მაგრამ ეერის გულიც კი არ მოსვლია. ალბათ ჯერ ვერც კი გაეგო, რა უთხრეს. საკლასო ოთახში მარტონი დარჩინენ: ერთი კლასი ნავიდა, მეორე კლასის მოსწავლეები კი ჯერ არ ჩანდნენ.

– გამოსაშვები მეჯლისი... – ცოტა დაბნეულმა გაიმეორა ტომიმ, – მომავალ პარასკევას... მესმის, ცოტა დროა დარჩენილი, მაგრამ...

– არ მიყვარს, როცა დამცინიან, – ჩაილაპარაკა კერიმ და თავი ჩაქინდრა. რამდენიმე ნამს ასე იდგა, მერე მხრები აიჩეჩა და გასასვლელისკენ გაემართა. მაგრამ კარში მაინც გაჩერდა და მოტრიალდა. უცნაურ სიდიადეს ასხივებდა. მის მზერაში ისე ბუნებრივად, ისე გაუცნობიერებლად იყო შერწყმული ლირსება და სიამაყე, რომ ტომი წამით დაიბნა კიდეც. – რატომ გგონიათ, რომ გაუთავებლად შეიძლება ჩემი აბურიად აგდება? მშვენივრად ვიცი, ვისთანაც დადინარ.

– საერთოდ, იმასთან დაკავშირდება, ვისთანაც მომესურვება, – მოთმინებით აუხსნა ტომიმ, – ახლა კი შენი დაპატიჟება მინდა და იმიტომაც გეპატიუები.

...და უეცრად მიხვდა, რომ სიმართლეს ამბობდა. როგორც ჩანს, სიუ ერთადერთი არ იყო, ვისაც სინანულის გრძნობა ამოძრავებდა.

საკლასო ოთახში მოსწავლეებმა იწყეს შემოსვლა. ზოგიერთები დაუფარავი ცნობისწადილით უცქერდნენ მათ. დეილ ულმანმა თანაკლასელს რაღაც გადაულაპარაკა და ჩაიხითხითა...

— ნავიდეთ აქედან, — ტომიმ კერი დერეფანში გაიყვანა და მეოთხე აუდიტორიამდე მიაცილა (მერე რა, რომ მისი კლასი სულ სხვაგან იყო).

ბოლოს კერიმ ჩუმად ჩაიბუჭბუტა:

— ძალიან მინდა ნამოსვლა. ძალიან.

ტომი მიხვდა, რომ ეს თანხმობას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა და ისევ ეჭვმა შეიძყრო. თუმცა საქმე ხომ მაინც დაიძრა...

— მაშ, რატომლა ჭოჭმანობ? ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

— არა, — თავი გააქნია კერიმ. შეშფოთებული და ჩაფიქრებული ლამაზიც კი ჩანდა. — კოშმარი დატრიალდება.

— ბილეთები ჯერ არ ამილია, — განავრდო ტომიმ, თითქოს კერის სიტყვები ვერ გაიგონაო. — დღეს უნდა ვიყიდო, თორემ ხვალიდან უკვე აღარ გაყიდიან.

— ჰეი, ტომი, სხვა მიმართულებით მიდიხარ! — დაუძახა ბრენტ ჯილიანმა.

კერი შეჩერდა.

— დაგაგვიანდება, — უთხრა ჩურჩულით.

— ნამოხვალ?

— მეცადინეობა იწყება, — ჩაილაპარაკა აღელვებულმა კერიმ. — მეცადინეობა... მალე ზარი დაირეკება.

— ნამოხვალ?

— კი, — ნამოიძახა გოგონაშ გაბრაზებული და სასოწარ. კვეთილი ხმით. — არ იცოდი, რომ ნამოვიდოდი? — დასძინა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ და მაჯით ცრემლი შეიმძრალა.

— არა, — მიუგო ჭომიმ, — მაგრამ ახლა ვიცი. რეის ნახევარზე გამოგივლი.

— კარგი, — უთხრა კერიმ, — გმადლობ.

ცოტაც და გული ნაუვიდოდა...

მერე კი ჭომიმ, რომელსაც არასოდეს უგრძნია თავი ასე უხერხულად, ფრთხილად ჩაჟყიდა ხელი.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 76):

„კერი უაიტის საქმის არც ერთ ასპექტს არ მოსდევს იმდენი ჭორი, ნინაალმდეგობრივი შეფასება და გაუგებრობა, რამდენიც გამოსაშვებ სალამოზე კერის ავად სახსენებელი თანამგზავრის, თომას ევერეტ როსის როლის შესახებ საუბარს მოჰყვება ხოლმე.

გასულ ნელს ზებუნებრივი მოვლენებისადმი მიძღვნილ ნაციონალურ კოლოკვიუმზე ნარმოთქმულ ვითომდა სენსაციურ მიმართვაში მორტონ კრაცბარკენმა განაცხადა, რომ მეოცე საუკუნის ორი ყველაზე შოკის მომგვრელი მოვლენა იყო 1963 წელს კუნ კენედის მკვლელობა და 1979 წელს ქალაქ ჩემპერლენის დანგრევა. კრაცბარკენი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორივე შემთხვევა აშკარად შეიცავს უაღრესად შემაშფოთებელ ფაქტს. კერძოდ: მართალია, ერთიცა და მეორე ამბავიც ცუდად დასრულდა, მაგრამ მათ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, შეუქცევადი ცვლილებები შემოიტანეს ჩვენს ცხოვრებაში.

თუკი ამ ორ შემთხვევას ერთმანეთს შევადარებთ, დაუნახავთ, რომ თომას როსმა იგივე როლი შეასრულა, რაც თავის

დროზე ლი ჰარვი ოსვალდმა – ანუ, ოსვალდის მსგავსად, ისიც კატასტროფის ერთგვარ დეტონატორად მოგვევლინა. თუმცა უპასუხოდ რჩება კითხვა: განზრას გააკეთა მან ეს თუ უნებლივ?

სიუზენ სნელის თქმით, ტომ როსი მასთან ერთად აპირებდა გამოსაშვებ მეჯლისზე წასვლას. იგი ირნმუნება, რომ როსმა კერი მისი თხოვნით – საშაპე ოთახის ინციდენტში მონანილეობის გამოსასყიდად – დაპატიუა. ისინი, ვინც ამ ვერსიის უარყოფას ცდილობენ (მათ შორის განსაკუთრებით ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ჯერომი აქტიურობს), ამტკიცებენ, რომ სიუზენ სნელი ან მოვლენების რომანტიზებას ცდილობს, ან, უბრალოდ, იტყუება.

ჯერომი მთელი შტევრმეტყველებითა და თავგამოდებით გვიხსნის, რომ უფროსკლასელ მოზარდებს არასოდეს უჩნდებათ დანაშაულის მონანიების სურვილი, მით უმეტეს, იმ თანატოლების წინაშე, რომლებიც გარიყულები არიან თანაკლასელთა ყველა არსებული დაჯგუფების მიერ.

„კარგი იქნებოდა, შეგვძლებოდა იმის დაჯერება, თითქოს მოზარდებს შესწევთ უნარი, მსგავსი უსტით გადაარჩინონ მთელი კლასის მიერ დაჩაგრული და განკიცხული თანაკლასელის ღირსება, – განაცხადა სულ ცოტა ხნის ნინ ჯერომმა უურნალ „ატლანტიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. – მაგრამ, სამწერალოდ, ყველამ ვიცით, რომ ასე არაა. დაკორტნილი ჩიტები არავის ამოჰყავს ტალახიდან. პირიქით, მათ კიდევ უფრო კორტნიან და ქოლავენ“.

რა თქმა უნდა, ჯერომი მართალია (ყოველ შემთხვევაში, ჩიტებთან მიმართებაში მაინც) და მისი მტევრმეტყველება, მიშვნელოვანნილად, „გაშაყირების“ თეორიის დამტკიცებას ემსახურება, რომელიც განიხილა და არ დაადასტურა კერი უაიტის საქმის შემსწავლელმა კომისიამ. ეს თეორია გულისუაიტის საქმის შემსწავლელმა კომისიამ.

ხმის, რომ ქოში როსი და ერისტის პარგენსები (nb. გვ. 10-18) უკავებს ერთი ღიადი შეთქმულების თავისაცები, რომელიც ეკრი უკავების გამოსაშენებ შეჯლისზე შეტყუებას და საბოლოოდ დამკირებას ისახავდა შიზსად. „გაშაყირების“ თეორიის ზოგიერთი შომხრე (შექნილად, დეტექტიურ უანრში მომუშავე შჩერლების უკლისხბობა) იშასაც ირჩმუსება, რომ შეთქმულებაში სოუ სიელიც აქტიურად შონანილეობდა. ამგვარი ვარაუდის ფონზე იდუმალებით შოუპული მისტერ როსი ძალიან ულამაზოდ გამოიყურება: მან ხომ განზრახ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც არასტაბილური ფსიქიკის მქონე გოგონა ნერვულ აძლილობაშე შიიყვანა.

მაგრამ ზემოთ მოყვანილი ციტატის ავტორი სულაც არ ფიქრობს, რომ მისტერ როსს ამგვარი ინტრიგის ჩახლართვა ხელენიფებოდა. სხვათა შორის, ეს ნიუანსი ხშირად რჩებათ მხედველობიდან ცილისმნამებლებს – მათ, ვინც ტომი როსს კუნთმაგარ და გონებაჩლუნგ ათლეტად ნარმოსახავს ხოლმე. „გაუთლელი ხეპრე“ – აი, ფრაზა, რომელიც ზუსტად გადმოცემს მის მიმართ დამოკიდებულებას.

კი, როსი მართლაც გამოირჩეოდა ათლეტური მონაცემებით. ყველაზე კარგ შედეგებს მან კალათბურთში მიაღწია – ბოლო სამი წლის განმავლობაში იუვინის სპორტულ გუნდში ირიცხებოდა; ბოსტონური კლუბის, „რედ სოქსის“ მთავარმა მენეჯერმა დიკ თ'კონელმა კი განაცხადა, ტომი როსი რომ გადარჩენილიყო, საუკეთესო პირობებს შევთავაზებდი, თლონდაც ჩვენს გუნდში ეთამაშაო.

მაგრამ, ამასთან ერთად, როსი შესანიშნავად სწავლობდა (რაც ძნელად შეესაბამება „კუნთმაგარი კრეტინის“ ტიპაჟს). მშობლების თქმით, პროფესიონალი კალათბურთელის კარიერის დაწყებამდე ის კოლეჯის დამთავრებას და სამეცნიერო ხა-

როსის მიღებას აპირებდა. ტომი როსის ინტერესების სფეროში შედიოდა პოეზია და მის მიერ სიკვდილამდე ნახევარი ნლით ადრე დაწერილი ერთი ლექსი ე.ნ. „მცირე“ უურნალ „ევერლიფ-ში“ დაიბეჭდა. ხსენებული ლექსი მოყვანილია მე-5 დანართში.

საყურადღებოა, რომ ტომის ცოცხლად დარჩენილი თანაკლასელებიც კარგად იხსენებენ. მოვლენებს, რომლებიც კრესამ „გამოსაშვები მეჯლისის ლამედ“ მონათლა, ცოცხალი მხოლოდ თორმეტი მოსწავლე გადაურჩა – ვინც მეჯლისს არ ესწრებოდა. მათ შორის ძირითადად თანაკლასელთა შორის „არაპოპულარული“ მონაცეები იყვნენ და თუკი ტომი როსის ეს „განკიცხულებიც“ კი მეგობრულ და კეთილგანნყობილ ყმანვილად მოიხსენიებენ (ბევრმა მათგანმა მას „ჯიგარი ტიპი“ უწოდა), პროფესორ ჯერომის ჰიპოთეზის სისწორე სეროზულ ეჭვს ბადებს.

როსის მოსწრების ჩანაწერები (შტატის კანონმდებლობა ან გვაძლევს დამამტკიცებელ საბუთად ფოტოსელების ნარმოდგენის საშუალებას), თანაკლასელთა მოგონებებთან და ნათესავების, მეზობლებისა თუ მასწავლებლების კომენტარებთან ერთად, ცალსახად ადასტურებს, რომ ტომი როსი ლირსეული ახალგაზრდა იყო. ეს კი ძნელად შეესატყვისება პროფესორ ჯერომის მიერ დახატულ სურათს. როგორც ჩანს, როსის ნაკლებად აღელვებდა გარშემო მყოფთა აზრი მისი პერსონის შესახებ და საკმაოდ დამოუკიდებელი იყო საიმისოდ, რომ კერი უაგტი გამოსაშვებ საღამოზე დაეპატიუებინა. შესაბამისად, ის ჩვენი სინამდვილისთვის ერთობ იშვიათ მოვლენას ნარმოდგენდა: იყო გამძაფრებული საზოგადოებრივი ცნობიერების მქონე ახალგაზრდა ადამიანი.

მე სულაც არ ვცდილობ თომას როსის ნმინდანად ნარმოდგენას. არა. მაგრამ საქმის გარემოებათა გულდასმით შესწავლის

ლაშ დამარნმუნა, რომ მას არც იმ მამლის ხატი შეეფერება, გააფიქრებულ დედლებთან ერთად რომ ცდილობს უმნეო ვა-რის გათელვას.

კერი იწვა

(არ მეშინია, არ მეშინია დედაჩემის)

და თვალებზე ხელები აეფარებნა. შეაბათი ინურებოდა. ისეთი კაბა რომ შეეეერა, როგორიც ჰქონდა ჩაფიქრებული, კერვა ხვალვე უნდა დაენყო. თუ არა და

(არ მეშინია დედაჩემის)

ვერ მოასწორებდა. მან უკვე იყიდა მასალა „ჯონსის“ მა-ლაზიამი, უესტოვერში – საშინლად მდიდრული მძიმე ხავერ-დი. კერი ხავერდის ფასმაც დააფრთხო და მაღაზიამაც მო-ნუსხა თავისი გაშლილი დარბაზებითა და დახლებს შორის მოსიარულე კოხტად მორთული, ელეგანტური ქალბატონე-ბით. იქ იყო სულ სხვა სამყარო, რომელიც არაფრით ჰგავ-და ჩემბერლენის „ვულვორთსის“ ატმოსფეროს, სადაც კერი ქსოვილებს ყიდულობდა ხოლმე.

...თუმცა შიშმა მაინც ვერ შეაჩერა. ბოლოს და ბოლოს შეეძლო, ყველა წივილ-კივილით გაეყარა მაღაზიიდან. ნარ-მოიდგინეთ, როგორ ნაიქცეოდნენ მანეეენები, როგორ ჩამოც-ვივდებოდა ჭერიდან ჭალები და როგორ გაიშლებოდა ჰაერში ძვირფასი ქსოვილები... ერთი სიტყვით, რომ მოესურვებინა, სამსონივით ჩამოაქცევდა შენობის კედლებს და ყველას უბე-დურებას დაატეხდა თავს.

(არ მეშინია)

ნაყიდი ქსოვილი სარდაფუში, თაროზე ჰქონდა დამალული და ის დრო იყო, ზემოთ ამოეტანა. ამაღამ უნდა ამოეტანა.

კერიზ თვალები გაახილა.

ერთი, ორი და...

კომოდი ისტაკა მონყდა, ჰაერში აინია და ჭერამდე აფრინდა. მერე ისევ ძირს დაეშვა, ისევ აფრინდა და ისევ დაეშვა. ახლა სანოლის ჯერი დადგა – კერისთან ერთად აფრინდა და დაფრინდა... აფრინდა და დაფრინდა... როგორც ლიფტი...

კერი თითქმის არ დაღლილა... ცოტათი დაიღალა.

ახალი ნიჭი, სულ რაღაც ორი კვირის ნინ ოდნავ რომ ღვიოდა მასში, უკვე კოცონად გადაქცეულიყო და საშინელი სისწავეთი იკრეცდა ძალას. ეს მართლაც...

მართლაც აშინებდა.

ნიჭთან ერთად კი საფიქრალმაც იმატა: დაუპატიჟებელი სტუმრებივით შემოესივნენ ფიქრები (ზუსტად ისე, როგორც ცოტა ხნის ნინ – ცოდნა მენსტრუალური ციკლის შესახებ)... თითქოს ტვინში დამცავი ჯებირი გარღვეულიყო და მთელი გონება მოგონებებს დაეტბორა... ბუნდოვან, ბავშვური აღქმით დამახინჯებულ, მაგრამ მაინც სრულიად რეალურ მოგონებებს... კედელზე აცეკვებულ სურათებს; შორეულ კუთხეში მოშვებულ ონკანს; ან იმას, დედამ რომ რაღაც სთხოვა

(კერი, ფანჯარა დაკეტე – წვიმა იწყება)

და ჯახუნით რომ დაიხურა სახლში ყველა ფანჯარა; ან იმას, მისის მაკაფერტის „ფოლკსვაგენს“ შორიდან რომ დახსნა კამერის სარქველები და თხხივე საბურავი ერთდროულად რომ დაეშვა; ანდა იმას, ქვები რომ...

(!!!!!!! არა არა არა არა არა !!!!!!!)

...მოგონებებისგან ხსნა არსად ჩანდა, ისევე, როგორც თვიურისგან... აი, ის მოგონება კი სულაც არ იყო ბუნდოვანი. ის – არა. ის ამბავი გონებაში მკაფიოდ აღბეჭდილიყო – როგორც გაელვება ლამის ჩაბნელებულ ცაზე: ჰატარა გოგონა...

(არ გინდა დედიკო ვერ ვსუნთქავ ყელი დედიკო მეტს
ბოდიში დედიკო აღარ ვიზამ დედიკო ენა დედიკო პირიდან
სისხლი მომდის)

საწყალი პატარა გოგონა...

(ყვირილი: შე პატარა ბოზანკალა ყველაფერი ვიცი და
ისიც ვიცი რა უნდა გავაკეთო)

საწყალი პატარა გოგონა საკუჭნაოს ზღურბლთან წევს.
თვალნინ შავი ლაქები უტრიიალებს, ყურებში გუგუნი ჩაეს-
მის, გასიებული ენა გამოყოფილი აქვს, კისერს კი, იმ ადგი-
ლას, სადაც დედას ხელები ჰქონდა წაჭერილი, ნითელი ზო-
ლი ატყვია. აი დედაც ბრუნდება... თანდათან უახლოვდება...
ხელში კი

(ამოგაჭრი ძირფესვიანად ამოგაჭრი მაგ სიავეს მაგ ავ-
ხორცობას ყველაფერი ვიცი თვალებს ამოგთხრი)

ის დიდი დანა უჭირავს, რომლითაც მამიკო რალფი
ხორცს ჭრიდა ხოლმე. სახე ბრაზისგან მოქცევია, ნიკაპზე
დორბლი ჩამოსდის, მეორე ხელში კი

(მეორედ აღარასოდეს შეხედავ იმ სისაძაგლეს)

მამიკო რალფის ბიბლია უჭირავს.

მერე კი, რაღაც მოხდა: „ერთი, ორი და...“ კი არა -
ერთი, ორი და, თითქოს რაღაც უფორმომ და ტიტანურმა
კოლოსალური ენერგიის შადრევანივით ამოხეთქა ქვემოდან -
ენერგიისა, რომელიც კერის არ ეკუთვნოდა და მომავალშიც
არასოდეს იქნებოდა მისი... სახურავს რაღაც დაეცა და დე-
დას ბიბლია ხელიდან გაუვარდა (მადლობა ლმერთს!). პირველ
დარტყმას მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე და მალე მთელ-
მა სახლმა ზანზარი დაიწყო. დედამ დანაც დააგდო, მუხლებ-
ზე დაეცა და ჭერისკენ ხელებაპყრობილი მხურვალე ლოცვას
მოჰყვა. დერეფანში კი სკამები დაფრინავდნენ; ზემოთა ოთა-
ვე

ხებში სანოლები დახტოდნენ და ყირავდებოდნენ; მძიმე სასა-დოლო მაგიდა ფანჯრიდან გადაეყუდა... და უეცრად დედამ კიდევ უფრო დაჭყიტა შიშისგან გადმოკარკლული თვალები და კერისკენ გაიშვირა თითი...

(შენი ნახელავია შე ტარტაროზო შე ჯოჯოხეთის მაშა-ლავ შე ალქაჯო შენ აკეთებ ამას)

მერე კი ციდან ქვები ჩამოცვივდა და ისეთი გუგუნი ატ-ყდა, გეგონებოდათ, სახურავზე თავად ღმერთი დააბიჯებსო.

მალე კერიმაც დაკარგა გონება და ყველაფერი თითქოს დავინუდა კიდეც. დედას სიტყვა არასოდეს დასცდენია მომ-ხდარზე. დანა ისევ მაგიდის უჯრაში ჩააბრუნა. კისერზე დაჩ-ნეული საშინელი სისხლჩაქცევები კი ბინტით შეუხვია. კერიმ ერთხელ თითქოს ჰკითხა კიდეც, კისერი რატომ მაქვს ჩა-ლურჯებულიო, მაგრამ დედამ მხოლოდ ტუჩები მოპრუნა და არაფერი უპასუხა. თანდათან ყველაფერი დავინუებას მიეცა. მოგონებები მხოლოდ სიზმრებში თუ წამოტივტივდებოდნენ ხოლმე. ნახატები აღარ დახტოდნენ. ფანჯრები თავისით აღარ იხურებოდნენ. კერის აღარც კი ახოვდა, ოდესლაც ასეთი რა-მეების კეთება რომ შეეძლო...

მხოლოდ ახლა გაახსენდა.

ცივ ოფლში განურული ინვა სანოლზე და ჭერში იყურე-ბოდა.

- კერი! ჩამოდი, ვივახშმოთ!

- მოვდივარ

(არ მეშინია)

დედიკო.

კერი ადგა, თმა ლურჯი ლენტით შეიკრა და დაბლა ჩა-ვიდა.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 59):

„რამდენად იჩენდა თავს ადრეულ ასაკში კერის „ველური ნიჭი“ და რას ფიქრობდა ამის თაობაზე რადიკალური რელიგიური შეხედულებების მქონე მარგარეტ უაიტი? როგორც ჩანს, ამას ველარასოდეს გავიგებთ. მიუხედავად ამისა, ადვილი ნარჩოსადგენია, რამდენად მძაფრი იქნებოდა მისი რეაქცია...“

— ნამცხვარს რატომ არ ჭამ, კერი? — დედამ ნამით მოსნუვიტა თვალი რელიგიურ ბროშურას და ჩაი მოსვა. — ჩემი გამომცხვარია.

— ნამცხვრისგან მუნუკები მიჩნდება, დე.

— მუნუკებით უფალი ცოდვებისთვის გსჯის. ჭამე.

— დე...

— ბატონი!

კერიმ, როგორც იქნა გაბედა და...

— ტომი როსმა გამოსაშვებ მეჯლისზე დამპატიუა... მომავალ პარასკევა...

დედამ თავი ასწია და ისე მიაჩერდა, თითქოს ყურებს არ დაუჯერაო. მერე ცხენივით დაბერა ნესტოები და ისეთი სრუტუნი ამოუშვა, რომ კერიმ შიშისაგან ლუკმა ძლივს გადაყლაპა.

(არ მეშინია... არა, მეშინია)

— კარგი ბიჭია, დედიკო. აქ გამომივლის, გაგეცნობა და...

— არა!

— ...თერთმეტ საათამდე უკან მომიყვანს. მეც...

— არა, არა და არა!

— ...დავთანხმდი. დედა, გეხვეწები, გაიგე, რომ დროა... და ვინყო ადამიანებთან ურთიერთობა... ყოველ შემთხვევაში, ვცა

დო მაინც. მე ხომ შენნაირი არ ვარ! ჰო, სასაცილო ვარ... უფრო სწორად, სკოლაში თვლიან ასე. მე კი ეს სულაც არ მომწონს. სანამ დროა, ნორმალურ პიროვნებად მინდა ჩამოვყალიბდე და... მისის უაიტმა ჩაი სახეში შეასხა.

არა, წყალი მდუღარე კი არა, ოდნავ თბილი იყო, მაგრამ კერის მაინც მყისვე ჩაუვარდა ენა – ელდანაცემი იჯდა, ქარვისფერი სითხე წურნურით ჩამოსდიოდა ლოყებსა თუ ნიკაპზე და თეთრ ხალათზე ყვითელ ლაქად გროვდებოდა... დარიჩინის სურნელის მქონე მოზრდილ, წებოვან ლაქად.

მისის უაიტს ბრაზისგან მხრები უცახცახებდა. სახე ნიღაბივით გაშეშებოდა და მხოლოდ ნესტოები ებერებოდა კვლავინდებურად. მერე კი უეცრად მალლა აიხედა და ჭერს ასძახა:

– ლმერთო! ლმერთო! ლმერთო! – და ყოველ ნამოძახილთან ერთად სულ უფრო და უფრო კუმავდა პირს, თითქოს ხაფანგს ხურავსო.

კერი გაუნძრევლად იჯდა.

მისის უაიტი ადგა და მაგიდას შემოუარა – აცახცახებული ხელები მხეცის ბრჭყალებიან თათებს მიუგავდა, სახეზე კი ზიზღნარევი სიბრალული ალბეჭდოდა.

– ახლავე შედი საკუჭნაოში და ილოცე, – უბრძანა მრისხანე ხმით.

– არა, დე...

– ბიჭები... ამასაც მოვესნარი... სისხლდენას ბიჭები მოჰყვებიან... ბინძური ძალლებივით ყნოსვა-ყნოსვით მოდიან სუნზე. ამ სუნზე!

დედა მკვეთრად შემოტრიალდა და ისეთი გაანნა,

(ლმერთო, ახლა ძალიან მეშინია)

მთელს ოთახში გაისმა ლანანის ხმა. კერი შეტორტმანდა, მაგრამ სკამიდან არ გადმოვარდნილა. ლოყაზე თეთრად

დაწინული ხელის ანაბუქით თანხმობის გამოყენება და „არასიკეთის ნითიერები“ გახდა.

— ესეც შენ ჩემი დამძა, — უთხოს მისის უაიტია. შეუძინა თვალებით იყენებოდა, სწრაფად სურათებისა და ისე ლაპარა. კოდები, გეგონებოდათ, თავისთვის ბუღალტურებით.

მერე და კრისტიანული თითოებით ეკრის მხარში ჩააფიქტდა და ფეხზე ნამთავენა.

— ეზ მეც მინახავს. კი, კი მაგრამ. არასოდეს. მოქნა. მხოლოდ მასთან. იმიტომ. რომ. ძალით. მოქნა... — მისის უარტი გაჩუმდა და ჭურის ახედა.

კურის შიშისგან ენა ჩაუკარდა. დედამისი ბრძოლის ბრძოლის იქცევიდა: თითქოს ლვითი ზემთაგონება გარდმოელებოდა, რომელიც სადაც არის, ნაკარტუტად აქცევდა.

— დედა...

— მანქანებში... ჰმ, აა, სად უშვირებიან ამას. ქალაქების. გზისპირა მოტელებში. ვისეკი. სუნი... ამ სუნს გასუნთქებენ!

— მისის უარტი ბუტბუტიდან ყვირილზე გადავიდა. კისერზე ძარღვები დაბერვოდა, თავს კი აქეთ-იქით ატრისალებდა, თითქოს ჭურში რაღაცას ეძებსო.

— დედა, ვირჩევნია, გაჩუმდე.

ამ სიტყვებმა მისის უარტი თითქოს სინამდვილეში დააბრუნა. გაკვირვებისგან პირიც კი დააღო — გეგონებოდათ, სრულიად ახალ სამყაროში რაღაც ძველის, ხელმოსაჭიდის პოვნას ცდილობსო.

— შედი საკუთხაოში, — ჩაიბურტყუნა ბოლოს, — შედი და იღოცკე.

— არა.

დედამ დასარტყმელად ხელი აღმართა.

— არა!

მისის უაიტს ხელი ჰაერში გაუშეშდა. გაკვირვებული მიაჩერდა ქალიშვილს, თითქოს არ სჯეროდა, რომ ისევ მის წინ იდგა – უდრეული და საღსაღამათი.

მოულოდნელად მაგიდიდან ნამცხვრიანი ლანგარი აფრინდა და სასტუმრო ოთახის კართან კედელს მიენარცხა. კედელზე იასამნისფრად ჩამოიკლაკნა მოცვის მურაბა.

- მეჯლისზე მივდივარ, დედა!

ახლა ჰერში ფინჯანი აიჭრა, მისის უაიტს ყურთან ჩაუ-
ნუილა და ქურის თავზე ნამსხვრევებად იქცა. მისის უაიტმა
ერთი დაიყმუვლა, სახეზე ხელები აიფარა და მუხლებზე დაე-
ცა.

— ეშმაკის ნაშიერო! — ამოიკვნესა თავზარდაცემულმა, —
ეშმაკის ნაშიერო! სატანა!..

— ადექი, დედა.

- კუნძული, ავხორციობა და ათასი საცოტური...

- agrade!

დედა გაჩუმდა და წამოდგა. ხელები ტყვესავით თავზე და-
დედა გაჩუმდა და წამოდგა. ხელები ტყვესავით თავზე და-
ენყო და რაღაცას დუდუნებდა. კერის მოეჩვენა, რომ ლოცუ-
ლობდა.

— შენთან ომს არ ვაპირებ, დედა, — თქვა კერიმ ქოშინით.
ხმა უნყდებოდა და სიტყვებს ძლივს ნარმოთქვამდა, — მაგრამ
მაცხოვრე ჩემი ცხოვრებით. შენი... შენი ცხოვრება სულ არ
მომწონს.

კერი დადუმდა – საკუთარმა სითამამემ დააფრთხო. მკრე-
ხელური აზრი, რომელიც ამ სიტყვებს ჩააქსოვა, იმ ბინძურ
სიტყვაზე ბევრად უარესი იყო.

— შე ალქავო, — ჩაიჩურჩულა დედამ, — ტყუილად როდო
ნერია წმინდა წერილში, ჯადოქარი ცოცხალი არ დატოვოთ.
მამაშენი უფლის საქმეს ემსახურებოდა...

— არ მინდა მაგ თემაზე ლაპარაკი, — გაანუვეტინა კერიმ. მამამისის ხსენება მასზე ყოველთვის დამთრგუნველად მოქმედებდა. — მხოლოდ ერთი რამ გაიგე: ამიერიდან ყველაფერი სხვანაირად იქნება, — მას ნამით თვალებიც კი გაუბრნებინდა. მერე კი ჩუმად დასძინა — ეს მათაც უნდა შეიგნონ.

მისის უაიტი კვლავ რაღაცას ბუტბუტებდა.

კერის კმაყოფილების გრძნობაც კი არ გასჩენია: კვანძის გახსნამ მისი მოლოდინი არ გაამართლა — ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ყელში ძვალი გაეჩირიაო... თან მუცლის ტკივილიც არ უვლიდა.

ამიტომაც ადგა და გადამალული საკაბის ამოსატანად სარდაფუში ჩავიდა. საკუჭნაოში ჯდომას ისევ ეს ჯობდა. აბა, რა! რაც გინდა, ყოფილიყო, ოლონდაც ის ლურჯად განათებული, ოფლისა და ცოდვის სუნით აქოთებული საკუჭნაო ნუ იქნებოდა. რაც გინდა, ყოფილიყო!

კერი ნამით შეჩერდა, ნაჭრის რულონი გულზე მიკურა და ობობას ქსელში გახვეული მბუტავი ნათურის შუქისგან თვალები მოიჩრდილა. რა თქმა უნდა, ტომი როსს იგი არ უყვარდა. ამის თაობაზე არანაირი ილუზია არ ჰქონია. ეს ამბავი უფრო მონანიების რაღაც უცნაურ ფორმას წააგავდა — კერისთვის ეს ცხადი იყო და ამიტომაც დათანხმდა დაპატიუებას: მან ხომ სხვებზე უკეთ იცოდა, რა არის მონანიება... მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იცოდა...

ტომი შეპეირდა, აგერ ნახავ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ჰო, მალე ნახავს... და ვაი იმათი ტყავის ბრალი, თუ ისევ დაცინვას უპირებენ! კერიმ არ იცოდა, ღვთისგან ჰქონდა ეს ნიჭი თუ ეშმაკისგან... და ახლა, როცა მიხვდა, რომ ეს საკითხი სულაც არ აღელვებდა, ენით აუნერელი შვება იგრძნო —

თითქოს მძიმე ტუირთი მოიშორა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე დაატარებდა.

ზემოთ დედა ისევ ბუტბუტებდა – ოლონდ ახლა კი აღარ ლოცულობდა, ავი სულების განსადევნ შელოცვას ამბობდა.

ნიგნიდან „მე მქვია სიუზენ სნელი“ (გვ. 23):

„ბოლოს ამ ამბავზე ფილმიც კი გადაიღეს – აპრილის მინურულს ვნახე და, კინოთეატრიდან გამოსულს, კინალამ გული ამერია. ამერიკაში ყველა მნიშვნელოვან ამბავს, ბავშვის ფეხაცმელივით, ოქროსფერ ბრჭყვიალა ქალალდში ფუთავენ, რომ მალე დავივინყოთ. მაგრამ არავის ესმის, რამდენად დოფი შეცდომაა კერი უაიტის დავინყება.“

ორშაბათ დილას გრეილი და მისი მოადგილე მორტონი დირექტორის კაბინეტში ყავას მიირთმევდნენ.

– ჰარგენსენისგან არაფერი ისმის? – იკითხა მორტონმა და ჭონ უეინივით ჩაიცინა. თუმცა მაინც ეტყობოდა, რომ ღელავდა.

– არაფერი. კრისტინმაც დააჭირა ენას კბილი: აღარ გვემუქრება, მამაჩემი გაგაკოტრებთ და გაგაცამტვერებთო, – გრეილმა ყავას სული შეუბერა.

– მაგრამ მაინცდამაინც გახარებული არ ჩანხარ. – რა ვიცი... გაიგე, კერი უაიტი გამოსაშვებ მეჯლისზე რომ აპირებს მოსვლას?

მორტონმა გაკვირვებისგან წარბები ანკიძა.

– ვისთან ერთად? ნისკარტასთან?

„ნისკარტას“ კიდევ ერთ გარიყულ მოსწავლეს, ფრედი ჰილტის, ეძახდნენ. ფრედი დაახლოებით ას გირვანქას ინო-

ნოდა, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ ნონის მიზანი
მესამედი ცხვირზე მოდიოდა.

— არა, — მოუგო გრეილმა, — ტომი როსთან ერთად.

მორტონს ყავა გადასცდა და ხველა აუკარდა.

— ჰმ, ჰმ... მეც ძენსავით დამემართა, ეფ ამბავი რომ გა-
ვიგე.

— მერე ტომის ტურთა, სოუზი რას ამბობს?

— მგონი, ნორედ მან მოაწყო ეს ამბავი, — თქვა გრეილ-
მა. — როცა ველაპარაკე, ისეთი მთაბეჭდილება დამრჩა, რომ
საშსაპის ამბის გამო სინდისი ქენჯნის. ახლა ის მეჯლისს
მორთვის კომიტეტის წევრისა და ძალიან ბედნიერის, თოთქოს
მეჯლისს გაცდენა საერთოდ არ აღელვებდეს.

— ჰმმ, — ლრმააზროვნად ჩაიღულუნა მორტონმა.

— ჰარგენსენს რაც შეეხება... მგონი, საქმეში ჩახედულ
ხალხთან მოითათბირს და გაარკვია, რომ მართლაც შეგვიძ-
ლია, კერი უაიტის სახელით უუჩივლოთ. ჰოდა, ეტყობა, გაც-
ლა ამჯობინა. მე უფრო მისი ქალიშვილი მაშვიოთებს.

— გვონის, ჰარსაკევს რაღაც მოხდება?

— არ ვიცი. კრისს ბევრი მეგობარი ჰყავს და მათი უმ-
რავლესობა მეჯლისზე იქნება. თანაც ის ქალბატონი ბილი
ნოლანთან მეგობრობს, რომელსაც, თავის მხრივ, ისეთი პი-
რუტყვი ძმაბიჭები ჰყავს, მარტო სიღვათის გამო რომ არიან
დასაჭერები. როგორც ვიცი, ჰარგენსენი ამ ჩვენს ნოლანს თა-
ვის ჭუაზე ატრისალებს.

— რაიმე კონკრეტულ საფრთხეს ელი?

გრეილმა ხელები გაშალა.

— კონკრეტულს? არა. მაგრამ უკვე დიდი ხანია, სკოლაში
ვმუშაობ და ვგრძნობ, როდისაა საქმე ცუდად. გახსოვს სტად-
ლერის სკოლასთან თამაში სამოცდათექვსმეტში?

მორტონმა თავი დაუქნია. სამი წელი ძალიან მცირე დონ
იყო იუვინისა და სტადლერის სკოლების თამაშის დასავინ-
ყებლად. ყველაფერი ბრიუს ტრევორის გამო მოხდა. ბრიუსი
ცუდი მოსწავლე იყო, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა კა-
ლათბურთს. მნვრთნელ გეინსს ის არ უყვარდა, მაგრამ ვერ
აგდებდა, რადგან მისი წყალობით იუვინის სკოლას ათი წლის
განმავლობაში პირველად გაუჩნდა რეგიონულ პირველობაზე
მოხვედრის შანსი. ამის მიუხედავად, ტრევორი გადამწყვეტ
მატჩამდე ერთი კვირით ადრე გარიცხეს გუნდიდან, რადგან
შემოწმების დროს (რომლის შესახებაც ყველამ წინასწარ იცო-
და) ტანსაცმლის კარადაში მარიხუანით სავსე პაკეტი უპო-
ვეს. ბუნებრივია, იუვინის სკოლამ თამაში 104:48 ნააგო და
ტურნირზე ველარ მოხვდა. თუმცა ეს უკვე ვიღას ახსოვდა!..
სამაგიეროდ არავის დავინუებია თამაშის მეოთხე პერიოდის
მინურულს ტრიბუნებზე ატეხილი ჩხუბი. ცემა-ტყეპა ტრე-
ვორმა წამოიწყო, რომელიც იძახდა, ნარკოტიკი ჩამიგდესო.
მოკლედ, ეს ამბავი ოთხი კაცის ჰოსპიტალიზებით დასრულდა
– მათგან ერთი სტადლერის გუნდის მნვრთნელი იყო, რო-
მელსაც თავში პირველადი დახმარების ჩანთა ჩაარტყეს.

- გული ცუდს მიგრძნობს, – თქვა გრეილმა. – ვინმე დამ-
პალ ვაშლებს მოიტანს, ან რაღაც უარესი მოხდება.
- შეიძლება მართალი ხარ.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“, (გვ. 92-93):

„დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტი მეცნიერი
იზიარებს აზრს, რომ ტელეკინეტიკური უნარი რეცესიული გე-
ნით გადაიცემა და ჰემოფილის ერთგვარ სარკისებრ ანარეკლ
ნარმოადგენს – დაავადებისა, რომელიც მხოლოდ მამაკაცებში
ნარჩინდება“

ვლინდება. ამ დაავადების (რომელსაც, თავისი დროის, მაგრა თა ჭირს” უნოდებდნენ), განჩაპირობებული რეცესიული, უკან, ქალებში უვნებელია, მამინ, როცა მამრობითი სექსის ბევრები, უსათუოდ ავადდებიან სიხლის შეუდეგებლობით. აკადემიური ბა მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაკვირდება, რომ მამაკაცი სათანადო რეცესიული გენის მტარებელი ქორებული ნინდება. ამ კავშირის შედეგად დაბადებულ ბიჭს ჰერმოფილი აღმოაჩინდება, გოგო კი რეცესიული გენის მტარებელი იქნება. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში მამაკაცის შემოლება იყოს ჰერმოფილიაზე პასუხისმგებელი რეცესიული გენის მატარებელი. მაგრამ თუკი იგი ცოლად მოიყვანს მსგავსი „ძველება“ გენის მქონე ქალს, მათი მამრობითი სექსის შვილებიც ისევე ჰერმოფილით დაავადებულები იქნებიან.

სამეცო ოჯახების შემთხვევაში, როდესაც მუხლებში ადამიანთა უაღრესად შეზღუდული ნრიდან ირჩევდნენ, საგვარეულო ხეზე მოხვედრილი გენის გადაცემის აღმართობა საგრძნობლად მაღალი იყო – სწორედ აქედან გაჩინდა სახელნოდება „მეცეთა ჭირი“.

საუკუნის დასაწყისში ჰერმოფილის შემთხვევები ხშირად გვხვდებოდა აპალარის მთების ბინადართა შორის და, საუკთოდ, ეს დაავადება ფართოდაა გავრცელებული იმ კულტურებში, რომლებშიც სისხლის აღრევაა მიღებული.

ტელეკინეტიკური უნარების შემთხვევაში კი რეცესიული გენის მტარებლები მამაკაცები არიან, დომინანტურისა კი – მხოლოდ ქალები. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ქალებსაც შეიძლება ჰქონდეთ რეცესიული გენი.

როგორც ჩანს, რალფ უიტიც გენის მტარებელი იყო. ეს გენი, სრულიად შემთხვევით, მარგარეტ ბრიგჰემსაც აღმოჩნდა. მაგრამ, რამდენადაც მისი ტელეკინეტიკური უნარების

დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ არსებობს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მისი გენიც რეცესიული იყო.

ამუამად მკვლევრები გულდასმით შეისწავლიან ცნობებს მარგარეტ ბრიგჰემის ბებიის, სედი კოხრანის ცხოვრების შესახებ, რადგან თუკი ტელეკინეტიკური უნარების დომინანტურობა და რეცესიულობა ისევე იჩენს თავს, როგორც ჰემოფილის შემთხვევაში, მისის კოხრანს შესაძლოა, დომინანტური ტელეკინეტიკური გენი ჰქონდა.

უაიტებს ბიჭი რომ ჰყოლოდათ, ის, უბრალოდ, რეცესიული გენის მტარებელი იქნებოდა და მუტაცია მასზე დასრულდებოდა, რადგან რაღაც უაიტსა და მარგარეტ ბრიგჰემს კუზენები არ ჰყოლიათ, რომელთა შვილებთანაც მათ ჰიპოთეზურ ვაუიშვილს შეიძლებოდა შთამომავლობა ჰყოლოდა. ხოლო იმის ალბათობა, რომ იგი სანათესაოს გარეთ შეხვდებოდა ტელეკინეტიკური გენის მქონე ქალს, უაღრეად მცირე იყო. ჯერჯერობით ხენებულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევართა ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ შეძლო ამ გენის გამოყოფა.

მენის შტატში მომხდარი კატასტროფის ფონზე ეჭვი ალარავის ეპარება, რომ ტელეკინეტიკური გენის გამოყოფა დღესდღეობით მედიცინის უმთავრესი ამოცანაა. ჰემოფილის, ანუ H-გენის გამო არასაკმარისი ტრომბოციტების მქონე ბიჭები იბადებიან, ტელეკინეტიკური, ანუ TK-გენის გამო კი – გოგონები, რომლებსაც, ტიფიანი მერის მსგავსად, საკუთარი სურვილისამებრ შეუძლიათ ადამიანების განადგურება...“

ოთხაბათი. ნაშუადლევი.

სიუზენი „საგაზაფხულო მეცნიერების მორთვის კომიტეტის“ დანაჩენ თოთხმეტ (არც მეტ, არც ნაკლებ) წევრთან ერთის

თად ესტრადის თავზე გამოსაყიდვები პინოს გაფულისებაზე მუშაობდა. მეჯლისის თემა იყო „გაზაფხული კენიურაში“ (ნა ვინ ივონებდა ამ სულელურ სახელწოდებებსა? სოუმ იუკინს სკოლაში ოთხი ნელი გაატარა და უკვე ორჯერ იყო ხამურ ფი გამოსაშვებ მეჯლისზე, მაგრამ მაინც ვერ გაეგო, რამი სჭირდებოდათ რაიმე თემის მოფიქრება? განა არ შეიძლებოდა, უბრალოდ ეცემათ და ემხიარულათ?). ხატვაში ყველაზე მეტად განაფულმა მოსწავლემ, ჯორჯ ჩიზმარშა ესეიზი დახატა – ჩამავალი მზის ფონზე ჩალისქუდიანი გონდოლერი გონდოლას მიაცურებდა, ცაზე და წყლის ზედაპირზე კი ვარდისფერი, ნითელი და ნარინჯისფერი ათინათები ირეოდა. ლამაზი ნახატი იყო, ვერაფერს იტყოდი... მერე ჯორჯმა ეს-კიზი ოცი ფუტის სიგრძისა და თოთხმეტი ფუტის სიგანის ტილოზე გადაიტანა, დანომრილ უჯრებად დაყო და... ახლა მთელი კომიტეტი ისე გულმოდგინედ აფერადებდა თოთხულ კვადრატს, გეგონებოდათ, პატარა ბავშვები უზარმაზარ გასაფერადებელს მისევიანო. საწვალებელია, მაგრამ სამაგიეროდ, ლამაზი იქნებაო, – ფიქრობდა სოუ და ვარდისფერი ცარცით დასვრილ ხელებზე იხედებოდა.

მის გვერდით ჟელენ შირსი იჯდა ფეხმორთხმით. ჟელენ-მა ერთ-ერთი ევადრატის გაფერადება მოათავა და გემრიულად გააზმორს. მერე ცარციში ამოგანგლული ხელით შუბლზე ჩამოყრილი თმა გადაინია, წარბთან ვარდისფერი კვალი დაიწინა და სოუს მიუბრუნდა:

– ლმერთო! როგორ დამიტანხმე აჩაზე?

– ხომ გინდა, ლამაზი იყოს? – უპაუხა სოუმ ერთ-ერთი მასწავლებლის, მის გირის ხმით, რომელსაც მოწაფეები „მის ულვაშას“ ეძახდნენ (ქალბატონი გირი იმ ნელს „საგაზაფხულო მეჯლისის მორთვის კომიტეტის“ თავმჯდომარეობდა).

– როგორ არ მინდა! მაგრამ შეგვეძლო, მენიუს ან პროგრამის შედგენის კომიტეტში ჩავწერილიყავით: წელს მაინც არ მოვიწყეტდით. თანაც, თუ არ ვცდები, თავად საერთოდ არ აპირებ... – ჰელენმა ენაზე იკბინა.

– მეჯლისზე წამოსვლას, არა? – სიუზენმა მხრები აიჩეჩა და იატაკიდან ცარცუ აიღო. მიუჩვეველი სამუშაოსგან თითები სულ დაბუუებოდა, – ჰო, არ მოვდივარ, მაგრამ მაინც მინდა, ყველაფერი ლამაზად გამოიყურებოდეს, – იგი წამით დადუმდა და მორცხვად დასძინა, – მე თუ არა, ჭომი ხომ მოდის!

ერთხანს ჩუმად მუშაობდნენ, მაგრამ მალე ჰელენმა კვლავ დააგდო ცარცუ. მათ სიახლოვეს არავინ იყო: მხოლოდ ჰოლი მარშალი ფუსფუსებდა პანოს შორეულ კიდეზე – გონილის ცხვირს აფერადებდა.

– შეიძლება, ერთი რალაც გკითხო? – როგორც იქნა, გაბედა ჰელენმა, – ყველა მარტო ამაზე ლაპარაკობს...

– კი ბატონო... – სიუმაც დადო ცარცუ და დაბუუებული თითები დაისრისა, – ჯობია გითხრა, თორემ ჩემზე ჭორაობას გადაჰყვებით. მე თვითონ ვთხოვე ჭომის, კერი დაეპატიუებინა. იქნებ როგორმე... გაიხსნას, გამოძვრეს თავისი ნაჭუჭიდან... ეს მაინც უნდა გავაკეთო მისთვის.

– დანარჩენებმა რალა გავაკეთოთ? – ჰელენმა უბოროტოდ.

სიუმ კვლავ აიჩეჩა მხრები.

– თვითონ უნდა დაუფიქრდე იმდღევანდელ ამბავს. მე ჰკუის დარიგების უფლება არ მაქვს. თუმცა არც ის მინდა, ხალხს ვაფიქრებინო...

– რომ წამებულად მოგაქვს თავი, არა?

– ჰო, დაახლოებით.

– მერე, ტომი დათანხმდა? – ეტყობოდა, ყველაზე დიდი
შთაბეჭდილება ჰელენზე სწორედ ამ ნიუანსშია მოახდინა.

– კი, – მიუგო სიუმ, თუმცა ნვრილმანების მოყოლას თა-
ვი აარიდა. – ბავშვებს კი ალბათ ჰელენიათ, რომ გავყოყოჩიდი
და ცხვირს ვიბზუებ, – დაამატა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

ნამით ჰელენიც ჩაფიქრდა.

– მოკლედ... ამაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ უმეტესო-
ბა ისევ თავისიანად გთვლის. შენი თქმისა არ იყოს, ყველამ
თავისით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუმცა ზოგი სხვა-
ნაირადაც ფიქრობს, – ჰელენმა ზიზღით ჩაიფხუკუნა.

– ვინ, კრისის ამალის ნევრები?

– ჰო... და ბილი ნოლანი და მისი საძმაკაცო.... ძალიან
ამაზრზენი ვინმეა.

– კრისი ალბათ ვერ მიტანს, – ამ ფრაზამ კითხვასავით
გაიუღერა.

– ვერ გიტანს კი არა, ეზიზლები.

სიუმ თავი დაუქნია და უეცრად გაევირვებულმა გააცნო-
ბიერა, რომ ამ ამბავმა თან გული ატკინა და თანაც გაახარა.

– როგორც გავიგე, მამამისი სკოლის წინააღმდეგ საჩივ-
რის შეტანას აპირებდა, მაგრამ გადაუფიქრებია.

– ალბათ მიხვდა, რომ ამით მის ქალიშვილს მეგობრები
არ მოემატებოდა, – ჰელენმა თავი გაიქნია. – ვერ გამიგია, რა
ჭირი გვეტაკა იმ დღეს. ისეთი განცდა მაქვს, რომ საერთოდ
არ ვიცნობ საკუთარ თავს.

გოგონები ისევ საქმეს მიუბრუნდნენ. დარბაზის მეორე
ბოლოში დონ ბარეტი გასაშლელ კიბეს დგამდა, რომ ჭერქვეშ
გადებულ ფოლადის კოჭებზე ქალალდის გირლანდები ჩამოე-
კიდებინა.

– შეხედე, კრისი მოვიდა, – თქვა მოულოდნელად ჰელენმა.

სოუმ თავი ასწია და დაინახა, როგორ შედიოდა კრისი დარბაზის კართან მდებარე პატარა ოთახში. გოგონა თეძოებ-ზე შემოტკეცილ შინდისფერ ხავერდის შარვალსა და აბრე-ჭუმის თეთრ ბლუზაში იყო გამოწყობილი. ლიფი აშკარად არ ეცვა, რადგან სიარულისას ძუძუები უთანთალებდა. ბავშვი კი არა, გარყვნილი ბებრის ოცნებაო – ნარბები შეჭმუხნა სიუმ და მერელა დაფიქრდა: რა უნდა ნდომოდა კრისს მოსამზა-დებელი კომიტეტის ოთახში? თუმცა ვინ იცის, იქნებ თავისი განუყრელი მეგობრის, ტინა ბლეიკის სანახავად მოვიდა?

-გეყოფა! – უთხრა საკუთარ თავს სიუმ. – აბა, რა გინდა,
თავზე ნაცარი წაიყაროს და ჭვალოს პერანგი ჩაიცვას?“

„ჰო, — უმალ გაიფიქრა პასუხად, — სწორედ ეგ მინდა!“

- ჰელენ!

- 3m!

- რმეს ხომ არ აპირებენ?

ჰელენს უნებლივთ სახე გაუშემდა.

— არ ვიცი, — მისმა ხმამ ზედმეტად არხეინად გაიუღერა.
(რაღაც იცი, რაღაც ნამდვილად იცი. ბოლოს და ბოლოს
კეთე არჩევანი! შენი გადასაწყვეტია! თქვი, თუ ამბობ!)

ისევ პანოს გაფერადებას შეუდგნენ. კრინტი აღარ დაუდისვთ. სოუს კარგად ესმოდა, რომ საქმე არც ისე კარგად იყო, როგორც ჰელენი არწმუნებდა... უბრალოდ, არ უნდა ყოფილიყო კარგად... თანატოლების თვალში ის აღარასოდეს იქლიყო კარგად... თანატოლების თვალში ნარმატებული „ოქროს გოგონა“. მან ნებოდა უნინდელივით ნარმატებული „ოქროს გოგონა“ - ნიღაბი მოიძრო და ყველას თასახიფათო შეცდომა დაუშვა - ნიღაბი მოიძრო და ყველას თავისი ჭეშმარიტი სახე უჩვენა.

სპორტული დარბაზის მაღალი, კრიალა ფანჯრებიდათ
ცერად ეშვებოდა შუაფლის მზის თბილი სხივები.

ნიგნიდან „მე მქონდა სოუზენ სნელი“ (გვ. 40):

„ჩემთვის გასაფებია, რამაც მიგვიყვანა მეჯლისის საღა-
მოს მომხდარ ამბებამდე. ამ საქმეში ბილი ნოლანის მონანი-
ლეობა შემზარავია, მაგრამ გასაკვირი სულაც არაა – კრის
პარგენსენს ის ყურმოჭრილ მონად ჰყავდა და, რასაც უნდო-
და, იმას აკეთებინებდა. დანარჩენი ბიჭების დაყოლიება თა-
ვად ბილისთვის არ იყო ძნელი: კენი გარსონი, რომელიც სკო-
ლიდან თვრამეტი წლის ასაკში გააგდეს, მესამეულასელივით
ეითხულობდა; სტივ დეიგანი, კლინიკური თვალსაზრისით,
თითქმის იდიოტი იყო; კიდევ ერთი მათგანი, ჯეკი ტალბოტი,
პირველად ცხრა წლის ასაკში დაპატიმრეს საბურავის სარ-
ქვლების მოპარვისთვის. სოციალური მუშაკის კატეგორიებით
თუ აზროვნებთ, ამ ბიჭებს გარემოებათა მსხვერპლიც კი შე-
გიძლიათ, უნდოთ.

მაგრამ რაც შეეხება კრის პარგენსენს... დარწმუნებული
ვარ, მისი უმთავრესი მიზანი თავიდანვე კერი უაიტის საბო-
ლოოდ დამცირება და განადგურება იყო...“

– უფლება არ მაქვს, – შესტოთებულმა ჩაილაპარაკა ტი-
ნა ბლეიქმა, პატარა, სიმპატიურმა გოგონამ, ულალ თმაში ამა-
ყად რომ ჰქონდა ფანქარი გარჭობილი. – ნორმა რომ შემოვ-
დეს, ყველას ეტყვის.

– ნუ გეშინია, ნორმა ტუალეტშია, – დაამშვიდა კრისმა.

ტინამ ნაძალადევად გაუცინა და, ზრდილობის გულის-
თვის, ცოტათი კიდევ შეენინაალმდეგა:

– კი მაგრამ, რად გინდა? ხომ მაინც არ მოდიხარ?

– რა მნიშვნელობა აქვს! – ჩვეული ლვარძლიანი ლიმი-
ლით მიუგო კრისმა.

— კარგი, — დანებდა ტინა და გაცვეთილი პლასტიკის გარეკანში ჩასმული ფურცელი მიუცურა. — ნავალ, „კოკა-კოლას“ ვიყიდი. ნორმა უოტსონმა თუ ნაგასნრო, მე არაფერ შეუძინ ვარ.

— ჰო, ჰო, — მიუგდო კრისტა და დარბაზის გეგმის შესწავლას შეუდგა. არც კი გაუგონია, როგორ მიიხურა ჭინამ კარი.

გეგმაც ჯორჯ ჩიზმარის დახაზული იყო, ამიჭომაც წუნს ვერ დასდებდი – საცეკვაო მოედანი, ორმაგი ესტრადა, საღა- მოს ბოლოს მეჯლისის მეფისა და დედოფლის კორონაციის- თვის

(სიამოვნებით დავადგამდი გვირგვინს იმ ძუკნა სნელსაც
და კერისაც)

განკუთვნილი ადგილი. დარბაზის სამი კედლის განვრივ
მაგიდები (კარტის სათამაშო, მაგრამ კრეპის გადასაფარებ-
ლებითა და ლენტებით მორთული) უნდა ჩაემწკრივებინათ,
რომლებზეც მეჯლისის პროგრამებსა და მეფე-დედოფლის
ასარჩევ ბიულეტენებს დააწყობდნენ.

კრისმა მაგიდების რიგს საგულდაგულოდ გალაქული ფრჩხილი გააყოლა – ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ... აი, ისინიც: ტომი რ. და კერი უ. მართალი ყოფილა... კრისმა თვალებს არ დაუჯერა. ბრაზისგან აკანკალდა კიდეც – ნუთუ მართლა ჰელინიათ, რომ ასეთი რამე გაუვათ? მერე ისევ ჩაიცინა ლვარძლიანად და კარისკენ მიიხედა. ნორმა უოტსონი ჯერ არ ჩანდა.

კრისმა გეგმა დადო და დაკანირულ და ინიციალებით აჭ-
რელებულ მაგიდაზე მიმობნეული ქალალდების თვალიერე-
ბას შეუდგა – ანგარიშ-ფაქტურები (ძირითადად, კრეპისა და
ლურსმნების), იმ მშობელთა სია, რომლებმაც სკოლას კარ-
ტის სათამაშო მაგიდები ათხოვეს, ქვითრები, მოსაწვევებისა

და ბიულეტენების დამბეჭდავი სტამბის, „სტარ პრინტერსის“, მიერ ნარმოდგენილი ანგარიში...

ბიულეტენები! კრისმა ქაღალდების დასტიდან ერთი ფურცელი ამოაცურა.

საერთოდ, საარჩევნო ბიულეტენების ნახვა გამოსაშვებ საღამომდე არ შეიძლებოდა – კანდიდატთა სახელებს სკოლის რადიოქსელი უშუალოდ მეჯლისის დღეს აცხადებდა, ხმის მიცემა კი მხოლოდ მეჯლისის მონაწილეებს შეეძლოთ. მაგრამ პრეტენდენტთა სიები სკოლაში ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე ტრიალებდა და პარასკევ საღამომდე მხოლოდ კანდიდატთა საბოლოო ნუსხა იყო გასაიდუმლოებული.

მოსწავლეებში თანდათან უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს იდეა, საერთოდ გაეუქმებინათ ეს მეფედედოფლობანა, რადგან გოგოები ამას დამამცირებლად, ბიჭები კი სისულე-ლედ და უაზრობად მიიჩნევდნენ. ცხადი იყო, რომ ტრადიცია კვდებოდა და რომ გამოსაშვები საღამო ასეთ ფორმალურ ვითარებაში იმ ნელს უკანასკნელად ტარდებოდა.

მაგრამ კრისს სწორედ ის ნელი აინტერესებდა. იგი გამალებით კითხულობდა სიას.

ჯორჯი და ფრიდა. კიდე რა უნდათ?! ფრიდა ჯეისონი ებრაელია.

პიტერი და მირა. გამორიცხულია. მირა სწორედ იმ მოსწავლეთაგანია, ვინც მეჯლისის მეფისა და დედოფლის არჩევნების ნინააღმდეგ გამოდის. ამიტომაც, რომც აირჩიონ, მაინც უარს იტყვის ტიტულზე... თანაც მისი სიფათის პატრონს ვინ აირჩევს!..

ფრენკი და ჯესიკა. შესაძლებელია. ფრენკ გრირი ნელს ოლქის საფეხბურთო გუნდში მოხვდა... მაგრამ ჯესიკას რა ვუყოთ? მას ხომ მუნუკი უფრო მეტი აქვს, ვიდრე ტვინი.

დონი და ჰელენი. მოიცა ერთი!.. ჰელენ შირსს მანანნალა
ძალლების დამჭერადაც კი არ აირჩივენ.

და ბოლო წყვილი: ტომი და სიუ. ოლონდ სახელი „სიუ“ გა-
დაეხაზათ და გვერდით სხვა სახელი – „კერი“ მიენერათ. აი,
წყვილიც ამას ჰქვია! კრისმა ძალისძალად გაიცინა და პირზე
ხელი აიფარა.

ამ დროს ოთახში ტინა შემოვარდა.

– ღმერთო, კიდევ აქა ხარ? ნორმა მოდის!

– დამშვიდდი, ლამაზო, – მიუგო კრისმა და ბიულეტენი
ისევ მაგიდაზე დააგდო. გარეთ სახეგაბადრული გავიდა და
პანოსთან ჩაცუცქულ სიუს ხელიც კი დაუქნია დაცინვით.

ფოიეში კრისმა ათცენტიანი ამოილო და ბილი ნოლანს
დაურეკა.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 100-101):

„დანამდვილებით დღესაც არ ვიცით, როგორ შეკრეს თა-
ნაკლასელებმა პირი კერი უაიტის წინააღმდეგ – რა იყო ეს:
წინასწარ მოფიქრებული და დამუშავებული გეგმა, თუ სპონ-
ტანურად გაჩენილი იდეა?

...მე უფრო მეორე მოსაზრებას ვემხრობი. როგორც ჩანს,
ჩანაფიქრი კრის ჰარგენსენს ეკუთვნოდა, მაგრამ მკაფიოდ
ალბათ მასაც არ ჰქონდა გააზრებული, რა საშუალებით უნდა
„გაენადგურებინა“ ისეთი გოგონა, როგორიც კერი უაიტი იყო.
როგორც ჩანს, სწორედ მან ურჩია უილიამ ნოლანსა და მის
მეგობრებს ჩემპერლენში, ირვინ ჰენტის ფერმაში გამგზავ-
რება. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მოგზაურობის სავარაუდო
შედეგი, მისი წარმოდგენით, სამართლიანი შურისძიება უნდა
ყოფილიყო...“

მანქანი სავაჭრო სამსახურით მიღები სოჩისათვის მოქმედი მუნიციპალიტეტის „სტუ-გრი-რიკად წე“. ჩემი კოლეგის მიმართულების იმ მინისტრულ-მთავრულ გამზე ასეთი რიცხვი ძირისკენ და ცენტრალ დამსაქრებულების მიერ დაგენერირებული არის. დაბლა ჩამომვამდელი ტოტები უშორესოდ არის და 1961 წლის „ბისკურის“ სახელმწიფო თავმჯობარი მანქანი ისეთი დროი ვერასაც სანახავი იყო დასახული მამის და დაუანგრელ-დაწესებული სამარგელით. ცალი ფართი საუკისროდ არ ენიჭო, მემკერ კი დროიდან მომარტინი კავკაციულს.

ფაფუა, კარიბისურ მაღლიაში გამვიდე საჭირო ბილ ნოლიანი იყდა. მის გარდა სალონში ჯერ ტალაბოტი, ჰენრი ბლეიკი, სტივ დეივისი და მეური კუნი და და გარსებრივი ჩატურისტები. სობნელები ხელიდან ხელში გადაღინდა და ურჩხულის თვალებისგან ამათებდა მარისუანის გატენილი სამი სიცარიეტი.

— დარწმუნებული ხარ, რომ ჰენტი მინ არა? — იყოს ჰენრიმ, — სულაც არ მონა ცოხები დაძრუნება... იქ მხედრის მეტა, არაფერის გვაჭრებუნ.

მარისუანისგან გამოლუნჩებულ კუნი გარსებრის ეს რეპლი კა ძალიან სასაკლოდ მოგრივენა და ხთობით აუტყოვა.

— არა. დაკრისლებაზე. — მოუგო ბილომ. ეს თუ სოტენიც კა ისე ჩაიკუჯღელუნა, თითქმის ლაპარაკი ეზარება.

დაკრისლების შესახებ კრისტი მემონევებით შეიტყო. ბებური ჰენტი ურთ-ურთი ყველაზე ნარმატებული ფერმერი იყო ჩემბეკრების მთარები. ქორვეული და გულკუთილი ფერმერებისგან განსხვავებით, რომლებმაც უკვე დიდი ხანია, დამტკიცებულ ადგილი ამერიკის სოდოს ცხოვრების ამსახველ პასტორალურ რომანებში, ჰენტი საუკისრო ქონებას აი ძალიერი იკვავდა. გამლის მნიშვნელობას ის თოვებ მარილით ქმნა.

არა, საფანტიით ტენიდა; რამდენიმე ახალგაზრდა ბაცაცა კი სამართალშიც ჰყავდა მიცემული. მათგან ერთ-ერთი ამ ბიჭების ძმაკაცი ფრედი ოვერლოკი იყო. ჰენტიმ ის თავის საქათმეში დაიჭირა და დუნდულებში ექვსი ნომერი საფანტი დაახალა. საბრალო ფრედიმ თთხი საშინელი საათი მუცელზე მნოლიარემ გაატარა საავადმყოფოში, სადაც ქირურგი სიცილ-სიცილით აცლიდა საჯდომიდან პატარა ბურთულებს და ლი-თონის ჯამში აგროვებდა. გარდა ამისა, სასამართლომ ფრე-დის, სხვის კერძო საკუთრებაში შეჭრისა და ქურდობისთვის, ორასი დოლარის გადახდა დააკისრა. ამგვარად, ჩემბერლენის ახალგაზრდები ირვინ ჰენტის მიმართ დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდნენ.

— რედი სადღაა? — იკითხა სტივმა.

— ერთ თვიციანტ ნაშას კერავს „ეავალიერში“, — ბილიმ მკვეთრად მოუხვია და მანქანა ფერმისკენ მიმავალ გზაზე გასრიალდა. რედ ტრელოუნი ჰენტისთან მუშაობდა, ძალიან უყვარდა სმა და, თავისი დამქირავებლის მსგავსად, უყოყ-მანოდ ესროდა საფანტს ფერმის საზღვრის დამრღვევებს. — ბარის დაკეტვამდე იქ იჯდება.

— ხუმრობა იქით იყოს და რისკი მაინც დიდია, — ჩაიბუზ-ლუნა ჯეკი ტალბოტმა.

— ჩამოგსვა მანქანიდან? — ცივად ჰენტი ბილიმ.

— არა-არა! — ნამოიძახა ჯეკიმ: ბილის მაგარი მოსაწევი ჰქონდა. თანაც ქალაქამდე ცხრა მილი მაინც იყო, — მაგრა გავერთობით!

ენიმ ნვრილმანების სათავსოდან თმის სამაგრი ამოილო (კრისს დარჩენოდა), ზედ თითქმის ბოლომდე ჩაფერთვლილი ნამწევი დაამავრა და, თავისი ნახელავით აღფრთოვანებული, კვლავ ახითხითდა.

მაღლე მანქანიდან ეკლიანი მავთული, გზის ორივე მხარეს გამოყოფებული ამჟრძალავი ნარჩერები და ახლად გადახნული კული გამოჩინდა. შაისის თბილ ქაურში მიწის მოტებო სურნელი დატრიალდა.

მომდევნო ბორცვზე რომ ავიდნენ, ბილიმ ფარები და ტასვა გამორთო, ტრანსმისისა ნეიტრალურ მდგომარეობაში გადაიყვანა და უხმოდ დააგორა მანქანა ფერმისკენ.

მაღლე დალმართს მოკლე აღმართი მოპყვა. ბილიმ ნელა შეუხვია და უკაცრიელ, ჩაბნელებულ სახლს რომ გაუსწორდნენ, მანქანამ სულ დაკარგა სიჩქარე. სახლის უკან უზარ-შაზარი ბოსელი იდგა; ცოტა მოშორებით მთვარის შუქზე პატარა ნყალსაცავი და უაშლის ბალები მოჩანდა. ცნობის-მოყვარე ლორებმა სალორიდან დინგები გამოყვეს. ბოსლი-დან ჩუმი ხმა მოისმა – თითქოს ძროხამ ძილში ნაიღმუვ-ლაო.

ბილიმ მკვეთრად დამუხრუჭა. ამის საჭიროება არ იყო, რადგან მანქანა ისედაც ნელა მიღოლავდა, მაგრამ, სამაგიე-როდ, ეფექტურად გაჩერდნენ.

ლუ გარსონმა ხელთათმანების სათავსოდან რაღაც ამო-ლო. ბილიმ და ჰენრიმ საბარგული გააღეს.

– ის ნაბიჭვარი ჩაისვრის, როცა დაბრუნდება, – თქვა სტიკუმა და ბოროტებად ჩაიცინა.

– დროს, ფრედის გამო შური ვიძიოთ, – ჩაიღაპარაკა ჰენრიმ და საბარგულიდან ურო ამოილო.

ბილის არაფერი უთქვამს. ამას ვიღაც პროჭი ფრედის-თვის კი არა, კრის ჰარვენსენისთვის აკეთებდა... ისევე, რო-გორც ყველაფერ დანარჩენს... ასე იყო მას შემდეგ, რაც კრი-სი სასეკლო ოლიმპიდან დაეშვა და მისი სატრიუ გახდა... მისთვის კაცისაც მოკლავდა და მეტსაც იზამდა.

ჰენრიმ ცხრაგირვანქიანი ურო შეათამაშა და რამდენ-
ჯერმე დაიქნია. მძიმე იარაღმა ავისმომასწავებელი სტვენით
გაკვეთა ჰაერი. დანარჩენები ბილის გარშემო შეგროვდნენ.
ის საბარგულში ჩაეყუდა და ყინულით სავსე ყუთიდან ორი
მოთუთიებული ვედრო ამილო. თრთვილით დაფარული ვედ-
როებიდან სუსხი მოდიოდა.

— ნავედით, — თქვა ბილიმ და ექვსივე ყმანვილი სწრაფი
ნაბიჯით სალორისკენ გაეშურა.

ბაკის შუაგულში ორი ჩასუქებული დედალორი დალრუ-
ტუნებდა, კუთხეში კი ტახი მინოლილიყო და არხეინად ეძი-
ნა. ჰენრიმ ახლა უკვე უხალისოდ შეათამაშა ურო და ბილის
მიანოდა.

— არ შემიძლია, — უთხრა მოღუშულმა. — შენ მიდი.

ბილიმ ურო გამოართვა და ლუს გადახედა.

ლუს ხელში ყასპის დანა ეჭირა — ნელან ხელთათმანების
სათავსოდან რომ ამოილო.

— მზად ვარ, — უთხრა ბილის და დანის პირი თითით მო-
სინჯა.

— ყელში უნდა გამოუსვა, — შეახსენა ბილიმ.

— ვიცი.

კენი სულელივით იკრიჭებოდა, ლორებს კარტოფილის
ბურბუშელას აჭმევდა და ეალერსებოდა:

— ყველაფერი კარგად იქნება, ლორუნიებო, ყველაფე-
რი კარგად იქნება. ახლა ძია ბილი თავებს დაგიხეთქავთ და
აღარ გექნებათ ბირთვული ომის შიში, — ის ხან ერთს უს-
ვამდა ჯაგრიან კისერზე ხელს და ხანაც მეორეს. ლორები
კი კარტოფილს ახრაშუნებდნენ და კმაყოფილები ღრუტუ-
ნებდნენ.

— საქმეს მივხედოთ, — თქვა ბილიმ და ურო მოიქნია.

დარტყმის ხმაში ის გაახსენა, მან და კენიმ კლერიკულობაზე ხიდიდან გოგრა რომ გადააგდეს. ლორი მეცდარი დაეცა - ენაგადმოგდებული და თვალებლია, დინგზე კი ბურბუშელის ნამცეცები მიჲ კვროდა.

კენიმ ჩაიხითხითა:

- დაბოყინება მაინც გეცლია.
- სწრაფად, ლუ! - დაიძახა ბილიმ.

კენის ძმა ბაკის ლობეზე გადაძვრა, ლორს თავი აუნია (ცხოველის უსიცოცხლო თვალებმა ცაზე გამოკიდებული ნახევარმთვარე აირეკლა) და დანა გამოუსვა.

სისხლმა მოულოდნელად, მძლავრი ნაკადით იფეთქა და ყველა მიმართულებით გაეშხეფა. ბიჭები სასწრაფოდ განზე გახტნენ.

ბილი დაიხარა და სისხლს ვედრო შეუყუდა. ვედრო სწრაფად გაივსო და მყისვე მეორე ჭურჭელი მიაშველეს. სისხლის ნაკადი რომ შენყდა, მეორე ვედრო ნახევრად იყო სავსე.

- ერთიც უნდა დავუკლათ, - თქვა ბილიმ.
- ლმერთო! - ამოიკვნესა ჯეებმ, - იქნებ, გვეყო...
- ერთიც-მეთქი!
- ლრუტ-ლრუტ-ლრუტ. - დაიძახა კენიმ და ბურბუშელის ცარიელი პაკეტი ააჭრაჭუნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე ლორი ისევ მოუახლოვდა და ლობეს და ისევ გაიშხუილა ურომ...

ნაკლული ვედროს გავსების შემდეგ, ბიჭებმა ლორს თავი დაანევინეს და დანარჩენი სისხლი მინაზე დალვარეს. ჟაერ-ში სპილენძის სუნის მსგავსი მეცეთრი სუნი დატრიალდა. მაშინდა შენიშნა ბილიმ, რომ თავიან-ფეხებიანად სისხლში იყო ამოსვრილი.

მერე კი, ვედროებით მანქანისკენ მიმავალმა, უეცრად საოცარი სიმბოლური კავშირი განჭვრიტა: ღორის სისხლი... კრისი მართალი იყო... ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა...

ღორის სისხლი ღორისთვის!

ბილიმ ვედროები მშრალ ყინულში ჩადგა, ყუთს თავი და-ახურა და მეგობრებს მიუბრუნდა:

– ნავედით!

საჭეს მიუჯდა და ხელის მუხრუჭი დასწია, დანარჩენები კი მანქანას მიაწვნენ. მანქანა უხმოდ მოტრიალდა და ბორ-ცვის წვერისკენ გაგორდა. როცა ჰენტის სახლს ჩაუარეს, დალმართიც დაიწყო და ყველანი სასწრაფოდ შეხტნენ სალონ-ში.

მანქანამ თანდათან აკრიფა სიჩქარე და მოსახვევეში ცოტა მოსრიალდა კიდეც. მომდევნო აღმართი რომ დაიწყო, ბილიმ გასაღები გადაატრიალა და აქსელერატორს ფეხი დააჭირა. მოტორმა ერთი ჩაახველა და გაიღვიძა.

ღორის სისხლი ღორისთვის! ვერაფერს იტყვი, კარგად მოუფიქრებია... შესანიშნავად! – ბილის გაელიმა. ამის დანახვაზე ლუ გარსონს ტანში ურუანტელმა დაუარა: არასოდეს ენახა, ბილის გაღიმებოდა. ასეთი რამ არც კი გაეგონა.

– ვის დაკრძალვაზეა ჰენტი? – იკითხა სტივმა.

– დედის, – მიუგო ბილიმ.

– დედის? – ნამოიძახა გაოცებულმა ჯეკი ტალბოტმა, – ღმერთო! ალბათ ქრისტემდე დაიბადა!

კენის ისევ სიცილი აუტყდა და მოახლოებული გაზფხულის ისევ სიცილი აუტყდა და მოახლოებული გაზფხულის სურნელით გაჯერებულ ნყვდიადში დიდხანს ისმოდა მის ხითხითი.

ნაცილი გეორგ მეჯლისის საღამო

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უხალი კაბა კერიმ პირველად 27 მაისს თავის ოთახში მოზომა. მან ისეთი ლიფიც კი იყიდა, რომელიც ძუძუებს იჭერდა (რისი აუცილებლობაც, კაცმა რომ თქვას, არ არსებობდა), მაგრამ მკერდის ზედა მხარეს არ ფარავდა. ასეთ ბიუსტჰალტერში კერის საოცარი განცდა ეუფლებოდა: თან რცხვენოდა და თანაც უცნაურ აღგზნებას გრძნობდა.

კაბა თითქმის იატაკამდე წვდებოდა – ქვემოთ გაშლილი იყო, წელზე კი შემოჭერილი. ძვირფასი ქსოვილის შეხება უცხო და საამო იყო შალსა და ბამბას ჩვეული გოგოსთვის.

სიგრძეს არა უშეავდა – ბოლოს და ბოლოს, ახალ ფეხსაცმელში კაბა კიდევ უფრო აიწევდა... კერიმ ფეხსაცმელი ჩაიცვა, ამონაჭერი გაისწორა და ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრის შუშაში ანარეკლი მკრთალად მოჩანდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმის დასანახად, რომ კაბა ჭანზე კოხტად ეჯდა. მოგვიანებით შეიძლებოდა კიდევ რაღაც...

კარი ჩუმი ჩხაკუნით გაიღო. კერი მიტრიალდა და დედა დაინხა.

სამსახურში წასასვლელად გამზადებულიყო. თეთრი სვიტერი ეცვა. ცალ ხელში შავი ჩანთა ეჭირა, მეორეში – ბიბლია.

წამით ორივე გაშემდა. მერე კერი წელში გაიმართა და კაბაზე გაზაფხულის მზის სხივები მოეფინა.

– წითელი... – ჩაილაპარაკა დედამ, – ვიცოდი, რომ წითელს შეარჩევდი.

კერიმ არაფერი უჰაუხა.

– ბინძურიმუთაქები გიჩანს. ყველა თვალიერებას დაგინყებს. წმინდა წერილში კი წერია...

– ამას მკერდი ჰქვია, დედა. მკერდი ყველა ქალს აქვა.

– ახლავე გაიხადე.

– არა.

– გაიხადე, კერი. ქვემოთ ჩავიდეთ და ღუმელში დავწნვათ. მერე კი ერთად ვთხოვოთ უფალს პატიება. მოვინანიოთ... – თვალები გიუურად აუციმციმდა და განყენებული მზერა სივრცეს მიაპყრო: ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა ეჩვენებოდა, რომ ღმერთი გამოცდას უწყობდა მის რწმენას. – მე სამსახურს გავაცდენ, შენ – სკოლას. მუხლებზე დავემხოთ, ნიშნისა და ღვთიური ცეცხლის ზეგარდმოვლენა შევთხოვოთ უფალს.

– არა, დედა.

დედამ ხელი სახესთან მიიტანა და ისე იჩქმიტა, კანზე დიდი ლაქა დააჩნდა. კერის წარბიც არ შეუხრია. მაშინ მისის უაიტმა ისევ ცას მიაპყრო ანთებული თვალები და ღმუილსა და ლოყების ხოკვას მოჰყვა.

– გეყოფა თავის გვემა, დედა, – უხრა კერიმ, – ეგ ვერ შემაჩირებს.

დედამ იკივლა და მუშტი ტუჩებში დაიხალა. მერე კი ტუჩიდან წამოსულ სისხლში თითო დაისველა და ბიბლიას დაადო.

— ...და განბანილ იქნა სისხლითა კრავისათა, — ჩაიჩურჩუ-
ლა, — ბევრჯერ... მე და მამაშენს ბევრჯერ...
— ნადი, დედა.

მისის უაიტმა კერის შეხედა — გაშეშებულ სახეზე სამარ-
თლიანი მრისხანება აღბეჭდოდა.

— უფალი არ მოითმენს ასეთ დაცინვას, — ავის მომასწა-
ვებელი ჩურჩულით წარმოთქვა დედამ. — ეჭვი არ შეგეპაროს,
უსათუოდ მოგეზღვება ცოდვების გამო! დაწვი კაბა, კერი!
განიძარცვე ეგ ეშმაკისეული ნითელი სამოსი და დაწვი! დაწ-
ვი! დაწვი-მეთქი!

უეცრად კარი თავისით გაიღო.

— ნადი, დედა.

მისის უაიტს გაელიმა — დასიხლიანებული ტუჩები შემზა-
რავად მოეღრიცა.

— როგორც იეზებელი გადმოვარდა კოშკიდან, შენც ისე
დაგემართოს! და ძალლები ლოკავდნენ სისხლს მისას. ბიბ-
ლიაში წერია ეს ყველაფერი! ესაა...

გაოგნებულმა მისის უაიტმა ძირს დაიხედა: იატაკი ყინუ-
ლივით სლიპინა გახდა და მისი ფეხები თავისით გასრიალდნენ
კარისკენ.

— გაჩერდი! — წამოიკივლა შეშინებულმა. ის უკვე დერე-
ფანში იყო და კარის ჩარჩოს ებლაუჭებოდა. ამან წამით შეა-
ყოვნა, მაგრამ შემდეგ რაღაც ძალამ ხელები გააშვებინა.

— ძალიან მიყვარხარ, დედა, — თქვა კერიმ ყოველგვარი
გრძნობის გარეშე, — მაპატიე.

წარმოიდგინა, როგორ იკეტებოდა კარი... და კარი მარ-
თლაც მიიხურა, თითქოს ორპირმა ქარმა დაუბერაო. მერე კი,
რომ არაფერი ევნო, ფრთხილად გაუშვა დედას წარმოსახვითი
ხელები.

რამდენიმე ნამის შემდეგ მოსის უატი კარზე აბრახუნებდა. კერის ტუჩები უკანკალებდა, მაგრამ კარი გონიერის ძალით ეჭირა და დედას ოთახში არ უშვებდა.

— მალე მოვა შენი განკითხვის დღე! — გააფიქრებული კოოდა მარგარეტ უატი, — მე კი ხელები დამიბანია!

— ეგ ხომ პილატემ თქვა, — ჩაილაპარაკა კერიმ.

თუმცა დედამ მალევე დაანება თავი. რამდენიმე ნუთის შემდეგ ის სახლიდან გამოვიდა, ქუჩა გადაკვეთა და სამსახურისკენ გაემართა. კერი ფანჯრიდან უყურებდა — შუბლი ჰუშაზე მიედო და ჩურჩულებდა:

— დედიკო... დედიკო...

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 129):

„სანამ გამოსაშვები მეჯლისის დღეს განვითარებული მოვლენების დეტალურ ანალიზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ვიცით კერი უატის შესახებ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ კერი დედის რელიგიური ფანატიზმის მხვერპლი იყო; რომ პქონდა ლატენტური ტელეკონეტიკური უნარი; რომ ეს, ეგრეთ ნოდებული, „ველური ნიჭი“ მემკვიდრეობით გადადის, მაგრამ რეცესიული ნიშან-თვისებაა და, როგორც ნესი, გენეტიკურ ნაკრებში არ შედის. ჩვენი ვარაუდით, ტელეკინეტიკური უნარი პორმონალური ხასიათისაა. ჩვენთვის აგრევე ცნობილია, რომ ბავშვობაში კერიმ თავისი შესაძლებლობები, სულ ცოტა, ერთხელ გამოავლნა სტრესულ მდგომარეობაში ყოფნისას. მეორე სტრესული სიტუაცია საშაპეში მომხდარი ინციდენტის დროს შეიქმნა. ზოგიერთი მკვლევარი (კერძოდ, ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორები უილიამ თომონბერი და ჯულია გივენსი) ვა-

რაუდობს. რომ ამ შემთხვევაში ტელეკინეტიკური უნარის აღორძინება როგორც ფსიქოლოგიური (თანაკლასელებისა და თავად კერის რეაქცია), ისე ფიზიოლოგიური (სქესობრივი სიმწიფეის ასაკში შესვლა) ფაქტორების გავლენამ განაპირობა.

დასასრულ, ჩვენთვის ცნობილია, რომ გამოსაშვები მეჯლისის დროს შექმნილ მესამე სტრუსულ მდგომარეობას მოჰყვა ის საშინელი მოვლენები, რომლებზეც ახლა ვისაუბრებთ. დავინუოთ იქიდან, რომ..."

(სულაც არ ვდელავ ოდნავადაც კი)

ტომიმ დღისით კაბის მოსართავი თაიგული მიუტანა და კერიც იჯდა და მონდომებით იბნევდა ყვავილებს მხარზე. დამხმარე და ჭურის დამრიგებული არავინ ჰყავდა – დედამისი ჯერ კიდევ ორი საათის წინ შეიკეტა სამლოცველოში და იქიდან ახლაც ისტერიკული შეძახილები მოისმოდა. მისი ხმა ხან დაბლა იწევდა და ხანაც კივილში გადადიოდა.

(ბოდიში დედა მაგრამ თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ)

კერიმ თაიგული მიიმაგრა, თვალები დახუჭა და წამით გაინაბა.

სახლში არც ერთი დიდი სარკე არ ეკიდა,

(ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო)

მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ კარგად გამოიყურებოდა. წესით, ასე უნდა ყოფილიყო. ის უბრალოდ...

გოგონამ ისევ გაახილა თვალები. გუგულიანი საათი რვის ათ წუთს უჩვენებდა.

(ტომი ოც წუთში უნდა მოსულიყო)

მოვიდოდა კი?

იქნებ ეს ყველაფერი კიდევ ერთი ბოროტი ხუმრობა – უკანასკნელი მომაკვდინებელი დარტყმა იყო? იქნებ ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთეს, რომ შეუალამებდე ამაოდ ეცადა ფარჩა-ხავერდში გამოპრანჭულს და ჩაის ვარდებით მხარდაჭ-შვენებულს?..

სამლოცველოდან ხმა მოისმა:

– ...ნმინდა მიწაზე! ვიცით, დაულალავად გვადევნებ თვალყურს უფალო... გულით ვინანიებთ ყველა შეცოდებას, რადგან მალე ჩაჰერავენ შავ საყვირებში...

ვინ იცის, რამხელა სიმამაცე დასჭირდა კერის ყველა იმ მოულოდნელობის პირისპირ დასახვედრად, რომლებსაც, სავარაუდოდ, დღევანდელი სალამო უმზადებდა. მხოლოდ გაბრიყვებას ვინ ჩივის... უეცრად დაფიქრდა, ხომ არ აჯობებდა...

(არა გაჩუმდი)

ცხადია, ყველაზე მარტივი გამოსავალი შინ, დედასთან დარჩენა იყო – ასე უფრო მშვიდადაც იქნებოდა და უფრო უსაფრთხოდაც. კერიმ მშვენივრად იცოდა, რას ფიქრობდნენ ისინი დედამისზე. კი, ის შეიძლება მართლაც დარტყმული ფანატიკოსივით იქცეოდა, მაგრამ სამაგიეროდ, პროგნოზი-რებადი მაინც იყო. სახლში კერის ტუალეტის ქაღალდებსა და ჰიგიენურ საფენებს არავინ ესროდა.

მაგრამ რა ელოდა, თუკი ფარ-ხმალს დაყრიდა და მეჯ-ლისზე არ ნავიდოდა? ერთ თვეში სკოლას დაამთავრებდა და დაინყებოდა მშვიდი და უსიხარულო ცხოვრება ამ სახლში, დედის ხარჯზე... მისის ჰარისონთან სტუმრობა და უაზრო ტელესერიალებისა თუ ვიქტორინების ყურება (მისის ჰარისონი ოთხმოცდაექვსი წლისა ბრძანდებოდა)... ნავახშემევს დაცა-რიელებულ „კელი ფრუტში“ ნაყინის ჭამა და თანდათან გასუ-ქება... იმედისა და აზროვნების უნარის დაკარგვა...

არა! ლმერთო ჩემო, ოლონდ ეგ არა!

(ლმერთო ოლონდაც ყველაფერი კარგად დამთავრდეს)

- ...და დაგვიფარე ჩვენ ეშმაქისაგან, ბნელ ხეივნებში, ავტოსადგომებსა და მოტელებში რომ გვისაფრდება. უფალო, მოწყალეო...

რვის ოცი წუთი შესრულდა.

შეშფოთებული კერი გონების ძალით ნივთების გადაადგილებას შეუდგა - იმ ქალების მსგავსად, პაემანის მოლოდინში მღელვარებისგან ხელსახოცებს რომ შლიან და კეცავენ რესტორანში. ექვსი საგანი ერთდროულად გააჩერა პაერში და საერთოდ არ დაღლილა. თავიც არ წამოსტკივებია. კერის ეგონა, მისი ძალა თანდათან დაილეოდა და გაქრებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ნინა საღამოს მან, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, ოცი ფუტით გააჩოჩა

(ლმერთო ოლონდაც ეს ხუმრობა არ იყოს)

ტროტუართან გაჩერებული ავტომობილი. გამვლელები თვალებდაჭყეტილები უცქერდნენ მანქანას და კერიმაც თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალიან გაკვირვებული იყო, სინამდვილეში კი ლიმილს ძლივს იკავებდა.

კედლის საათიდან გუგული გამოხტა. ესეც რვის ნახევარი.

კერის ძალიან აშფოთებდა ის უზარმაზარი დატვირთვა, რომელსაც მისი გული, ფილტვები და მთელი შინაგანი „თერმოსტატი“ ახალი ნიჭის გამოვლენის დღიდან განიცდიდნენ. ზოგჯერ ეგონა, რომ გული ვეღარ გაუძლებდა და მართლა გაუსკდებოდა. დროდადრო ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს სხვა ადამიანს ჩასახლებოდა სხეულში და დაუნდობლად დაარბენინებდა - თვითონ რა ენაღვლებოდა! იმ სხვა კაცს შეითხა. კერი თანდათან ხვდებოდა, რომ თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ინდოელი ფაკირებისგან - თვალებში ნემ-

სებს რომ იყრიან, ფეხშიშველები რომ დადგიან ნაკვერჩხლებზე და ექვსი თვით ცოცხლად რომ იმარხებიან. გონიერის მიერ მატერის დამარცხება კი ორგანიზმისგან ძალიან დიდ დატვირთვას მოითხოვს.

შვიდი საათი და ოცდათორმეტი წუთი.

(არ მოვა)

(წუ ფიქრობ ამაზე და ტვინიც არ ავიდულდება. აუცილებლად მოვა)

(არა არ მოვა ახლა ალბათ ზის სადმე მეგობრებთან ერთად და დამცინის მერე კი ერთად მოვლენ თავიანთი ხმაურიანი მანქანებით და ხარხარს ყვირილსა და სტვენას ატეხენ ქუჩაში)

იმედგადანურულმა საკერავი მანქანა ასწია ჰაერში და ქანქარასავით გააქან-გამოაქანა.

- და დაგვიფარე ეშმაკისეული თავნებობით შეპყრობილი ურჩი შვილებისგან...

- მოკეტე! - დაუყვირა უეცრად კერიმ.

სამლოცველოში წამით სიჩუმე ჩამონვა. მერე ისევ გაისმა ბუჭბუჭი.

შვიდი საათი და ოცდაცამეტი წუთი.

არ მოვა.

(არ მოვა და მთელს სახლს დავანგრევ)

ეს აზრი უეცრად გაუჩნდა. ჰო, ჯერ საკერავი მანქანით სასტუმრო ოთახის კედელს გაიტანდა. მერე დივანს გადაისროდა ფანჯრიდან. მაგიდებს, სკამებს ნიგნებსა და დედის ბროშურებს ერთი გრიგალით დააბზრიალებდა. კედლებიდან წყლის მილებს გამოგლეჯდა, როგორც სხეულიდან არტერიებს. სახურავიდან აყრილ კრამიტს (თუკი ძალა ეყოფიდა) დამფრთხალი მტრედებივით ააფრენდა ცაში...

ფანჯრებში ფარების შუქმა შემოანათა.

ქუჩაში ბევრი მანქანა დადიოდა (და თითოეულის გავლისა გული უფანცქალებდა) მაგრამ ამან სხვებზე ნელა გაიარა. (ნუთუ მართლა)

კერიმ ვეღარ მოითმინა და ფანჯარას მივარდა. ეს მართლაც ჭომი იყო – მანქანიდან გადმოდიოდა – ლამპიონების შუქზეც კი მომხიბვლელი, სიცოცხლით სავსე და... თითქმის გაბრნყინებული იყო. ამ ეპითეტმა კერი გააცინა კიდეც.

დედამ ლოცვა შეწყვიტა.

კერიმ სკამზე გადაკიდებული აბრეშუმის მოსახვევი აღო, მოშიშვლებულ მხრებზე მოიგდო და თმა გაისწორა. იძნამს ერთი დიდი სარკისტვის ყველაფერს გაიღებდა. შემოსასვლელში ზარმა დარეკა.

გოგონამ თავს ძალა დაატანა – ზარის მეორედ დარეკვას დაელოდა – და კარისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა.

სკეტმა გაიჩხაკუნა და აჲა, ისიც – თვალისმომჭრელ თეთრ პიჯაკსა და შავ შარვალში გამოწყობილი იდგა ზღურბლზე.

ერთხანს ჩუმად უცქერდნენ ერთმანეთს.

კერის მუხლები ეკვეთებოდა – ეგონა, იქვე მოკვდებოდა, ჭომის რაღაც სხვანაირად რომ ეთქვა ან გასცინებოდა. და, ჭომის რაღაც სხვანაირად რომ ეთქვა ან გასაყარგრძნობდა – მთელი სხეულით გრძნობდა, რომ გზის გასაყარგრძნობდა, მთელი სხეულით გრძნობდა, რომ გზის გასაყარგრძნობდა, ანდა ლამაზად გაგრძელდებოდა და გაფერადდებოდა.

ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

– მოგნონვარ?

– ძალიან ლამაზი ხარ.

კერი მართლაც ძალიან ლამაზი იყო.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 131):

„როცა გამოსაშვები მეჯლისის მონაწილეები სკოლის ეზოში იკრიბებოდნენ, კრისტინ ჰარგენსენი და უილიამ ნოლანი ქალაქის გარეუბანში, ტავერნა „კავალიერის“ მეორე სართულზე შეხვდნენ ერთმანეთს. ცნობილია, რომ იმ ადგილს ისინი დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ პაემნებისთვის, რასაც კერი უაიტის საქმის შემნავლელი კომისიის მიერ შეკრებილი დოკუმენტაცია ადასტურებს. მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ გეგმა, თუ ყველაფერი წამიერი ახირების შედეგად მოხდა, ამის დანამდვილებით თქმა შეუძლებელია...“

— უკვე დროა? იკითხა კრისმა.

ბილიმ საათს დახედა.

— ჯერ არა.

ფიცრის იატაკიდან ჩუმი გუგუნი ამოდიოდა: მუსიკალური ავტომატი რეი პრაისის სიმღერას უკრავდა. კრისი უერად დაფიქრდა, რომ ბარში ფირფიტები არავის გამოუცვლია მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ, გადაკეთებული საბუთებით, პირველად მოხვდა ამ ადგილას. რა თქმა უნდა, მაშინ ის დარბაზში იჯდა და არა მეორე სართულზე, სადაც მხოლოდ სემ დოვუს „განსაკუთრებული“ სტუმრები დაიშვებოდნენ.

ბილის სიგარეტი სიბნელეში დემონის თვალივით ანათებდა. ფიქრებში გართული კრისი ზანტად აყოლებდა მზერას. ბილისთან მას პირველად მხოლოდ გასულ ორშაბათს ეძინა. სწორედ იმ დღეს დაპეირდა ბილი, რომ ძმაბიჭებსაც დაიხმარებდა კერი უაიტისთვის „სიურპრიზის“ მოწყობაში, თუკი კერი მართლა გაბედავდა ტომი როსთან ერთად მეჯლისზე წასვლას. თუმცა აქ ისინი ადრეც არაერთხელ ყოფილან – კოცნაობრივი

დრენ, თომარობდნენ... ერთი სიტყვით, ერთობოდნენ. კრისი ამ გართობას „შოტლანდიურ სიყვარულს“ ეძახდა, უხამსი ხუმრობების მოყვარული ბილი კი – „მშრალად გადაგორებას“.

კრისი მანამ აპირებდა მოცდას, სანამ ბილი მართლა ლირებულ სამსახურს გაუწევდა

(სისხლი ხომ უშოვა მეტი რაღა ექნა),

მაგრამ უკვე ატყობდა, რომ ვითარებას ველარ აკონტროლებდა – ორშაბათს რომ არ დაეთმო, ბილი უსათუოდ ძალას იხმარდა.

ბილი, რა თქმა უნდა, კრისის პირველი საყვარელი არ ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთადერთი იყო, ვინც ყოველთვის მის დაკარულზე არ ცეკვავდა. უნინდელი ბოიფრენდები, უბრალოდ, ჭკვიანი მარიონეტები იყვნენ – ხალასი, უმუნუკო სახეებითა და „ხალხში გამოსული“ მშობლებით. ისინი „ფოლკსვაგენებით“, „ჯაველინებით“ ან „დოჯებით“ მოძრაობდნენ და მასაჩუსეტსის ან ბოსტონის კოლეჯში სწავლობდნენ. შემოდგომობით სტუდენტურ საწვიმარებს ატარებდნენ, ზაფხულობით კი – კუნთებზე შემოტმასნილ ზოლიან მაისურებს. ისინი მარიხუანას ენეოდნენ და დაბოლილზე თავს გადამხდარი ამბების მოყოლა უყვარდათ. არშიყს ისე ქედმალლურად ინყებდნენ, თითქოს ქვეყანას მათი ვალი მართებდა (მოსწავლეები, თუნდაც ძალიან მომხიბვლელები ყოფილიყვნენ, მათთვის ერთი საფეხურით დაბლა იდგნენ), ცოტა ხანში კი ძალლებივით ენაგადმოგდებლები ინყებდნენ სირბილს. თუკი კუდში საკმაო ხანს დასდევდნენ და ფულსაც საკმარისად ახარჯავდნენ, კრისი მათ დიდსულოვნად ინვენდა ლოგინში. მაგრამ, როგორც წესი, არც ეფერებოდა და არც ეხმარებოდა – მხოლოდ მოგვიანებით, აქტის შემდეგ აღიდგენდა ხოლმე გონებაში ცალკეულ მომენტებს და ასე აღნევდა ორგაზმს.

აი, ბილი ნოლანთან შეხვედრა კი კრისმა პოლიციის მიერ პორტფენდის ერთ-ერთი ბინის ჩხრეკის შემდეგ დაიწყო. ოთხი ბიჭი - მათ შორის, კრისის თანმხლები ახალგაზრდაც - ნარკოტიკების შენახვისთვის დაიჭირეს და ბინაში მყოფი გოგონებიც ჰედ მიაყოლეს. საქმე კრისის მამამ მოაგვარა. მაგრამ როცა ქალიშვილს გაუწყირა - ნარკოტიკებისთვის რომ ჩაეყუდებინეთ, რა ეშველებოდა ჩემს სახელსა და პრაქტიკასო, კრისმა უკმენად მიუგო, შენს სახელსა და პრაქტიკას ისედაც აღარაფერი ეშველებაო. ამის შემდეგ მამამ მანქანა წაართვა.

ერთი კვირის თავზე ბილიმ კრისს სკოლიდან სახლში წაყვანა შესთავაზია და კრისიც დათანხმდა.

ბილისნაირებს სკოლაში „ქლიბებს“ ეძახდნენ, რადგან ყველაზე ყოჩალები შრომის გაკვეთილებზე იყვნენ. მიუხედავად ამისა, ის რაღაცით მაინც იზიდავდა კრისს...

ჰოდა, ახლა, როცა ბილის მელავებში მშვიდად თვლემდა (და გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა აღზრდა და შიში), კრისი ფიქრობდა, რომ ყველაფრის მიზეზი შეიძლებოდა მანქანა ყოფილიყო – ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე იყო.

კრისის სუდენტი მეგობრების მანქანები – თავიანთი ელექტროფანჯრებით, რეგულირებადი საჭეებითა და პლასტიკის შალითების სუნით გაფლენთილი სალონებით – ახლო-საც ვერ მივიღოდა ბილის მანქანასთან.

ბილი ძველი, დანჯლრეული შავი მანქანით დაგრიალებდა. საქარე მინა კიდეებზე გათეთრებული ჰქონდა, თითქოს კატარაქტა ეწყებაო; სალონში სავარძლები თავისუფლად მიმოდიოდა; იატაკზე ლუდის ცარიელი ბოთლები დაგორავდა (კრისის სტუდენტი მეგობრები „ბუდვაიზერს“ სვამდნენ, ბილი და მისი ძმაკაცები კი – „რეინგოლდს“), ფეხების დადება კი მგზავრს ინსტრუმენტების უთავსახურო და გაზეთილი ყუ-

თის გარდიგარდმო უნევდა. ინსტრუმენტები სხვადასხვა ნაკრებებს განეკუთვნებოდა და კრის დიდი ეჭვი ჰქონდა, რომ მათი უმეტესობა მოპარული იყო. მანაქანაში ზეთისა და ბენზინის სუნი იდგა. თხელი თუნუქის იატაკზე მაყუჩი მიღის ვიბრაცია იგრძნობოდა, პანელის ქვეშ კი მავთულებზე ჩამოკონნიალებული ამპერმეტრი, ზეთის წნევის საზომი და ტაქომეტრი (ლმერთმა უწყის, რაში სჭირდებოდა) ქანაობდა. უკანა ლერძი რესორებზე იდგა და მანქანა უკნიდან ისე იყო ანეული, გეგონებოდა, ცხვირით ასფალტს გადათხრისო.

აი, ასეთი მანქანა ჰყავდა ბილის და, რა თქმა უნდა, სწრაფადაც დააქროლებდა.

კრისი სახლში მესამედ რომ წაიყვანა, საათში სამოცი მიღით მიმავალს ერთ-ერთი გაცვეთილი საბურავი გაუსკდა და მოსრიალდა. კრისს ეგონა, ვერ გადარჩებოდა და კივილი მორთო – შემზარავი სურათი თვალნინ საგაზეთო ფოტოსავით წარმოუდგა და ცხადად დაინახა ბოძის ძირში ძონძების გროვასავით მიგდებული თავისი დასახიჩრებულ-დასისხლიანებული სხეული. ბილი კი გამალებით ატრიალებდა ვარდის-ფერშალითიან საჭეს და იგინებოდა.

როგორც იქნა, გზის მარცხენა მხარეს გაჩერდნენ. კრისი მანქანიდან ბარბაცით გადმოძერა და საბურავების გრძელ, დაკლაკნილ კვალს გახედა.

ბილის წარბიც არ შეუხრია – მხოლოდ რაღაც ჩაიბურ-ტყუნა, საბარგული გააღო და დომერატი ამოიღო. მერე სი-ტყუნა, კბილებში გაიჩარა და კრისს მიუბრუნდა:

– მიდი ერთი, ინსტრუმენტების ყუთი მომაწოდე, ლამაზო. კრისს აღშფოთებისგან ენა ჩაუვარდა – წაპირზე გამოგრის აღშფოთებისგან ენა ჩაუვარდა – წაპირზე გამოგრამდებული თევზივით ორჯერ გააღო და დამუნა პირი. მაგრამ ბოლოს მაინც მონახა საჭირო სიტყვები:

– მეტი... მეტი საქმე არ მაქვს! კინა... კინალაშ მომკალი, შე არანორმალურო ნაბიჭვარო! თანაც ეგ შენი ყუთი ჭუჭყანია!

ბილიმ თავი მოატრიალა და ცივად შეხედა.

– თუ არ მომაწვდი, ხვალ კრივზე არ ნაგიყვან.

– ვერ ვიტან კრივს! – სინამდვილეში კრისს ერთი ბრძოლაც არ ენახა, მაგრამ ბრაზი და აღმტვოთება კატეგორიულობას მოითხოვდა. წინა თაყვანისმცემლები მას მხოლოდ როკ-კონცერტებზე დაატარებდნენ. აი, როკ-მუსიკის კონცერტებს კი ნამდვილად ვერ იტანდა, რადგან საქმე ყოველთვის იმით მთავრდებოდა, რომ გვერდით ვინმე ბანჯგვლიანი და დაუბანელი ახმახი აეტუზებოდა ხოლმე.

ბილიმ მხრები აიჩეჩა და დომკრატის მიუბრუნდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კრისმა მაინც მიუტანა ინსტრუმენტები და გვარიანადაც დასვარა ახალი სვიტერი. ბილიმ რაღაც ჩაიბუტბუტა და მისკენ არც კი გაუხედავს. შარვლიდან მაისური ამოსჩაჩვოდა და ზურგზე გარუჯულ კანქვეშ მოთამაშე კუნთები მოუჩანდა. კერი მონუსხულივით მისჩერებოდა და თვალს ვერ სწყვეტდა. მერე დისკიდან რეზინის სალტის გადაძრობაში მიეხმარა და ხელები მაზუთში ამოეთხვარა. დომკრატზე შემდგარი მანქანა სახიფაოდ ქანაობდა, სათადარიგო საბურავი კი ძველზე უფრო გაცვეთილი იყო.

საქმეს რომ მორჩნენ, კრისი ისევ მანქანაში ჩაჯდა. ახალ სვიტერსა და ძვირადლირებულ წითელ ქვედაბოლოზე შავი ლაქები ემჩნეოდა.

– თუ გგონია, რომ... – დაინუო გაცეცხლებულმა, როცა ბილი ისევ მიუჯდა საჭეს... მაგრამ ბილიმ არ დაამთავრებინა: გადმოიხარა და კოცნა და ხელების ფათური დაუწყო. თამბაქოს, „ბრილურიმისა“ და ოფლის სუნი ასდიოდა. კრისმა წამით

თავი დაალნია და აქოშინებულმა სვიტერს დახედა. ცხიმიან ლაქებს ახალი შავი ლაქები მიმატებოდა. ეს სვიტერი „ჯორდან მარშში“ ოცდაშვიდი და ორმოცდაათი ლირდა, მაგრამ უკვე იატაკის ტილოდაც აღარ გამოდგებოდა.

თუმცა კრისი ისე იყო აღგზნებული, ასეთი წერილმანები საერთოდ აღარ აღელვებდა.

— სახლში რას იტყვი? — ჰეითხა ბილიმ და კვლავ აკოცა. ტუჩების დაუნახავადაც ცხადი იყო, რომ ელიმებოდა.

— მომეფერე, — ჩასჩურჩულა კრისმა, — სულ დამსვარე.

ბილი ასეც მოიქცა — ცალ ფეხზე წინდა გაუხია, ისედაც მოელე კაბა წელამდე აუნია და უხეშად და ხარბად დაუნცო სრესა. ვინ იცის, ამის გამო იყო, თუ იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ სიკვდილს ჩახედა თვალებში, მაგრამ კრისმა ძალიან მალე გაათავა.

მეორე დღეს ის ბილის კრივის საყურებლად გაჰყვა.

— რვას თხუთმეტი აკლია, — თქვა ბილიმ და საწოლზე ნამოჯდა. მერე ლამპა აანთო და ჩაცმას შეუდგა.

მისი სხეული კვლავინდებურად ხიბლავდა კრისს — უეცრად წინა ორშაბათი გაახსენდა: ის დღე, როცა პირველად დაიძინეს ერთად. ბილი ისეთი...

(მოიცა)

ამაზე ფიქრი მერეც შეიძლება...

კრისმა ფეხები იატაკზე ჩამოდგა და საცვალი ამოიცვა.

— მგონი, ეს კარგი აზრი არაა, — თქვა მოულოდნელად: თვითონაც ვერ გაეგო, ბილის ცდიდა, თუ საკუთარ თავს. — იქნებ ისევ დავწვეთ და...

— მერნმუნე, მშვენიერი აზრია, — მიუგო ბილიმ და თით-

ქოს გაელიმა კიდეც. — ლორის სისხლი ლორისთვის.

— რა თქვი?

— არაფერი. ჩაიცვი. წავედით.

კრისმა ჩაიცვა, ბილისთან ერთად დაბლა დაეშვა და ჭუ-
ჩაში გასულმა უეცრად იგრძნო, როგორ გაეფურჩქნა სულმა
უცნაური შფოთვა.

წიგნიდან „მე მქვია სიუზენ სნელი“ (გვ. 45):

„სიმართლე გითხრათ, ისე სულაც არ ვწუხვარ იმ ამბე-
ბის გამო, როგორც ხალხს ჰგონია, რომ უნდა ვწუხდე. რა
თქმა უნდა, ამას პირდაპირ არავინ მეუბნება... მაგრამ ვისაც
ვხვდები, ყველა მარნმუნებს, რომ გულწრფელად იზიარებს
ჩემს გულისნუხილს (მერე კი ავტოგრაფს მთხოვენ). ადამია-
ნებს რატომლაც ჰგონიათ, რომ დღედაღამ უნდა ვტიროდე,
შავები უნდა მეცვას და უნდა ვლოთობდე. ისინი მეუბნებიან:
„რა საშინელებაა... მაგრამ რაც მას დაემართა...“ და მოჰყვე-
ბიან ათას აბდაუბდას...

მაგრამ წუხილი დიდი ვერაფერი განცდაა. შეიძლება წუხ-
დე შემთხვევით დაღვრილი ყავის, ან ბოულინგში დამარცხე-
ბის გამო. ნამდვილი და მარადიული კი მხოლოდ სევდაა — ის
ისეთივე იშვიათია, როგორც ჭეშმარიტი სიყვარული. მე უკვე
აღარ ვწუხვარ, რომ ტომი მოკვდა. ის ახლა მხოლოდ მშვე-
ნიერი სიზმარივით მახსენდება. შეიძლება სასტიკ ადამიანად
ჩამთვალოთ, მაგრამ მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. არც
იმის გამო ვწუხვარ, რაც კერი უაიტის საქმის შემსწავლელ
კომისიას ვაცნობე. მე მხოლოდ სიმართლე ვთქვი — მხოლოდ
ის, რაც ვიცოდი.

აი, კერი კი მართლა მებრალება.

კერი ყველამ დაივინყა... ერთგვარ სიმბოლოდ აქციეს და
დაივინყეს, რომ ისიც ადამიანი იყო, თავისი იმედებით, ოცნე-
რი

ბებითა და გრძნობებით... თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს: შეუძლებელია, უურნალ-გაზეთების მიერ შექმნილ ხატს ადამიანური იერი დაუბრუნო...

...მაგრამ კერიც ადამიანი იყო. ისიც განიცდიდა და ისიც იტანჯებოდა – იტანჯებოდა ისე, როგორც უმეტეს თქვენგანს ვერც კი ნარმოუდგენია.

ამიტომაც მებრალება იგი და დიდი იმედი მაქვს, რომ იმ მეჯლისზე ცოტა ხანს ბედნიერი იყო. იმედია, გამოსაშვები სალამო (სანამ ის უბედურება დაინუებოდა) ყველაზე საოცარი და ჯაჭოსნური მოვლენა იყო მის ცხოვრებაში”.

ტომიმ სკოლის ავტოსადგომზე შეუხვია და მანქანა გააჩინა. მოტორმა ცოტა ხანს კიდევ იღულუნა და დადუმდა. კერი მარჯვენა სავარძელზე იჯდა და ცალი ხელით აბრეშუმის მოსახვევს იჭერდა. უეცრად მოეჩვენა, რომ მთელი დღე რაღაც ბუნდოვან სიზმარში გაატარა და მხოლოდ ახლა გამოფხილდა. ეს რა ჩაიდინა! დედა მარტო რატომ დატოვა?!

– დელავ? – ჰეითხა ტომიმ და კერი მოულოდნელობისგან შეკრის.

– კი.

ტომის გაეცინა და მანქანიდან გადავიდა. კერიმ კარის გალება დააპირა, მაგრამ ბიჭმა დაასწრო და თვითონ გაულო.

– ნუ დელავ, – უთხრა ლიმილით, – დღეს შენ გალათეა-სავით ხარ.

– ვისავით?

– გალათეასავით. წელს გავიარეთ მისტერ ივერსთან. გა-ლათეა ისეთ მშვენიერ ქალად გადაიქცა, რომ ვერავინ იცნო.

– მე მინდა, რომ მიცნონ, – თქვა კერიმ.

– მშვენივრად მესმის შენი. ნამოდი.

„კოკა-კოლას“ ავტომატთან ჯორჯუ დოუსონი და ფრიდა ჯეისონი იდგნენ. ფრიდას ნარინჯისფერი ტიულის კაბა ეცვა და რაღაცით ტუბას ჰგავდა. შესასვლელში დონა თიბოდო და დევიდ ბრეკენი მომსვლელებს ბილეთებს უმონმებდნენ. ორი-ვე „ფრიადოსანთა საპატიო საზოგადოების“ წევრი და მისის გირის პირადი „გესტაპოს“ აგენტი იყო. ამიტომაც ორივენი სუკლის ფერებში – ნითელ პიჯაკებსა და თეთრ შარვლებში გამოწყობილიყვნენ. ტინა ბლეიკი და ნორმა უოტსონი სალა-მოს პროგრამებს არიგებდნენ და სტუმრებს გეგმის შეაბამი-სად ანანილებდნენ. ორივეს შავი კაბა ეცვა – შეიძლება ამ ჩაცმულობას ძალიან ელეგანტურად თვლიდნენ, მაგრამ, კე-რის აზრით, ისინი ძველი განგსტერული ფილმებიდან გამო-სულ სიგარეტის გამყიდველ გოგოებს უფრო ჰგავდნენ.

უეცრად ყველამ ტომისა და კერისკენ გაიხედა და წამით უხერხული სიჩუმე ჩამონვა. კერის ტუჩების გალოკვა მოუნ-და, მაგრამ თავი შეიკავა.

მერე ჯორჯ დოუსონმა დაიძახა:

– ეგ რა გაცვია, ტომი?

ტომის გაელიმა:

– ვის ეუბნები, შე ტყიურო!

დოუსონმა მუშტები შეკრა და ტომისკენ გაინია. კერი შიშმა შეიპყრო. წამიც და ჯორჯს ჰოლის ბოლოში მოისროდა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს, უბრალოდ, მეგობრული თა-მაში იყო. ბიჭები მოკრივეებივით დახტოდნენ და მსუბუქად ურტყამდნენ ერთმანეთს. მერე ჯორჯმა, რომელსაც ორჯერ მოხვდა ნეკნებში, ყვირილი ატეხა:

– დახოცე ვიეტუონგელებს! მოკალი ვიეტნამელებს! სა-რიანი ორმოები! სატუსალე გალიები!

ტომიმ ხელები ჩამოუშვა და გაიცინა.

– ნუ გეშინია, – უთხრა კერის ფრიდამ და ხანჯალივით
ალესილი ცხვირი დაუქნია, – ერთმანეთს თუ დახოცავენ, მე
გეცეკვები.

– სულელურ ცანცარს კაცი არ მოუკლავს, – გაბედა გა-
ხუმრება კერიმ, – ნამდვილი დინოზავრებივით დახტიან.

ფრიდას გაეცინა. კერიმ ისეთი შვება იგრძნო, თითქოს
ძველი უანგიანი ჯაჭვი მოიშორაო. სულში საამო სითბომ
დაუარა და საოცარმა სიმშვიდემ მოიცვა.

– ძალიან მომწონს შენი კაბა, – კვლავ გაულიმა ფრიდამ,
– სად იყიდე?

– თვითონ შევკერე.

– შეკერე?! – ფრიდამ თვალები დააჭყიტა, – მართლა?
კერიმ იგრძნო, როგორ აუჭარხლდა ლოყები.

– ჰო, შევკერე... მე... მიყვარს კერვა. მასალა „ჯონსში“,
უესტოვერში, ვიყიდე და ძალიან უბრალო თარგით გამოვჭე-
რი.

– დარბაზში შევიდეთ, – თქვა ჯორჯმა, – მალე ბენდი
დაკვრას დაინყებს, – და ისევ დაინყო მაიმუნობა. – ბუმ, ბუმ,
ბუმ! ვიეტნამელებს უყვარს დიდი გიტარა.

დარბაზში ჯორჯი ბობი პიკეტის პაროდირებას შეუდ-
გა. კერი ფრიდას თავის კაბაზე ელაპარაკებოდა, ტომი კი
ჯიბეებში ხელებჩაყოფილი იდგა და ილიმებოდა. სიუ უსა-
თუოდ ეტყოდა, ჯიბეებს ნუ იწელავო, მაგრამ იმნამს ჯი-
ბეებისთვის ვის ეცალა! – ჯერჯერობით ყველაფერი კარ-
გად იყო.

...არადა, მას, ჯორჯსა და ფრიდას ორი საათის სიცო-
ცხლელა ჰქონდათ დარჩენილი.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 133):

„შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან (კერძოდ, სცენის თავზე, ფიცარზე შემოდგმულ სისხლით სავსე ვედროებთან) და კავშირებით კერი უაიტის საქმის შემსწავლელი კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნა, ეონკრეტული სამხილების ფონზეც კი, უალრესად არასარნმუნოდ გამოიყურება. თუკი ბილი ნოლანის მეგობრების ჩვენებებს დაუჯერებთ (სიმართლე გითხრათ, მათ იმდენი ჭკუაც კი არ აქვთ, რომ დამაჯერებლად იცრუონ), მზადების იმ ეტაპზე ნოლანმა მთლიანად ჩაიგდო ხელში ინიციატივა და კრისისგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა...“

საჭესთან ბილი ყოველთვის დუმდა: მანქანის მართვა ძალაუფლების შეგრძნებას უჩენდა და ამ ტკბილ განცდას ქვეყანაზე ვერაფერი შეუცვლიდა – ქალის ალერსიც კი.

ნინ გზა უასრულო შავ-თეთრი ფოტოსავით გაშლილიყო, სპიდომეტრის ისარი საათში ოთხმოცი მილის ნიშნულთან კანკალებდა. ბილი არეულ ოჯახში იზრდებოდა. მამამისს საკუთარი ბენზინგასამართი სადგური ჰქონდა, მაგრამ გაკოტრდა და ოჯახიდან გაიქცა. მაშინ ბილი თორმეტი ნლისა იყო. დედამისმა მას მერე ოთხი საყვარელი გამოიცვალა. ბოლო დროს ის ბრიუსთან ცხოვრობდა. ბრიუსი უღმერთოდ სვამდა და დედაც თანდათან ლოთ ბებრუხანას ემსგავსებოდა.

მაგრამ მანქანა სულ სხვა რამ იყო... ავტომობილის მისტიკური შინაგანი ძალა ენერგიითა და სიამაყით აღავსებდა. ეს ძალა ბილის ანგარიშგასანევ ადამიანად – თითქმის ზეადამიანად აქცევდა. ამიტომ გოგოებსაც ხშირად თავისი „ბისკეინის“ უკანა სავარძელზე ყვარობდა. მანქანა მისი მონაც იყო და ლმერთიც – მას შეეძლო, მიეცა და შეეძლო, ნაერთმია... და ბილიც ხშირად იყენებდა მას ნასართმევად. ლამდა-

გობით, როცა დედა და ბრიუსი ჩხუბობდნენ, ბილი ჯიბეებში ბატიბუტს იყრიდა და ქალაქში მანანნალა ძალლების საძებნელად გადიოდა მანქანით. ვინ იცის, რამდენჯერ დაპრუნებულა მზის ამოსვლის შემდეგ – გარაუში გამორთული ძრავით შეგორდებოდა ხოლმე და არც კი ახსენდებოდა გასისხლიანებული ბამპერის განმენდა.

კრისა უკვე კარგად ჰქონდა შესწავლილი ბილის ხასიათი და დალაპარაკება არც უცდია – სულ ერთია, ყურადღებას მაინც არ მიაქცევდა. ამიტომაც ჩუმად იჯდა და ფრჩხილებს იკვნეტდა. შემხვედრი მანქანების ფარების შუქი თმას ვერცხლისფრად უფერავდა.

ბილი კი მანქანას მართავდა და ფიქრობდა – კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა კრისი მასთან? დღევანდელი ამბის შემდეგ მათი ურიერთობა, ალბათ, მალე უნდა დამთავრებულიყო. საქმე თავიდანვე ამისკენ მიდიოდა... ჰოდა, როცა ეს ამბავი დასრულდებოდა, მათი დამაკავშირებელი ძაფები კიდევ უფრო დაწვრილდებოდა, ან, სულაც, გაქრებოდა და ორივეს გაუჩნდებოდა კითხვა – რა ჰქონდათ მათ საერთო? სავარაუდოდ, კრისი ქალღმერთიდან ნელ-ნელა ძუკნად გადაიქცეოდა და ბილისაც უსათუოდ მოუნდებოდა მისი მიტყეპა... ან, თუგინდ, მიუჟეუვა...

მალე ბრიკიარდ-ჰილისკენ გადაუხვიეს და მამიკოების ნაყიდი გაპრიალებული მანქანებით გაძეგვილი სკოლის ავტოსადგომიც გამოჩნდა. ბილიმ იგრძნო, როგორ მიებჯინა ყელში ძველი ბოლმა და სიძულვილი. დღეს მაგარ რამეს გავუკეთებთ (კარგად დაამახსოვრდებათ დღევანდელი სალამო)

ეჭვი არ შეგეპაროთ!..

სასწავლო კორპუსში ბნელოდა – მხოლოდ ჰოლში ენთო მოყვითალო შუქი. სპორტული დარბაზის ფანჯრებიდან კი ნა-

რონჯისფერი ზღაპრული ნათება გამოდიოდა. ბილის კვლავ
ბოლომა მოაწვა – მოუნდა, დარბაზის ყველა შუბა ჩაემსხვრია.

– „ვხედავ სინათლეს, ნვეულების ლამაზ ჩირალდნებს“, –
სიკლილინა ბილიმ.

– ჲა? – მისმა ხმამ ფიქრში გართული კრისი გამოაფხიზლა.

– არაფერი, – ბიჭმა კისერი მოიფხანა. – თუ გინდა, თოკს
მოგაქაჩივინებ.

ბილიმ ყველაფერი თვითონ მოამზადა, მშვენივრად იცო-
და, რომ ასეთ საქმეებში სხვისი ნდობა არ შეიძლებოდა. ეს
რთული გაკვეთილი იყო – ბევრად უფრო რთული, ვიდრე ის
სისულელები, რასაც სკოლაში ასწავლიდნენ, მაგრამ უკვე დი-
დი ხნის ნინ ჰქონდა გასიგრძეგანებული ეს სიბრძნე. იმ ბიჭებს,
ჰენტის ფერმაში რომ ახლდნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ,
რაში სჭირდებოდა მას ამდენი სისხლი. შეიძლება, ვინმეს კი
გაუჩინდა ეჭვი, რომ ამ საქმეში კრისი უნდა ყოფილიყო გარეუ-
ლო, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა.

ბილი სკოლას რომ მიუახლოვდა, პარასკევი რამდენიმე
წუთის დამდგარი იყო. მან შენობას წრე ორჯერ დაარტყა,
სანამ არ დარწმუნდა, რომ სიახლოვეს არავინ ჭაჭანებდა და
რომ ახლომახლო ჩემბერლენის პოლიციის მანქანები არ პატ-
რულირებდნენ.

მერე კი სკოლის შენობას გამორთული ფარებით შემოუ-
რა და მანქანა ნისლში ჩაფლულ ფეხბურის მოედანთან გა-
ჩერია.

ბილიმ საბარგული გააღო და ყინულით სავსე ყუთს თავი
ახადა. სისხლი გაყინულიყო, მაგრამ ეს ანყობდა კიდეც. რად-
გან მეჯლისამდე მთელი დღე-ლამე იყო დარჩენილი და ამასო-
ბაში ყინული თავისუფლად მოასწრებდა გადნობას.

ბილიმ ვედროები ყუთიდან ამოილო, იქვე, საბარგულ-ში დადგა და ინსტრუმენტების გადარჩევას შეუდგა. საჭირო იარაღები ჯინსის უკანა ჯიბეებში ჩაიწყო, ნინა სავარძლიდან შურუპებითა და ლურსმნებით სავსე ჩანთა აიღო და შენობის-ენ გასწია.

აუჩქარებლად და მშვიდად მოქმედებდა, თითქოს დარ-ნმუნებული იყო, რომ ხელს არავინ შეუშლიდა. სპორტულ დარბაზს, სადაც მეჯლისი უნდა გამართულიყო (და რომელ-საც დროდადრო საკონცერტო დარბაზადაც იყენებდნენ), სწორედ იმ მხარეს, სადაც ბილის მანქანა იდგა, პატარა ფან-ჯრების რიგი ჰქონდა დატანებული.

ბილიმ ბრტყელბოლოიანი ძალაყინი ამოილო (ეს უალ-რესად საჭირო ინსტრუმენტი მან თავისი ხელით დაამზადა ჩემბერლენის ერთ-ერთ სახელოსნოში), ფანჯრის ჩარჩოებს შორის დარჩენილ ნაპრალში შეჩურთა და მანამ ამოძრავა აქეთ-იქით, სანამ ურდულმა არ დაიჩხაკუნა. მერე კი ფანჯა-რა გააღო და შენობაში გადაძვრა.

დარბაზში ბნელოდა. დრამატული ნრის რულონებად დახ-ვეულ დეკორაციებს გამხმარი საღებავის სუნი ასდიოდა. მუ-სიკალური ნრის კუთვნილი პიუპიტრები და ინსტრუმენტები კედლებთან გუშაგებივით ჩამნკრივებულიყვნენ. კუთხეში მის-ტერ დაუნერის ფორტეპიანო შეყუულიყო.

ბილიმ ჩანთიდან ფარანი ამოილო, სცენაზე ავიდა და ნი-თელი ხავერდის ფარდა გადასწია. კალათბურთის მოედნის იატაკი ქარვასავით ბზინავდა. სცენის შუაგულში ვიღაცას ცარცით მეფე-დედოფლის ტახტების ადგილი მოენიშნა. სა-ვარძლები მეორე დღეს უნდა დაედგათ. მერე კი მთელ სცე-ნაზე ქაღალდის ყვავილებს მიმოფანტავდნენ... ან ვის რაში საჭირდებოდა...

ბილიმ მაღლა აიხედა. ფარნის შუქმა ჭერქვეშ გარდიგარდმო გადებული ორი კოჭი გაანათა. საცეკვაო მოედნის თავზე კოჭები ქალალდის ყვავილებითა და გირლანდებით მოერთოთ, მაგრამ სცენის თავზე მოშიშვლებული დაეტოვებინათ – ესტრადის კიდეზე, კედელთან კიდევ ერთი მოკლე ფარდა ეკიდა და დარბაზიდან შიშველი კოჭები არ უნდა გამოჩენილოყო. გარდა ამისა, ფარდა იმ ლამპებსაც ფარავდა, რომლებსაც „ვენეციური პანო“ უნდა გაენათებინა.

ბილიმ ფარანი ჩააქრო, სცენის მარცხენა კიდესთან მივიდა და კედელზე მიმაგრებულ რკინის კიბეს აუყვა. პერანგქვეშ ჩაჩურთულ ჩანთაში რკინეულობა ჩხარუნობდა და ეს ხმაური უცნაურად ახალისებდა ცარიელ დარბაზს. კიბის ბოლოში პატარა ბაქანი იყო. ბილი პირით კედლისკენ იდგა. მისგან ხელმარჯვნივ კულისები მოჩანდა, ხელმარცხნივ კი – დარბაზი. კულისებშიც დრამატული წრის ხარახურა ეყარა – ზოგიერი ნივთი იქ ოციანი წლებიდან იმტვერებოდა. რკინის საწოლის დაუანგული ზამპარების მიღმა ათენა პალადას ბიუსტი იდგა (ოდესლაც ედგარ პოს „ყორნის“ თეატრალური ვერსიის დეკორაციად რომ იყენებდნენ) და უსინათლო თვალებით სივრცეს გაჰყურებდა. კედელს ფოლადის კოჭი მიუყვებდა, რომელზეც პანოს გასანათებლად ლამპები მიემაგრებინათ.

ბილი უშიშრად, სტვენა-სტვენით გაუყვა სცენის თავზე გადებულ კოჭს. კოჭს დუიმის სისქე მტვერი ედო და მკაფიოდ აჩნდებოდა ფეხაცმლის ნაკვალევი. ბიჭი სცენის ცენტრის თავზე გაჩერდა, მუხლებზე დადგა და ქვემოთ ჩაიხედა.

ჰო, ზუსტად ამ ადგილას უნდა...

ქვემოთ, ფარნის შუქზე, ცარცით მონიშნული კონტურები გამოჩენდა. ბილიმ წაუსტვინა
(ვხედავ სამიზნეს),

საჭირო ადგილას მტკერში ჯვარი მონიშნა და ისევ ბაქანზე დაპრუნდა. იქ მეჯლისის დაწყებამდე არავინ აძვრებოდა: ლამპები, რომლებსაც ჰანო და კორონაციისთვის განკუთვნილი სცენა

(მაგათ ვუჩვენებ კორონაციას)

უნდა გაენათებინათ, ესტრადის უკნიდან, პულტით ირთვებოდა. თანაც იგივე ლამპები თვალს მოჭრიდა ყველას, ვინც ზემოთ აიხედავდა, და ამიტომაც კოჭზე შემოდგმულ ვედროებს ვერავინ შეამჩინევდა. ხაფანგს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოაჩინდნენ, თუკი ვინმე რატომლაც კიბით ზემოთ აძვრებოდა, რაც ნაკლებად სავარაუდო იყო. ერთი სიტყვით, რისკი დასაშვებ ფარგლებს არ სცდებოდა.

ბილიმ რეზინის ხელთათმანები გაიკეთა და ჩანთიდან ნინა დღით ნაყიდი ლითონის ორი შეკვი ამოილო – ეს ბორბლები, ყოველი შემთხვევისთვის, ჩემბერლენში კი არა, ლუისტონში შეიძინა, სადაც არავინ იცნობდა. მერე პირში რამდენიმე ლურსმანი გაიჩარა, ჩაქუჩი ამოილო და შეკვი ბაქნის კიდეზე მიაჭედა, გვერდით კი ყუნწიანი შურუპი დაუმაგრა.

ამის შემდეგ ბილი დაბლა დაეშვა, სცენის უკან გავიდა და ფანჯრებთან მიდგმულ კიბეს აუყვა. ამჯერად თავი სხვენში ამოჰყო, სადაც ძველი უურნალები, დაჩრჩილული სპორტული უნიფორმები და თაგვების ნაჭამი სახელმძღვანელოები ეყარა.

ხელმარცხნივ პლატფორმაზე ნელან დამაგრებული შეკვენა მოჩანდა, მარჯვნივ მდებარე სავენტილაციო ლიობიდან კი გრილი ნიავი უბერავდა. ბილიმ მეორე შეკვი ამოილო და სტაკზე დაჭედა.

მერე ისევ დაბლა დაეშვა, ფანჯრიდან გადაძვრა, საბარ-ბერიდან ლორის სისხლით სავსე ვედროები ამოილო და ბოს-

ლიდან გამოსული მწველელივით მძიმე ნაბიჯით ფანჯრისკენ გასწია. გაყინული სისხლი ოდნავაც არ იყო შემდნარი.

ბილიმ ვედროები რაფაზე შემოდგა და ისევ შენობაში გადაძვრა.

ტვირთით ხელში კოჭზე გავლა ბევრად უფრო ადვილი აღმოჩნდა. ბილიმ ვედროები მტვერში მონიშნულ ჯვართან დადგა, კიდევ ერთხელ ჩაიხედა ქვემოთ, კმაყოფილმა დააქნია თავი და ბაქანზე დაბრუნდა. მანქანასთან დაბრუნებულს გაახსენდა, რომ ვედროებზე კენის, დონისა და სტივის ანაბეჭდები იყო დარჩენილი, მაგრამ მერე გადაწყვიტა, ანაბეჭდები არ ნაეშალა – აჯობებდა, შაბათს დილით პატარა საჩუქარი მათაც მიეღოთ... ამის გაფიქრებაზე წამით გაეღიმა კიდეც.

ბოლოს ბილიმ ჩანთიდან კანაფის გორგალი ამოილო, კვლავ კოჭზე გავიდა და თოკის ერთი ბოლო ვედროებს სახელურებზე გამოაბა. მერე თოკი შურუპის ყუნწის გავლით ბაქანსა და სხვენში დამაგრებულ შეივებში გაატარა და სავენტილაციო მილში ჩაუშვა. ალბათ არც კი გაეცინებოდა, გვერდიდან რომ ენახა საკუთარი თავი – მტვერში ამოგანგლული, ყვავის ბუდესავით გაჩერილ თავზე დაყრილი ნაგვითა და აბლაბუდებით, შეშლილი მეცნიერივით რომ ანყობდა ახლად გამოგონებულ სათაგურს.

საქმე რომ მოათავა, სხვენიდან ჩამოვიდა და კალთები ჩამოიბერტყა. ესეც ასე.

მერე შენობიდან ჩუმად გადაძვრა, ფანჯარა მიხურა და მანქანისკენ გაეშურა.

კრისის ვარაუდით, მეფე-დედოფლად ტომი როსი და ის ძუკნა კერი უაიტი უნდა აერჩიათ. ამგვარად, ვედროების ქვეშ სწორედ ისინი უნდა მოხვედრილიყვნენ. კრისმა

თავის მეგობრებსაც კი სთხოვა, კერისთვის მიეცათ ხმა. ძალიანაც კარგი... თუმცა ბილის სულაც არ ანაღვლებდა, ვის დაესხმებოდა სისხლი თავზე – თუნდაც ეს თავად კრისი ყოფილიყო.

საჭეს მიუჯდა და შინისკენ გასწია.

წიგნიდან „მე მქვია სიუზენ სნელი“ (გვ. 48):

„მეჯლისის ნინა დღეს კერი ტომის შეხვდა: გაკვეთილების შემდეგ აუდიტორიასთან ელოდებოდა და თურმე საშინლად გამოიყურებოდა – თითქოს ეშინოდა, არ მიყვიროსო.

კერის უთქვამს, მეჯლისიდან სახლში თორმეტის ნახევრისთვის უნდა დავბრუნდე, არ მინდა, საღამო ჩაგაშამო, მაგრამ დედას ვერ ვანერვიულებო.

მაშინ ტომის შეუთავაზებია, ნვეულების შემდეგ „კელი ფრუტში“ წავიდეთ და ჰამბურგერებითა და რუტბირით წავიქეიფოთო – სხვები მაინც უესტოვერში ან ლუისტონში მოილხენენ და კელისთან მარტონი ვიქნებითო. ტომის თქმით, ამის გაგონებაზე კერის სახე განათებია და დათანხმებულა.

ეს გააკეთა გოგონამ, რომელსაც ყველა ურჩხულად მოიხსენიებს! მინდა, კარგად დაფიქრდეთ ამაზე – რამდენი გოგო დაყაბულდება გამოსაშვები მეჯლისის საღამოს ჰამბურგერებითა და რუტბირით „დაგვირგვინებას“, მხოლოდ იმიტომ, რომ დედას არ შეეშინდეს?..“

კერი მყისვე განაცვითრა დარბაზის ბრწყინვალებამ. უბრალოდ ბრწყინვალებამ კი არა – ბრწყინვალებამ. გარშემო ხავერდში, შიფრნისა და აბრეშუმში გამოწყობილი სილუეტები

კრთოდნენ. ჰაერი ყვავილების სურნელით იყო გაუდენთილი. გოგოებს მაღალქუსლიანი ფეხაცმელი და ზურგსა და მკერდზე ამოჭრილი გრძელი კაბები ეცვათ. ბიჭებს – ქათქათა პიჯაკები და სარკესავით გაპრიალებული შავი ფეხაცმელი...

ნყვილები აჩრდილებივით ბრუნავდნენ მკრთალად განათებულ საცეკვაო მოედანზე. კერის არ უნდოდა, მათში თანაკლასელები ამოეცნო – ერჩივნა, ისინი მშვენიერი უცნობები ყოფილიყვნენ.

ტომის ხელკავი ჰქონდა გამოდებული და მყარი ნაბიჯით მიჰყვებოდა.

- ლამაზი ნახატია, – თქვა და პანო შეათვალიერა.
- ჰო, – ჩუმად დაუდასტურა კერიმ.

ლამპების ნარინჯისფერი შუქი ტილოს არამინიერი ტონებით ფერავდა. გონდოლიერი ზანტად დაყრდნობოდა რუმპელს, გარშემო ნაირფრად მიმობნეულიყო ჩამავალი მზის სხივები, არხის პირას კი – თითქოს საჭორაოდ შეკრებილანო – ლამაზ-ლამაზი შენობები ჩამნკრივებულიყვნენ.

კერი უეცრად მიხვდა, რომ ეს ნამი სამუდამოდ ჩაებეჭდებოდა გონებაში. სხვები ალბათ ასე არ ფიქრობდნენ – უმეტესობისთვის ეს პირველი მეჯლისი არ ყოფილა – მაგრამ დარბაზის მორთულობამ, ყვავილების სურნელმა და ლამაზად ჩაცმულმა საზოგადოებამ წუთით თვით ტომიც კი დაადუმა... კერიზე კი ამ ყველაფერმა ნარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და მის სულში საოცარმა სიმშვიდემ დაისადგურა – თითქოს უთო გადაატარეს და ყველა ნაკეცი თუ ნაოჭი გადაუსწორესო.

– ნავიდააა! – მოულოდნელად ჯორჯმა ფრიდა საცეკვაო მოედნისკენ გაიტაცა და ძველ და კარგად ნაცნობ მელოდიაზე ჯიტერბაგის ცეკვას შეუდგა.

ვიღაცამ სტენა აუტება. ჯორჯმა იმ „თავხედს“ ვითომ გრისხანე მზერა ესროლა და ისე ჩაბუქნა, კინალამ უკანალზე დაებერტყა.

კერის გაელიმა.

— სასაცილო ვინმეა, — უთხრა ტომის.

— კი, — დაუდასტურა ტომიმ, — ძალიან კარგი ბიჭია. გარშემო ბევრი კარგი ადამიანი ტრიალებს. გინდა, დავსხდეთ?

— კი, — მიუგო მადლიერმა კერიმ.

ტომი კართან მივიდა და უკან ნორმა უოტსონთან ერთად დაბრუნდა. ნორმას სადლესასნაულოდ თმა ისე დაევარცხნა, გეგონებოდათ, ბალიში აუფეთქდათ.

— თქვენი მაგიდა იქით მხარესაა, — თქვა მან და ნაკლის ძებუში კერი თავით ფეხებამდე შეათვალიერა: სადმე ნაკერი ხომ არა აქვს გარღვეული ან მუნუკი ხომ არ მოუჩანსო. ოლონდაც რაიმე ეპოვა და კართან რომ დაბრუნდებოდა, საჭორაო ჰქონოდა. — რა შესანიშნავი კაბა გაცვია, კერი. სად იმოვე?

სანამ საცეკვაო მოედანს შემოუვლიდნენ და მაგიდასთან მივიდოდნენ, კერი ნორმას თავისი კაბის შესახებ უყვებოდა. ნორმას საპნის, სუნამოსა და ხილის კევის სუნი ასდიოდა.

მაგიდასთან გოფრირებული ქალალდის ლენტებით მორთული ორი დასაკეცი სკამი იდგა. მაგიდა კი სკოლის ფერებით იყო გაფორმებული. ქალალდის გადასაფარებელზე სანთელჩარჭობილი ღვინის ბოთლი, სალამოს პროგრამა, ფანქარი და მოხალული თხილეულით სავსე ორი პატარა თასი იდო.

— თვალებს ვერ ვუჯერებ, — თქვა ნორმამ, — სულ — თვალებს ვერ ვუჯერებ, — თქვა ნორმამ, — მან ერთხელაც შეავლო მზერა, რის გამოც სხვანაირი ხარ! — მან ერთხელაც შეავლო მზერა, რის გამოც კერიმ ცოტა უხერხულად იგრძნო თავი. — სინათლეს ასხივებ. ასეთი რა საიდუმლო გაქვს?

– რა და, დონ მაკლეინის საყვარელი ვარ, – ცივად მოუ-
გო კერიმ.

ტომიმ ჩაიღებულია, მაგრამ სასწრაფოდ იქბინა ენაზე.
ნორმას ღიმილი სახეზე შეაშრა. კერი საკუთარმა სითამამეებ
გააკვირვა. აი, თურმე როგორ გამოიყურება ადამიანი, როცა
აშაკირებენო, გაიფიქრა და უცნაური სიამე იგრძნო – მერე
რა, რომ ეს არც ისე ქრისტიანული განცდა იყო.

– კარგი, უნდა წავიდე, – თქვა ნორმამ და ტომის მოუბ-
რუნდა. – რა ამაღელვებელი სალამოა, არა? – უთხრა თანაგ-
რძნობით, – ამაღელვებელი იქნებოდა, რომ...

– ჰო, ისე ვდელავ, ცივი ოფლი მახამს, – მოუჭრა ტომიმ.

ნორმა მუავე სახით გაერიდა და კარისკენ გასწია – ყვე-
ლაფერი ისე არ მოხდა, როგორც ვარაუდობდა. კერის ვერ
იცნობდით, ისე იყო შეცვლილი.

ტომიმ გაიცინა და ჰკითხა:

– ხომ არ გვეცეკვა?

კერიმ ცეკვა არ იცოდა, მაგრამ ამის აღიარებისთვის ჯერ
მზად არ იყო.

– მოდი, დავსხდეთ ცოტა ხანს, – უთხრა პასუხად.

როცა სხდებოდნენ, კერიმ სანთელი შენიშნა და ტომის
მისი დანთება სთხოვა. ტომიმ დაანთო და გოგოს თვალებში
ჩახედა. მერე კი წინ გადმოინია და ხელზე ხელი დაადო.

ბენდი უკრავდა და უკრავდა.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 133-134):

„შეიძლება ოდესშე, როცა კერის შესახებ მსჯელობა უფრო
აკადემიურ კალაპოტში გადავა, ვინმე სერიოზულად შეუდგეს
დედამისის – მარგარეტ უაგტის ფენომენის შესწავლას.

გამორიცხული არაა, რომ ამ საქმეს თავადაც მოვკიდო ხელი – თუნდაც ბრიგჰემების საგვარეულო ხის შესაქმნელად. უაღრესად საინტერესოა იმის დადგენა, ხომ არ ხდებოდა ამ ოჯახში ორი ან სამი თაობის წინ უცნაური ამბები.

გარდა ამისა, რასაკვირველია, ჩნდება კითხვა: რატომ დაბრუნდა კერი სახლში გამოსაშვები მეჯლისის ღამეს? ახლა უკვე ძნელია იმის თქმა, ჯდებოდა თუ არა მისი საქციელი სალი გონიერების ჩარჩოებში. შესაძლოა, კერის დედასთან შერიგება უნდოდა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მას მხოლოდ დედის მოკვლის სურვილი ამოძრავებდა. ასეა თუ ისე, ფაქტები ცალსახად გვიჩვენებს, რომ მარგარეტ უაიტი მას ელოდა”.

სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

მაინც წავიდა.

თანაც ღამით.

მარგარეტ უაიტი საძინებლიდან სასტუმრო ოთახში გამოვიდა. ყველაფერი სისხლითა და ეშმაკის მიერ თავს მოხვეული ბინძური სურვილებით დაინყო. მერე იმ ჯოჯოხეთურმა ძალამ იჩინა თავი – თანაც სწორედ მაშინ, როცა სისხლდენის დრო დაუდგა და სხეულზე თმა წამოეზარდა. მარგარეტმა ზუსტად იცოდა, რას წარმოადგენდა ის ეშმაკეული ძალა: ბებიამისიც ასეთი იყო – ბუხარს სავარძლიდან აუდგომლად ანთებდა და ამ დროს თვალებში

(ჯადოქარი ცოცხალი არ დატოვო)

გეენის ცეცხლი უტრიალებდა. ზოგჯერ კი, ვახშმობისას, მაგიდაზე საშაქრე იწყებდა ხოლმე დერვიშივით ტრიალს. როცა ეს ხდებოდა, ბებია გიუივით იცინოდა და

პირზე დუშმომდგარი ხელებს იქნევდა. ზოგჯერ კი დასიც-ხული ქოფაკივით ენას გადმოაგდებდა და ხშირ სუნთქვას იწყებდა... კერი ერთი ნლისაც არ იყო, როცა მარგარეტის ბებია, სამოცდაექვსი ნლის ასაკში, სრულიად გამოთაყვანებული და გამოშტერებული, გულის შეტევით მოკვდა. და-საფლავებიდან ოთხიოდე კვირის შემდეგ მარგარეტი ბავ-შვის ოთახში შევიდა და რას ხედავს – მისი ქალიშვილი კისკისით შეჰდულუნებს ჰაერში თავისით მოლივლივე რძით სავსე ბოთლს.

მარგარეტს მაშინ ბავშვის მოკვლა უნდოდა, მაგრამ რაღ-ფრა არ დაანება...

ამაოდ...

მარგარეტ უაიტი შუა ოთახში გაჩერდა. ჯვარცმული ქრისტე ტანჯული, საყვედურით აღსავე მზერით უცემერდა კედლიდან. მოპირდაპირე კედელზე გუგულიანი საათი წიკნი-კებდა. ცხრის ათი წუთი იყო.

დედა გრძნობდა (მთელი სხეულით გრძნობდა), რო-გორ იმორჩილებდა მის ქალიშვილს ეშმაკის ძალა, როგორ შემოჭდობოდა საცეცებივით და როგორ მიათრევდა და-სალუპად. კერი სამი ნლისა იყო, როცა დედამ კვლავ გა-დაწყვიტა ვალის აღსრულება: ზუსტად მაშინ წაასწორო, რო-ცა საძაგელი ბავშვი ცოდვით აღსავსე მზერით მისჩერე-ბოდა იმ ეშმაკის ნაშიერს – მეზობელ ეზოში წამოწოლილ გაშიშვლებულ კახპას. მაგრამ ქვის სეტყვამ განზრახვაზე ხელი ააღებინა.

ცამეტი ნლის შემდეგ კი კერის ისევ დაუბრუნდა ძალა. ღმერთი არავის პატიობს განდგომას.

ჯერ სისხლი, მერე ძალა,

(სისხლით დაწერე შენი სახელი)

მერე ის ბიჭი და ცეკვა-გართობა... ნაიყვანს სადმე - გზისპირა სასტუმროში ან ავტოსადგომზე... მანქანის უკანა სავარძელზე მოიხელოთებს და...

ისევ სისხლი... სისხლი...

სისხლია ყველა ბოროტების სათავე და მხოლოდ სისხლით შეიძლება ცოდვის ჩამობანა.

მარგარეტ უაიტი ზორბა ქალი იყო - ძვალმსხვილი ხელებით, სქელი კისრითა და საოცრად პატარა თავით. მის ოდესლაც ლამაზ სახეს კიდევ შერჩენოდა უნინდელი ხიბლი, მაგრამ ახლა გიუჟური ცეცხლი უკრთოდა თვალებში; პირის გარშემო ნაოჭები გასჩენოდა, თმა კი - ჯერ კიდევ შარშან კუპრივით შავი - თითქმის მთლიანად გასთეთრებოდა.

ცოდვა სინანულით აღსავსე გულის სისხლში უნდა ჩაახრიო

(მსხვერპლად უნდა შესწირო კერი) -

მხოლოდ ასე შეიძლება ნამდვილი შავი ცოდვის მოსპობა. უფალმა ეს კარგად უნყის და ამიტომაც მიანიშნა კერიზე. ლერთმა არ უბრძანა აბრაამს, მთაზე აეყვანა ისააკი?

მარგარეტი ძველი, დახეული ჩუსტებით სამზარეულოში გაფრატუნდა, მაგიდის უჯრა გამოაღო და ხორცის დანას დასწოდა. დანა გრძელი და ბასრი იყო - ლესვისგან ნახევრად გალეული პირით. მარგარეტი სამზარეულოს მაღალ სკამზე შემოჯდა, ალუმინის ლამბაქზე დადებული საღალ ახლოს მიინია და გულდასმით შეუდგა დანის ლესვას.

გუგულიანი საათი კი წიკნიკებდა და წიკნიკებდა. ბოლოს მატარა სარკმლიდან გუგული გამოხტა - ცხრის ნახევარი იყო.

მარგარეტ უაიტს პირში ზეთისხილის გემო უტრიალებდა.

გამოსაშვები კლასი გეპატიზებათ
საბუზუაზეულო მეცნიერებები

1979 წლის 27 მაისი

მუსიკა ასრულებენ ორკესტრები – „ბილი ბოსმან ბენდი“
და „ჯოსი-ენდ-მუნგლოუსი“;

პროგრამა

„კაბარე“ – უონგლიორობს სანდრა სტენჩიუილდი;
„ხუთასი მილი“, „ლიონის ხე“, „მისტერ ტამბურინი“ –
ხალხური მუსიკა ჭონ სუითენისა და მაურინ
კოვანის შესრულებით;
„შენი ქუჩა“, „ისევ მანვიმს“, „ბობოქარ ნყალზე გადებულ
ხიდებს“ – იუვინის სკოლის გუნდის შესრულებით;

ადგილისტრაციისა და კონცერტს ესწოებიან:
მისტერ სტივენსი, მის გირი, მის დესჭარდინი
და მისტერ და მისის ლაბლინები;

კორონაცია შედგება 22:00 საათზე;

გახსოვდეს, ეს შენი გამოსაშვები საღამოა –
კარგად დაიმახსოვრე!

როცა ტომიმ საცეკვაოდ მესამედ გაიპატიუა, კერის რაღა
უნდა ექნა, ადგა და გამოუტყდა – ცეკვა არ ვიციო. თუმცა
ის აღარ უთქვამს, რომ ახლა, როცა სცენაზე როკ-ჯგუფი უკ-
რავდა, უბრალოდ რცხვენოდა

(ରୂ ପ୍ରେସ୍‌ରୁ ମିଳିନାହା),

ଶ୍ରୀ ପାତ୍ରପାତ୍ରଶ୍ରୀ ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରପାତ୍ରଶ୍ରୀ

ჭომიმ თავი დაუქნია. მერე კი გაულიმა, ნინ გადმოიხარა და უთხრა, მე თვითონაც ვერ ვიტან ცეკვასო. სხვა მაგიდებთან მისვლა და ამხანაგებთან დალაპარაკება ხომ არ გინდაო? – ჰერითხა ცოტა ხნის შემდეგ. კერის მღელვარებისგან სუნ-თქვა შეეკრა, მაგრამ მაინც დაუქნია თავი – ჭომი ყურადღებას იჩენდა და მასაც იმავეთი უნდა ეპასუხა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისგან ამას არავინ ელოდა). ასეთი იყო თამაშის წესები. კერიმ უეცრად იგრძნო, როგორ მონუსხა საღამოს ჯადოსნურმა ხიბლმა და იმედიც კი გაუჩნდა, რომ არავინ დაუდებდა ფეხს, არავინ მიაკრავდა ზურგზე დამცინავ ნარ-ნერას და არავინ შეასხამდა სახეში ნყალს საყოველთაო მხია-რულებასა და სიცილ-ხარხარში.

ჰო, სალამო მართლაც ხიბლავდა ზღაპრული სილამა-ზით, მაგრამ ეს სილამაზე უფრო ნარმართული იყო, ვიდრე - ლვითიური

(დედა უკვე გავიზარდე მოიხსენი წინსაფარი),

და კერისაც სწორედ ეს უნდოდა.

- შეხედე, - უთხრა ტომიძ, როცა მაგიდიდან წამოდგნენ.

რამდენიმე მოსწავლეს სცენაზე მეფისა და დედოფლის
ტახტები გამოჰქონდა. ამ საქმიანობას მთავარი კურატორი,
მისტერ ლავუა ხელმძღვანელობდა – თვალყურს ადევნებდა,
რომ სავარძლები ნინანარ მონიშნულ ადგილას დადგმულიყო.
კერიმ გაიფიქრა, რომ ეს ქათქათა თეთრი, ცოცხალი ყვავი-
ლებითა და დროშებით მორთული ტახტები მეფე არტურის
ალსაყდრებასაც კი დამშვენებდა.

- ଲୁହ ଲୁହମିଳାଦ୍ଵୀପରେ - ଶତକରା ତିନମିଳ.

— ლამაზი შენ ხარ, — მიუგო ბიჭმა და კერი დარწმუნდა, რომ იმ დღეს ცუდი არაფერი მოხდებოდა. შეიძლებოდა, ის და ტომი მეფედ და დედოფლადაც კი აერჩიათ. ამის გაფიქ-რებაზე გაეღიმა კიდეც — ასეთი სისულელე თავში როგორ მომივიდაო.

სალამოს ცხრა საათი იყო.

— კერი, — მოესმა გვერდიდან.

ტომი პუნშის მოსატანად ნასულიყო. თვითონ კი ისე გაერთო მუსიკოსების ცქერით, რომ ვერც კი შენიშნა, ვიღაც როგორ მიუახლოვდა.

შემოტრიალდა და მის დესჭარდინი დაინახა.

რამდენიმე ნამს ერთმანეთს ჩუმად უყურებდნენ — გონე-ბაში ორივეს ერთი და იგივე მოგონება

(მან ხომ შიძველი და ატირებული და სისხლში ამოთხვრი-ლი მნახა)

გაუკრთა.

სიჩუმე კერიმ დაარღვია.

— მშვენივრად გამოიყურებით, — უთხრა მორიდებით.

მის დესჭარდინი მართლაც კარგად გამოიყურებოდა — მოელვარე ვერცხლისფერ კაბას ძალიან უხდებოდა მისი ქერა, კოხტად დავარცხნილი თმა. გულზე კი უბრალო, მაგრამ ლამა-ზი კულონი ეკიდა. თანაც ისეთი ახალგაზრდა იყო, მეჯლისის მეთვალყურედ კი არა, მონანილედ ყოფნა უფრო შეეფერებოდა.

— გმადლობ, — მის დესჭარდინი ნამით შეჭოჭმანდა, მე-რე კერის ხელზე ხელი დაადო. — დღეს ძალიან ლამაზი ხარ, — უთხრა და თითოეულ სიტყვაში თითქოს განსაკუთრებული აზრი ჩააქსოვა.

კერიმ ისევ იგრძნო, როგორ მოედო ალმური და თავი დახარა.

– მადლობელი ვარ კეთილი სიტყვებისთვის... ვიცი, ხო-
გართლე არაა, მაგრამ მადლობელი ვარ.

– ეს სიმართლეა, – უთხრა მასნავლებელმა, – და კიდევ
ერთი რამ მინდა გითხრა, კერი. ადრე რაც რამ მომხდარა...
ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

– მე ვერაფერს დავივიწყებ, – მიუგო კერიმ და თვალებ-
ში ჩახედა. თავიდან უნდოდა ეთქვა, არავის ვადანაშაულებო,
მაგრამ ტყუილის თქმა არ იკადრა. მას არავისთვის უპატიებია
ყველა უნინდელი წყენა თუ შეურაცხყოფა და, ალბათ, არც
არასოდეს აპატიებდა. – მაგრამ ყველაფერი წარსულს ჩაბარ-
და. ყველაფერი.

მის დესჭარდინმა გაულიმა და მისმა თვალებმა ნამით
დარბაზის ჩირალდნები აირეკლა. მერე მზერა მოცეკვავებზე
გადაიტანა და კერიმაც იქით გაიხედა.

– დღესაც კარგად მახსოვს ჩემი სკოლის მეჯლისი, – ჩუ-
მად თქვა მასნავლებელმა. – მაღალ ქუსლებზე ვიდექი და ვი-
საც წავყევი, ის ბიჭი ორი გოჭით ჩემზე დაბალი ჩანდა. მისი
ნაჩუქარი თაიგული კაბას სულ არ უხდებოდა. მის მანქანას
მაყუჩი მომძვრალი ჰქონდა და მოტორი... საშინლად გრუბუ-
ნებდა. მაგრამ მაინც ჯადოსნური სალამო იყო... ეგეთი პაემა-
ნი მას შემდეგ არავისთან მქონია... – კერის შეხედა, – შენც
ასე გეჩვენება?

– კი, ძალიან მომწონს აქაურობა.

– სულ ესაა?

– არა. მაგრამ არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

მის დეჭარდინმა ისევ გაულიმა და ხელი მაგრად ჩასჭიდა.

– ეს სალამო არასოდეს დაგავიწყდება. არასოდეს.

– ალბათ მართალი ბრძანდებით.

– კარგი დრო გაატარე, კერი.

- ვეცდები. გმადლობთ.

მის დესჯარდინი მასწავლებლების მაგიდისკენ გაეშურა. მალე ტომიც დაბრუნდა და პუნშით სავსე ორი ჭიქა მოიტანა. – რაო, რა მინდაო, – ჰეითხა კერის და პლასტმასის ჭიქები ფრთხილად დადგა მაგიდაზე.

კერიმ მასწავლებელს თვალი გააყოლა და უპასუხა:

– მგონი, ბოდიშის მოხდა უნდოდა.

სიუ სნელი სასტუმრო ოთახში იჯდა, კაბას არშიას აკერებდა და „ჯეფერსონ ეარფულეინის“ მუსიკალურ ალბომს უსმენდა. ფირფიტა ძველი და გვარიანად დაფხაჭნილი იყო, მაგრამ მუსიკა მაინც ამშვიდებდა.

სიუს მშობლები სტუმრად წავიდნენ – მშვენივრად იცოდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ ქალიშვილის გრძნობები დაინდეს და ზედმეტ ლაპარაკს მოერიდნენ. ერთი სიტყვით, თავი დაანებეს, რაც სიუსაც ხელს აძლევდა, რადგან ჯერაც არ იყო ბოლომდე გარკვეული საკუთარი საქციელის მოტივებში და არ უნდოდა, მათი ქექვით სულის სილრმეში ეგოიზმის მარცვალი აღმოეჩინა.

მოსახლენი მოხდა და კმარა ამაზე ლაპარაკი.

(კი, მაგრამ ტომის კერი რომ შეუყვარდეს?)

სიუმ თავი ასწია და მიმოიხედა – თითქოს ეს სიტყვები ვიღაც სხვას წარმოეთქვას. ტუჩებზე შიშნარევმა ლიმილმა გადაურბინა. მაშინ ამ ამბავს ზღაპრის დასასრული ექნება: პრინცი მძინარე მზეთუნახავს აკოცებს და...

„სიუ, არ ვიცი, როგორ გამოგიტყდე, მაგრამ...“ – სიუს ლიმილი უკვალოდ გაქრა.

თვიური თითქმის ერთი კეირით გადაუცდა. არადა აღრე წამითაც არ უგვიანდებოდა...

მექანიზმება დაიჩხაკუნა და საკრავზე ფირფიტა გამოცვალა. წამით ჩამონალილ სიჩუმეში სიუმ მკაფიოდ გაიგონა, როგორ შეირხა სადღაც რაღაც. შეიძლება ეს, უბრალოდ, მისი სული იყო.

საათი ათის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა.

ბილიმ მანქანა ავტოსადგომზე შეიყვანა, მოატრიალა და შორეულ კუთხეში, ტრასაზე გასასვლელთან გააჩერა. კრისმა გადასვლა დააპირა, მაგრამ ბილიმ მაჯაში ხელი სტაცა და მკვეთრი მოძრაობით ისევ გვერდით მოისვა. სიბნელეში თვალები გიუურად უელვდა.

– რა გინდა?! – წამოიძახა გალიზიანებულმა კრისმა.

– მეფისა და დედოფლის სახელებს რადიოკვანძით გამოაცხადებენ, – უთხრა ბილიმ, – მერე კი ერთ-ერთი ბენდი სკოლის ჰიმნს დაუკრავს. აი, მაშინ დანამდვილებით გვეცოდინება, რომ გამარჯვებულები სწორედ იქ სხედან, სადაც საჭიროა.

– ეგ ისედაც ვიცი. გამიშვი. მტკივა.

ბილიმ კიდევ უფრო მაგრად წაუჭირა მაჯაში და შეგრძნებამ, რომ სადაცაა, გოგოს ძვლებს ჩაუმსხვრევს, უცნაური სიამოვნება მოჰვარა. თუმცა კრისს არც კი დაუკვნესია – თავშეკავების შესაშური უნარი ჰქონდა.

– დამიგდე ყური, – დაუბლვირა ბილიმ, – მინდა, კარგად გაისიგრძევანო, რა შარში ყოფ თავს. ჰიმნს რომ დაუკრავენ, თოკს მოქაჩავ. მაგრად უნდა მოქაჩო. თოკი ჯერ თავისუფლად წამოვა, მაგრამ მერე, როცა იგრძნობ, რომ ვედროები გადაყირავდა, გამოიქეცი. არ გაჩერდე და არ დაუწყო ლოდინი, როდის ატყდება დარბაზში ხმაური. ეს ხუმრობა საქმე არ გეგონოს. სისხლის სამართლის დანაშაულია, გესმის? თუ

დაგიჭირეს, ჯარიმას არ გაქმარებენ. ციხეში გამოგეეტავენ და გასაღებს შორს მოისვრიან.

ეს მისთვის ძალიან გრძელი ტირადა იყო.

კრისი ჩუმად იჯდა და ბოლმით სავსე მზერას არ აშორებდა.

— ყველაფერი გაიგე?

— კი.

— ვედროები რომ გადაყირავდება, ვქოქავ და მივდივარ. მაშინვე შემოხტი მანქანაში. თუ მოასწრებ, მოასწრებ, თუ არადა, აქ დაგტოვებ. გეფიცები, დაგტოვებ და იცოდე, ერთი სიტყვაც თუ დაგცდა ჩემზე, მოგულავ. გაიგე?

— გავიგე. გასწი ტორი.

ბილიმ ხელი გაუშვა და ჩაილიმა.

— ყველაფერი კარგად იქნება.

ორივე მანქანიდან გადმოვიდა.

თითქმის ათის ნახევარი იყო.

მიკროფონში გამოსაშვები კლასის პრეზიდენტის, ვიქ მუნის მხიარული ხმა გაისმა:

— მაშ ასე, ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ დაიკავოთ აღგილები. დადგა ხმის მიცემის დრო. ვირჩევთ მეფესა და დედოფალს!

— ეს კონკურსი ქალებს შეურაცხყოფს! — დაძაბული ხმით ნამოიძახა მირა კრიუსმა.

— არა მარტო ქალებს, — დაიყვირა ჯორჯ დოუსონმა, — კაცებსაც შეურაცხვეყოფს!

დარბაზში ხარხარი ატყდა. მირას ხმა აღარ ამოულია: ფორმალურად ხომ უკვე გამოთქვა პროტესტი! ვალი მოხდოლი ჰქონდა.

— გთხოვთ, დასხედით! — მიკროფონთან მდგომი ვიკი ნამდაუნუმ იღიმებოდა და მღელვარებისგან ნიკაპზე ამოსულ გუნუკს იწვალებდა. მის ზურგს უკან უარმაზარი ვენეციელი მენავე აღმართულიყო და სევდიანი თვალებით უცქერდა დარბაზს, — დროა, ავირჩიოთ.

კერი და ტომი დასხდნენ. ნორმა უოტსონმა, ტინა ბლეიკ-თან ერთად, ბიულეტენები ჩამოარიგა. კერისთან რომ მივიდა, ნარმატებებს გისურვებთო, ამოიოხრა და ორი ფურცელი გაუწიოდა. კერიმ ფურცლები გამოართვა და პირდალებული გაშეძდა.

— ტომი, ჩვენც ვართ სიაში!

— ვიცი, ვნახე, — მიუგო ბიჭმა, — სკოლა ცალკეულ კანდიდატებს ასახელებს. მათი თანმხლები პირები კი თავისთავად ხვდებიან სიაში. ასე რომ, კეთილი იყოს შენი შემოსვლა კლუბში. ხომ არ გირჩევნია, უარი ვთქვათ?

კერიმ ტუჩი მოიკვნიტა და ტომის შეხედა.

— შენ თვითონ გინდა უარის თქმა?

— არა, რასაკვირველია, — არხეინად მიუგო ტომიმ, — გამარჯვებულს მხოლოდ ერთი რამ მოგეთხოვება: სკოლის პიმნისა და მომდევნო ცეკვის დასრულებამდე იმ ტახტზე უნდა იჯდე და იდიოტივით კვერთხი იქნიო. მერე სურათებსაც გადაგილებენ, რომ ყველამ ნახოს, რა იდიოტურად გამოიყურებოდი.

— ხმა ვის უნდა მივცეთ? — ჰკითხა კერიმ და მზერა კანდიდატების სიიდან თხილით სავსე ჯამის გვერდით დადებულ ფანქრაზე გადაიტანა, — ყველა შენი სამეგობროდანაა, — მერე უნებლიერ გაეცინა და დასძინა, — ისე, მე საერთოდ არ მყავს სამეგობრო.

ტომიმ მხრები აიჩინა.

– რად გვინდა ყალბი თავმდაბლობა. ავდგეთ და საკუთარ თავს მივცეთ ხმა.

კერიმ გადაიკისკისა და სასწრაფოდ აითარა პირზე ხელი – იმდენად უცხო იყო მისთვის სიცილის ხმა. მერე კი ადგა და, რომ არ გადაეფიქრებინა, ნაჩქარევად შემოხაზა თავისი და ტომის სახელები. მეტისმეტი დაწოლისგან ფანქარი გადატყდა და ერთ-ერთი ნატეხი თითში შეერჭო. კერის ნამით სუნთქვა შეეკრა: თითიდან სისხლმა გამოჟონა.

– იტკინე? – ჰერთხა ტომიმ.

– არც ისე, – ნაძალადევი ლიმილით მიუგო გოგონამ: სისხლის დანახვამ გუნება წაუხდინა. მერე ნატკენზე ხელსახოცი შემოიხვია და დასძინა: – მაგრამ ფანქარი გავტეხე. აფსუს, სამახსოვროდ მინდოდა დამეტოვებინა. რა სულელი ვარ!

– სამაგიეროდ, თხლით სავსე თბომავალი დაგრჩა, – უთხრა ტომიმ და ჯამი ახლოს მიუნია, – ტუ-ტუუუ!

კერის ცრემლი მოაწვა. შეეშინდა, არ ატირებულიყო და თავს დროულად დაეუფლა – მხოლოდ თვალები მოუწყლიანდა და, ტომის რომ არ დაენახა, თავი ჩაქინდრა.

სანამ მის გირის თანაშემწეები ოთხად დაკეცილ ბიულეტენებს აგროვებდნენ, ბენდი პაუზას პოპულარული მელოდიით ავსებდა. ბიულეტენებს შემოსასვლელთან, მასნავლებლების მაგიდაზე მოუყარეს თავი და ვიკი, მისტერ სტივენსი და ლაბლინების წყვილი ხმების დათვლას შეუდგნენ. მის გირი თავზე ქორივით დასტრიალებდა და თვალს არ აცილებდა.

კერის შიშისგან გული შეეკუმშა და ალელვებულმა ტომის ჩასჭიდა ხელი. თუმცა სანერვიულო, რა თქმა უნდა, არაფერი იყო – მას ხომ მაინც არავინ აირჩევდა. კი, ტომისნაირ ბედაურს ხმას ბევრი მისცემდა, მაგრამ არა მისნაირ ძროხასთან ერთად ეტლში შებმულს. სავარაუდოდ, ფრენკსა და ჯესიკას,

ან დონ ფარნეცემსა და ჰელენ შირსს აირჩივდნენ. ანდა სულაც... ჯანდაბა!

სხვებზე სწრაფად ბიულეტენების ორი დასტა იზრდებოდა. მალე მისტერ სტივენსი ბარათების დალაგებას მორჩია და კომისიის ოთხივე წევრი ყველაზე მსხვილი – ერთი შეხედვით ტოლი დასტების გარჩევას შეუდგა. ერთხელ რომ დათვალეს, ცოტა ხანს ითათბირეს და თვლა თავიდან დაიწყეს. ბოლოს მისტერ სტივენსმა ბიულეტენები ერთად მოკრიბა, ხელში კარტის დასტასავით შეათამაშა და ვიკა გადასცა. ვიკი სცენაზე ავიდა და მიკროფონთან დადგა. „ბილი ბოსმან ბენდმა“ მისასალმებელი მარში დაუკრა. ვიკმა გაიღიმა, ჩაახველა და, როცა პასუხად დინამიკებმა გამაყრუებლად დაინუვლეს, შეკრთა და თვალები ააფახურა – შიშისგან კინალამ ბიულეტენებიც კი დაუცვივდა. დარბაზში ვიღაცამ ჩაიხითხითა.

– პატარა დაბრკოლება შეგვექმნა, – თქვა ვიკმა მიკიბმოკიბვის გარეშე, – მისტერ ლაბლინის თქმით, ასეთი რამ გამოსაშვები მეჯლსების ხანგრძლივი იტორიის მანძილზე ჩვენს სკოლაში პირველად ხდება.

– ნეტა, სად წავიდა? – ჩაიბუზლუნა ვიღაცამ ტომის ზურგს უკან, – მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში?

– ორმა პრეტენდენტმა ნყვილმა ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვა.

დარბაზში ჩურჩიული ატყდა. ჯორჯ დოუსონმა ისევ რაღაც ნაიოხუნჯა, რასაც ალაგ-ალაგ სიცილი მოჰყვა.

ვიკმა კვლავ გაიღიმა და კინალამ ისევ დაფანტა ფურცლები.

– სამოცდასამი ხმა მიიღეს ფრენკ გრირმა და ჯესიკა მიკლინმა... და ზუსტად ამდენივე ხმა ერგოთ თომას როსა და კერი უაიტს.

ნამით სიჩუმე ჩამონვა, მერე კი ტაშმა იგრიალა. ტომი კერის მოუბრუნდა (საბრალო გოგონა თავჩალუნული იჯდა - თითქოს რაღაცის რცხვენია) და უეცრად ზუსტად ის უცნაური გრძნობა დაეუფლა

(კერი კერი კერი),

როგორიც მაძინ, მეჯლისზე როცა ეპატიუებოდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ფიქრებში ვიღაც უცხო შეჭროდა და ჯიუტად უმეორებდა: „კერი, კერი, კერი“. თითქოს...

- ყურადღება! - გამოაცხდა ვიკი და ტაში მიჩუმდა, - ნუთით ვითხოვ თქვენს ყურადღებას! გადავწყვიტეთ, დამატებითი კენჭისყრა ჩავატაროთ. ახლა ცარიელ ფურცლებს და-გირიგებთ, რომლებზეც თქვენთვის სასურველი წყვილი უნდა მოუთითოთ, - ვიკიმ შვებით ამოისუნთქა და სცენიდან ჩამოვიდა.

ისევ ჩამოარიგეს ფურცლები - ამჯერად საარჩევნო ბიუ-ლეტენების მაგივრობას თანაბარი ზომის კვადრატებად დანა-ნევრებული სამეჯლისო პროგრამები სწევდნენ. ბენდი გაუ-ჩერებლად უკრავდა, მაგრამ მუსიკას აღარავინ უსმენდა - ყველა გაცხარებით საუბრობდა.

- ტაში ჩვენთვის არ დაუკრავთ, - თქვა კერიმ და თავი ასწია. ტომის ნელანდელმა განცდამ (თუ განცდის ილუზიამ) გადაუარა. - გამორიცხულია, ჩვენთვის დაეკრათ.

- შეიძლება შენ დაგიკრეს.

კერიმ შეხედა და აღარაფერი უთხოა.

- რას ელოდებიან? - ჩაიჩურჩულა კრისმა, - ნელან ტა-შის ხმა გავიგონე. იქნებ უკვე დროა? თუ რამე შეგეძალა და...

მათ შორის ვედროებზე გამობმული კანაფის მეორე ბო-ლო ქანაობდა. თოვს არც ერთი არ მიჟარებია მას შემდეგ.

რაც ბილიმ სავენტილაციო მილიდან სახრახნისის დახმარებით გამოაძვრინა.

— დაწყნარდი, — ცივად მიუგო ბიჭმა, — ჯერ ჰიმნი უნდა დაუკრან. თავიდან ყოველთვის ჰიმნს უკრავენ.

— კი, მაგრამ...

— მოკეტე, შენი!.. ძალიან ბევრს ლაპარაკობ, — და ნუვდიადში მშვიდად გაანათა მისმა სიგარეტმა.

კრისი დადუმდა. მაგრამ

(მე შენ გიჩვენებ ნაბიჭვარო ეს საქმე მოვათაოთ და იქნებ ველარც ელიოსო ჩემთან ერთად დაწოლას)

ბილის სიტყვებმა გააცოფა. ამას კი აღარ აპატიებდა. არავის ჰქონდა მასთან ასე ლაპარაკის უფლება — მამამისი ხომ ადვოკატი იყო.

ათს შვიდი წუთი აკლდა.

ტომიმ გატეხილი ფანქარი აიღო და ბიულეტენზე სახელების დასაწერად მოემზადა.

— არ გინდა, — უთხრა კერიმ და ხელზე ფრთხილად შეეხო.

— რა?

— ხმა ჩვენ არ მოგვცე, — უთხრა ბოლოს.

ტომიმ წარბი ანკიპა.

— რატომაც არა? თუ ქეიფია, ქეიფი იყოს. დედაჩემი სულ ასე ამბობს.

(დედა)

კერის უცნაური სცენა წარმოუდგა თვალნინ: დედა მუხლ-მოყრილი ლოცულობს ავტოსადგომზე ცეცხლოვანი მახვილი მოსიარულე ვეებერთელა და უსახო ღმერთის მიმართ. ლით მოსიარულე ვეებერთელა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არაფერი უეცრად შიშმა აიტანა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არაფერი დასტყობოდა — ამ შეძრნუნების მიზეზს მაინც ვერ ახსნიდა.

ამიტომაც ჭომის უმწეოდ გაულიმა და გაუმეორა:

— არ გინდა. გთხოვ.

მის გირის დამხმარეები უკვე ბიულეტენებს კრეფიდნენ და თანდათან უახლოვდებოდნენ მათ მაგიდას. ჭომი წამით შე-ყოყმანდა, მაგრამ მერე ფურცელზე მაინც „ჭომი და კერი“ დაწერა და უთხრა:

— დღეს შენთვის ყველაფერმა უმაღლეს დონეზე უნდა ჩაიაროს.

კერიმ არაფერი უპასუხა. თვალწინ ისევ დედის სახე ედგა.

მარგარეტ უაიტმა დანა სალესს მოაცილა, მარცხენა ხე-ლისგული ცერის სახსართან გადაისერა და ჭრილობას დააც-ქერდა. გადახსნილი კანიდან ბლანტმა სისხლმა გამოჟონა და სამზარეულოს ლინოლეუმზე დაეწვეთა.

ესეც ასე... ფოლადმა ხორცს გემო გაუსინჯა...

მარგარეტს ხელი არ შეუხვევია. სიხლი დანის პირზე მიუშვა და, როცა ფოლადი წითლად შეიღება, ლესვა განაგ-რძო — სულ არ ანაღვლებდა კაბა რომ ესვრებოდა.

„უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, ალ-მოილე იგი და განაგდე შენგან...“

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ალთქმაა. სწორედ მათ ეხება, იაფუასიან სასტუმროებსა და კეგელბანების ეზოებში რომ მრუშობენ.

ალმოილე იგი და განაგდე

(თან რა საძაგელ მუსიკას უსმენენ)

ალმოილე!

(გოგოები კაბებს იწევენ... ოფლიანი სხეულები... სიხლია-ნი ზენრები...)

განაგდე!

გუგულიან საათზე ათი შესრულდა

(უნდა გამოვიყატრო და იატაქზე დავაყრევინო ნაწლავე-

ბი)

აღმოიღე იგი და განაგდე შენგან...

კაბა მზად იყო და სიუს მეტი ალარაფრის კეთება ალარ უნდოდა – არც ტელევიზორის ყურების, არც კითხვისა და არც ნენსისთან ტელეფონით ჭორაობის გუნებაზე არ იყო. ის-ლა დარჩენოდა, გაუნძრევლად მჯდარიყო დივანზე და სამზარეულოს ჩაბნელებულ ფანჯრაში ეცქირა. გაუგებარმა შიშმა აიტანა – თითქოს რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო.

ამოიოხოდა და ჩაფიქრებულმა მხრებზე ხელები შემოიჭდო. ხელები გაყინული და დაბუუებული ჰქონდა. საათი თერთმეტის თორმეტ წუთს აჩვენებდა და სამყაროს დასასრულს არა-ფერი მოასწავებდა.

ბიულეტენების ორი დასტა ამჯერად უნინდელზე უფრო გამსხვილდა, მაგრამ მაინც თითქმის ერთნაირად გამოიყურებოდა. ხმები კიდევ ერთხელ გადათვალეს და ცოტა ხნის შემდეგ ვიკ მუნი მიკროფონთან მივიდა. რამდენიმე წამს ჩუმად იდგა და, სმენად ქცეული, მომლოდინე დარბაზის ცქერით ტკბებოდა, მერე კი მოკლედ თქვა:

– ერთი ხმის უპირატესობით გაიმარჯვეს ტომიმ და კერიმ.

ხანმოკლე სიჩუმე მქუხარე აპლოდისმენტებმა დაარღვია, თუმცა ტაშს ყველა გულწრფელად როდი უკრავდა. კერიმ შეშინებულმა ამოიოხოდა და ტომის (წამით) ისევ დაეხვა თავბრუ

(კერი კერი კერი კერი):

უკვალოდ გაქრა ყველა ფიქრი თუ შეგრძნება და გონებაში მხოლოდ ამ უცნაური გოგოს სახე და ხატება დარჩა...

და წამით ტომიც შეიძმა აიტანა.

იატაკზე რაღაც ზრიალით დაეცა და მაგიდაზე სანთელი ჩაქრა.

მერე „ჯოსი-ენდ-მუნგლოუსმა“ საზეიმო მარშის როკვერსია დაუკრა და ტომისა და კერის გვერდით მყისვე მის გირის თანაშემნები გაჩნდნენ (როგორც ავი ენები ამბობდნენ, ზანტ ასიტენტებს მის გირი ვახშმად მიირთმევდა). ტომის ფოლგაში გამოხვეული სკიპტრა გადასცეს, კერის მხრებზე ძალლის ბენ-ვით განყობილი სამეფო მანტია მოახურეს და ორივე სცენის უკან ნაიყვანეს. მუსიკა გრუხუნებდა. დარბაზი ტაშს უკრავდა. მის გირს სახე უბრნყინავდა. ტომი როსი გაოგნებული იღიმებოდა.

მეფე და დედოფალი სცენაზე აიყვანეს და სავარძლებზე დააბრძანეს. აპლოდისმენტები უფრო მქუხარედ გაისმა, მაგრამ არავინ იცინოდა – ტაშს ყველა ისე გულწრფელად უკრავდა, რომ კერი კიდევ უფრო დაფრთხა. სანყალს ფეხები უკანკალებდა და შვებით ამოისუნთქა, როცა ტახტამდე მიაღნია და დავდა. უეცრად მოეჩვენა, რომ მკერდი

(ბინძურიმუთაქები)

არც ისე ღრმად ამოქრილი კაბიდანაც კი ზედმეტად მოუჩანდა. ტაშის გრიალისგან თავბრუ ეხვეოდა და გულის სილ-რმეში სკეროდა, რომ ეს ყველაფერი ცხადში კი არა, სიზმრად ხდებოდა და რომ მალე დანაკლისისა და შვების ერთდროული შეგრძნებით გაიღვიძებდა.

– 1979 წლის გამოსაშვები მეჯლისის მეფე და დედოფალი! ტომი როსი და კერი უაიტი! – ჩაჰუვირა ვიკმა მიკროფონში.

ტაშის გრიალი თანდათან მატულობდა და მატულობდა. ტომიმ, რომელსაც სულ რამდენიმე წუთის სიცოცხლედა პქონდა დარჩენილი, კერის ხელი ჩაჰუიდა, გაულიმა და სიამოვნებით გაიფიქრა, რომ სიუზიმ ყველაფერი სწორად გა-

მოიცნო. კერიმ ბოლო ძალა მოიკრიბა და ღიმილზე ღიმილით უპასუხა. ტომი (სიუ მართალი იყო და ძალიან მიყვარს და ეს კერიც მიყვარს ლამაზია ყველაფერი კარგად აენყო და ორივე მიყვარს მიყვარს მისი ანთებული გაბრწყინებული თვალები)

და კერი

(ვერავის ვხედავ სინათლე მაბრმავებს მესმის მათი ხმა მაგრამ ვერ ვხედავ და კარგად მახსოვს საშხაპეში რაც მოხდა დედიკო რა მაღლა ვზივარ დაბლა მინდა ჩამოსვლა ნუთუ ახლა სიცილს დამაყრიან ხელსახოცებს მესვრიან და ჩემკენ თითებს გამოიშვერენ ვერ ვხედავ ვერაფერს ვხედავ ძალიან კაშკაშა სინათლეა)

და ჭერქვეშ გადებული კოჭი...

მერე მუსიკალური ბენდები გაერთიანდნენ, სასულე და როკის ინსტრუმენტების ხმები შეაჯერეს და სკოლის ჰიმნი დაკუხეს. დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშის კვრით ამლერდა. თერთმეტის შვიდი წუთი იყო.

ბილი ჩაიცუცქა, რომ დგომისგან დალლილი ფეხები დაესვენებინა. კრის ჰარგენსენი გვერდით ედგა და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მეტად ლელავდა – თითები ჯინსის ნაკერებზე დაურბოდა და ტუჩებს იკვნეტდა.

– გგონია, ისინი აირჩიეს? – ჩუმად ჰკითხა ბილიმ.
– კი, მათ აირჩევდნენ, – უპასუხა კრისმა, – საქმე ჩან- ყობილი მაქვს... რამდენ ხანს უნდა უკრან ტაში? რა ხდება, ბოლოს და ბოლოს?

– მე რას მეკითხები? მე...

უეცრად მაისის ლამის სიმშვიდე სკოლის ჰიმნმა დაარ- ღვია. კრისი მოულოდნელობისგან შეხტა. შიშისგან სუნთქვა შეეკრა.

„დიდება თომას იუვინის სეოლააას...“

— მიდი! უკვე ადგილზე არიან, — უთხრა ბილიმ. ბინდბუნ-დში უცნაურად უბრნყინავდა თვალები და სახეზე იდუმალე-ბით აღსავსე ნახევარლიმილი დასთამაშებდა.

კრისმა ტუჩები მოილოკა. იდგნენ და სავენტილაციო მი-ლიდან გადმოკონნიალებული თოკის ბოლოს უცქერდნენ.

„შენს დროშებს ერთად აღვმართავთ ცაშიი...“

— მოკეტე, — ჩაისისინა კრისმა. მთელი სხეული უცახცა-ხებდა და ადრე არასოდეს ყოფილა ასეთი აღგზნებული და მიმზიდველი. ამის შემხედვარე ბილიმ გაიფიქრა — ეს საქმე მოვათაო და ისე ვიხმარ, ნინა სასიყვარულო ლამეები ბავშვურ გართობად მოეჩვენებაო.

— შეგეძინდა? — ჰეითხა ცოტა ხნის შემდეგ და სახე სა-ხესთან მიუტანა, — მაგ თოკს შენ მაგივრად არ მოვქაჩავ. ჩემთვის სულერთია, ის ვედროები თუ გინდა, მეორედ მოს-ვლამდე იქ იდგეს.

„ამაყად ვატარებთ წითელ-თეთრ ფერეეებს...“

უეცრად კრისმა უცნაური, ყრუ ხმით რაღაც შესძახა, თოკს ორივე ხელით ჩააფრინდა და მოქაჩა. თავიდან კანაფი თავისუფლად წამოვიდა (კრისს წამით ეჭვი შეეპარა — ხომ არ მაშაყირებსო), მაგრამ მერე დაიჭიმა, გაუსხლტა და ხელის გულებზე წითელი კვალი დააჩნია.

— მე... — დაიწყო კრისმა და დადუმდა.

ორკესტრი აირია და მუსიკა შეწყდა. ვილაც ისევ ჰიმნს მღეროდა, მაგრამ მალე ისიც გაჩუმდა. უეცრად სამარისებუ-რი სიჩუმე ჩამონვა. ვილაცამ შეჰქივლა და მერე ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

ბილი და კრისი, საკუთარი საქციელით გაოგნებულები, ნყვდიადში ერთამანეთს შეჰყურებდნენ. იმ წუთამდე ბოლომ-

და არც ერთს არ სჯეროდა, ამას რომ ჩაიდენდა. იდგნენ და სუნთქვა ისე შეჰქვროდათ, თითქოს ჰაერი შუშად გადაქცეულიყოს.

მერე კი დარბაზიდან ხარხარი მოისმა.

საათი თერთმეტის ოც ნუთს აჩვენებდა. სიუს ცუდი ნინათგრძნობა არ ასვენებდა – შეშფოთებული ქურასთან იდგა და ყავისთვის რძის ადუღებას ელოდა. უკვე ორჯერ დაპირა მეორე სართულზე ასვლა და ლამის პერანგის ჩაცმა, მაგრამ ორივეჯერ სამზარეულოს ფანჯარასთან შეყოვნდა – ბრიკიარდ-ჰილისა და ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ მეექვსე გზატკეცილს უყურებდა.

მაგრამ როცა მეინ-სტრიტზე, ქალაქის მერიის სახურავზე სირენა აყვირდა, სიუ მკვეთრად არც კი შეტრიალებულა ფანჯრისკენ – ჯერ ცეცხლი ჩააქრო, რძე რომ არ გადმოსულიყო.

მერიის თავზე სირენა, როგორც წესი, მხოლოდ დღეში ერთხელ, თორმეტ საათზე ირთვებოდა ხოლმე – ისიც სულ რამდენიმე ნამით. გარდა ამისა, მას მოხალისე მეხანძრეთა ბრიგადების შესაკრებადაც იყენებდნენ, როცა აგვისტოსა და სექტემბერში ქალაქის გარშემო ბალახი ინვოდა. მაგრამ განგაშის ასეთი ხანგრძლივი სიგნალი რაღაც დიდი უბედურების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო.

სიუ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ფანჯარას. სირენის ხმა ხან მატულობდა, ხანაც კლებულობდა. სადღაც შორს რამდენიმე მანქანის გაბმული სიგნალი გაისმა – გეგონებოდათ, ქორწილიაო. ფანჯრის მინიდან სიუს ერთხანს საკუთარი ანარეკლი უმზერდა – პირი ოდნავ ლია, თვალები გაფართოებული... მაგრამ მალე შუშა დაიორთეს და ანარეკლიც გაქრა.

უკურად გონიერაში ნახევრად მივიწყევული რამ ამოუტიკ-ტიკედა – გაახსენდა, როგორ ვარჯიშობდნენ დაწყებით სკო-ლაში სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილებზე. მასნავლებელი ტაში შემოჰკურავდა და იტყოდა – ქალაქის სირენა ჩაირთოო, ამის შემდეგ მერხის ქვეშ უნდა შემძვრალიყავი, თავზე ხე-ლები ნაგეფარებინა და ასე მჯდარიყავი, სანამ გამოძრომის ნებას არ მოგცემდნენ, ან სანამ მტრის რაკეტები ნაკუნებად არ გაქცევდნენ. ჰოდა, ახლა ცხადად და მკაფიოდ ჩაესმა იმ მასნავლებლის ხმა – ჰერბარიუმში გამომშრალი ფოთოლივით გაუხუნებლად შემონახული.

(ქალაქის სირენა კი მართლაც ჩაირთო)

ფანჯრიდან თავად სკოლა არ მოჩანდა, მაგრამ ოდნავ ქვემოთ და ხელმარცხნივ, ლამპიონებით შემორკალულ სკო-ლის ავტოსადგომზე ნაპერნკალი კრთოდა – თითქოს უფალმა კვეს-აბედს გაჰკრაო.

(იქ, ხომ მაზუთის რეზერვუარებია)

ნაპერნკლიდან მალე კაშკაშა, ნარინჯისფერი ალი ავარდა და სკოლაც გამოჩინდა – შენობას ცეცხლი ეკიდა.

სოუ კარადას მივარდა, სადაც დედამისის მოსასხამი ეკიდა, და სწორედ მაშინ გაისმა პირველი აფეთქების ხმა. იატაკი შეზან-ზარდა და ბუფეტში ფინჯნებმა საწყალობლად დაინკრისალეს.

ნორმა უოტსონი. „როგორ გადავრჩით ავად სახსენებე-ლი მეჯლისის ლამეს“, (გამოქვეყნდა 1980 წლის აგვისტოში, უურნალ „რიდერს დაიჯესტში“, რუბრიკით – „ცხოვრებისეუ-ლი დრამა“):

...ყველაფერი ისე მოულოდნელად დაინყო, რომ თავიდან ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა. ფეხზე მდგომები ვუკრავდით

ტაშს და სკოლის ჰიმნს ვმღეროდით. მერე კი (მე მასწავლებლების მაგიდასთან ვიდექი და სცენას ვუყურებდი) სოფიტების კაშკაშა შუქზე პრიალა რაღაცამ გაიელვა. ჩემ გვერდით ტინა ბლეიკი და სტელა ჰორანი იყვნენ და, ვფიქრობ, მათაც იგივე დაინახეს.

უცრად ჰაერში წითელი შხეფები გაიშალა და ვენეციის პანოზე სქელ-სქელი ნაუონები გაჩნდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სანამ სცენაზე დაიღვრებოდა, მანამდე მივხვდი, სისხლი რომ იყო. სტელა ჰორანს თავიდან ეს სითხე საღებავი ეგონა, მაგრამ მე რაღაცნაირი წინათგრძნობა დამეუფლა – სხვათა შორის, მაშინაც იგივე დამემართა, როცა ჩემს ძმას თივით დატვირთული სატვირთო მანქანა დაეჯახა.

ტომიც და კერიც თავით-ფეხებამდე ამოისვარნენ, მაგრამ კერის უფრო მეტი გადაესხა – ისე გამოიყურებოდა, თითქოს საღებავით სავსე კასრში ჩააგდესო. საწყალი, იჯდა და არ ინძრეოდა. კარგი დღე არც მათ სიახლოეს მდგომ მუსიკოსებს დაადგათ, რადგან შხეფები შორს გაიფანტა – ჯგუფ „ჯოსი-ენდ-მუნგლოუსის“ წევრებიც კარგად ამოითხვარნენ. გიტარისტის თეთრი გიტარა ნამში წითლად შეიღება.

ლმერთო, ეს ხომ სისხლია-მეთქი, ჩავილაპარაკე და ამ დროს ტინამ ხმამაღლა იკივლა. ბოლოს სიმღერა შეწყდა და სიჩუმე ჩამონვა. გაოგნებისგან განძრევა არ შემეძლო. ერთ ხიჩუმე ჩამონვა. გაოგნებისგან განძრევა არ შემეძლო. სავარძლების თავ-ადგილას ვიდექი და ფეხს ვერ ვიცვლიდი. სავარძლების თავ-ადგილას ვიდექი და ფეხს ვერ ვიცვლიდი. ეხეთქეზე კი თოკზე ორი ვედრო ქანაობდა და ერთმანეთს ეხეთქეზე კი თოკზე ორი ვედრო ქანაობდა და ბოდა. მერე თოკი მოეშვა, ვედროები დაბლა ჩამოცვივდა და ბოდა. მერე თოკი მოეშვა, ვედროები დაბლა ჩამოცვივდა და ბოდა.

არ ვიცი ვინ, მაგრამ ვიღაცამ გაიცინა. არა, იმიტომ კი არ ვიცი ვინ, მაგრამ ვიღაცამ გაიცინა. არა, რომ გამხიარულდა – ეს უფრო ისტერიკული სიცილი იყო.

და ამ დროს კერიმ თვალები გაახილა.

აა, მაშინ კი აგვიტყვდა ხარხარი. ვერც მე შევიქავე თუ. ლმერთო, ეს რა იყო!

ბავშვობაში დისნეის ზღაპრების ნიგნი მქონდა, „სამხერეთის სიმღერა“ ერქვა. იქ ბიძია რიმუსის ერთი ზღაპარი იყო ფისში ამოვლებულ საფრთხობელაზე. ნახატზე საფრთხობელა შუა გზაზე იჯდა და ზანგივით შავი სახე და უზარმაზარი თეთრი თვალები ჰქონდა. კერიც ზუსტად ასე გამოიყურებოდა: თავით ფეხებამდე ნითელს ლია ცისფერი თვალები შუშასავით უპრიალებდა კაშკაშა სინათლეზე. ლმერთო მაპატიე, მაგრამ სუფთა თვალებდაჭყეტილი ედი კანტორი⁷ იყო.

ამიტომაც ავხარხარდით. თავი ვეღარ შევიკავეთ – ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, ან უნდა გვეცინა, ან ჭკუიდან გადავსულიყავით. კერის ნლების მანძილზე მთელი სკოლა აბუჩად იგდებდა. იმ საღამოს კი თავი ყველამ რაღაც განსაკუთრებული ამბის თანაზიარდ ვიგრძენით: თითქოს ჩვენ თვალნინ გარიყული პიროვნება ადამიანთა საზოგადოებას უბრუნდებოდა და ამისათვის გულწრფელად ვუმადლოდ ლმერთს.

...და უეცრად მოხდა ასეთი რამ!

სხვა გზა არ გვქონდა: ან უნდა გვეცინა, ან – გვეტირა. არადა, მთელი ამ ნლების შემდეგ კერის გამო ვინ იტირებდა!

კერი კი გაუნძრევლად იჯდა და დარბაზს გაჰყურებდა. სიცილი მაღე თავაშვებულ ხორხოცში გადაიზარდა. მუცლები ხელით გვეჭირა და თითებს კერისკენ ვიშვერდით. მხოლოდ

⁷ ედი კანტორი (1892-1964) – ამერიკელი ეომიქოსი, მომღერალი და კომპოზიტორი.

ჭომი არ იცინოდა – გვერდზე გადაქანებული იჯდა, თითქოს სძინავსო. თავიდან ვერავინ მიხვდა, რა სჭირდა: ის ხომ ისე-დაც სიხლით იყო მოთხვრილი.

მერე კერის სახე თითქოს დაებზარა – სხვანაირად ვერ აღვინერთ მის გამომეტყველებას. თვალებზე ხელები აიფარა წა წამოდგა. ისე ბარბაცებდა, კინალამ წაიქცა, და ამან კი-დევ უფრო გაამხიარულა საზოგადოება. მერე კი... სცენიდან ჩამოხტა – თითქოს ვეებერთელა წითელმა ბაყაყმა დუმთა-რიდან ისკუპაო – და კვლავ ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ დაცემულიყო.

მასთან მის დესჯარდინმა მიირბინა. ხელები წინ გაეშვირა და უკვე ალარ იცინოდა... მაგრამ უეცრად რაღაც უხილავ-მა ძალამ გვერდით მოისროლა და სცენის კიდესთან კედელს მიანარცხა. ძალიან უცნაური სანახავი იყო: ფეხი კი არ წა-მოუკრავს, ისე გადავარდა, გეგონებოდა, ხელი ჰერესო. არა-და მის სიახლოვეს არავინ მდგარა.

კერის სახიდან ხელები არ მოუშორებია, ისე გაიქცა გა-სასვლელისკენ. მაგრამ ბრბოში ვიღაცამ ფეხი დაუდო – ვინ იყო, არ ვიცი, იატაკზე კი გემრიელად გაასრიალა. კერიმ პარკეტზე გრძელი წითელი კვალი დატოვა და ერთი უუფო, წამოიძახა (კარგად მახსოვს, რადგან ამის გაგონებაზე კინა-ლამ ჩავბუირდი). მერე რამდენიმე ნაბიჯი ფორთხვით გაიარა, ფეხზე წამოიმართა და კარისკენ გავარდა. გვერდით რომ ჩა-მირბინა, სისხლის სუნი მეცა... რაღაცნაირი, გულისამრევი, მძორის სუნი ასდიოდა.

კერიმ კიბე ორი-სამი საფეხურის გამოტოვებით ჩაირბი-ნა და კარს მიღმა გაუჩინარდა. სიცილი თანდათან მიჩუმდა, მაგრამ ზოგიერთები ვერაფრით ახერხებდნენ დანყნარებას – გულშელონებულები ხითხითებდნენ და ასლოკინებდნენ. ლენი

ბროკს დიდი თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა და ცრემლებს ინ-
მენდდა. სალი მაქმანუსი სულ გაფიტრებულიყო – ცოტაც და
გული აერეოდა... მაგრამ მაინც განაგრძობდა კისკისს. ბილი
ბოსნანი მშვიდად იდგა დირიუორის ჯოხით ხელში და თავს
აქნევდა. მისტერ ლაბლინი მის დესჯარდინის გვერდით ჩა-
ცუცქულიყო და ვიღაცას ხელსახოცს სთხოვდა: მის დესჯარ-
დინს ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი სულ რაღაც ორიოდ
ნუთში მოხდა და გონს მოსვლა ვერავინ მოვასნარით. დაბ-
ნეულები ვიყავით. ზოგი დადიოდა და აქეთ-იქით იყურებოდა.
მაგრამ უმრავლესობა გაუნძრევლად იდგა.

უეცრად ჰელენ შირსი ატირდა. მერე კიდევ ვიღაც აქვი-
თინდა და ბოლოს დაიყვირეს:

– ექიმს დაურეკეთ! დროზე! ექიმი გამოიძახეთ!

როგორც აღმოჩნდა, ჯოსი რეკი ყვიროდა. ის ტომი რი-
სის გვერდით მუხლებზე იდგა და სახეზე მიტკლის ფერი დას-
დებოდა. მერე ტომის ხელში აყვანა სცადა, მაგრამ ტახტი
გადაყირავდა და ორივე ძირს დაეცა.

თუმცა, ამის შემხედვარე, არავინ გავნძრეულვართ. ვი-
დექით და ვუყურებდით. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ფე-
ხებით იატაკზე ვიყავი მიყინული. ლმერთო, ლმერთო-მეთქი,
ვჩურჩულებდი და საერთოდ ვეღარ ვაზროვნებდი. მერე გო-
ნებაში რაღაც კადრები დამიტრიალდა – ოლონდ მეგონა, მე
კი არა, ვიღაც სხვა ფიქრობდა ჩემ მაგივრად... კერიზე ვფიქ-
რობდი... ლმერთზე... მერე თავში ყველაფერი ამერია... მოკ-
ლედ, საშინელება იყო...

მერე სტელამ მითხრა:

- კერი დაბრუნდა.
- ჰო, – მივუგე, – დაბრუნებულა.

უკუცრად პოლში ყველა კარი დაიხურა - ისეთი ხმა იყო, თოთქოს ტაში შემოჰერესო. ვიღაცამ იკივლა და დარბაზში პანიკა ატყდა: ყველა გასასვლელისკენ გაიქცა. სანამ ბრძო კარებს მიაწყდებოდა, შუშის მიღმა კერის მოვკარი თვალი. სახე ისევ სისხლით ჰქონდა მოსვრილი და საომრად მოხატულ ინდიელს ჰგავდა.

იდგა და იღიმებოდა.

ხალხი სახელურებს ეჯაჯგურებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ბრძო თანდათან იზრდებოდა და ნინ მდგომები ჭყლეტაში მოყვნენ, მაგრამ კარები მაინც არ იღებოდა. არადა, ისინი არასოდეს იკეტებოდა – შტატში ასეთი კანონია.

მისტერ სტივენსი და მისტერ ლაბლინი მოსწავლეების ჯგროდან ვამოთრევას ცდილობდნენ. საშინელი ლრიანცელი იდგა, ბავშვები ცხვრებივით ბლაოდნენ და ერთმანეთს ანვებოდნენ. მისტერ სტივენსმა ორ ვოგონას სილა გააწნა, ვიკ მუნის კი ყბაში მოსდო... მოკლედ, ვიუივით დარბოდა და ყველას უყვიროდა, სათადარიგო გასასვლელისკენ წასულიყვნენ. ზოგმა დაუჯერა და სიკვდილსაც გადაურჩა.

მერე განვიმდა... ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე მომეჩვენა. მთელ დარბაზში ჭერიდან წყალი წამოვიდა – ყველა საშეცეცებელი მუშაობდა. ჯოსი რექმა თავის ბიჭებს დაუყვირა, აპარატურა გამორთეთო, მაგრამ ყველა გაქცეულიყო. მაშინ ჯოსი თვითონაც ჩამოხტა სცენიდან.

კარებთან პანიკა შეწყდა. ზოგი ისევ დრბაზში შემობრუნვარებთან პანიკა შეწყდა. მახსოვს, ვიღაცამ (მგონი, დონ და და ჭერში ყურებას შეუდგა. მახსოვს, ვიღაცამ (მგონი, დონ ფარნჟემმა) თქვა – ახლა მოედანს დედა ეტირებაო.

რამდენიმე მოსწავლე ტომი როსისკენ დაიძრა. მე კი უეცრად მივხვდი, რომ სასწრაფოდ თავისთვის უნდა მეტ- ულა. ტინა ბლეიკს მივუბრუნდი და ხელი ჩავკიდე, გავიქველა. ტინა ბლეიკს მივუბრუნდი და ხელი ჩავკიდე, გავიქ-

ცეტ-მეტქი. სახანძრო გასასვლელამდე სცენის ხელმარ. ცხნივ მდებარე პატარა დერეფანი უნდა გაგვევლო. ნყლის საშეფებლები იქაც იყო, მაგრამ არც ერთი არ მუშაობდა. ბოლომდე გალებული კარიდან რამდენიმე კაცი უკვე გასულიყო გარეთ, მაგრამ დანარჩენები ისევ დარბაზში იდგნენ და დაბნეულები უცქერდნენ ერთმანეთს. ზოგიც კერის მიერ დატოვებულ სისხლიან კვალს უყურებდა, მაგრამ კვალი თანდათან ირეცხებოდა. ტინა გასასვლელისკენ ნავიყვანე და უეცრად ელექტრული გაელვება დავინახე. ვიღაცამ იკივლა და დინამიკებიდან ყურისწამლები ნუილი მოისმა. მივტრიალდი და რას ვხედავ – ჯოსი რეკი მიკროფონს ჩაბლაუჭებია და ხელს ვეღარ უშვებს. თვალები დაჭყეტილი ჰქონდა, თმა ყალყზე დასდგომოდა, ფეხები ისე უცახცახებდა, გეგონებოდა, ცეკვავსო. მერე კი პერანგზე ბოლი აუვიდა.

ჯოსი ხუთი-ექვი ფუტის სიმაღლის ერთ-ერთ დინამიკს მიეჯახა და წყალში ჩაამხო. აპარატურამ ერთიც დაიღმუვლა, გაანათა და მიჩუმდა. ჯოსის პერანგზე უკვე ცეცხლი ეკიდა.

– გავიქცეთ! – იყვირა ტინამ, – დროზე, ნორმა, გეხვენები!

დერეფანში გავედით და უეცრად სცენის უკან დენის გამანანილებელი დაფა აფეთქდა. სცენას გავხედე – ფარდა ანეული იყო და ტომი დავინახე. ელექტროკაბელები ირწეოდა და გველებივით იკლაკნებოდა. მერე ერთ-ერთი კაბელი წყალში ჩავარდა და ყველა აყვირდა. კარში გავცვივდით და ავტოსადგომისკენ გავიქცით. მგონი, ვკიოდი. ზუსტად აღარ მახსოვს. დანარჩენი საერთოდ ცუდად მახსოვს. როდესაც მაღალი ძაბვის კაბელები წყალში ჩაცვივდა...

თერამეტი წლის ტომი როსი ადვილად, თითქმის უმტკივ-
ნეულოდ მოკვდა – ვერც კი გააცნობიერა, რაღაც რომ ხდე-
ბოდა. გრუხუნი გაისმა. ამ ხმამ

(რძის ვედროები წაიქცა)

ტომის ბავშვობა, ბიძია გლენის ფერმა და

(ვიღაცას რაღაც დაუვარდა)

გევრდით მდგომი ბენდი გაახსენა. მერე შენიშნა, როგორ
ახედა ჯოსი რეკმა ჭერს მის ზურგს უკან

(შარავანდედი ხომ არ მაქვს)...

ზემოდან კი სისხლით ნახევრად სავსე ვედრო ჩამოვარდა,
კინჯრიხოზე ბასრი კუთხით დაეცა

(რა მტკივნეულია)

და მყისვე გონი დააკარგვინა.

როცა ცეცხლი „ჯოსი-ენდ-მუნგლოუსის“ აპარატურიდან
ვენეციურ პანოს, იქიდან კი სხვენში შეგროვილ სპორტულ
ფორმებსა და ქალალდებს მოეკიდა, ტომი უგონოდ ინვა.

მაგრამ როდესაც ნახევარი საათის შემდეგ საქვაბეში მა-
ზუთის ბაკები აფეთქდა, ის უკვე მკვდარი იყო.

„ასოშეითედ პრესის“ ახალი ინგლისის განყოფილების
ცნობა 22:46:

ჩემპიონატი, მენის შტატი (ა)

ამ ცატებში იუვინის სკოლის შენობაში ძლიე-
რი ხანძალი გოგოპრობს. აალება ბამოსაშვე-
ბი მევლისის დროს მოკლე ჩართვის შედეგად
მოხდა. მოვარეობი ირცხუნებიან, რომ დარ-
ჩუბი, ყოველგვარი მიზანის გარეშე, ნილის

ხანძისანისაღმაღდებო დაშვილებული ჩაინ-
თო, რამაც ქავ-პეტების პარატერანი მოჰყვა
ჩატავა გამოიწვია. ზოგივე მონა ჩამოვი-
ნილი კუთხების შესახებ იუცხას. აღმოდე-
ბულ შენობაში ამჟამად დააზღვრია ას ათი
ადამიანი იუცხვას. ჩამპარტეიოს გაზოგადი
რაღაცების, უასტოვერის, მოურნისა და ლურ-
ვილის შესახავისას სამსახურისა უცვე გამოგ-
ზავდას, ან უაზღვას ხარი გამოგზავნიან და-
ხანძისან პლიტადებს. მსჯელების შესახებ ცხო-
პები პერველობით არ გვერცხავთ. დასასრული.

22.45, 27 მაის 6904D (ა)

„ასოშეითედ პრესის“ ახალი ინგლისის განყოფი-
ლების ცნობა 23:22:

სასწავლო

ჩამპარტეიი, მაის შუალი (ა)

საშინაო პატის ავათება მოცდა იუვინის
ცოლის სისხლოვას, მინის შესაცის პატირი
რაღაც ჩამპარტეიი. ჩამპარტეიის ხანძისა-
ნისაღმდებო დაშვილების დაგვა სახანძი
მარანი შემთხვევის ადგილას მაღვევა მივიღა,
მაგრამ ცაზელის ჩაძირას ვალც ერთი ვარ
პერვები - რაღაც კველა სახანძი პირსანთი
დაზიანებული აღმოჩდა და ცყალადენ სის-
ტემაში ცვლის ცხვე ნებამზა იყო დაცემული.
ხანძისანისაღმდებო დაშვილების ერთ-ერ-

თას უფროსსა გვითხრო: „ვიღებამ ჭველა პირ-
ლანტის ონცანები და ბუზები დააგლიცე. ცყა-
ლი აღმართ შადრევანივით ასხამდა, საწყალი
გავვები კი აღმოჩეგული შენობილან გამოს-
ვლასაც ვერ ახარხებდნენ“. პერველობით ნა-
აოვნის საში გვამი. ერთ-ერთი ჩიმპერლეველი
გახანძრი თომას მისი აღმოჩნდა. დანარჩენი
ორი გვამი კი, სავარსუზოდ, მეველისის მონა-
ცილებების უნდა იყოს. საში გახანძრი, სხვა-
დახვა ხარისხის დამცველობით, მოფონის საა-
ვდებულოვანი გააჩინავდა. აზეთება, სავარსუ-
ზოდ, მაშინ მოხდა, როცა ცეცხლია ცოლის
საჭვაპის საჭვაპის რეზერვარისგანდა მიაღ-
ინა. ხანძალი, რომორც წარ, სცენაზე განლა-
გებული აპარატების უსარისხო იზოლაციის
გამ დაიცყო, რამაც, ცყლის დახეცელების
თავისთავად ამოქმედების შემდეგ, მოკლე
ჩართვა გამოიწვია. დასასრული.

23:22, 27 მაისი 20119E (ა)

სოუს მართვის მონმობა ჰქონდა, მაგრამ თავისი მანქანა
არ ჰქონდა. ამიტომაც დედამისის მანქანის გასაღებს ხელი
დავულო და გარაუისკენ სირბილით დაეშვა. ზუსტად თერთმე-
ტი საათი იყო.

პირველ ცდაზე ძრავა არ ამუშავდა. სოუმ ცოტა ხანს
მოიცადა და კიდევ სცადა. ძრავამ დააცემინა და დაიქოქა.
სოუმ მანქანა გარაუიდან ისე გაიყვანა, რომ სიჩქარეში ჭიშ-
კარსაც კი გამოედო. მერე უკანა საბურავებით ხრეში მიმო-
ფანტა, გზისპირა არხს გვერდი ძლივძლივობით აუქცია და

1977 წლის „პლიმეთი“ გზაზე გაიყვანა. მუცელში ჭვალი უკლიდა და მაშინდა გააცნობიერა, რომ ხაფუანგში გაბმული ნაღირივით ყელში ყვირილი გასჩეროდა.

გზაჯვარედინზე არც კი დაუმუხრუჭებია, ისე გაიარა ის ადგილი, სადაც მეექვსე გზატკეცილს ბექ-ჩემბერლენ-როუდი კვეთს. დასავლეთით, ჩემბერლენისა და უესტოვერის საზღვარზე, და სამხრეთით, მოტონის მხარეს, სახანძრო სირენები ღმუოდნენ.

გორაკის მისადგომებს რომ მიუახლოვდა, სკოლა ჰაერში აფრინდა.

სიუმ მკვეთრად დაამუხრუჭა. მანქანა მოსრიალდა და გოგონა ჭინჭის თოჯინასავით მიენარცხა საჭეს. საბურავების ჭრიალმა არემარე გააყრუა. სიუმ რის ვაი-ვაგლახით გააღო კარი, მანქანიდან გამოძვრა და, კაშკაშა შუქით დაბრმავებულმა, თვალებზე ხელი აიფარა.

ჰაერში ცეცხლოვანი შადრევანი აიჭრა და სახურავის თუნუქი, ხის ნატეხები და ქალალდის ფურცლები აიყოლა. გარშემო მაზუთის მკვეთრი სუნი დატრიალდა. მეინ-სტრიტი ისე განათდა, თითქოს მაგნიუმი აანთესო და სიუმ იუვინის სკოლის სპორტული დარბაზის ადგილას ნანგრევების გროვა დაინახა.

რამდენიმე წამში მიწა შეზანზარდა და სიუ ძირს დაეცა. თბილი ჰაერის ტალღამ თავზე ქალალდის ნაფლეთები და მტვრის ლრუბელი გადაატარა და წამით ბოსტონში სტუმრობა

(მეტროს სუნი)

გაახსენა.

„ბილის საოჯახო აფთიაქისა“ და „კელი ფრუტ კომპანია“ ვიტრინები ნამსხვრევებად იქცა.

სიუ გვერდზე გადაგორდა. ქუჩაში შუადლის ნათელი იდგა - ჯოჯოხეთური შუადლის ნათელი. მოეჩვენა, რომ შენებულ კადრებს უყურებდა...

(ყველა დაიხოცა ყველა მკვდარია რატომ გამახსენდა კერი)

ალმოდებული შენობისკენ სახანძრო მანქანები და ხალათმოცმული ადამიანები მიიჩქაროდნენ. პოლიციის განყოფილების კარში ვიღაც გამოჩნდა – ძალიან ნელა მოძრაობდა. მანქანებიც ნელ-ნელა მიღოლავდნენ.

მერე პოლიციის განყოფილებასთან მდგომა კაცმა პირთან ხელები რუპორივით მიიტანა და რაღაც დაიყვირა – მერის საყვირის, სახანძრო მანქანების სირენებისა და ხანძრის გუგუნში სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო.

იქით ასფალტი ისე პრიალებდა, თითქოს ახლახან იწვიმა. „ამოკოს“ ბენზინგასამართ სადგურთან დამდგარ გუბეებში ცეცხლი ირეკლებოდა.

– ლმერთო, იქ ხომ ბენზინია!

და უეცრად მთელი სამყარო აფეთქდა.

ამონარიდი მენის შტატის საგამოძიებო კომისიის მიერ 27-28 მაისს ჩემბერლენში (მენის შტატი) განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თომას კ. კვილანისთვის ჩამორთმეული ჩვენებიდან (ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტი ნიგნიდან „ავად სახსენებელი მეჯლისი: კერი უაიტის საქმის საგამოძიებო კომისიის მოხსენება“, („საინეთ ბუკსი“, ნიუ-იორკი, 1980)).

ჟ: მისტერ კვილან, მუდმივად ჩემბერლენში ცხოვრობთ?

ჟ: დიახ.

ჟ: სად?

პ: ოთახი მაქვს იმ ბარის თავზე, სადაც ვმუშაობ. ჩემს მოვალეობაში იატაკის რეცხვა, მაგიდების ალაგება და სათა-მაში ავტომატების მომსახურება შედის.

ქ: მისტერ კვილან, სად იმყოფებოდით 27-28 მაისის ღა-მეს, დაახლოებით თერთეტის ნახევარზე?

პ: ჰმმ... პოლიციის განყოფილების საკანში ვიჯექი. საქმე ისაა, რომ ხუთშაბათობით ხელფასს ვიღებ და გვარიანადაც ვთვრები ხოლმე. როგორც წესი, ამ დღეს „კავალიერში“ მივ-დივარ, ლუდს ვიღებ და პოკერს ვთამაშობ. ზოგჯერ ისე ვიბ-რუუები, პატრონს ვეღარ ვცნობ. ერთხელ ვიღაცას სკამიც კი ჩავარტყო და...

ქ: მართალია, რომ როცა აგრესიული ხდებით, თქვენივე ფეხით მიდიხართ პოლიციის განყოფილებაში?

პ: მართალია. დიდი ოტისი ჩემი მეგობარია.

ქ: ოლქის შერიცვს, ოტის დოილს, გულისხმობთ?

პ: კი. ასე მითხრა, როცა მოგივლის, ჩემთან შემოდიო. მოკლედ, ხუთშაბათ სალამოს ბიჭებთან ერთად „კავალიერ-ში“ ვიჯექი, პოკერს ვთამაშობდი და უეცრად მომეჩვენა, რომ მარსელ დიუბუა თაღლითობდა. ფხიზელს ასეთი რამ თავში არ მომივიდოდა, რადგან ის ფრანგი ისედაც კარგად თამა-შობს. მაგრამ ნაყლაპზე გადავირიე... ბლომად ლუდი მქონდა დალეული... ჰოდა, კარტი მაგიდაზე დავყარე და განყოფილე-ბისკენ გავწიე. იმ სალამოს პლესი მორიგეობდა და პირველ საკანში ჩამკეტა. პლესი კაი ბიჭია. დედამისას ახლოს ვიცნობ-დი... თუმცა ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო...

ქ: მისტერ კვილან, იქნებ ოცდაშვიდი მაისის სალამოს ამ-ბებზე გადავსულიყავით? რა მოხდა დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე?

პ: მაგაზე არ გესაუბრებით?!

ქ: იმედია, ასეა. განაგრძეთ.

პ: მოკლედ, პლესიმ პარასკევს, ღამის ორ საათზე ჩამკეტა და მაშინვე დავიძინე. შეიძლება ითქვას, გავითიშე. მეორე დღეს, ნამუადლევს, დაახლოებით ოთხ საათზე გავიღვიძე, „ალკა ზელცერის“ აბი გადავყლაპე და ისევ დავიძინე. ერთი კარგი თვისება მაქვს: სანამ ნაბახუსევი ვარ, შემიძლია, ვიძინო. დიდი ოტისი მირჩევს, ეს ჩემი უნარი დავაპატენტო. ასე ამბობს, მაგით ბევრი უბედურებისგან იხსნი კაცობრიობასო.

ქ: უსათუოდ იხსნით, მისტერ კვილან. ახლა კი მითხარით, რა მოხდა, როცა მეორედ გაიღვიძეთ?

პ: უკვე თერთმეტი იყო დაწყებული. იმ დროისთვის კარგა მოშიებული ვიყავი და გადავწყვიტე, სადმე ნამეხემსა.

ქ: საკნის კარი ლია დატოვეს?

პ: რა თქმა უნდა. ფხიზელი ხომ არავის ვერჩი! მახსოვს, ერთხელ...

ქ: გთხოვთ, უამბეთ კომისიას, რა მოხდა, როცა საკნიდან გამოხვედით?

პ: რა მოხდა და სახანძრო სირენა აყვირდა. შიშისგან გული მუხლებში გამეპარა: ღამით მაგ საყვირის ხმა ვიეტნამის ომის მერე არ მსმენია. ზემოთ ავედი და რას ვხედავ, განყოფილებაში ძეხორციელი არ ჭაჭანებს. ახლა კი ეტირება პლესის ყოფა-მეთქი, გავიფიქრე, რადგან, წესის თანახმად, ვიღაც უცილებლად უნდა რჩებოდეს კანტორაში, ტელეფონთან. მოკლედ, ფანჯარაში გავიხედე და...

ქ: იმ ფანჯარიდან მოჩანს სკოლის შენობა?

პ: კი. გარეთ ყველა გიუივით დარბოდა და ღრიალებდა. მერე კი კერი უაიტი დავინახე.

ქ: ადრეც გინახავთ?

პ: არა.

ქ: აბა, საიდან იცით, რომ კერი უაიტი იყო?

პ: ძნელი ასახსნელია...

ქ: კარგად დაინახეთ?

პ: ლამპიონის ქვეშ იდგა, სახანძრო ჰიდრანტის გვერდით, მეინ-სჭრიტისა და სპრინგ-სჭრიტის გადაკვეთაზე.

ქ: მერე რა მოხდა?

პ: ჰიდრანტს თავი მოსძვრა და წვრილ-წვრილ ნატეხებად მიმოიფანტა: ზოგი ნამსხვრევი მარჯვნივ გადავარდა, ზოგი მარცხნივ, ზოგიც მაღლა აფრინდა.

ქ: როდის მოხდა ეს... ჰმმმ... ავარია?

პ: არაუგვიანეს თერთმეტის ოცი წუთისა.

ქ: განაგრძეთ.

პ: მერე კერი ქუჩას დაბლა დაუყვა... საშინლად გამოიყურებოდა: სამეჯლისო კაბის მსგავსი რაღაც ეცვა, ოლონდ თავით-ფეხებამდე სისხლში იყო ამოსვრილი. გეგონებოდათ, გადაყირავებული მანქანიდან გამოძვრაო. მაგრამ, ამის მიუხედავად, იღიმებოდა. ასეთი შემზარავი ღიმილი მანამდე არსად მინახავს. კბილები თავის ქალასავით დაეკრიფა... სისხლიან ხელებს დასცექეროდა და მაღიმალ ინმენდდა კაბაზე. ფიქრობდა, რომ ხელებს ვეღარასოდეს გაინმენდდა, მაგრამ მთელ ქალაქს სისხლში ჩაახრიობდა და ყველას ყველაფრისთვის აზღვევინებდა... ერთი იტყვით, საშინელი სანახავი იყო.

ქ: საიდან იცით, რას ფიქრობდა?

პ: ვერ გეტყვით. მაგის ახსნა არ შემიძლია.

ქ: ამას იქით, გთხოვთ, მხოლოდ ის გვიამბოთ, რაც უშუალოდ ნახეთ, მისტერ კვილან.

პ: კარგი. მერე ერთი ჰიდრანტი გრას-პლაზის ქუთხეშიც აფეხუდა. ის აფეხუდა ჰირველზე უკეთ დავინახე. იმ

ჰიდრანტს გვერდებზე მოზრდილი ქუროები აქვს. ჰოდა, ის ქუროები თავისით მოიხრახნა. ჩემი თვალით ვნახე. მერე კი ის ჰიდრანტიც პირველივით ჰაერში აფრინდა... კერი ძალიან გახარებული ჩანდა: თავისთვის ბურტყუნებდა, ახლა ვუჩვენებ წვიმასო... უკაცრავად. მერე კი სახანძრო მანქანები გამოჩდნენ და კერიც გაუჩინარდა. ერთ-ერთი მანქანა სკოლასთან გაჩერდა. მეხანძრეები ჰიდრანტს მისცვივდნენ და ნახეს, რომ დაზიანებული იყო. შეფინანსებული ბარტონმა რაღაც დაიყვირა და უცრად სკოლაც აფეთქდა. ღმერთო!..

პ: პოლიციის განყოფილებიდან თუ გამოხვედით?

პ: კი. პლესის მოძებნა გადავწყვიტე. მინდოდა, იმ დარტყმული გოგონასა და ჰიდრანტების შესახებ მეამბა. გარეთ რომ გავედი, ტედის ბენზინგასამართ სადგურს გავხდე და თმა ყალყზე დამიდგა: ექვსივე ტუმბო ჩართული იყო და შლანგები ძირს ეყარა. თავად ტედი დაჩემპი 68-ში მოქვდა (ღმერთმა გაანათლოს), მაგრამ მისი შვილიც მოწესრიგებული კაცია და ლამლამობით ყოველთვის კეტავს ტუმბოებს. მაგრამ იმ ლამით ექვსივე ბოქქლომი გატეხილი იყო, ბენზინი კი პირდაპირ ქუჩაში იღვრებოდა. ეს რომ დავინახე, კინაღამ შევიშალე... გავიხედე და ვიღაც ანთებული სიგარეტით არ მორბის?!

პ: და რა ქენით?

პ: დავუყვირე, სად მიძვრები სიგარეტით, ბენზინი აფეთქდება-მეთქი, ვერ გავაგონე: იმ აურზაურში რას გავაგონებდი! შემდეგ კი დავინახე, როგორ გადააგდო იმ კაცმა სიგარეტი და სასწრაფოდ შენობაში შევბრუნდი.

პ: მერე რაღა მოხდა?

პ: მერე? მერე ჩემპერლენი ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა...

ვედროები რომ გადმოყირავდა, კერიმ გაიგონა, როგორ გადაფარა ლითონის ზრიალმა მუსიკის ხმა. მერე კი იგრძნო, როგორ გადაესხა თავზე ცივი და ნებოვანი სითხე და ინსტინ-ქტურად თვალები დახუჭა. გვერდით ვიღაცამ წამოიყვირა და კერის ცნობიერების სილრმეში მწვავე ტკივილმა დაუარა (ტომი).

მუსიკა აირია და მიწუმდა. ჰაერში მხოლოდ რამდენიმე ბგერა ჩამოეკიდა განყვეტილი სიმებივით. მოულოდნელად ჩა-მონლილ შემზარავ სიწუმეში მომხდარ ამბავსა და მომხდა-რის გააზრებას შორის წარმოქმნილი ნაპრალი ვიღაცის ხმამა-ლალმა წამოძახილმა შეავსო:

- ლმერთო! ეს ხომ სისხლია!

წამის შემდეგ, ამ საზარელი ჭეშმარიტების დასტურად, ვიღაცამ იკივლა.

კერი თვალებდახუჭული იჯდა და ვრძნობდა, როგორ ეზ-რდებოდა სულში ენით აუნერელი შიშის შავი სიმსივნე. დედა მართალი ყოფილა. ისევ მასხარად აიგდეს! ისევ მოუწყვეს სი-საძაგლე. ეს კოშმარი, ნესით, უსასრულოდ და მონოტონუ-რად უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: გააბრიყვეს, სახლიდან გამოიტყუეს და მთელი სუ-ლის თვალნინ საშხაპეში გათამაშებული სცენა გაიმეორეს... თანაც ეს სიტყვები

(ლმერთო, ეს ხომ სისხლია)

იმდენად საშინელ რამეს ნიშნავდა, რომ კერი ამაზე ფიქ-რმაც კი შეზარა – თვალები რომ გავახილო და ეს ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდეს, მერე რაღა ვქნაო?

ვიღაცას გაეცინა – შეშინებული აფთარივით ჩაიხითხი-თა. კერიმ თვალები გაახილა, რომ დაენახა, ვინ დასკინო-და და მიხვდა, რომ მართლაც მოხდა ეს ყველაფერი, რომ

ეს კოშმარი არ დასიზმრებია: თავით-ფეხებამდე სისხლში იყო ამოსვრილი – მთელი სკოლის თვალწინ სისხლი გადაასხეს. გაფანტულ აზრებს

(მთლიანად... სისხლში... ვარ... ამოთხვრილი)

სიძულვილისა და სირცხვილის მენამული ელფერი დაედო. კერიმ სიმყრალე იგრძნო – სპილენძისა და შმორის გულის ამრევი სუნი ასდიოდა. გონებაში მოგონებების კალეიდოსკოპი დაუტრიალდა – დაინახა, როგორ ჩამოსდიოდა ფეხზე სისხლი; გაიგონა, როგორ ესხმებოდა საშხაპეში ფიქალს წყალი; იგრძნო, როგორ ხვდებოდა სხეულზე ჰიგიენური ჭამპონები და დაჭმუჭნული ხელსახოცები; გაახსენდა, როგორ უყვიროდნენ, დაიცვ ხვრილი და კვლავ იგრძნო შიშის მნარე გემო. ესე იგი, მაინც გადაავლეს ცივი „შხაპი“, როგორც უნდოდათ...

მარტოხელა მოხითხითეს მეორე ხმა შეუერთდა, მეორე ხმას – მესამე (გოგომ ჩაიკისკისა), მეოთხე, მეხუთე, მეათე და მაღლე ყველა ხარხარებდა. ვიკ მუნიც კი იცინოდა. კერიმ გარკვევით დაინახა. გაყინული, მოქცეული სახით იდგა, მაგრამ მაინც ეცინებოდა.

კერი კი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. სტვენა და ხარხარი ზვირთებივით ასკდებოდა, მაგრამ ნარბიც არ შეუხრია. გარშემო მყოფნი ისევ ლამაზები იყვნენ და დარბაზს კერ კიდევ არ დაჟკარგოდა ზღაპრული ხიბლი, მაგრამ თვითონ ამ ზღაპრული სამყაროს მიღმა გარიყულიყო და ყველა მტრად მოპოვების კიდებოდა. იმ ნუთიდან მას მხოლოდ დევებისა და ჭინკების გარემოცვაში უნდა ეცხოვონა.

სიცილი კი არ ნყდებოდა.

კერის მთელი სამყარო თავზე ჩამოექცა. უეცრად მიხვდა, რა სასტიკად მოატყუეს და ყვირილი

(ყველა მიზარდება)

ყელში გაეჩხირა.

მერე სახეზე ხელები აიტარა და ბარბაცით წამოდგა, ერთადერთი რამ უნდოდა – გაქცეულიყო და სადმე ბნელ ადგილას დამალულიყო. მხოლოდ წყვდიადი თუ დაიტარავდა...

მაგრამ ვერ გაიქცა. ჰაერი ბლანტი და წებოვანი გახდა. გონიერამ უმუხლა და დრო შეანელა – თითქოს ღმერთმა ფირფიტა, წუთში 78 ბრუნის ნაცვლად, 33 ბრუნით დაატრიალაო. სიცილიც კი მდორე, ბოს გუგუნად გადაიქცა.

კერის ფეხი აერია და კინალამ სცენიდან ჩამოვარდა. მაგრამ ბოლოს მაინც შეიმაგრა თავი, ნინ გადაიხარა და დარბაზში ჩახტა. სიცილის ხმამ იმატა – თითქოს უზარმაზარი ლოდები ერთმანეთს ენარცხებაო.

არ უნდოდა, დაენახა, მაგრამ მაინც მოჩანდა ყველაფერი – ისე ძლიერ იყო დარბაზი განათებული, რომ კარგად ხედავდა მათ სახეებს, დაფჩენილ პირებს, დაკრეჭილ კბილებსა და სიხლში ამოსვრილ საკუთარ ხელებს.

მერე მის დესჯარდინი მივარდა – სახეზე კი ყალბი თანაგრძნობა ენერა. ამ ნილბის მიღმა კერიმ მხოლოდ საძაგლად მოხითხითე შინაბერა დაინახა... აი, მასწავლებელმა პირი დააღმ და უცნაურად განელილი ბოხი ბგერები ამოუშვა:

– მოიცა, დაგეხმარები. ეს რა უბედუ...

კერიმ გონიერის ძალით დაჰკრა

(ერთი, ორი და...)

და მის დესჯარდინი ეედელს მიენარცხა.

კერი გასასვლელისკენ გაიქცა. ხელები სახეზე აეფარებინა, მაგრამ თითებს შორის მაინც ხედავდა ლამაზ. კაშკაშა შუქით განათებულ კაბებსა თუ ფრაკებს, გალაქულ ფეხსაცმელებს, უნაკლო, სადღესასწაულო ვარცხნილობებსა და გა-

ცისკროვნებულ სახეებს. ყველა განზე გადგა და გამოერიდა, როგორც ჭირიანს... და ყველა იცინოდა.

მერე კი ვიღაცამ ფეხიც დაუდო

(ჰო ასეთი რამეები ყოველთვის ამით მთავრდება ხოლ-მე).

კერი იატაკზე გაიშელართა, ნამოინია და გახოხდა. სველი, განენილი თმა თვალებზე ჩამოჰქორებოდა, მაგრამ მაინც მიხოხავდა, როგორც დამასკოს გზაზე ღვთაებრივი შუქით დაბრმავებული წმინდა პავლე. მხოლოდ ისლა აკლდათ, უკნიდან ერთი პანლურიც მიეყოლებინათ.

თუმცა წიხლი არავის უთავაზებია და მალე დრო ისევ აჩქარდა. კერი ფეხზე წამოიჭრა, ჰოლში გავარდა და ის კიბე ჩაირბინა, რომელიც ორი საათის წინ არაჩვეულებრივი საზეიმო განწყობით ამოიარეს მან და ტომიმ

(ტომი მკვდარია აბა რა ეგონა შავი ჭირი რომ მოიყოლა სინათლის სამკვიდროში).

გოგონა მოუქნელად ახტებოდა საფეხურებს და ყორნების გუნდივით მისდევდა სიცილი-ხარხარი.

მერე კი წყვდიადი ჩამონვა.

კერიმ გაზონი გადაკვეთა, ბალახში ორივე ფეხსაცმელი დაკარგა და გზა ფეხშიშველმა განაგრძო. სკოლიდან კვლავ ესმოდა ხორხოცი, მაგრამ ცოტა მაინც დამშვიდდა. ოდნავ ცვრიანი, მოკლედ გაკრეჭილი ბალახი ხავერდივით ნაზი და სლიპინა იყო. დაღლილს ფლაგშტოკთან ფეხი დაუცდა და დაეცა. ერთხანს გაუნძრევლად იწვა, სახე გრილ ბალახში ჰქონდა ჩარგული და ქვითინებდა. სირცხვილნაჭამს ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა – მენსტრუალური სისხლივით თბილი ცრემლი... მაინც მოუღეს ბოლო... მაინც გაანადგურეს... ყველაფერი დასრულდა.

ახლა უნდა ამდგარიყო. ბნელი ქუჩაბანდებით როგორმე სახლამდე მიეღნია, დედის კალთაში ჩაერგო თავი და შეცდომა ეღიარებინა...

(!!არა!!)

ამ სიტყვამ ხმამაღლა და თამამად გაიუღერა. სულში თითქოს ფოლადის ზამპარა გაიშალაო – კიდევ დარჩენოდა ძალა.... ისევ საკუჭნაო? ისევ გაუთავებელი, უაზრო ლოცვა? ისევ რელიგიური ბროშურები და ისევ კედლის საათის მექანიკური გუგული – დაუღალავად რომ ითვლის მისი სიცოცხლის საათებს, დღეებს, წლებსა და ათწლეულებს?

უეცრად გაახსენდა, გონების ძალით როგორ მოისროლა მისკენ გამოქცეული მის დესჯარდინი და თოვინასავით მიანარცხა კედელს....

კერი ზურგზე გადაბრუნდა და შეშლილი თვალებით ვარსკვლავებს ახედა. სულ დაავინყდა

(!!ძალა!!)...

დროა, ჭუა ასწავლოს ამ ვიგინდარებს. დროა, კუდით ქვა ასროლინოს... კერის ისტერიკულად გაეცინა: ეს ხომ დედამისის საყვარელი ფრაზა იყო...

(დედა სახლში ბრუნდება ჩანთას მაგიდაზე დებს მრისხანედ უელავს სათვალე დღეს მაღაზიაში კუდით ქვა ვასროლინე იმ კახპას)

დარბაზში ნყლის საშეფერებლები ეყენა. მათი ჩართვა კერისთვის ადვილი საქმე იყო...

გოგონამ კვლავ ჩაიცინა, ნამოდგა და სკოლისკენ გაემართა.

ჰო, ნყალი უნდა გამოეშვა და ყველა კარი დაეკეტა. მერე კი უნდა დამდგარიყო და ეცქირა, როგორ დაუსველდე-

ბოდათ კონტა კაბები, ფეხსაცმელები და ვარცხნილობები. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ნყალი იქნებოდა და არა სიხლი.

ჰოლში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. კერი კიბეზე გაჩერდა. ერთი, ორი და... ყველა კარი ისეთი ძალით დაიხურა, რომ ზამბარები ჩამონადა. კარებს მიღმა ყვირილი ატყდა, მაგრამ კერის ეს წივილ-კივილი საამო მუსიკად ჩაესმა.

რამდენიმე წამს არაფერი მომხდარა, მერე კი იგრძნო, როგორ მოაწყდნენ და როგორ ეჯაჯგურებოდნენ კარებს... მაგრამ ამაოდ. ყველა ხაფუანგში იყო გაბმული.

(ხაფუანგი)

ეს სიტყვა გულზე მაღამოდ მოეფინა. ყველა მის ხელში იყო, ყველა მის ძალას ემორჩილებოდა. ძალა! ძალა! რა შესანიშნავი სიტყვაა!

კერიმ კიბე ბოლომდე აიარა, კარს შეხედა და შუშაზე მიჭყლეტილი ჯორვე დოუონი დაინახა, რომელიც დაძაბულობისგან მოქცეული სახით აჩხაკუნებდა სახელურს, მაგრამ უშედეგოდ. მის ზურგს უკან მთელი ჯგრო იდგა და ყველანი აკვარიუმში დამწყვდეულ თევზებს ჰგავდნენ.

კერიმ ზემოთ აიხედა: ჭერქვეშ მართლაც მიიკლაკნებოდა საშეცემებელი სისტემის მიღები, რომლებიც წილის ბლოკით ნაგები მწვანე კედლებიდან გამოდიოდა და ზიზილას ფორმის ფრქვევანებით ბოლოვდებოდა. ასეთი მიღები, წესით, ძალიან ბევრი უნდა ყოფილიყო. ამას ხანძარსანინააღმდეგო წესები მოითხოვდა... უეცრად გაახსენდა

(გველიერით დაკლაკნილი შავი კაბელები),

რომ მუსიკალური აპარატურის მავთულები მთელ სცენაზე იყო გაჭიმული. დარბაზიდან ისინი არ მოჩანდა – სცენის გაჭიმული. დარბაზიდან ისინი არ მოჩანდა – სცენის გაჭიმული. ნათურები მაღავდნენ, მაგრამ როცა კიდეზე გაკაშკაშებული ნათურები მაღავდნენ, მაგრამ როცა ტახტისკენ მიღიოდა, ფრთხილად მოუნია მათზე გადაბიჯება.

(ცეცხლი და ნყალი)

კერიმ გონი მოიკრიბა და მიღები მოჩხრიკა – გაუკვეთა, სად იღებდა სისტემა სათავეს. მიღი ცივი იყო და ტუჩქებზე ლითონის გემო დაუტოვა, თითქოს სარწყავი შლანგიდან დაულიოს ნალი.

ერთი, ორი და...

თავიდან არაფერი შეცვლილა. მერე ყველა შეტრიალდა და უკან დაინყეს ყურება. კერი შუა კარის ოვალურ შუშასთან მივიდა და შიგნით შეიხედა.

დარბაზში წვიმდა.

კერის გაელიმა – ჯერ მხოლოდ რამდენიმე საშეფეხებელი მუშაობდა და მიხვდა, რომ ჯობდა, სისტემას შინაგანი ხედვით მიჰყოლოდა და თითოეული ონკანი სათითაოდ გაეხსნა. თუმცა ეს საკმარისი სულაც არ იყო, რადგან ჯერ არავინ ტიროდა.

(შავ დღეში უნდა ჩავყარო)

სცენაზე, ჭომი როსის გვერდით, ვიღაც იდგა – ხელებს იქნევდა და რაღაცას ყვიროდა. მერე აპარატურას მივარდა, მიკროფონს ხელი სტაცა და გაშრა... კერიმ გაკვირვებულმა დაინახა, როგორ აუცახცახდა იატაკზე ფეხები... თმა კი ყალყზე ედგა და წყლიდან ამოყვანილი თევზივით აფრინდა პირს. სასაცილო სანახავი იყო... და კერისაც გულიანად გაეცინა.

(ყველა სასაცილო გახადე ღმერთო)

მერე არც დაფიქრებულა, ისე დაარტყა და მთელი ძალა ჩაქსოვა ამ დარტყმაში.

რამდენიმე სოფიტი ჩაქრა. დენის კაბელი ნყალში ჩავარდა და ნაპერნკლები გაყარა. კერიმ გუმანით იგრძნო, როგორ აჩხაუნდა ამაოდ ავარიული გამომრთველები. სცენაზე მდგრმი ბიჭი – ის, წელან მიკროფონს რომ დასწვდა, ნაიცა და

ერთ-ერთ დინამიკს დაემხო. რაღაცამ ისევ იძუთქა და ისევ გაიფანტა იასამნისფერი ნაპერნელები. სცენის მოსართავ კრეპის ლენტებს ცეცხლი წაეკიდა.

მეფე-დედოფლის ჭახტების ქვეშ ტკაცატკუცი გაჰქონდა ორასოცვოლტიან კაბელს. გვერდით კი ხის თოჯინასავით „ცეკვავდა“ მნვანე ტიულის კაბაში გამოპრანჭული რონდა სიმარდი. მაღვე კაბას აღი მოედო და აცახცახებული რონდა პირქვე დაემხო.

ალბათ სწორედ მაშინ გადააბიჯა კერიმ ზლვარის. გული გამალებით უძგერდა, მაგრამ სხეული თითქოს ყინულის მარნუხებში ჰქონდა მოქცეული. ფერნასულს მხოლოდ ლოყები აჭარხლებოდა და თავში, აზრების ნაცვლად, ტკივილი უტრიალებდა.

მერე კი გატრიალდა და განზე გადგა. ოლონდ გონების ძალით კარი ისევ ეჭირა, რომ არ გაღებულიყო. დარბაზში ცეცხლი აბრიალდა – როგორც ჩანს, აღი პანოს მოედო.

კერი დაქანცული ჩამოჯდა ზედა საფეხურზე და თავი მუხლებში ჩარგო. ადამიანები შენობიდან გამოსვლას ლამობდნენ, მაგრამ გოგონას კარი მაგრად ეჭირა და ამაში ძალაც კი არ ეხარჯებოდა. შინაგანი გრძნობა უკარნახებდა, რომ კი ამაზე აღარ დარდობდა – მათ მოგვიანებით მიხედავდა. ჟველას მიხედავდა...

კერი კიბეზე დაეშვა. სკოლის კარები კვლავ არ იღებოდა. მათი დაჭერა სულაც არ გასჭირვებია – მხოლოდ ნარმოიდგინა, რომ ყველა კარი ჩარაზული იყო.

უეცრად მერიის შენობიდან სირენის ხმა მოისმა. კერიმ მოულოდნელობისგან ნამოიკივლა და
(ეს ხომ მხოლოდ სახანძრო სირენაა)

სახეზე ხელები აიფარა. მის ნარმოსახვაში სკოლის კარები ნამით გაფერმურთალდა და რამდენიმე ადამიანმა კინაღამ გამოაღწია შენობიდან. ვერ ელირსებით... კიდე რა გინდათ?! მან კარი მთელი ძალით მიხურა და ვიღაცას (თითქოს დეილ ნორბერტი იყო) ხელი ისე მოაყოლა, რომ ერთი თითი პირნმინდად წაცალა.

მერე ისევ გადაკვეთა მოლი და მეინ-სტრიტისკენ გაემართა – თვალები გადმოკარკლოდა და საფრთხობელას ჰგავდა. ხელმარცხნივ ქალაქის ცენტრი მდებარეობდა. იქ იყო მაღაზიაც, „კელი ფრუტიც“, კოსმეტიკური სალონიც, საპარიკმახეროც, ბენზინგასამართი სადგურიც, პოლიციაც და სახაძრო სამსახურიც...

(ჩემს ცეცხლს ჩააქრობენ)

ვერ მოგართვით... კერიმ გიუივით ჩაიხითხითა – ამ სიცილში ბედნიერებაც იგრძნობოდა და დაბნეულობაც, გამარჯვების სიხარულიც და უსაზღვრო შიშიც. მერე ერთ-ერთ ჰიდრანტთან მივიდა და შეეცადა, ვეებერთელა, ნითელი ხუფი მოეხრახნა.

(ოპერე)

მაგრად იყო მოჭერილი. ძალიან მაგრად. ეგ არაფერი...

კერიმ მეტი ძალა დაატანა და იგრძნო, როგორ დაიძრა ხუფი.

მერე მეორე მხრიდან მიუდგა... მერე ზემოდან... მერე კი სამივე ერთდროულად გადაატრიალა. ხუფები მყისვე მოძვრა და წყალმა მარჯვნიდან და მარცხნიდან გაასხა. ზედა ხუფი კი ცაში აიჭრა და ქუჩაში წყლის ვეებერთელა ჯვარი ნამოიმართა.

კერის გაეღიმა და გრას-პლაზისკენ გასწია. ფეხი ერეოდა და გული სწრაფად უცემდა. მიდიოდა და ვერც კი აცნობიერებდა, რომ ლედი მაკბეტივით იწმენდდა კაბაზე სისხლიან

ხელებს. იმასაც კი ვერ გრძნობდა, რომ თან იცინოდა და თან ქვითინებდა – გულის სიღრმეში საკუთარი ცხოვრების ნან-გრევებს დასტიროდა.

მაგრამ ის კი დანამდვილებით იცოდა, რომ ყველას თან გაიყოლებდა და ყველაფერს ცეცხლში გახვევდა. სანამ ქალა-ქი საკუთარ სიმყრალესა და კვამლში არ ამოიხრჩობოდა.

კერიმ გრას-პლაზაზეც მოხსნა ჰიდრანტს სარქველები და ტედის ბენზინგასამართი სადგურისკენ წავიდა. ეს პირველი იყო იმ გასამართ სადგურთაგან, რომლებიც კერიმ იმ ღამით გადაბუგა.

ამონარიდი შერიფუ ოტის დოილის მიერ მენის შტატის საგა-მოძიებო კომისიისათვის მიცემული ჩვენებიდან (კერი უაიტის საქმის შემსწავლელი კომისიის მოხსენება), გვ. 29-31:

პ: ბატონო შერიფო, სად იყავით 27 მაისის ღამეს?

პ: 179-ე გზატკეცილზე, ოლდ-ბენთაუნ-როუდს რომ ეძა-ხიან. ავტოსაგზაო შემთხვევას ვიძიებდი. საერთოდ, ის კვად-რატი ჩემპერლენის ფარგლებს გარეთაა და დარპემს ეკუთ-ვნის... მაგრამ იმ დღეს დარპემის კონსტებლს, მელ კრეიგერს, ვეხმარებოდი.

პ: როდის შეიტყვეთ იუვინის სკოლაში მომხდარის შესა-ხებ?

პ: 22 საათსა და 21 ნუთზე ჩემი თანაშემწე, ჯეკობ პლესი, დამიკავშირდა რაციოთ.

პ: ...და რა გითხრათ?

პ: მაცნობა, რომ რაღაც ხდებოდა და არ იცოდა, რამდე-ნად მძიმე იყო მდგომარეობა. მისი თქმით, სკოლიდან ყვირი-ლის ხმა გამოდიოდა და ვიღაცამ სახანძრო სირენა ჩართო.

მერე მითხვა, რომ თავად აპირებდა წასვლას ვითარებაში გა-
სარკვევად.

ქ: ის თუ თქვა, სკოლაში ხანძარი რომ იყო?

პ: არა, ბატონო.

ქ: უბრძანეთ, შემონმების შედეგები მოეხსენებინა?

პ: დიახ.

ქ: მოგახსენათ?

პ: არა. ჯეკობ პლესი მეინ-სტრიტისა და სამარ-სტრიტის
გადაკვეთაზე, „ტედის ამოკოს“ ბენზინგასამართი სადგურის
აფეთქებისას დაიღუპა.

ქ: როდის მიიღეთ მეორე რადიოშეტყობინება ჩემბერლენ-
ში განვითარებული მოვლენების თაობაზე?

პ: 22 საათსა და 42 ნუთზე. იმ დროისთვის უკვე ჩემბერ-
ლენში ვბრუნდებოდი ეჭვმიტანილთან ერთად... ეჭვმიტანი-
ლი ნასვამი მძლოლი იყო. როგორც მოგახსენეთ, ავარია მელ-
კრეიგერის ტერიტორიაზე მოხდა, მაგრამ დარპემში იზოლა-
ტორი არ არის... თუმცა იზოლატორი აღარც ჩემბერლენში
დაბრუნებულს დამხვდა.

ქ: 22 საათსა და 42 ნუთზე რა გაცნობეს?

პ: შტატის პოლიციის განყოფილებიდან შემოსული ზარი
იყო. მოტონის სახანძრო სამსახურის გავლით გადმოსცეს. სამ-
მართველოს დისპეტჩერმა მაცნობა, იუვინის საშუალო სკო-
ლაში ხანძარი გაჩნდა და შეიძლება მასობრივი არეულობაც
მოხდესო. გარდა ამისა, აფეთქების საფრთხის შესახებაც გა-
მაფრთხილა. იმ დროისთვის დანამდვილებით არავინ არაფერი
იცოდა. ყველაფერი ორმოცი ნუთის განმავლობაში მოხდა.

ქ: გასაგებია. განაგრძეთ.

პ: ჩემბერლენში ჩართული სირენითა და ციმციმათი შევე-
დი. რაციით ჯეიკ პლესის გამოძახება ვცადე, მაგრამ უშედე-

გოდ. ამ დროს ეთერში ტომ კვილანის ხმა გაისძა. ყვიროდა, გთელი ქალაქი იწვის, წყალი კი არა გვაქვსო.

პ: ხომ არ გინახავთ, რომელი საათი იყო?

პ: დიახ. იმ დროისთვის უკვე ყველაფერს ვინიშნავდი. თერთმეტს ორი წუთი აკლდა.

პ: კვილანის ჩვენების მიხედვით, ბენზინგასამართი სადგური ზუსტად ოცდასამ საათზე აფეთქდა.

პ: მოდი, საშუალო ციფრი ავიღოთ: ვთქვათ, 22 საათი და 59 წუთი.

პ: ჩემბერლენში რომელ საათზე დაბრუნდით?

პ: 23 საათსა და 10 წუთზე.

პ: როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება?

პ: გავოგნდი. თვალებს არ დავუჯერე.

პ: მაინც რა ნახეთ?

პ: ქალაქის ცენტრში ხანძარი ბობოქრობდა; „ამოკოს“ ბენზინგასამართი სადგური მინასთან იყო გასწორებული; „ვულკორთსის“ მაღაზიისგან მხოლოდ აღმოდებული კედლები დარჩენილიყო; ცეცხლი ეკიდა გვერდით მდგარ ხის შენობებსაც: „დაფის გრილ-ბარს“, „კელი ფრუტ კომპანიას“ და საბილიარდოს. ქარს გაუსაძლისი სიმხურვალე მოჰქონდა. უძრავი ქონების სააგენტოსა და დუგ ბრანის ავტომალაზიაზე ნაპერნელები ცვიოდა. მალე მეხანძრეებიც გამოჩდნენ, მაგრამ ვერაფერი იღონეს: მიმდებარე ქუჩებზე ყველა პიდრანტი დაზიანებული აღმოჩნდა. მხოლოდ უესტოვერის მოხალისეთა ხანძარი რაზმის ორი ძველი მანქანა მუშაობდა, რომლებსახანძრო რაზმის ძველი მანქანა მუშაობდა, რომლებსაც საკუთარი ბაკები ჰქონდათ, და ისინიც წყალს მხოლოდ ასხლომდებარე შენობების სახურავებზე ასხამდნენ, რომ ხანარი არ გავრცელებულიყო. რა თქმა უნდა, ჩემი ყურადღება სკოლამაც მიიპყრო. სკოლა... სკოლა გამერალიყო... ის შესკოლამაც მიიპყრო.

ნობა განცალკევებით იდგა და ცეცხლის სადმე გადასვლის
საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ ბავშვები... ღმერთო, რამდე-
ნი ბავშვი დაინვა იმ შენობაში!..

ქ: სოუზენ სნელს ქალაქში შემოსვლისთანავე შეხვდით?

პ: დიახ. მანიძნა, გავჩერებულიყავი.

ქ: რომელი საათი იქნებოდა?

პ: დაახლოებით, თორმეტის თორმეტი წუთი.

ქ: რა გითხრათ?

პ: ძლიერ აგზნებული ჩანდა. ცოტა ხნით ადრე მანქანა
მოუსრიალდა და არეულად ლაპარაკობდა. მკიოხა, ხომ არ
იცით. ტოში სად არის? ვცადე, გამერკვა, რომელ ტოშის
გულისხმობდა, მაგრამ აღარ მიპასუხა. მხოლოდ ის მკიოხა,
კერი თუ დაიჭირეთ.

ქ: კომისას განსაკუთრებით ანტერესებს თქვენ მიერ
მიკუმული ჩვენების ეს მონაკვეთი, შერიფო დოილ.

პ: დიახ, ვიცი.

ქ: გვითხრით, რა უპასუხეთ სოუზენ სნელს?

პ: ჰმ... როგორც ვიცოდი, ქალაქში ერთადერთი კერი
გვეკვდა, მარგარეტ უაიტის ქალიშვილი. ვკიოხე, კერის რა
კავშირი აქვს ხანძართან-მეთეჯი. სოუზენ სნელმა მიპასუხა, ეს
ყველაფერი მისი ნახელავიათ. სწორედ ასე მიოხრა.

ქ: კიდევ ხომ არ უთქვაშს რამე?

პ: დიახ. კიდევ მიოხრა, კერი ძალიან გაამნარესო.

ქ: ბატონი შერიფო, ზუსტად გახსოვთ, რომ არ უთქვაშს,
„გავამნარეთ“?

პ: ეი, ზუსტად მახსოვეს.

ქ: ბოლომდე ხართ დარწმუნებული?

პ: ბატონი, გარმეობო ყველაფერი ინვოდა და...

ქ: მოვრალი ხომ არ იყო?

პ: რა ბრძანეთ?

პ: წელან არ თქვით, ავარიაში მოყვაო? ამიტომაც გეკითხებით, ნასვამი ხომ არ იყო?

პ: თუ არ ვცდები, მე გითხარით, მანქანა მოუცურდა-მეთქი.

პ: ერთი სიტყვით, ზუსტად არ გახსოვთ, „გაამნარეს“ თქვა თუ „გავამნარეთ“. ხომ ასეა?

პ: შეიძლება ისეც თქვა, მაგრამ...

პ: შემდეგ რა მოხდა?

პ: ატირდა და სილა გავულანუნე.

პ: რატომ?

პ: მეგონა, ისტერიკაში ჩავარდა.

პ: სილის გარტყმამ დაამშვიდა?

პ: დიახ, ბატონო. საკმაოდ მაღლე დამშვიდდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი გულისსწორი შეიძლებოდა მკვდარი ყოფილიყო.

პ: თუ დაკითხეთ?

პ: ისე არა, როგორც დამნაშავეებს ჰქითხავენ ხოლმე. უბრალოდ, ვკითხე, რა იცოდა მომხდარის შესახებ. ადრე რაც მითხრა, იგივე გაიმეორა, ოლონდ უფრო მშვიდად. მერე დამინტერესდი, შენ თვითონ სად იყავი, ეს ამბავი რომ დაინტერესდი. მიპასუხა, სახლში ვიყავიო.

პ: კიდევ თქვა რამე?

პ: დიახ. მთხოვდა... მთხოვდა კი არა, მემუდარებოდა, კერი უაიტი მომეძებნა.

პ: თქვენ რა უპასუხეთ?

პ: ვუპრძანე, შინ ნასულიყო.

პ: გმადლობთ, შერიფო დოილ.

„ბანკერს ტრასტის“ ოფისთან წყვდიადიდან ვიკ მუნი გა-
მოლასლასდა. ტუჩებზე ჩემირული კატის გიუური ღიმილი
დასთამაშებდა და მთვარეულივით ძილბურანში მოდიოდა.
ცოტა ხნის ნინ გულმოდგინედ გადავარცხნილი თმა საშინლად
გაჩერიდა და ყვავის ბუდეს მიუგავდა. სკოლიდან რომ გამორ-
ბოდა, სადღაც დაცემულიყო (სად, ზუსტად არ ახსოვდა) და
შუბლზე სისხლის წვეთები შეხმობოდა, ცალი თვალი კი ისე
დასიებოდა, გახელა უჭირდა. ვიკი შერიფი დოილის მანქანას
მიეჯახა და ასხლეტილი ბურთივით გვერდზე გადავარდა. მე-
რე მანქანის უკანა სავარძელზე ჩაძინებული მთვრალი მძლო-
ლი შეათვალიერა, გაიკრიფა და მზერა შერიფზე გადაიტანა,
რომელმაც ის-ის იყო, ხოუ სნელთან საუბარი დაასრულა. ხან-
ძრის ნათებას ქუჩები ალისფრად შეეღება – თითქოს მთელი
ქვეყანა სისხლში ამოთხვრილა.

დოილი რომ შემოტრისალდა, ვიკ მუნი ისე ჩააფრინდა, თაო-
ქოს უნდა ეცეკვოსო, და სულელური ღიმილით მიაშტერდა.

- ვიკ!.. – ნამოიძახა დოილმა.
- ყველა სახანძრო ონჯანი გახსნა, – ისევ გაუცინა ვიკმა,
- წყალი მოუშვა და ფშშშშშ...
- ვიკ...
- ჩვენ არ გაგვიხსნია... არა... კერიმ გახსნა... რონდა სი-
მარდი ცოცხლად დაინვა. ლ-მ-ე-ე-რ-თ-ო!

დოილმა ორივე ლოყაში სილა გაარტყა. ვიკი გაჩუმდა,
მაგრამ ტუჩებზე ისევ შერჩა უაზრო ღიმილი, როგორც გადა-
ტანილი კოშმარის ექო.

- რა ამბავია? – უხეშად უთხრა შერიფმა, – რა მოხდა
სკოლაში?
- კერი, – ჩაიბურტყუნა ვიკმა, – სკოლაში კერი მოხდა...
- მერე მინას დააცქერდა და გაჩუმდა.

დოილმა მხრებში ხელები ჩასჭიდა და ისე შეაჯანვულარა, რომ საბრალო ვიკა კბილები აუკანკანდა.

– რა შუაშია კერი?!

– ჯერ მეჯლისის დედოფლად აირჩიეს, – ძლივს ამოღერ-ლა ვიკა, – მერე კი მას და ტომის თავზე სისხლი გადაასხეს...

– რას ბოდავ?..

თორმეტის თხუთმეტი წუთი იყო. უეცრად სამარ-სტრიტ-ზე „ტონის სიტგოს“ ბენზინგასამართი სადგური აფეთქდა. ქუჩა ისე განათდა, შუადღე გეგონებოდა. დოილი და ვიკი უნებლიერ შეხტნენ და თვალებზე ხელები აიფარეს. სასამარ-თლოს შენობასთან, თელების თავზე უზარმაზარი ჭვარტლიანი ლრუბელი აიჭრა და პარკის გუბურა და ბეისბოლის მოედანი წითლად შეფერა. ცეცხლის გუგუნის მიუხედავად, დოილს მკაფიოდ ესმოდა, როგორ ცვიოდა გარშემო ხის, შუშისა და აგურის ნატეხები. მერე კიდევ გაისმა აფეთქების ხმა. შერიფს არც კი სჯეროდა

(ჩემი ქალაქი ეს ჩემს ქალაქში ხდება),

რომ ეს ყველაფერი ჩემბერლენში ხდებოდა. ჩემბერლენში, სადაც დედის სახლის ნინ მოლზე ცივ ჩაის მიირთმევდა, სადაც კალათბურთის მატჩებს მსაჯობდა და სადაც ყოველი მორიგეობის შემდეგ, მეექვსე მაგისტრალით შინ მიმავალი, ცოტა ხნით „კავალიერს“ სტუმრობდა ხოლმე. მისი ქალაქი იწვოდა.

პოლიციის შენობიდან ტომ კვილანი გამოვიდა და მათკენ გამოიქცა. გაქონილი მწვანე კომბინეზონით, უკულმა ჩაცმუ-ლი სანდლებითა და გაჩერილი თმით, ტყიდან გამოვარდნილს ჰგავდა, მაგრამ დოილს ასე ძალიან არასოდეს გახარებია მისი დანახვა – ის ხომ ჩემბერლენის სული და გული იყო... და აი, ისიც – ცოცხალი და საღ-საღამათი – მორბოდა...

— ლმერთო დიდებულო! — ამოოხვა კვილანმა, — დაინა-
ხე?

— რა ხდება ჩვენს თავს? — ჰეითხა დოილმა.

— ნელან რაციასთან ვიჯექი, — უთხრა ტომმა, — მოტო-
ნიდან და უესტოვერიდან დაგვიკავშირდნენ, სასწრავო დახ-
მარების მანქანები ხომ არ გამოვაგზავნოთო. ვუპაუხე, ყველა
გამოგზავნეთ და კატაფალკებიც მოაყოლეთ-მეთქი. სწორად
მოვიქეცი?

— კი, — შერიფუმა თავზე ხელები გადაისვა და თმა აიჩერია,
— ჰარი ბლოკი ხომ არ გინახავს?

ჰარი ბლოკი კომუნალური სამსახურების მარეგულირე-
ბელი კომისიის ნევრი იყო და ნყლით მომარაგების საკითხები
მას ეხებოდა.

— არა. მაგრამ დეიგანის თქმით, რენეტის რაიონში წყა-
ლი მოდის. იქიდან აპირებენ შლანგებით გამოყვანას. წელან
ბიჭებს დავუძახე და პოლიციის განყოფილებაში ლაშარეთს
ვაწყობთ. კარგი ბიჭები არიან... მაგრამ მთელ კანტორას სის-
ხლით დაგისვრიან, ოტის.

ოტის დოილს თავი სიზმარში ეგონა. ასეთი რამ ჩემ-
ბერლში არ უნდა მომხდაროყო. მის ქალაქში ასეთი რამ
გამორიცხული იყო.

— არა უშავს, ტომი, — მოუგო ცოტა ხნის დუმილის შემ-
დეგ, — კაი გიქნია. მიდი ახლა ტელეფონების ცნობარი აიღე
და ყველა ექიმს ჩამოურეებე. მე კი სამარ-სტრიტს დავხედავ.

— კარგი, ოტის. ოლონდ სადმე იმ შეშლილ გოგოს თუ გა-
დაეყარე, ფრთხილად იყავი.

— რომელ გოგოს?! — დოილი მყვირალა კაცი არ იყო, მაგ-
რამ ამჯერად თავი ვერ შეიკავა.

ტომ კვილანი მოულოდნელობისგან შეხტა კიდეც.

- კერის. კერი უაიტს.
 - ვის? შენ საიდანლა იცი მის შესახებ?
 - კვილანმა თვალები აახამხამა.
 - რავი... რატომლაც გამახსენდა.

„ასოშეიტედ პრესის“ მთავარი სამჩართველოს
კნობა, 23:46:

ବୋଲିକାରୀଙ୍କାରୀ, ମାନ୍ସ ପତ୍ରାଳି (୫୩)

აით და მარქინილობას ვერ დავიცყობ. მაგრამ, საუჩელუროდ, კალიან დიდ მსხვერისას უნდა ველოზოთ“. უკანასკნელი ცნობების თანახ-მად, კალაპში სამი ძირი ხანძარი მძვინვარებს. ცეცხლის განზღახ მოკიდების ეჭვი პერვე-რობით არ დადასტურებულა. დასასრული.

23.46, 27 მაისი 8943F ა.3.

„ასოშეითედ პრესს“ ჩემპერლენის შესახებ მეტი ინფორ-მაცია არ მოუწოდებია. ნულ საათსა და ექვს ნუთხე დაზიანდა ჯეკსონ-ავენიუს ქვეშ გამავალი ბენზინის მილსადენი. ნულ საათსა და ჩვიდმეტ ნუთხე მოტონიდან სამარ-სტრიტზე მიმა-ვალი სასწრავო დახმარების ბრიგადის სანიტარმა მანქანიდან ანთეპული სიგარეტი გადააგდო.

აფეთქებამ ნახევარი კვარტალი და გაზეთ „ჩემპერლენ კლარიონის“ რედაქციის შენობა დაანგრია. ნულ საათსა და თვრამეტ ნუთხე ქალაქი ჩემპერლენი კავშირის გარეშე დარჩა.

ნულ საათსა და ათ ნუთხე, აფეთქებამდე შვიდი ნუთით ადრე, სატელეფონო სადგურზე უფრო მცირე მასშტაბის ავა-რია მოხდა – ქალაქის ყველა სატელეფონო ხაზი ერთდროუ-ლად გადაიტვირთა. იმ ღამით მომუშავე ოპერატორი გოგონე-ბი შეშლილი სახეებით ფაციულცობდნენ და უშედეგოდ ცდი-ლობდნენ აბონენტთა ურთიერთდაკავშირებას.

ჰოდა, მთელი ჩემპერლენი ქუჩაში გამოვიდა.

საფლავებიდან წამომდგარი აჩრდილებივით გამოიკ-რიფნენ ქუჩაში – ქარში სუდარებივით მოფრიალე თეთრი ხალათებითა და ღამის პერანგებით... ზოგი მხოლოდ ქვედა საცვლით იყო, ზოგსაც ბიგუდი ეკეთა (მისის დოუსონი – იმ

დორისთვის უკვე დაღუპული ჩინებული ყმანვილის, ჯორჯ ლოუსონის დედა, სულაც კოსმეტიკური ნიღბით გამოვარდა შინიდან და (ცირკის ტაკიმასხარასავით დადიოდა ქუჩა-ქუჩა)... გამოვიდნენ, რომ ენახათ, რა ხდებოდა: მართლა, იწვოდა და გართლა იცლებოდა თუ არა სისხლისგან მათი ქალაქი. როგორც აღმოჩნდა, უმეტესობას იმ ლამით სიკვდილი ენერა.

სწორედ ამ ხალხით იყო სავსე კარლინ-სტრიტი, როდე-საც კერი კონგრეგაციონალისტური ეკლესიიდან გამოვიდა. ეკლესიაში იგი ხუთი წუთით ადრე, მიღსადენის დაზიანების შემდეგ შევიდა (არც ეს საქმე გასჭირვებია – უბრალოდ, მინაში ჩამარხული მსხვილი მიღი წარმოიდგინა. ეს იყო და ეს), მაგრამ ეს ხუთი წუთი საათებად მოეჩვენა.

მხურვალედ ილოცა. ხან ხმამალლა, ხანაც – ჩუმად. გული გამალებით უცემდა, სახეზე ძარღვები დაპბეროდა. საკუთარ ძლასა და პერვეზეთის ცეცხლზე ფიქრობდა. სისხლით გაუ-ლენთილი კაბითა და ტალახიანი, შიშველი ფეხებით დაჩოქი-ლიყო საკურთხევლის წინ... იატაკს კი სისხლიანი ნაფეხურები აჩნდა, რადგან გზაში ბოთლის ნამხვრევზე დაებიჯებინა.

კერი ჩუმად ქვითინებდა. მისგან გადმოღვრილი ენერგია მთელს ტაძარს აზანზარებდა და აჭრიალებდა. სკამები ყირავ-დებოდა, წიგნები ძირს ცვიოდა... ბნელი ნიშიდან ვერცხლის ბარძიმი გამოფრინდა და მოპირდაპირე კედელს ზრიალით შეასკდა.

კერიმ ილოცა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. მაღლა არა-ვინ იყო... ან თუ ვინმე (ან რამე) სუფევდა – ემალებოდა. ღმერთმა ზურგი შეაქცია და ეს სულაც არ იყო გასაკვირი: ამ ნგრევასა და უბედურებაში ხომ მისი ხელიც ერია! კერი ფეხზე ნამოდგა და შინისკენ გაეშურა, რომ დედა ენახა და ჟველაფრისთვის ნერტილი დაესვა.

კერიმ ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ხალხს თვალი მოულო და შესა კიბეზე გაჩერდა. ცხოველები... და, ცეცხლის ძალათქას სუყველა! და, სამსხვერპლო კოკონის სუნი დატრიალდეს ყველა ჭურაზე! და, დაურქვას ამ ადგილს ჯოჯოხეთ!

ერთი, ორი და...

მაღალი ბოძებიდან ტრანსფორმატორებმა ისამნისუერი ნაპერნელები გადმოატრევიეს და მინაზე მავთულები ჩამოკვიდა. ზოგმა გაქცევა სცადა, მაგრამ თავს ცოტამ თუ უძველა: მაღალი ძაბვის კაბელები ყველგან ეყარს და მაღა მოელ ჭურას დამწვარი ხორცის სიმყრალე მოედო. ადამიანები ყვირილით დაძრნოდნენ აქეთ-იქით, მავთულებს ეხებოდნენ და ელექტრულ ფერხულში ებმებოდნენ. ზოგი კი უკვე გაუძრევლად ინვა და ხალათსა თუ პერანგზე ცეცხლი ეყიდა.

კერი მიტრიალდა და ტაძარს შეხედა – ეკლესიის მძიმე კარი გრუხუნით მიიხურა, თითქოს ძლიერმა ქარმა დაუძერათ...

მერე კი კიბეზე დაეშვა და სახლისკენ გაეშურა.

ამონარიდი მისის კორა სიმარდის მიერ მენის შტატის ხაგამძიებო კომისიისათვის მიცემული ჩვენებიდან (კერი უატის საქმის შემსნავლელი კომისიის მოხსენება), გვ. 217-218:

პ: მისის სიმარდ, კომისიისთვის ცნობილია, რომ გამოსაშვები მეჯლისის ღამეს ქალიშვილი დაკარგეთ. ვიზიარებთ თქვენს მნებარებას. შევეცდებით დიდხანს არ შეგაყოვნოთ.

პ: გმადლობთ. როთაც შემიძლია, დაგეხმარებით.

პ: თქვენც იყავით კარლინ-სტრიტზე, დაახლოებით 00 საათსა და 12 ნუთზე, როცა კერიეტ უატი იქვე მდებარე მელესიდან გამოვიდა?

პ: დიახ.

პ: როგორ აღმოჩნდით ქუჩაში?

პ: ჩემი მეულლე ბოსტონში იყო, საქმეზე, რონდა კი გა-
გოსაშვებ მეჯლისზე. სახლში მარტო ვიჟექი, ტელევიზორს
ვუყურებდი და რონდას ვუცდიდი. რაღაც ფილმს უჩვენებ-
დნენ, როცა მერიის სახურავზე სირენა ჩაირთო. თავიდან არც
კი მიფიქრია, რომ ეს რაიმე კავშირში იყო სკოლასთან. მე-
რე აფეთქების ხმა გაისმა... არ ვიცოდი, რა მექნა. პოლიციის
განყოფილებაში ვცადე დარეკვა, მაგრამ ნომერი დაკავებული
იყო... მერე... მერე...

პ: ნუ ღელავთ, მისის სიმარდ, დამშვიდდით. არავინ გაჩ-
ქარებთ.

პ: ძალიან შემეშინდა. მერე კიდევ აფეთქდა რაღაც (ახლა
უკვე ვიცი, რომ ეს ტედის ბენზინგასამართი სადგური იყო) და
გადავწყვიტე, ჩემი თვალით მენახა, რა ხდებოდა. სწორედ ამ
დროს კარზე მისის შირსმა მომიკაკუნა.

პ: მისის ჯორჯეტ შირსმა?

პ: დიახ. უილოუ-სტრიტისა და კარლინ-სტრიტის კუთხე-
ში ცხოვრობდა... მოკლედ, მიბრახუნებდა და ყვიროდა, კორა-
კორაო. კარი გავალე და რას ვხედავ, ხალათითა და ჩუსტე-
ბით არ მომდგომია! ფეხები სულ გაყინული ჰქონდა... თურმე-
სუსტოვერში მოეხერხებინა დარეკვა და მათგან შეეტყო, რომ
სკოლა იწვოდა. ლმერთო, იქ ხომ რონდაა-მეთქი, ვიკივლე...

პ: მაშინ გადაწყვიტეთ მისის შირსთან ერთად ქალაქის
ცენტრისკენ წასვლა?

პ: ჩვენ არაფერი გადაგვიწყვეტია. უბრალოდ, დავადეთ
თავი და წავედით. მხოლოდ ჩუსტები ჩავიცვი – მგონი, რონ-
დასი... თეთრი ფაფუკი პომპონები ჰქონდა... ალბათ ჯობდა,
ზესაცმელი ჩამეცვა, მაგრამ იმ ნუთებში საერთოდ ვერ ვაზ-

როვნებდი. მგონი, ახლაც ვერ ვაზროვნებ... რაში უნდა გაინ-
ტერესებდეთ, ფეხზე რა მეცვა.

ქ: როგორც გენებოთ, ისე გვიამბეთ, მისის სიმარტ.

პ: გ-გმადლობთ... მისის შირსსაც რაღაც მოსასხამი მივე-
ცი... ხელში რაც მომყვა... და ცენტრისკენ წავედით.

ქ: კარლინ-სტრიტზე ბევრი ხალხი იყო?

პ: არ ვიცი. ძალიან ვდელავდი. ოცდაათ კაცამდე იქნებო-
და, ალბათ. შეიძლება მეტიც.

ქ: მერე რა მოხდა?

პ: მე და ჯორჯეტი, გოგონებივით ხელიხელჩაკიდებუ-
ლები, მეინ-სტრიტისკენ მივდიოდით. ჯოჯრეტს კბილები
უკანკანებდა. მახსოვს, მინდოდა მეთხოვა, გაჩერებული-
ყო, მაგრამ მერე ვიფიქრე, არ ეწყინოს-მეთქი. ტაძრისგან
კვარტალ-ნახევარი გვაშორებდა, როცა დავინახე, როგორ
გაილო ეკლესიის კარი... მეგონა, ვიღაც უფლისგან შველას
ითხოვდა... მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ მივხვდი, რომ
შევცდი.

ქ: რატომ გადაწყვიტეთ, რომ შეცდით? უფრო ლოგიკური
არ იქნებოდა, გეფიქრათ, რომ საქმე ზუსტად ასე იყო?

პ: უბრალოდ, მივხვდი.

ქ: იცანით ის, ვინც ეკლესიიდან გამოვიდა?

პ: დიახ. კერი უაიტი იყო.

ქ: ადრე თუ შეხვედრიხართ ოდესმე?

პ: არა. ჩემი ქალიშვილი მასთან არ მეგობრობდა.

ქ: არც მისი ფოტოსურათი გინახავთ?

პ: არა.

ქ: კი მაგრამ, თუ ბნელოდა და თუკი ეკლესიისგან ერთ
კვარტალზე მეტი გაშორებდათ...

პ: დიახ...

პ: ...როგორ მიხვდით, რომ ის ადამიანი სწორედ კერი უაიტი იყო?

პ: უბრალოდ, ვიცოდი.

პ: ეს ცოდნა თითქოს საიდანლაც გარდმოგევლინათ, მისის სიმარტ?

Է: ԱՐԱ, ԾԱԳՈՅՆԸ.

კ: მაში, რას შეიძლება შევადაროთ თქვენი ზეშთაგონება?

პ: ძნელი სათქმელია. ის განცდა მაღევე გამიქრა – როგორც სიზმარი გვავინუდება ხოლმე თანდათან, გამოლვიძების შემდეგ... მაგრამ სრულიად დანამდვილებით ვიცოდი, რომ ეკლესიის კართან კერი უაიტი იდგა.

პ: ამის მერე რა იგრძენით?

3: ଶିଳ୍ପି.

პ: მერე რა მოხდა?

პ: ჯორჯეტს მივუბრუნდი – აი, ისიც-მეთქი. ჰო, ეგ არიო
– მიპასუხა. კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ უეცრად
მთელი ქუჩა განათდა. მერე ჭახანი გაისმა და მიწაზე დენის
მავთულებმა იწყო ჩამოცვენა – იკლაკნებოდნენ და ნაპერ-
ნკლებს ყრიდნენ. ერთი კაბელი ჩვენ წინ მიმავალ კაცს დაე-
ცა და ცეცხლი წ-წაუკიდა. ვიღაც გაიქცა, მაგრამ მავთულს
დააბიჯა ფეხი და... და უკან ისე გადაიზნიქა, თითქოს ხერხე-
მალი რეზინისა ჰქონოდა. ყველა აკივლდა და გაიქცა, მავთუ-
ლები კი გველებივით ცვიოდა... მას კი უხაროდა. უხაროდა!
ვგრძნობდი, როგორი ბედნიერი იყო. კიდევ კარგი, დროზე
მივხვდი, რომ არ უნდა გავქცეულიყავი – ვინც აქეთ-იქით
ირბინა, ყველა დენმა მოკლა. ჯორჯეტმა იყვირა: ჩქარა, კო-
რა, არ მინდა, ცოცხლად დავიწვაო. მოიცა, ტვინი თუ არ
გავანძრიეთ, თავს ნავაგებთ-მეთქი – რაღაც ამის მგავსი
სისულელე ვუთხარი. არ დამიჯერა, ხელი გამიშვა და მო-

კურცხლა. დავუძახე, გაჩერდი-მეთქი (მის ნინ მსხვილი კა-ბელი ეგდო), მაგრამ ვინ მომისმინა!.. საშინელი სუნი მეტა... ჯორჯეტს ცეცხლი წაეკიდა და კვამლში გაეხვის. მახოვს, გავიფიქრე, ალბათ ელექტროსკამზეც ასე იხოცებიან-მეთქი. ისეთი სუნი იდგა, გეგონებოდათ, ღორის ხორცს წვავენო. თქვენთვის ნაცნობია ეს სუნი? დღემდე მესიზმრება ხოლმე... მოკლედ, ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია... ჯორჯეტ შირსი კი დანახშირდა. მერე სადღაც უესტ-ენდში კიდევ აფეთქდა რაღაც (მგონი, მილსადენი), მაგრამ მაგისთვის აღარ მცხე-ლოდა. მიმოვიხედე და დავინახე, რომ ქუჩაში მარტო ვიდექი – დანარჩენები ან გაიქცნენ, ან დაიხოცნენ. ექვსიოდე გვამი თავად ვნახე – დამწვარი ძონძების გროვებს ჰეგავდნენ. ერთი კაბელი სახლს დაეცა ჩემგან ხელმარცხნივ და ცეცხლი გაუჩინა: მესმოდა, როგორ ტკაცუნობდა ფიცრები. სულ რამდენიმე წუთს ვიდექი, მაგრამ მეგონა, საათები გავიდა. მეშინოდა, გული არ ნამსვლოდა და მავთულებზე არ დავცემული-ყავი... ან, ჯორჯეტის მგავსად, მოთმინება არ დამეკარგა და არ გავქცეულიყავი. მერე კი წავედი. ნელა-ნელა. თითოეულ ნაბიჯს ფრთხილად ვდგამდი. ცეცხლმოკიდებულმა სახლმა არემერე კიდევ უფრო გაანათა. ორ მავთულს გადავაბიჯე და დამწვარ გვამს გვერდი ავუარე. მკვდარს თითზე საქორნინო ბეჭედი ეკეთა, ხელი კი შავი ჰქონდა... ნახშირივით შავი... მერე კიდევ ერთ კაბელს გადავახტი და ნინ კიდევ სამი დამხვდა. ისეთი გრძნობა მქონდა, იმ მავთულებსაც თუ გადა-ურჩებოდი, აღარაფერი მომკლავდა... მაგრამ ნინ ნასვლას ვეღარ ვბედავდი. იცით, რაზე ვფიქრობდი? კლასობანა გა-მახსენდა. გონებაში რაღაც ხმა მეუბნებოდა – კორა, მიღრ სამ მავთულს გადაახტიო. მე კი, როგოც თამაშის წესია, ვე-ითხებოდი, შეიძლება-მეთქი? ერთ მავთულს ისევ წკაპან-

კუპი გაუდიოდა, მაგრამ ორში, მგონი, არ იყო ძაბვა... თუმცა ზუსტად ვინ იცის, რა იყო და როგორ? მოკლედ, ვიდექი და გამვლელებს ვუცდიდი. მაგრამ სიახლოვეს არავინ ჩანდა. ცეცხლი უკვე მთელს სახლში ბობოქრობდა. ალი ბუჩქებსა და ხეებსაც მოედო. მაგრამ მეხანძრეები არა და არ ჩანდნენ. ან როგორ მოვიდოდნენ – იმ დროისთვის ქალაქის მთელი დასავლეთი ნაწილი იწვოდა. ვგრძნობდი, ცოტაც და დავეცემოდი. უნდა გამებედა... ბოლოს ავდექი და, შეძლებისდაგვარად, შორს ვისკუპე და ქუსლი კინაღამ მესამე მავთულს დავაბიჯე. მერე კიდევ ერთ კაბელს ავუქციე გვერდი და გავიქეცი. იმ ლამისა მეტი ალარაფერი მახსოვს. დილით პოლიციის განყოფილებაში, იატაკზე გაშლილ ქეჩაზე გავიღვიძე. ჩემ გარდა, იქ კიდევ უამრავი ადამიანი იყო. ზოგს (სულ რამდენიმეს) სამეჯლისო ჭანსაცმელი ეცვა. ვკითხე, ჩემი რონდა ხომ არ გინახავთ-მეთქი, და მიპასუხეს... მიპასუხეს...

(ხანმოკლე შესვენება)

პ: დარწმუნებული ხართ, რომ ეს ყველაფერი კერი უაიტის ნახელავია?

პ: დიახ.

პ: გმადლობთ, მისის სიმარდ.

პ: შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ?

პ: კი, რასაკვირველია.

პ: რა უნდა ვქნათ, თუ სხვებიც არიან მისნაირები? რა ეშველება მსოფლიოს?

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 151):

„28 მაისს, თორმეტი საათისა და ორმოცდახუთი ნუთის-თვის ჩემბერლენში მდგომარეობა ისევ კრიტიკული იყო. სკო-ლის შენობა, რომელიც სხვა ნაგებობებისგან განცალკევებით იდგა, ბოლომდე დაიფერფლა, მაგრამ ქალაქის ცენტრი ისევ ინ-ვოდა. ამ რაიონში წყალსადენი თითქმის ყველგან დაზიანებული აღმოჩნდა, მაგრამ დეიგან-სტრიტი იმდენ წყალს მაინც ანვდიდა (თუმცა – დაბალი წნევით), რომ მეინ-სტრიტისა და ოუკ-სტრი-ტის გადაკვეთაზე მდებარე საქმიანი რაიონი გადაერჩინათ.

სამარ-სტრიტზე „ტონის სიტგოს“ ბენზინგასამართი სად-გურის აფეთქებას მოჰყვა ხანძარი, რომლის ლოკალიზება მხოლოდ დილის ათი საათისთვის მოხერხდა. ამ ქუჩაზე წყალი მოდიოდა, მაგრამ ცოტა იყო მეხანძრე და შესაბამისი აღჭურ-ვილობა. სახანძრო სამსახურმა ლუისტონიდან, ობერნიდან, ლისბონიდან და ბრანსუიკიდან დამხმარე ძალები გამოიძახა, მაგრამ მანქანები მხოლოდ ლამის პირველი საათისთვის მო-ვიდნენ.

ელექტროგადამცემი ხაზების ჩანყვეტის გამო ცეცხლი კარლინ-სტრიტზეც გაჩნდა. ხანძარი ქუჩის მთელ ჩრდილოეთ მხარეზე გავრცელდა და მრავალი შენობა მოიცვა – მათ შორის ის სახლიც, სადაც მარგარეტ უაიტმა თავისი ქალიშვილი მცა.

ყველაზე დიდი ტრაგედია ქალაქის დასავლეთით, ბრი-კიარდ-ჰილის მიდამოებში დატრიალდა: ბენზინის მილსადენის აფეთქების შემდეგ იქ დაიწყო ხანძარი, რომელიც მომდევნო დღის ბოლომდე მძვინვარებდა.

თუ ჩემბერლენის რუკაზე ყველა ამ ადგილს მოვნიშნავთ (იხ. შემდეგი გვერდი), თვალნათლივ დავინახავთ კერის მიერ გავლილ მარშრუტს. მის მიერ იმ ლამით გავლილი გზა საქ-მაოდ მიხვეულ-მოხვეულია, მაგრამ მაინც მიზანდასახულად მიემართება ერთი კონკრეტული მიზნისკენ: შინისაკენ...“

სასტუმრო ოთახში რაღაც ჩამოვარდა. მარგარეტ უაიტი ნელში გასწორდა და თავი ოდნავ გადახარა. ხელში ჩაბლუ-ჯული ხორცის დანა ფანჯრებში მოელვარე ცეცხლის შუქზე ლაპლაპებდა. სულ ცოტა ხნის ნინ დენი გაითიშა და ოთახს მხოლოდ მეზობელ სახლებზე მოდებული ცეცხლი ანათებდა.

კედელიდან სურათი ჩამოვარდა და იატაქზე გრუხუნით დაეცა. რამდენიმე წამის შემდეგ გუგულიანი საათიც მოსწყდა კედელს. მექანიკურმა ჩიტმა ერთი მოგუდულად ჩაახველა და მიყუჩდა.

მთელი ქალაქი სირენების ღმუილს აეკლო, მაგრამ ამ გუგუნში მარგარეტ უაიტმა მაინც გაარჩია სახლისკენ მომავალი შვილის ნაბიჯების ხმა.

კარი ხმაურით გაილო და ფეხის ხმა უკვე ჰოლში გაისმა.

მერე სასტუმრო ოთახში ლანალუნი ატყდა - ტირში დაუიდებული თიხის ჩიტებივით ერთიმეორის მიყოლებით დაიმსხვრა ფაიფურის ფირფიტებზე გამოსახული ნახატები („რჩისტე - უცილავი სტუმარი“, „რას იზამდა იხსო“, „ახლანა ჟამი - მზად ხარ თუ არა განკითხვის დღისათვის?“).

(ჰო იქ მეც ვიყავი და ვნახე ფიცარნაგებზე შემომსხდარი მეძავები)

მარგარეტი სანიმუშო მოსწავლესავით გაჯგიმული იჯდა სკამზე - გიუური, დაბინდული, გაშეშებული მზერით.

სასტუმრო ოთახში ყველა მინა ჩაიმსხვრა.

მერე სამზარეულოს კარი სწრაფად გაილო, კედელს მიენარცხა და ზღურბლზე კერი გამოჩნდა.

წელში მოხრილი და დაპატარავებული იყო. დაფლეთილ სამეჯლისო კაბასა და სხეულზე შემხმარი ღორის სისხლი სკადომას იწყებდა. შუბლზე ტალახი დაჩნეოდა ზოლად. მუხ-ლები გადატყავებული ჰქონდა.

- დედა... - ჩაიჩურჩულა. თვალები არაბუნებრივად უბრნებინავდა, ტუჩები კი უკანქალებდა. იმ წუთებში ვინმეს რომ დაენახა, დედა-შვილს შორის საოცარ მსგავსებას შენიშნავდა.

მარგარეტი ისევ გაუნძრევლად იჯდა და დანას კაბის ნაკეცებში მალავდა.

- თავი უნდა მომეკლა, როცა ეს პირველად მიქნა, - თქვაჩუმად, - იმ პირველი ჯერის მერე, სანამ დავქორნინდებოდით, შემპირდა, რომ ასეთ რამეს აღარასოდეს ჩაიდენდა. რომ ჩვენ მხოლოდ წამით დაგვიცდა ფეხი... და მეც დავუჯერე. შემდეგ კი დავეცი და მუცელი მომეშალა... ღმერთმა დამსაჯა. მეგონა, ცოდვა სისხლით გამოვისყიდე-მეთქი. მაგრამ ცოდვის ჩამორეცხვა შუეუძლებელია. ცოდვას... ვერასოდეს... ჩამოირეცხავ...

მარგარეტს თვალები გაუბრნებინდა.

- დედა...

- თავიდან ყველაფერი რიგზე იყო. ცოდვის გარეშე ცცხოვრობდით. ერთ საწოლში გვეძინა. ზოგჯერ მუცლებსაც კი ვადებდით ერთმანეთს და არაერთხელ მიგრძნია გველის სიახლოვე. მაგრამ ის საქმე იმ დღემდე აღარასოდეს გვიქნია, - მარგარეტმა ტუჩები მობრიცა და სახეზე შემზარავი ლიმილი გამოესახა, - იმ სალამოს კი დავინახე, როგორ მიყურებდა. ორივემ დავიჩოქეთ და უფალს შევთხოვეთ, ჩვენთვის ძალა მოეცა. სწორედ მაშინ შემეხო... იმ ადგილას შემეხო... ქალურ ადგილას!.. სახლიდან გავაგდე. ისიც წავიდა, რამდენიმე საათით დაიკარგა. მე კი მთელი ამ დროის მანძილზე მისთვის ვლოცულობდი. სულის სახედველით ვხედავდი, როგორ დადიოდა ლამის წყვდიადში ქუჩა-ქუჩა და როგორ შესჭიდებოდა ეშმაკს, ვითარცა ღმერთთან მებრძოლი იაკობი. და როცა დაბრუნდა, მადლიერების გრძნობით ამევსო გული.

მარგარეტი დადუმდა და კვლავ გაიღიმა გამშრალი ტუ-
ჩებით.

— არ მინდა მაგის მოსმენა, დედა!

ბუფეტში თეფუშები ერთიმეორის მიყოლებით დაიმსხვრა.

— მაგრამ როცა შემოვიდა, ვისკის სუნი მეცა. დამეძგერა
და ძალით დამიმორჩილა! ძალით! მხმარობდა და სახეში ოხ-
შივარს მახრჩოლებდა... და მეც მომენონა. მომენონა, როგორ
მსრესდა ხელებით თავით ფეხებამდე!..

— დედა!

(!!დედა!!)

მარგარეტი გაჩუმდა, თვალები ჩქარ-ჩქარა აახამხამა და
ქალიშვილს მიაცეკერდა.

— ჰოდა, თავი კინალამ მოვიკალი, — დასძინა თითქმის
ნორმალური ხმით, — რალფი კი ჭიროდა და სინანულით
იყო აღვსილი. მერე კი მოკვდა და მეგონა, რომ ღმერთმა
დამსაჯა — კიბო დამმართა და ჩემი ქალური ორგანოები აყ-
როლებულ შავ, დამპალ წყლულებად აქცია — ისეთ ბინძუ-
რად და მყრალად, როგორიც თავად ჩემი სული იყო. მაგრამ
ეს იოლი გამოსავალი იქნებოდა. ახლა კი დანამდვილებით
ვიცი, რომ შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი. მუცელი
ვიცი, როცა ამტკიცდა, ნავედი და დანა ავიღე... აი, ეს დანა... —
როცა ამტკიცდა, დანამომარჯვებული ხელი გამოაცუ-
მან კაბის კალთიდან დანამომარჯვებული ხელი გამოაცუ-
რა, — შენს ქვეყნად მოვლენას ველოდი, რომ ღმერთისთვის
მხვერპლად შემენირე. მაგრამ სუსტი და უღირსი გამოვდე-
კი. მეორედ, სამი ნლის რომ იყავი, მაშინ ავიღე დანა. მაგ-
ქი. მეორედ, სამი ნლის რომ იყავი, მაშინ ავიღე დანა. მაგ-
ქი. კვლავ უკან დავიხიე. ახლა კი შენი სახით თვით სატანა
გამოშეცხადა.

მარგარეტმა დანა აღმართა და დანის პრიალა, ოდნავ
შოხრილი პირი შეათვალიერა.

– მე კი შენს მოსაკლავად მოვედი, დე. მოვედი და რას ვხედავ, თურმე შენც მოკვლას მიპირებ... ასე არ უნდა ხდებოდეს, დედა. ეს...

– მოდი, ვილოცოთ, – მშვიდად უთხრა მარგარეტმა და თვალი თვალში გაუყარა. მის მზერაში უცნაური თანაგრძნობა მოჩანდა. გარეთ მძვინვარე ხანძრისგან კედლებზე შუქ-ჩრდილები დახტოდნენ, – უკანასკნელად ვილოცოთ.

– დედიკო, მიშველე, – კერი მუხლებზე დაეცა, თავი დახარა და ხელები გაუშვირა.

მარგარეტი წინ გადაიხარა და დანამ ჰაერში რკალისებურად გაიელვა.

კერიმ დროულად შენიშნა ეს მოძრაობა, განზე გაინია და დანა მხოლოდ მხარში ჩაერჭო ტარამდე. დედამისმა ფეხი სკა-მის ფეხს გამოსდო და იატაკზე გაიშხლართა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ და ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ. ჭრილობიდან სისხლმა გამოუონა და იატაკზე დაინყო წვეთვა.

– საჩუქარი მოგიმზადე, დე, – ჩუმად უთხრა კერიმ.

მარგარეტმა წამოდგომა სცადა, მაგრამ წაბორძიკდა და ისევ ოთხზე დაეცა.

– რას მიშვრები? – ამოიხროტინა.

– ვცდილობ, წარმოვიდგინო, გული როგორ გიძგერს, – მიუგო კერიმ, – ასე უფრო ადვილია... მთავარია წარმოიდგინო... შენი გული კუნთების დიდი წითელი გროვაა. როცა ჩემს ძალას ვიყენებ, გული სწრაფად მიძგერს ხოლმე. შენი გულის-ცემა კი ახლა შენელდება... შენელდება და...

მარგარეტმა კვლავ სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ შეძლო. ამიტომაც ავი თვალისგან დასაცავად ნიშანი გამოისახა.

– მშეიდად, დედიკო, – უთხრა კერიმ, – იცი, რა საჩუქარი მოგიმზადე? ამაზე ხომ ყოველთვის ოცნებობდი. წყვდიადი მოგიმზადე. იმ წყვდიადში შენი ღმერთი გელოდება.

მარგარეტი ლოცვას შეუდგა:

– მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

– კიდევ უფრო ნელა, დე...

– ...წმინდა იყავნ სახელი შენი...

– ეგრძნობ, როგორ გიშრება ძარღვებში სისხლი. კიდევ უფრო ნელა.

– ...მოვედინ სულევა შენი...

– ხელ-ფეხი თაბაშირივით გიქვავდება და გითეთრდება.

– ...იყავნ ნება შენი...

– ეგ ჩემი ნება, დედა. კიდევ უფრო ნელა.

–ვითარცა ცათა შინა...

– ნელა-მეთქი.

– ...ეგრეცა... ეგრეცა...

მარგარეტი იატაკზე პირქვე დაემხო და ხელები ააცახცახა.

– ...ქუეყანასა ზედა.

– გაჩერდი, – ჩაიჩურჩულა კერიმ.

მერე მხარზე დაიხედა და დაუძლურებული ხელი დანას ჩასჭიდა.

(ღმერთო როგორ მტკივა ძალიან მტკივა)

ნამოდგომა სცადა. ჯერ ვერ შეძლო. მერე კი სკამს დაეყრდნო და მაინც ნამოიმართა. თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა. პირში სისხლის გემო უტრიალებდა. ფანჯრიდან მხუთავი კვამლი შემოდიოდა – ხანძარმა მომიჯნავე სახლამ-დე მოალწია და იქიდან გადმოცვენილი ნაკვერჩხლები ალბათ უკვე სახურავზე ცვიოდა... ოდესლაც ქვებით რომ დაცხოილა, იმ სახურავზე...

კერი უკანა ეზოში გავიდა, ბარბაცით გადაიარა მდელო
და ხის ძირას

(სადაა ჩემი დედიკო)

შეისვენა. კიდევ რაღაც იყო გასაკეთებელი. რაღაც, რაც
(გზისპირა მოტელები და ავტოსადგომები) მახვილშემართულ
ანგელოზს უნდა გაეკეთებინა. ცეცხლოვანმახვილიანს...

კარგი. არა უშავს. მერე გაიხსენებდა.

კერი ეზო-ეზო გავიდა უილოუ-სტრიტზე, მიწაყრილზე
ახოხდა და მეექვსე გზატკეცილს გაუყვა.

ორის თხუთმეტი წუთი იყო.

კრისტინ ჰარგენსენი და ბილი ნოლანი „კავალიერში“
დაბრუნდნენ, უკანა კიბით მეორე სართულზე ავიდნენ, დე-
რეფანი გაიარეს და ბნელ ნომერში შევიდნენ. ბილიმ კრისს
სინათლის ანთებაც კი არ აცალა – მივარდა და კაბის შემოგ-
ლევა დაუწყო.

- მოიცა, გავიხსნა...
- რად უნდა გახსნა!

ბილიმ სწრაფად შემოახია ზურგზე კაბა. ქსოვილი უც-
ნაური ხმაურით გაიხა. ერთი ლილი ხის იატაკზე გაგორდა,
შუა ოთახში გაჩერდა და სინათლე ნარინჯისფრად აირეკლა. ბარიდან მუსიკა ისმოდა და კედლები ოდნავ ზანზარებდა:
ქვემოთ მოუქნელად ცეკვავდნენ ფერმერები, სატვირთო მან-
ქანების მძლოლები, სამხერხაოს მუშები, ოფიციანტები, ჰა-
რიკმახერები, ცეცხლფარეშები და მათი უესტოვერელი თუ
მოტონელი საყვარლები.

- ჰეი...
- გაჩუმდი, – ბილიმ სილა გააწნა. კრისმა თავი უკან გა-
დასწია და ბოლმით სავსე მზერა ესროლა.

- ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, ბილი, - უთხრა და უკან დაიხია. უკან კი დაიხია, მაგრამ კარისკენ კი არა, რა-ტომლაც ლოგინისკენ წავიდა. ლიფის ქვეშ ძუძუები დაეპერა და კენჭებივით გაუმავრდა. მუცელი გახშირებული სუნთქვის რიტმში ეზნიქებოდა, - ყველაფერი დასრულდა.

- რახან შენ იტყვი, - ბილი სწრაფად მიეჭრა, მაგრამ მოულოდნელად კრისისგან მაგრად მოხვდა მუშტი.

ბილი წელში გასწორდა და თავი გაიქნია.

- თვალი ჩამილურჯე, შე, ბოზო.

- თუ გინდა, კიდევ მოგცემ.

- მომცემ, აბა რას იზამ.

ქოშინებდნენ და ერთმანეთს თვალებით ბურღავდნენ. მერე ბილიმ ოდნავ ჩაილიმა და პერანგზე ლილების გახსნას შეუდგა.

- ყველაფერი კარგად იქნება, ჩარლი... შესანიშნავად, - „ჩარლის“ კმაყოფილი როცა იყო, მაშინ ეძახდა ხოლმე. კრისა ჩაეცინა, როგორც ჩანს, ბილი ამ სახელს რაღაც განსაკუთრებულ ეროტიკულ სცენას უკავშირებდა. ამ ფიქრით გართული კრისი ოდნავ მოდუნდა კიდეც...

უეცრად ბილიმ სახეზე პერანგი გადაჰკრა, თავი მუცელში დაარტყა და საწოლზე მიაგდო. ზამბარებმა დაიჭრიალა და კრისმა ზურგში მუშტები დაუშინა:

- მომშორდი! მომშორდი! მომშორდი! ხელი გამშივი, დამპალო ნაბიჭვარო!

ბილი კი უშნოდ იღრიჭებოდა და საქმეს განაგრძობდა - ელვა შესაკრავი გაუგლიჯა და შარვალი ჩახადა.

- თორემ რას იზამ? - უთხრა ხრინნიანი ხმით, - მამიკოს ეტყვი? ჰა? ჰა? რას იზამ, ჩარლი? ძლევამოსილ მამიკოს დაურეკავ? ჰა? ის ვედროები შენზე უნდა გადმომეპირქვავე-

ბინა. სიამოვნებით დაგაჯვამდი თავზე. ლორის სისხლი ლო-
რისთვის, არა? მაგ შენს უჭკუო თავზე. შე...

უეცრად კრისმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. ბილიც გაშრა
და გაფაციცებით დააცქერდა. გოგოს უცნაურად გაელიმა.

— თავიდანვე გეგმავდი ამას, არა? შე პატარა ნაძირალა!
ასე არაა? იმპოტენტო ნაბიჭვარო!

— მაგას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს? — უაზრო ლი-
მილით ჰერთხმა ბილიმ.

— არა, — მიუგო კრისმა. ლიმილი უკვალოდ გაუქრა და კი-
სერზე ძარღვები დაებერა. მერე კი ოდნავ წამოიწია და ბილის
სახეში შეაფურხა.

ამას წითლად შეფერილი გიუური ვნება, გამოფიტვა და
უგონობა მოჰყვა.

ქვემოთ კი მუსიკა არ ჩერდებოდა („აბებს ვყლაპავ და
მიჭომ არ მშია/ იმიტომ ვაჭყეტ თვალებს/ უკვე მექვსე
დღეა, გზაში ვარ/ შინ დავბრუნდები მალე“) – კოვბოურ პე-
რანგებსა და ბრჭყვიალა ძაფებით მოქარგულ ჯინსებში გა-
მოწყობილი ხუთი გაოფლილი მუსიკოსი (ლიდერ-გიტარა,
რიტმ-გიტარა, ბანჯო, ბას-გიტარა და დასარტყამი ინსტრუ-
მენტი) ძალიან ხმამაღლა და ძალიან არეულად უკრავდა ქან-
თრისა და ვესტერნის ნაზავს; ამიტომაც იყო, რომ „კავა-
ლიერში“ არც სირენისა და არც პირველი აფეთქებების ხმა
არავის გაუგონია. მუსიკა მხოლოდ მილსადენის აფეთქების
შემდეგ მიჩუმდა. მერე ავტოსადგომზე ვიღაცამ მკვეთრად
დაამუხრუჭა, ბარში შევარდა და აყვირდა, ჩემბერლენი ინ-
ვისო...

მაგრამ ამ დროისთვის ბილის და კრისს უკვე ლრმა ძი-
ლით ეძინათ.

კრისს მყისვე გაელვიდა. პირველს ხუთი წუთი აკლდა. კარზე ვიღაც გააფორებით აბრახუნებდა.

— ბილი! — ყვიროდნენ დერეფანში, — აქ ხარ? ადექი!

ბილი შეირხა, მუცელზე გადაბრუნდა და მაღვიძარა იატაკზე ჩამოაგდო.

— ვინ ოხერია? — ჩაიბუტბუტა და წამოჯდა.

ზურგი ეწვოდა. როგორ დაპორტყონა იმ წაკლამ!.. თავიდან ტკივილი თითქმის არ უგრძნია, მაგრამ ახლა მტკიცედ გადან-ყვიტა, გემრიელად მიეჟეჟა და სახლში ისე გაეშვა... ჭურა ხომ უნდა ესწავლებინა!..

ბილი უჩვეულო სიჩუმემ გააკვირვა — „კავალიერი“ ლა-მის ორ საათამდე არ იკეტებოდა. მტკიციანი ფანჯრის მილმა ნეონის აბრა ისევ ციმციმებდა, მაგრამ კარზე ბრახუნს თუ არ ჩავთვლით,

(რაღაც მოხდა)

გარშემო სამარისებური სიჩუმე იდგა.

— ბილი, აქ ხარ? ჰეი!

— ვინაა? — ჩურჩულით ჰეითხა კრისმა. თვალებში შიში ჩასდგომოდა.

— ჯეკი ტალბოტია, — მიუგო ბილიმ და კარს მილმა მდგომს გასძახა, — რა ჯანდაბა გინდა?

— შემომიშვი, სალაპარაკო მაქვს.

ბილი წამოდგა. ოთახი შიშველმა გადაკვეთა, ძველმოდუ-რი კაუჭი ასწია და კარი გააღო.

ოთახში თვალებგადმოკარკლული და სახეგაჭვარტლული ჯეკი ტალბოტი შემოვარდა. ხანძრის ამბავი მან „კავალიერში“ წრაფოდ ჰენრის ძველ „დოჯში“ ჩახტნენ და ჩემბერლენისკენ გაქანდნენ. ჯეკსონ ავენიუს ქვეშ მილსადენის აფეთქებამ მათ

ბრიკიარდ-პილზე მოუსწრო. მერე კი, როცა ჯეკიმ სტივ ჰენრის მანქანა გამოართვა და ისევ „კავალიერისკენ“ გამოემართა, ქალაქი მთლიანად ცეცხლსა და პანიკას მოეცვა.

— ჩემბერლენი იწვის, — თქვა ჯეკიმ, — მთელი ჩემბერლენი! სკოლა დაიწვა, სავაჭრო ცენტრიც... უესტ-ენდი ჰაერში აფრინდა: ბენზინმა ბუთქა. კარლინ-სტრიტი ცეცხლშია გახვეული. ამბობენ, ყველაფერი კერი უაიტის ნახელავია!

— ღმერთო, — კრისი ჩქარა წამოდგა და ტანსაცმლისკენ გაიწია, — მაინც რა...

— მოკეტე, თორემ მოგხვდება, — შეუღრინა ბილიმ და ჯეკის ანიშნა, განაგრძეო.

— ბევრმა ნახა... ძალიან ბევრმა... როგორც ამბობენ, ვიღაცამ თავზე სისხლი გადაასხა. იმ დედააფეთქებულ მეჯლისზე წასულა და... სტივი და ჰენრი ვერაფერს მიხვდნენ, მაგრამ... ღორის სისხლი მისთვის გინდოდა, ბილი?...

— ჰო.

— ჯანდაბა! — ჯეკიმ კარისკენ დაიხია. დერეფანში დანთებული ერთადერთი ნათურის შუქზე მის სახეს ავადმყოფური, ყვითელი ელფერი დაჲკრავდა, — ჯანდაბა, ბილი, მთელი ქალაქი...

— მაშ, მთელი ქალაქი კერი უაიტმა დაანგრია? კერი უაიტმა? სულ გაგიფრენია, — ბილიმ ეს სიტყვები მშვიდად, თითქმის უდარდელად წარმოთქვა. მის ზურგს უკან კრისი ჩქარჩქარა იცვამდა.

— ფანჯარაში გაიხედე და ნახავ, — მიუგო ჯეკიმ.

ბილი ფანჯარას მიუახლოვდა. აღმოსავლეთით მთელი ჰორიზონტი უოლოსფრად შეღებილყო. ცაც კი შენითლებული იყო. სანამ ფანჯარაში იყურებოდა, „კავალიერს“ სირენების

ლიტერატურით სამშა სახანძრო მანქანამ ჩაუქროლა. ბილიმ მანქანებზე ნარჩერების გარჩევა მოასწრო.

- ეაჲ, ბოზიშვილი ვიყო, - ნამოიძახა გაკვირვებულმა, - ბრანდსუიკელი მეხანძრეები არიან.

- ბრანდსუიკელი? - შეიცხადა კრისმაც, - მათგან ხომ ორ-მოცი მიღი გეაშორებს. შეუძლებელია...

ბილი ჯეკი ტალბოტს მიუბრუნდა:

- კარგი. გამაგებინე, რა მოხდა?

ჯეკიმ თავი გაიქნია.

- დანამდვილებით ჯერ არავინ არაფერი იცის. ყველაფერი სკოლაში დაიწყო. კერი და ტომი როსი მეჯლისის მეფე-დედოფლად აირჩიეს და თავზე ორი ვედრო სისხლი გადაასხეს. მერე კერი გაიქცა, სკოლას კი ცეცხლი მოედო... ამბობენ, შენობიდან ცოცხალი არავინ გამოსულაო. ამის შემდეგ ტედის ბენზინგასამართი სადგური აფეთქდა... მერე „მობილი“ სამარ-სატრიტზე...

- „სიტგო“, - შეუსწორა ბილიმ, - სამარ-სატრიტზე „სიტგო“ დგას.

- რა განსხვავებაა?! - ნამოიყვირა ჯეკიმ, - ყველაფერი მისი ნახელავია! სადაც ნახეს, ყველგან რაღაც მოხდა. ვედროებს რაღა ვუყოთ?.. ხელთათმანები მაინც გვქონდა...

- ნუ გეშინია, ყველაფერს მოვაგვარებ, - უთხრა ბილიმ.

- ვერაფერსაც ვერ მოაგვარებ, იქ კერია...

- გაეთრიე.

- ბილი...

- გაეთრიე, თორემ ხელებს დაგამტვრევ!

ჯეკიმ უკან-უკან დაიხია და კარში გავიდა.

- სახლში ნადი და კრინტი არავისთან დაგცდეს. ყველა-ჭერს მივხედავ.

— კარგი, კარგი, ბილი, უბრალოდ, ვიფექრე...

ბილიმ კარი ცხვირნინ მიუჯახუნა და, სანამ შემოტრიალდებოდა, მხარში კრისი ჩააფრინდა.

— ღერთო, რა ვქნათ?.. ის ძუკნა კერი... მითხარი, რა უნდა ვქნათ?..

ბილიმ ხელუკულმა გაულანუნა. კრისი დაეცა და წამით გაოგნებული მიაშტერდა. მერე სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

ბიჭმა ჩაიცვა, ოთახის კუთხეში, ბინძურ ნიუარასთან ჩამოკიდებული ნათურა აანთო და თავი წყალს შეუშვირა. მერე სავარცხელი ამოილო და თმის ვარცხნას შეუდგა. თან დროდადრო დათხვრილ სარკეში იყურებოდა. მის ზურგს უკან სარკეში კრისის სახემოქცეული ანარეკლი მოჩანდა — იატაკზე იჯდა და გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იწმენდდა.

— ახლა გეტყვი, როგორც მოვიქცევით, — თქვა ბილიმ ცოტა ხნის შემდეგ, — ჯერ ქალაქში ნავალთ და ხანძარს ვუყურებთ. მერე კი სახლებში დავბრუნდებით. საყვარელ მამიკოს ეტყვი, რომ მთელი საღამო „კავალიერში“ ლუდს ნრუპავდი. დედაჩემსაც ასე მოვახსენებ. ყველაფერი გასაგებია?

— იქ ხომ შენი ანაბეჭდებია, — კრისი ჩუმად ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში მოწინება იგრძნობოდა.

— ჩემი კი არა, მათი ანაბეჭდებია, — შეუსწორა ბილიმ, — მე ხელთათმანებით ვმუშაობდი.

— მერე, თუ დაიჭირეს, ხომ ყველაფერს დაფქვავენ!

— რასაკვირველია, — მიუგო, — უსათუოდ დაფქვავენ.

როგორც იქნა, ქოჩორი წესისამებრ გადაინკიპა. ალაგალაგ ჩახუჭუჭებული თმა ტალღებივით უბზინავდა გლუვად გადავარცხნილ პრიალა კინკრიხოზე. სავარცხელი ძველი

ჰუნდა - გაცვეთილი ტარითა და კბილებს შორის ჩარჩენილი ქერტლით. ეს სავარცხელი ჯერ კიდევ თერთმეტი წლისას აჩუქა მამამ და მას შემდეგ ერთი კბილიც არ მომტკრევია. ერთი კბილიც კი!..

- შეიძლება ვედროები ვერ იპოვონ, - განაგრძო ბილიმ, - თუმცა რომც იპოვონ, ანაბეჭდები დამწვარი და წაშლილი იქნება. რავი, რა გითხრა... ერთი რამ ზუსტად ვიცი, თუ დოილი რომელიმე მათგანს დაიჭერს, მაშინვე კალიფორნიაში დავახვევ. შენ კი რაც გინდა, ის ქენი.

- არ წამიყვან? - მუდარით ჰქითხა კრისმა და ქვემოდან ზემოთ ახედა. ტუჩი ისე გასიებოდა, ზანგს ჰეგავდა.

ბილის გაელიმა.

- ვნახოთ, - მიუგო და გაიფიქრა, რა ჭირად მინდიხარო. მერე დასძინა:

- ადექი. ქალაქში უნდა დავბრუნდეთ.

კიბეს დაუყვნენ და დაცარიელებული დარბაზის გავლით გასასვლელისკენ გაემართნენ. დარბაზში მაგიდებზე ნახევრად სავსე კათხები ელაგა, ზოგი სკამი წაქცეული იყო - ეტყობოდა, ხალხი გარეთ გიჟივით გავარდა.

- ამ საღორეში მაინც არ გავჩერდები, - ჩაილაპარაკა ბილიმ, როცა უკანა კარით ქუჩაში გადიოდნენ.

მანქანაში ჩასხდნენ, ბიჭმა ძრავი დაქოქა და ფარები აანთო.

უეცრად კერიმ იკივლა და ლოყებზე ხელები მიიფარა. ბილიმაც იგრძნო, რომ ვიღაც თავზე წამოსდგომოდა (კერი კერი კერი კერი)

და მის აზრებში იქექებოდა.

კერი სამოცდაათიოდე ფუტის მოშორებით იდგა. საშინელებათა ფილმიდან გამოსული აჩრდილივით გაჩნდა ფა-

რების შუქზე. მართლაც შემზარავი იყო ნუვდიადის ფონზე მდგომი სისხლიანი ფიგურის ცქერა. ოღონდ ამჯერად სისხლი ლორისა არ იყო. მხრიდან დანის ტარი მოუჩანდა. სისხლში ამოთხვრილ კაბას ახლა ტალახისა და ნედლი ბალახის ლაქებიც ემჩნეოდა: კარლინ-სტრიტიდან „კავალიერამდე“ თითქმის მთელი გზა ხოხვით, ნახევრად უგონო მდგომარეობაში გაევლო. მიხოხავდა, ბოროტების ბუდე რომ მოესპო - საიდანლაც იცოდა, რომ სწორედ იქ იყო იმლამინდელი კოშ-მარის სათავე.

ერთხანს იდგა და ბარბაცებდა. მერე ხელები ჰიპნზიორივით გაიშვირა და მანქანისკენ დაიძრა.

ყველაფერი წამებში მოხდა – კრისს კივილიც კი არ ჰქონდა დასრულებელი, რომ ბილი უკვე აქსელერატორის პედალს აწვებოდა.

საბურავებმა დაინუილა და მანქანა ვეებერთელა ურჩხულივით წინ გავარდა. საქარე მინის მიღმა მდგომი ფიგურა თანდათან ახლოვდებოდა და სულ უფრო მძაფრად გრძნობდა გონება მის სიახლოვეს...

(კერი კერი კერი)

სულ უფრო ხმამაღლა...

(კერი კერი კერი)

თითქოს რადიოს ბოლომდე აუნიესო. დროც თითქოს გაჩერდა და ნამით გაშეშდა სამივე:

ბილი

(კერი ქუჩის ძალლივით გაგსრეს კერი ძალლივით კერი ნეტავ შენ იყო მის ადგილას ბრიუს),

კრისი

(კერი ლმერთო არ მოკლა კერი არ მინდოდა კერი ბილი ამას ნუ მაყურებინებ კერი)

და კერი

(საჭე უნდა წარმოვიდგინო საჭე და პედლები ჰო ვხედავ
საჭეს ღმერთო გული გული)

უეცრად ბილიმ იგრძნო, რომ საჭემ უმუხლა, გაცოც-
ხლდა და ხელიდან გაუსხლტა.

მანქანამ ღმუილითა და საბურავების ჭრიალით მოუხვია
და საქარე მინის მილმა, კერის ნაცვლად, „კავალიერის“ კედე-
ლი წამოიმართა...

(მორჩია)

კედელს ორმოცი მილის სიჩქარით შეასკდნენ. ნეონის შუ-
ქით განათებულ სივრცეში ფიცრის ნამსხვრევები მიმოიფანტა.
ბილი საჭის ღერძზე წამოეგო. კრისი კი წინა პანელს მიენარ-
ცხა.

ბენზინის ბაკი გასკდა და საბარგულის ქვეშ მოზრდილი
გუბე დადგა. მერე ასფალტზე მაყუჩის მილი დაეცა და მანქა-
ნა უმალ ცეცხლში გაეხვია.

კერი გვერდზე ინვა, თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნ-
თქავდა. მკერდი ისე ენვოდა, თითქოს დაუშანთესო. მერე ხე-
ლებზე წამოიწია და გახოხდა.

(მაპატიე დედა არ მინდოდა ყველაფერი ასე დამთავრე-
ბულიყო ძალიან მტკიცა დედა რა ვქნა დედა)

უეცრად მიხვდა, რომ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.
უკვე აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა – მთავარი იყო, რო-
გორმე ზურგზე გადაბრუნებულიყო და ვარსკვლავები დაენა-
ხა... მხოლოდ ერთხელ ენახა ზეცა და მომკვდარიყო.

ასე გულალმა მნოლიარე იპოვა ორ საათზე სიუმ.

შერიფის წასვლის შემდეგ სიუმ მცირე მანძილი გაიარა
და ავტომატური სამრეცხაოს კიბეზე ჩამოჯდა. იჯდა და ცეც-

ხლით განათებულ ცას შესცეროდა. ჭომი ცოცხალი აღარ იყო. სოუს ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ამ აზრს ძალიან ადვილად შეეგუა.

ჭომი კერიმ მოკლა.

სოუს ეჭვი არც ამაში ეპარებოდა, თუმცა არ იცოდა, ასე დარწმუნებული რატომ იყო.

დრო გადიოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მაკეტმა ძილი მოკლა, კერიმ კი – დრო. შესანიშნავია. *bon mot*.⁸ სოუმ სევდიანად გაიღიმა. იქნებ სწორედ აյ უნდა დამთავრებულიყო თექვსმეტი წლის ბავშვის თავგადასავალი? ამიერიდან აღარასოდეს მოუწევდა იმაზე დარდი, რომ მთელ ცხოვრებას პატარა ამერიკულ ქალაქში გაატარებდა. აღარასოდეს. ყველაფერი ნარსულს ჩაბარდა. დაინვა... გვერდით ვიღაცამ ჩაურბინა – ყვიროდა, კარლინ-სტრიტი იწვისო. ჭირსაც ნაულია კარლინ-სტრიტი. ჭომი ცოცხალი აღარ იყო. კერი კი დედის მოსაკლავად წავიდა.

(???????????)

სოუ ნელში გასწორდა და ცაში ყურება განაგრძო.

(???????????)

ვერ გაეგო, საიდან გაუჩინდა ეს თავდაჯერებულობა. ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა იმ ყველაფერთან, რაც ოდესმე ტელეპატიის შესახებ სმენოდა – არც მზა სურათები ამოტივ-ტივებია გონებაში, არც უეცარი ზემთაგონება გარდმოვლენია. უბრალოდ, იცოდა (ისევე, როგორც იცოდა, რომ გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ან რომ კიბომ შეიძლება მოგელას), რომ კერის დედა უკვე მკვდარი იყო, რომ...

(!!!!!!)

⁸ მახვილავონვრული გამონათქვაში. ხუმრიბა (ფრ.).

სიუს გული შეუქანდა. მკვდარია? შეეცადა, ახალი ინფორმაცია გადაეხარშა და უკუეგდო დამთრგუნველი, აკვიატებული შეგრძნება, რომ ასეთი რამ, ნესით, არ უნდა სცოდნოდა.

კი, მარგარეტ უაიტი მკვდარია. გულით გარდაიცვალა. მაგრამ ის კი მოასწრო, კერისთვის დანა დაერტყა. კერი დაჭრილია. ის...

ხილვები ამით მთავრდებოდა.

სიუ წამოხტა და მანქანისკენ გაიქცა. ათი წუთის შემდეგ უკვე ბრანჩ-სტრიტისა და კარლინ-სტრიტის კუთხეში იდგა. კარლინ-სტრიტი მართლა ინვოდა. სახანძრო მანქანები ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ ქუჩის ორივე მხარეს უკვე აღემართათ გადასატანი ბარიერები. ალმოდებულ ბოძებზე კი წარწერები გაეკრათ —

ფრთხილად, მაღალი ძაბვა.

სიუმ ეზო-ეზო მოკლეზე მოჭრა. ორ სახლს ჩაუარა, ეპლიანი ბუჩქების სხლტეში გაძვრა და უაიტების ეზოში გადავიდა. სახლი ცეცხლში იყო გახვეული და სახურავიდან ალი ამოდიოდა. ახლოს მისვლა და შიგნით შეხედვა შეუძლებელი იყო, მაგრამ სიუმ ცეცხლით განათებულ ეზოში სისხლის ლაქები შენიშნა — კერის კვალს ჰეგავდა.

სიუ ნაკვალევს გაჰყვა. ზოგირთი ლაქა მოზრდილი იყო — როგორც ჩანს, იმ ადგილას კერი სულის მოსათქმელად გაჩერდა. სიუ ისევ გაძვრა ლობეში, ეზო და უილოუ-სტრიტი გადაკვეთა და ახალგაზრდა ნაძვებითა და მუხებით გარემოცულ მდელოზე გავიდა. იქიდან მეექვსე გზატკეცილისკენ პატარა ბილიკი მიიკლაკნებოდა.

სოუ გაჩერდა: მოულოდნელად ეჭვებმა შეიპყრო. რა ბე-
დი ეწეოდა, კერის თუ იპოვიდა? გული გაუჩერდებოდა თუ
ცეცხლში დაინვებოდა? თუ კერი, უბრალოდ, სახანძრო მან-
ქანის ბორბლებქვეშ აიძულებდა შევარდნას? სოუ რატომლაც
დარწმუნებული იყო, რომ კერის ასეთი რამეები არ გაუჭირ-
დებოდა.

(პოლიციელი უნდა ეპოვა)

სიუმ ჩაიცინა და ცვრიან ბალახზე დაჯდა. გზაში უკ-
ვე შეხვდა ერთ პოლიციელს. მაგრამ გინდაც ერნმუნა ოფის
დოილს მისი სიტყვები, რას იზამდა? სიუმ წარმოიდგინა, რო-
გორ მოიმწყვდევდა კერის ალყაში ასი მამაცი მოხალისე და
როგორ უბრძანებდნენ, იარაღი ჩაგვაბარეო; კერი მორჩილად
აწევდა ხელებს, თავს მოიძრობდა და შერიფ დოილს გადასცემ-
და; დოილი კი, ამ „იარაღს“ საგანგებო პაკეტში მოათავსებდა,
რომელზეც დიდი ასოებით ენერებოდა: „ნივთმტკიცება №1“.

(ტომი კი მკვდარი იყო)

სიუმ თავი ხელებში ჩარგო და ატირდა. ბორცვის ნეერზე
ლვის ბუჩქებს სიო აშრიალებდა. მეექვსე გზატკეცილზე ვეე-
ბერთელა ნითელი მნევრებივით გაიქროლეს სახანძრო მანქა-
ნებმა.

(ლმერთო მთელი ქალაქი იწვის)

სიუმ არ იცოდა, რამდენ ხანს ქვითინებდა ნახევრად ვონ-
მიხდილი. იმასაც კი ვერ ხვდებოდა, რომ კერის კვალდაკ-
ვალ, „კავალიერისკენ“ მიდიოდა – ადამიანი ხომ ვერ აცნო-
ბიერებს, რომ სუნთქავს, სანამ განგებ არ დაფიქრდება ამაზე.
კერი სისხლისგან იცლებოდა და მხოლოდ ნებისყოფის ძალით
განაგრძობდა გზას. „კავალიერამდე“ მოკლე გზითაც კი სამ
მილზე მეტი იქნებოდა. სიუმ იცოდა

(ნახა? იგრძნო? მნიშვნელობა არ აქვს!).

რომ ეკრი ღელეში ჩავარდა და აკანკალებული ამოვიდა
ნყლიდან... მაგრამ მაინც შეძლო გზის გაგრძელება. ამას დე-
დის ხათრით აკეთებდა - სწორედ დედას უნდოდა, რომ იგი
ცეცხლოვან მახვილად ქცეულიყო და გაენადგურებინა...

(დიახ, ისიც უნდა გაენადგურებინა)

სოუ ნამოხტია და სისხლიან ნაკვალევს აღარც დახედა, ისე მოკურცხლა. უკვე ისედაც იცოდა, საით მიდიოდა კვალი.

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (პ. 164-165):

„რასაც გინდა ვფიქრობდეთ კერი უაიტის საქმის შესახებ, ეს ამბავი უკვე წარსულს ჩაბარდა. დროა, მზერა მომავალს მივაჰყროთ. როგორც ბატონი მაჟგაფინი „ყოველწლიურ სამეცნიერო უურნალში“ გამოქვეყნებულ ბრნყინვალე სტატიაში აღნიშნავს, ასე თუ არ მოვიქცევით, ადრე თუ გვიან უსათუოდ მოგვინევს „პამელნელი მესტვირისთვის“ ფულის გადახდა და ყველაფერი შეიძლება ძალიან ძვირი დაგვიჯდეს.

ადამიანის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა – ისეთივე, როგორიცაა, ვთქვათ, თვალის ფერი და სხვ.

თუკი დაფარული ტელეკინეტიკური უნარები ყველაზე მძლავრად სქესობრივი მომწიფების პერიოდში ვლინდება, დაწყებით კლასებში ამგვარი ჰიპოთეზური ტესტების ჩატარება წინასწარ თადარიგის დაჭერის საშუალებას მოგვცემს... მაგრამ განა მზად ვართ მოქმედებისთვის? თუ ტუბერკულოზის ტესტი დადებით შედეგს იძლევა, ბავშვს შეიძლება ვუმკურნალოთ. ტელეკინეტიკური უნარების ტესტირებისას დადებითი რეზულტატის მიღების შემთხვევაში, ტყვიის გარდა, სხვა ნამალი არ გვექნება. როგორ შეიძლება ისეთი ადამიანის იზოლირება, რომელსაც გონების ძალით ნებისმიერი კედლის დანგრევა შეუძლია?

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარმატებით მოხერხდა ამ პიროვნების იზოლირება, განა დაუშვებს ამერიკული საზოგადოება, რომ პატარა ლამაზი გოგონა (ჯერ კიდევ ბავშვი) მშობლებს მოწყვიტონ და სიცოცხლის ბოლომდე ცხრაკლიტულში გამოკეტონ? მეეჭვება. მით უფრო, მას შემდეგ, რაც კერი უაიტის საქმის შემსწავლელმა კომისიამ ყველაფერი გააკეთა საზოგადოების იმაში დასარწმუნებლად, თითქოს ჩემბერლენში მომხდარი კოშმარი წმინდა წყლის შემთხვევითობა იყო.

როგორც ჩანს, ისევ იქ დავბრუნდით, საიდანაც დავინუეთ.

ამონარიდი სიუზენ სნელის მიერ მენის შტატის საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ჩვენებიდან (კერი უაიტის საქმის შემსწავლელი კომისიის მოხსენება), გვ. 306-312:

ქ: ახლა კი, მის სნელ, კომისიის სურს, კიდევ ერთხელ გოსმინოს თქვენი მოთხოვობა იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდით კერი უაიტს „კავალიერის“ ავტოსადგომზე და როგორ...

პ: რატომ მისვამთ სულ ერთსა და იმავე კითხვებს? უკვე ორჯერ გიამბეთ ეს ისტორია.

ქ: გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ჩანანერების დეტალები ზუსტად ემთ...

პ: უბრალოდ, ჩემი ტყუილში გამოჭერა გინდათ. ასე არაა? ჩემი არ გვერათ, არა?

ქ: მაშასადამე, თქვენ აცხადებთ, რომ კერი...

პ: კითხვაზე მიპასუხეთ.

ქ: ...28 მაისს ღამის ორსაათზე იპოვეთ. ასეა?

პ: სანამ ჩემს კითხვაზე პასუხს არ მივიღებ, კრინტსაც არ დავძრავ.

ქ: მის სნელ, შეგვიძლია, პასუხი გაგებინოთ შტატის კომისიის უპატივცემულობისათვის. ამ კითხვების იგნორირების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვთ, თუკი თქვენი კონსტიტუციური უფლებები ირღვევა.

ქ: სულ არ მაღარდებს, რა შეგიძლიათ და რა – არა. ცოტა ხნის ნინ საყვარელი ადამიანი დავკარგე. ჰოდა, ადექით და ჩამსვით ციხეში. ჩემთვის სულერთია. მე... ნადით, თქვენი!.. გაგარტყით ყველას! თქვენ მხოლოდ განტევების ვაცის პოვნა გინდათ, მეტი არაფერი! თავი დამანებეთ!

(ხანმოკლე შესვენება)

ქ: მის სნელ, მზად ხართ, ჩვენების მისაცემად?

პ: დიახ. ისევ თუ არ გამომიყვანთ წყობიდან, ბატონო თავმჯდომარე.

ქ: რა თქმა უნდა, არ გამოგიყვანთ, მის სწელ. ასეთი განზრახვა არავის ჰქონია. ესე იგი, აცხადებთ, რომ კერი უატში ღუმის ორ საათზე „კავალიერის“ ავტოსადგომზე ნახეთ. ხომ ასეა?

პ: დიახ.

ქ: ზუსტი დრო საიდან იცით?

პ: მაჯაზე საათი მეკეთა. აი, ეს საათი.

ქ: გასაგებია. იმ ადგილიდან, სადაც მანქანა გააჩერეთ, „კავალიერამდე“ დაახლოებით ექვსი მილია.

პ: გზით თუ იარე, კი. მაგრამ მოკლეზე თუ მოჭრი, სამიც არ იქნება.

ქ: ფეხით გაიარეთ ეგ მანძილი?

პ: დიახ.

ქ: წინა ჩვენების მიხედვით, „უბრალოდ, იცოდით“, რომ კერისთან მიდიოდით. შეგიძლიათ აგვიხსნათ, საიდან გაჩნდა ეგ „ცოდნა“?

პ: არა.

ქ: სუნით მიაგენით?

პ: რა ბრძანეთ?

ქ: ყნოსვით ხელმძღვანელობდით?

(ქანდარაზე სიცილი გაისმა)

პ: დამცინით?

ქ: კითხვაზე მიპასუხეთ.

პ: არა. სუნით არ მიმიგნია.

ქ: აბა, ხედავდით?

პ: არა.

ქ: მისი ხმა გესმოდათ?

პ: არა.

ქ: აბა, საიდან იცოდით, იქ რომ დაგხვდებოდათ?

პ: მაშინ, მითხარით, საიდან იცოდა, ტომ კვილანმა? ან კორა სიმარდმა? ანდა ვიკ მუნიმ? საიდან შეიტყვეს მათ კერის შესახებ?

ქ: კითხვაზე გვიპასუხეთ, მის. ახლა თავხედობის დრო არაა.

პ: კი მაგრამ, მათაც ხომ გითხრეს, რომ „უბრალოდ, იცოდნენ“, ასე არ იყო? ჩემი თვალით ვნახე გაზეთში მისის სიმარდის ჩვენება! თავისით გახსნილ სახანძრო ჰიდრანტებზე რაღას იტყვით? ან ბენზინის ტუმბოებზე, რომლებიც თავისით ჩაირთო? ან მავთულები რაღამ ჩამოყარა ბოძებიდან? ან...

ქ: მის სწელ, ძალიან გთხოვთ...

პ: ეს ყველაფერი ხომ დოკუმენტირებული გაქვთ!

ქ: ახლა ჩვენ სულ სხვა რამეზე ვსაუბრობთ.

პ: აბა რა გაინტერესებთ? ჭეშმარიტებას ეძებთ თუ „დამნაშავეს“?

ქ: ესე იგი, უარყოფთ, რომ ნინასნარ იცოდით კერი უაიტის ადგილსამყოფელი?

პ: რა თქმა უნდა, ნინასნარ არაფერი მცოდნია. რა სისულელეა!

ქ: რა არის სისლელე?

პ: სისულელეა იმის მტკიცება, რომ მე და კერის პირი გვქონდა შეკრული. როცა ვნახე, კერი უკვე კვდებოდა. როგორ გვონიათ, თვითონ დაგეგმა ასეთი სიკვდილი?

ქ: კი მაგრამ, როგორ მიაგენით, თუკი მისი ადგილსამყოფელი არ იცოდით?

პ: ღმერთო, რა იდიოტია! საერთოდ თუ უსმენდით, რაზე ლაპარაკობდნენ ამ დარბაზში? კერის შესახებ ყველამ იცოდა... და თუ მოინდომებდა, ნებისმიერს შეეძლო მისი პოვნა.

ქ: მართლა? მაგრამ ის ნებისმიერს არ უპოვა. ა. თქვენ კი მიაგენით. როგორ მოხდა, რომ ადამიანები ყველა ზხრიდან არ მიიღტვოდნენ მისკენ, როგორც ლითონის ნატეხები - მაგნიტისკენ?

პ: კერის სწრაფად გამოეცალა ძალა. როგორც ჩანს, თანდათან... მისი გავლენის ზონაც მცირდებოდა.

ქ: ალბათ დაგვეთანხმებით, რომ თქვენი სიტყვები მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდებს ეფუძნება.

პ: რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ როცა საქმე კერი უაიტს ეხება, რაიმეს დასაბუთებულად და დანამდვილებით თქმა შეუძლებელია.

ქ: კარგი, ჩავთვალოთ, რომ ასეა, მის სწრელ. ახლა გვითხარით...

სიუ ჰენრი დრეინის ნაკვეთსა და „კავალიერის“ ავტოსადგომს შორის ნამომართულ მინაყრილზე ახოხდა და კერი დაინახა. თავიდან მკვდარი ეგონა - საბრალო გოგონა მოკუნტული ეგდო ჭუა ავტოსადგომზე და გაჭყლეტილს ჰგავდა. მისმა დანახვამ სიუს საბურავებქვეშ მოყოლილი ზაზუნები და სკუნსები გაახსენა, რომლებიც ხშირად უნახავს 95-ე გზატკეცილზე.

მაგრამ გონებით ისევ გრძნობდა მის სიახლოვეს - ცნობიერებაში რაღაც ისევ ფეთქავდა და ისევ იმეორებდა მოსახმობ სიგნალს. კერის არსი გეშტალტი იყო - მოგუდული და მდორე... საზეიმო დაფი და ნალარა კი არა - მხოლოდ თანაბარი, რიტმული პულსირება...

კერი უგონოდ ეგდო.

სიუ ავტოსადგომის ლობეზე გადაძვრა და სახეში ალმოდებული შენობის სიმხურვალე დაეძგერა. „კავალიერი“

ხის გასალით იყო აშენებული და ცეცხლი თრივე სარულზე სწრაფად გავრცელდა. სათადარიგო გასასვლელის სიახლოვეს დამწვარი მანქანის კარკასი მოჩანდა. ესეც კერიმ ჩაიდინა... სიუს ისიც კი არ უნახავს, ვინმე ხომ არ იყო დარჩენილი ბარ-ში ან მანქანაში. ამას იმ მომენტში მნიშვნელობა არ ჰქონდა...

უმალ კერისკენ გაეშურა. დამშეული ცეცხლის გუგუნში
არც ეი ესმოდა საკუთარი ნაბიჯების ხმა. როცა მოუახლოვდა,
შეჩერდა და გაოგნებული და დარღიანი დააცქერდა მოკუნ-
ტულ ფიგურას. კერი გვერდზე იწვა და მხრიდან დანის ჭარი
მოუჩანდა. ასფალტზე ჭრილობიდან და პირიდან გადმოსუ-
ლი სისხლის გუბე იდგა. ეტყობოდა, სანამ გონს დაკარგავ-
და, ზურგზე გადაბრუნებას ცდილობდა. გონების ძალით ხან-
ძრის გაჩენა, ელექტროსადენების ჩამოგლეჭა და ადამიანების
ხოცვა შეძლო, მაგრამ ზურგზე დამოუკიდებლად გადაბრუნე-
ბა ველარ მოახერხა...

სიუ მუხლებზე დაეშვა, კერის საღ მხარში ხელი ჩატკიდა
და ზურგზე ფრთხილად გადააჭრიალა.

კერიმ ჩუმად ამოიკვნესა და ქუთუთოები ოდნავ შეარხია. სოუმ უფრო მკაფიოდ შეიგრძნო მისი სიახლოვე – თითქოს ვიღაცამ გამოსახულების სიმკვეთრე გამოასწორაო.

(რომელი ხარ)

სიუმშ ზუსტად ისევე უპასუხა:

(Տուշ Հար Տուս Տնշելո)

სულაც არ სჭირდებოდა გონიერაში თავისი სახელის ნარ-
მოთქმა. ფიქრები არც სიტყვებისგან შედგებოდა და არც გა-
მოსახულებებისგან. ამის შეცნობამ უეცრად ნათელი მოპფი-
ნა, ხაზი გაუსვა მომხდარის რეალურობას და თანაგრძნობას,
შოკური გამოთაყვანების ზღუდეთა გარღვევა შეაძლებინა.

კური - საყვარელოთ, საიდანლაც შორიდახ:

(მომატყუე ყველამ გამაშაყირა)

(კერი არც კი ვიცი რა მოხდა ტომის რა შეემთხვა)

(გამაბრიყვეთ აი რა მოხდა ბინძური ბინძური ბინძური
ხუმრობა)

ამას მოჰყვა სურათებისა და ემოციების გამაოგნებელი,
ენით აუნერელი ურთიერთმონაცვლეობა. სისხლი. სევდა. ში-
ში. უკანასკნელ ბინძურ ხუმრობას სხვა ბინძური ხუმრობების
მთელი წყება მიება და სცენების უცნაურ კალეიდოსკოპად
დატრიალდა სიუს ძალაგამოცლილ და სასომიხდილ გონებაში.
ახლა უკვე ორივემ იცოდა ყველა წვრილმანი.

(ნურაფერს ნურაფერს დამიშავებ კერი)

აი, ჰიგიენურ საფენებს ესვრიან კერის და ხარხარებენ,
ყვირიან. აი, თავად სიუს სახე – კერის ცნობიერების სარკეში
არეკლილი: მოქცეული, უმონყალოდ ლამაზი, ყურებამდე გაკ-
რეჭილი, კარიკატურული...

(აი ნახე ნახე ეს ბინძური ხუმრობები მთელი ჩემი ცხოვ-
რება ერთი ბინძური ხუმრობაა)

(შემომხედე კერი ჩემს გულში ჩაიხედე)

...და კერიმაც ჩაიხედა.

სიუს საშინელი შეგრძნება დაეუფლა – უეცრად მისი გო-
ნება ერთ დიდ ბიბლიოთეკად გადაიქცა. ვიღაც სწრაფი ნაბი-
ჯით დადიოდა თაროების რიგებში და ჩქარ-ჩქარა ფურცლავ-
და წიგნებს. ზოგს უკან აბრუნებდა, ზოგსაც იატაკზე ყრიდა

(ბავშვობის მოგონებები სულ პატარა ვარ ვერ ვიტან მა-
მიკო დედიკოს სქელი ტუჩები ბობიმ ხელი მკრა ვაი მუხლი
მანქანით წავიდეთ სესილი დეიდას ვესტუმროთ ჩქარა დედი-
კო ჩავითვსი),

სადაც გაცრეცილ ფურცლებს მოგონებების ნიავი აშრია-
ლებდა...

ა. „ტომის“ სექცია და „გამოსახვები გევლისას“ თარი.

ვიღაც ხარბი ინტერესით შელის ფურცლებს და შეგრძნებებისა და განცდების ორომტრიალში ეხვევა; გულდასმით კითხულობს შენიშვნების სახით გვერდებზე მინერილ ემოციებს – როზეტის ქვის იეროგლიფებივით ბუნდოვანსა და როულადნასაკითხს...

მახვილმა თვალმა იმაზე მეტი ამოკითხა, ვიღორე სიუმთავად იცოდა საკუთარ თავზე: ტომის სიყვარული, მისი დამორჩილების წყურვილი, ეჭვიანობა, ეგოზმი, კერის მიმართ ზიზღი

(თავს რატომ არ უვლის სუფთა მომპეროს ჰგავს),

მის დესჯარდინის მიმართ სიძულვილი, საკუთარი თავის სიძულვილი...

მაგრამ ავი ზრახვები ვერ ამოკითხა – კერის აბუჩად ავდებისა და საბოლოოდ ჩაქოლვის გეგმაზე არაფერი მოუთებდა.

სიუს თანდათან გაუქრა შეგრძნება, რომ ვიღაც მისი სულის ყველაზე ფარულ და ბნელ კუნფულებში იქექებოდა. გრძნობდა, როგორ სუსტდებოდა კერი და როგორ უშვებდა თანდათან.

(თავი რატომ არ დამანებე)

(იცი რა კერი)

(დედა ცოცხალი იქნებოდა დედაჩემი მოვკალი მასთან მინდა ღმერო როგორ მტკიცა მკერდი და მხარი დედასთან მინდა)

(კერი მე)

სიუმ აზრი ვერ დაასრულა, რადგან შიშმა... არა, შიშმა კი არა, უფრო შემზარავმა რაღაცამ შეიცყრო. შემზარავმა, რადგან თავადაც არ იცოდა, რა ერქვა ამ განცდას: მანქანის

ზეთით გაპოხილ ასფალტზე სისხლის გუბეში მცურავი სულ-
თმობრძავი არსება და მისი ყველა ტკივილი თუ საჭანჯველი
უცრად უმნიშვნელოდ და საძაგლად მოეჩვენა.

(დედა მეშინია დედა დედი)

სიუმ ამ ფიქრებისგან გამიჯვნა სცადა, რომ კერისთვის
სიკვდილის პირისპირ მარტო დარჩენის საშუალება მიეცა.
მაგრამ ვერ მოახერხა. მოეჩვენა, რომ თვითონაც კვდებოდა
და ყველა ძალა იხმარა, რომ საკუთარი აღსასრულის ანონ-
სისთვის არ ეყურებინა.

(ბამიშვილ კერი)

(დედიკოდედიკოდედიკოოოოოოოოოოო)

სულის კივილმა წარმოუდგენელ, გამაყრუებელ კრეშენ-
დომდე აინია და, მოულოდნელად, შენყდა. სიუმ წამით იგ-
რძნო – თითქოს გულის სახედველით დაინახა – როგორ მია-
ქანებდნენ ობლად მოციმციმე სანთელს გრძელ და ბნელ გვი-
რაბში.

(კვდება ღმიერთო ვგრძნობ როგორ კვდება)

მერე კი სინათლე ჩაერა და კერის უკანასკნელი ფიქრი
იყო:

(დედა მაპატიე სად)

აზრი განყდა და სიუ მიხვდა, რომ მხოლოდ ნერვული და-
ბოლოებების ვიბრაციასლა აღიქვამდა, რაც კიდევ რამდენიმე
საათს გაგრძელდებოდა.

ნელა წამოიმართა და ხელის ცეცებით, ბრმასავით გაუდ-
გა გზას. ავტოსადგომი რომ გადაიარა, მუხლამდე შემალლე-
ბულ ბორდიურს წამოედო და მინაყრილზე დაგორდა. დაბლა
ისევ წამოდგა და ნისლის ბოლქვებით მოფენილ ველზე გავი-
და. გარშემო ჭრიჭრინები ჭრიჭრინებდნენ. შორიდან უფეხურას
ხმა მოისმა

(ესე იგი ვიღაც კვდება).

სიუმ ჰაერი ლრმად ჩაისუნთქა და გაიქცა – უნდა გაქ-
ცეოდა ტომის, ხანძარს, აფეთქებებს, კერის და, რაც მთავა-
რია, იმ უკანასკნელ აზრს, სამუდამოდ რომ შთანთქა მარა-
დისობის უსასრულო გვირაბმა და მხოლოდ ბიოელექტრობის
უაზრო ზუზუნი რომ დაუტოვა გონებაში.

ხილვის ნარჩენები ნელ-ნელა ქრებოდა და თანდათან
უმეცრების დალოცვილ წყვდიადსა და სიგრილეს უთმობდა
ადგილს. სიუმ ნაბიჯი შეანელა და გაჩერდა. იცოდა, რომ კი-
დევ რაღაც უნდა მომხდარიყო – ნისლში ჩაფლულ უკიდეგანო
მინდორში იდგა და ცოდნის ზეგარდმოვლენას ელოდა.

სუნთქვა თანდათან დაუმშვიდდა და ბოლოს სულაც შეე-
რა, თითქოს ფეხი ეკალს დაადგაო.

მერე კი თავი ასწია, ერთ სულის შემძვრელ კივილში
მოაქცია მთელი ტკივილი და იგრძნო, როგორ დაუყვა ბარძა-
ყებს მენსტრუალური სისხლის ნაკადი.

ნაცილი მესამე

ნანგრევები

კალაპ უსტოვერის საავადმყოფო გარდაცვალების ოფიციალური

გაცემულია თავი 2

გვარი შუალტი სახელი კურიუტი
მისამართი კარლინ-სტრიტი №47, ჩემბერლენი
მენის შტატი 02249

რეანიმაციის განყოფილება —

სასწრაფო დახმარების მანქანა №16

მიღებული ზომები — საავადმყოფოში მიყვანამდე
გარდაცვალება კი არა

გარდაცვალების თარიღი 1979 წლის 28 მაისი.

02:00 (დაახლ.);

გარდაცვალების მიზეზი: სისხლის დაკარგვა, შოკი,
კორონარული ოკულუზია და/ან კორონარული
სისხლძარღვების თრომბოზი (საკარაუდოდ)

პირი, რომელმაც ამოიცნო გარდაცვლილი: სიუზენ
დ. სნელი, ბეკ-ჩემბერლენ-როუდი №19, ჩემბერ-
ლენი, მენის შტატი 02249

გარდაცვლილის ახლო ნათესავები: —

გვამი გადაეცემა მენის შტატის

მორიგე ექიმი კონტაქტის შემსრულებელი

პათოლოგოანატომი: თავი 2

„ასოშეიტედ პრესის“ მთავარი სამმართველოს ცნობა, პარასკევი, 1979 წლის 5 ივნისი:

ჩემპერლიუნი, მანის შტატი (ად)

შტატის ხელისუფალთა ცნობით, ყალაქ ჩემპერლიუნი დაღუაულია 409 ადამიანი. კიდევ 49 უგზოუკვლოდ დასარგეულად ითვლება. კირი უაიტის საძმის გამოყიერა და ეგრეთ მო-დეგული TK-ვარომანის შესრულება მრჩელდება არის ფრინვე, თითეპოს გაცვეთამ კალიატ უაიტის ტვინის ჩარესა და ნათხამში უცნაური ხარმონაქმნები გამოავლინა. შტატის გუპერნა-ტორია ტრაგეზის მიზანების გამოსავლენად დაფინანსური კომისია გამოყო. დასასრული.

5 ივნისი 0303NAA

„ლუისტონ დეილი სანი“, კვირა, 7 სექტემბერი (გვ. 3):

ტელევიზიონის მამკიდალეობა: დამცვალი მისა
და დამცვალი გულები

ჩემპერლიუნი – გამოსაშვები მეჯლისის საღამო უკვე ის-ტორიას ჩაბარდა. ბრძენებაცები ყველა ეპოქაში გვარნმუნებ-დნენ, დრო ნებისმიერ იარას აშუშებსო, მაგრამ მენის შტატის ამ პატარა ქალაქისთვის მიყენებული ჭრილობა შეიძლება სა-სიკვდილო აღმოჩნდეს. ქალაქის აღმოსავლეთით, ორასნლი-ნი მუხების ჩრდილში ისევ დგას სახლები. მორინ-სტრიტსა და

გრიგორიძ-ჭილის ძველი შენობები კვლავ მოვლილია. მაგრამ მთელი ეს ახალინგლისური პასტორალურობა მხოლოდ არ-შეად აკრავს ქალაქის გადამწვარ და დანგრეულ ცენტრს და ხანძარს გადარჩენილ რაიონებშიც კი მრავალ სახლს ანერია, იყოდებათ. იმ სახლების კარებზე კი, სადაც ისევ ცხოვრობენ, შავლენტიანი გვირგვინები ჰქიდია. ავეჯის გადამზიდი ფირმების, „ელაიდისა“ და „იუ-ჭოლის“, სატვირთო ავტომობილების გამოჩენა ჩემპერლენში ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ქალაქის უმსხვილესი საწარმო, „ჩემპერლენ მილს ენდ უივინგი“, ხანძარს არ დაუზიანებია, მაგრამ 4 ივლისიდან ქარხანა მხოლოდ ერთ ცვლაში მუშაობს და კომპანიის პრეზიდენტის, უილიამ ა. ჩემპლისის, თქმით, ნარმოების მასშტაბი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო შემცირდება. „შეკვეთები ბევრი გვაქვს, – განაცხადა ჩემპლისმა, – მაგრამ ფაბრიკა ხალხის გარეშე ვერ იმუშავებს. მუშახელი არ გვყოფნის. მარტო 15 ავისტოს შემდეგ 34 კაცი წავიდა კომპანიიდან. ისლა დაგვრჩენია, დავხუროთ სამლებრო საამქრო და შეკვეთები სხვა საწარმოებს გადავცეთ. რა თქმა უნდა, ძალიან მიჭირს დანარჩენი მუშების გათავისუფლება, მაგრამ ახლა კომპანიის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება“.

როგორ ფირონმა ჩემპერლენში სიცოცხლის ოცდაორი წელი გაატარა და აქედან თვრამეტი „ჩემპერლენ მილს ენდ უივინგის“ ფაბრიკაში იმუშავა. ამ დროის მანძილზე ის მტვირთავიდან სამლებრო საამქროს ოსტატამდე დაწინაურდა. მაგრამ სამსახურის დაკარგვა მისტერ ფირონს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ აღელვებს. „რა თქმა უნდა, ძალიან ჟარგ შემოსავალს ვკარგვავ, – ამბობს იგი, – და საგრძნობლად გავვირთულდება ცხოვრება, მაგრამ მე და ჩემმა მეუღლემ უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ალბათ, სახლს გავყიდით

- დაახლოებით ოცი ათასი ლირს... და, მოუხედავად იშნა, რომ მასში ახლა საფასურის ნახევარსაც ვერ ავიღებთ, სავა-რაუდოდ, მაინც გადავდგამთ ამ ნაბიჯს. ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. აღარ შეგვიძლია ჩემბერლენში ცხოვრება. რაც გინდათ, ის გვიწოდეთ, მაგრამ აქ ვეღარ გავჩერდებით".

ფირონი ერთადერთი არაა, ვინც ასე ფიქრობს. „გამ-საშვები მეჯლისის საღამოს" მინასთან გასწორებული „კელი ფრუტ კომპანის" მფლობელი ჰიუბერტ კელი თავისი კაფეს აღდგენას არ აპირებს. „ის ბავშვები უკვე ცოცხლები აღარ არიან, – ამბობს იგი და მხრებს იჩეჩავს, – ხელახლა თუ გა-ვიღები, აჩრდილების გარემოცვაში მომინევს ჭრიალი. ალბათ დაზღვევის თანხას ავიღებ და სენტ-პიტერსტურგში ნავალ. დავისვენებ".

1954 წელს, ერთი კვირაც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ვუსტერს დამანგრეველმა ქარიშხალმა გადაუარა, რომ მთელ ქალაქში ჩაქუჩების კაკუნი ისმოდა და ახლად დახერხილი ხს სუნი ჭრიალებდა – ვუსტერის ბინადარნი ცხოვრებას ოპტიმი-მით უყურებდნენ. ჩემბერლენში კი მსგავსი არაფერი მომზდარს. მხოლოდ მთავარი ქუჩა განმინდეს ნანგრევებისგან. ეს იყო და ეს. აქ ადამიანების თვალებში მხოლოდ სასონარკუვეთა იქოთხება. მამაკაცები ლუდს სვამენ „ფრენკს ბარში", სალივან-სტრიტის კუთხეში. ეზოებში გამოსული ქალები მეზობლებს ჭრაგიულ ისტორიებს უზიარებენ. ჩემბერლენი ეროვნული უბედურების ზონად გამოცხადდა, მთავრობამ სოლიდური თანხა გამოყ ქალაქის ფეხზე დასაყენებლად და საქმიანი რაიონის აღსაღ-გენად... მაგრამ ბოლო თოხი თვის განმვლობაში ჩემბერლენი მხოლოდ დამკრძალავ ბიუროებს მისდიოდათ საქმე კარგად.

დაიღუძა თოხას ორმოცი ადამიანი, კიდევ თვრამეტი ჯერაც არ უპოვიათ. სამოცდაშვილი მოზარდი იუვინის საშუა-

— დაახლოებით ოცი ათასი ლირს... და, მიუხედავად იმისა, რომ მასში ახლა საფასურის ნახევარსაც ვერ ავიღებთ, სავარაუდოდ, მაინც გადავდგამთ ამ ნაბიჯს. ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. აღარ შეგვიძლია ჩემბერლენში ცხოვრება. რაც გინდათ, ის გვიწოდეთ, მაგრამ აქ ვეღარ გავჩერდებით".

ფირონი ერთადერთი არაა, ვინც ასე ფიქრობს. „გამოსაშვები მეჯლისის საღამოს" მინასთან გასწორებული „კელი ფრუტ კომპანის" მფლობელი ჰიუბერტ კელი თავისი კაფეს აღდგენას არ აპირებს. „ის ბავშვები უკვე ცოცხლები აღარ არიან, — ამბობს იგი და მხრებს იჩეჩავს, — ხელახლა თუ გავიღები, აჩრდილების გარემოცვაში მომინევს ჭრიალი. აღბათ დაზღვევის თანხას ავიღებ და სენტ-პიტერსბურგში ნავალ. დავისვენებ".

1954 წელს, ერთი კვირაც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ვუსტერს დამანგრეველმა ქარიშხალმა გადაუარა, რომ მთელ ქალაქში ჩაქუჩების კაკუნი ისმოდა და ახლად დახერხილი ხის სუნი ჭრიალებდა — ვუსტერის ბინადარნი ცხოვრებას ოპტიმიზმით უყურებდნენ. ჩემბერლენში კი მსგავსი არაფერი მომხდარა. მხოლოდ მთავარი ქუჩა გაწმინდეს ნანგრევებისგან. ეს იყო და ეს. აქ ადამიანების თვალებში მხოლოდ სასონარკუვეთა იკითხება. მამაკაცები ლუდს სვამენ „ფრენკს ბარში", სალივან-სტრიტის კუთხეში. ეზოებში გამოსული ქალები მეზობლებს ტრაგიკულ ისტორიებს უზიარებენ. ჩემბერლენი ეროვნული უბედურების ზონად გამოცხადდა, მთავრობამ სოლიდური თანხა გამოყო ქალაქის ფეხზე დასაყენებლად და საქმიანი რაიონის აღსაღენად... მაგრამ ბოლო ოთხი თვის განმვლობაში ჩემბერლენში მხოლოდ დამკრძალავ ბიუროებს მისდიოდათ საქმე კარგად.

დაიღუპა ოთხას ორმოცი ადამიანი, კიდევ თვრამეტი ჯერაც არ უპოვიათ. სამოცდაშვიდი მოზარდი იუვინის საშუა-

ეს სკოლის კურსდათავრებული იყო. ალბათ სწორედ ამან გოუსპო ჩემბერლენს სიცოცხლის წყურვილი.

ბავშვები 1 და 2 ივნისს სამი მასობრივი ცერემონიით და-გარჩეს. მოსახსენიებელი ნირვა კი 3 ივნისს ქალაქის მთავარ მოედანზე ჩატარდა. ეს იყო ყველაზე ამაღელვებელი ნირვა მათ შორის, რაც კი რეპორტიორად მუშაობის პერიოდში მინა-ხავს. ათასობით ადამიანი შეიკრიბა და, როცა სკოლის ორკეს-ტრი (რომლის ორმოცდათექვსმეტი წევრიდან ცოცხალი მხო-ლოდ ორმოცი გადარჩა) სკოლის ჰიმნს ასრულებდა, მთელი მოედანი სევდით აღსავსე დუმდა.

ერთი კვირის შემდეგ მოტონის აკადემიაში დიპლომების გადაცემის ცერემონია გაიმართა და ღონისძიებას მხოლოდ ორმოცდათორმეტი კურსდამთავრებული დაესწრო. ჰენრი სტამპელი, რომელიც მთელი ნაკადის სახელით სიტყვით გა-მოდიოდა, ატირდა კიდეც და გამოსვლის დასრულება ვერ შეძლო. სკოლის დამთავრების აღსანიშნავად არანაირი ღო-ნისძიება არ ჩატარებულა – კურსდამთავრებულებმა დიპლო-მები მიიღეს და სახლებში დაბრუნდნენ.

ზაფხული გადიოდა, თითქმის ყოველდღე პოულობდნენ ნანგრევებში დალუპულთა სხეულებს და ისევ დადიოდნენ ქუ-ჩებში კატაფალკები – ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობას ისე-თი განცდა ჰქონდა, თითქოს ახალშეხორცებულ ჭრილობას ქრეს აღლეტენო.

თუკი ცნობისმოყვარეთა მრავალრიცხოვან ნაკადს შეუ-ერთდებოდით და ამ ზაფხულს ჩემბერლენს ესტუმრებოდით, საკუთარი თვალით ნახავდით სულის კიბოთი დაავადებულ ქალაქს. დაბნეული, გამოფიტული ადამიანები დროდადრო პროტესტანულ ტაძარში შედიან და უაზროდ დაეხეტებიან ცარიელ დერეფნებში. კარლინ-სტრიტზე მდებარე კონგრე-ცარიელ დერეფნებში.

გაციონალისტთა ტაძარი ბოლომდე განადგურდა, მაგრამ კათოლიკური ტაძარი ისევ დგას და მეთოდისტების ეკლესიაც მოქმედებს მეინ-სტრიტზე. თუმცა მრევლია ცოტა. მოხუცები ისევ სხედან მერიის ნინ ჩალაგებულ სკამებზე, მაგრამ არც შაში და არც ჭორები აღარ აინტერესებთ.

ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქალაქი სიკვდილისთვის ემზადება. იმის მტკიცება, რომ უნინდელი ჩემბერლენი აღარ იარსებებს, სწორი არ იქნება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მალე ჩემბერლენი საერთოდ აღარ იარსებებს.

ამონარიდი ჰენრი გრეილის მიერ სკოლების რეგიონული ინსპექტორის, პიტერ ფილპოტისადმი 9 ივნისს მიწერილი ნერილიდან:

„...ვგრძნობ, უკვე აღარ შემიძლია ამ პოსტზე მუშაობა, რადგან უფრო შორსმჭვრეტელი რომ ვყოფილიყავი, ტრაგედიის თავიდან აცილებას შევძლებდით. თუკი ამასთან დაკავშირებით თქვენს სამმართველოს არანაირი ადმინისტრაციული დაბრკოლება არ წარმოექმნება, გთხოვთ, ჩემი გადადგომა პირველ ივლისიდან დაადასტუროთ...“

ამონარიდი ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორის, რიტა დესჯარდინის მიერ სკოლის დირექტორ ჰენრი გრეილისადმი 11 ივნისს მიწერილი ნერილიდან:

„...რომ ვიბრუნებთ კონტრაქტს ასეთ დროს. ვხვდები, რომ უბრალოდ აღარ შემიძლია სწავლება. ზოგჯერ მთელი ლამის განმავლობაში ვფხიზლობ და ვფიქრობ: ნეტავ უფრო კარგად გამეცნო ის გოგო-მეთქი. ვინ იცის, საქმე როგორ წავიდოდა...“

ნარწერა უაიტების ნასახლარზე:

პერი უაიტი ცოდვებისათვის კუპრი
იხარშება ისეო არასოდეს ცდება

ამონარიდი დ. ლ. მაკგაფინის სტატიიდან „ტელეკინეზი: ანალიზი და შედეგები“ („ყოველწლიური სამეცნიერო უურნალი“, 1981):

„დასასრულ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რაოდენ დიდი საფრთხის ქვეშ ვეპცევით ყველანი იმის გამო, რომ ადმინისტრაცია ბიუროკრატიული საფარველით ცდილობს კერი უაიტის ისტორიის დამალვას – მხედველობაში მაქვს ეგრეთ ნოდებული უაიტის საქმის შემსწავლელი კომისიის მუშაობა. ზოგიერთი პოლიტიკოსის სურვილი, ტელეკინეზი უნიკალურ, უიშვიათეს მოვლენად წარმოაჩინონ, რომელიც მეორედ აღარასოდეს განმეორდება, სავსებით გასაგებია. მაგრამ ასეთი აზრის გაბატონება ყოვლად დაუშვებელია. გენეტიკის თვალსაზრისით, ამ ფენომენის განმეორების ალბათობა 99 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ...“

ჯონ რ. კუმბსის „სლენგის ლექსიკონი: სახელმძღვანელო მშობელთათვის“ (ნიუ-იორკი: „ლაიტჰაუს პრესი“, 1985, გვ. 73):

კერის გაბრაზება: არეულობის მოწყობა, ადამიანთა და-სახიჩრება; (2) ცეცხლის განზრახ წაკიდება (წარმოიშვა კერი უაიტის (1963-1979) სახელიდან).

ნიგნიდან „აფეთქებული აჩრდილი“ (გვ. 201):

„შემოთ კერი უაიტის დლიური ვახსენეთ, სადაც მრავალგზის მეორდება სამოციანი ნლების ცნობილი როკ-პოეტის, ბობ დილანის ლექსის სტროფი.

ალბათ დამეთანხმებით, კარგი იქნებოდა, ეს ნიგნი ბობ დილანის სხვა სიმღერით დაგვემთავრებინა, რომელიც შესანიშნავად გამოდგებოდა კერი უაიტის ეპიტაფიად:

ნეტავ, შემეძლოს გიმღერო ისე,
რომ გავიფანტო შიშები მყისვე
და დავიამო ისევ და ისევ
ტკივილი, მაგ ფუჭ ცოდნას რომ ახლავს...

ნიგნიდან „მე მქვია სიუზენ სნელი“ (გვ. 98):

„აი, ჩემი პატარა ნიგნიც დასრულდა – იმედია, დიდ წარმატებას მოიპოვებს და საშუალებას მომცემს, გავიქცე სადმე, სადაც არავინ მიცნობს. მინდა ყველაფერი კარგად გავიაზრო და გადავწყვიტო, რა ვაკეთო მანამ, სანამ ჩემი სანთელი ბნელი გვირაბის ბოლომი გაუჩინარდება...“

27-28 მაისს ჩემბერლენში (მენის შტატი) მომხდარი მოვლენების შემსნავლელი კომისიის დასკვნიდან:

„...ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა გაკვეთამ მართლაც გამოავლინა შესწავლის ობიექტის ტვინის სრუქტურაში გარკვეული ცვლილებები, რაც შეიძლება პარანორმალური უნარების არსებობაზე მიუითებდეს, არანაირი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რეციდივი შესაძლებელია...“

ამონარიდი ამელია ჯენკსის (ქ. როიალ-ნობი, ტენესის
შტატი) მიერ სანდრა ჯენკსისადმი (ქ. მენსონი, ჯორჯიის
შტატი) 1988 წლის 3 მაისს მიწერილი წერილიდან:

„...შენი პატარა დისშვილი კი სარეველასავით იზრდება.
ორი წლისაა და უკვე ძან დიდია. მამიკოსავით ცისფერი თვა-
ლები და ჩემსავით ქერა თმა აქვს. მაგრამ ალბათ გაუმუქდება.
ძან საყვარელია და როცა ძინავს, სუ დედაჩვენს ვამსგავსებ.

ცოტა ხნის წინ ენი სახლის უკან თამაშობდა და მაგარი
რაღაც ვნახე. თავისი ძმის ბურთულებით თამაშობდა, ოლონდ
ბურთულები თავისით დახტოდნენ ზემოთ-ქვემოთ. ენი ხით-
ხითებდა, ბურთულები კი დახტოდნენ. ეგრევე ჩვენი ბებო გა-
მახსენდა. გახსოვს, პიტის ასაყვანად პოლიციელები რომ მო-
ვიდნენ და პისტოლეტები თავისით რომ გაუსხლტათ ხელები-
დან. ბებიაჩვენი კი იცინოდა და იცინოდა. ან თავის სარწევე-
ლა სავარძელს რომ გააქანებდა და შიგ არც კი იჯდა ხოლმე!

მოკლედ, ცოტა შემეშინდა. იმედია, ენის გულის პრანჭვე-
ბი არ დასჩემდება ბებოსავით.

კაი, წავედი, სარეცხი მელოდება. რიჩი მომიკითხე და
როცა შეძლებ, სურათები გამოგვიგზავნე. ენი კი მართლაც
ძან საყვარელია და თვალებიც ვეებერთელა ლილებივით უბ-
ზინავს. თუ გინდა, გავმაზოთ: მალე მთელი ქვეყანა მის ფეხ-
ქვეშ გაეგება.

გკოცნი ბევრს,
მელია.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**